

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

ნატალია მოწონელიძე


სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების  
საშუალება

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლადო ჭანტურია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

თბილისი, 2015



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

## სტრუქტურა

აბრევიატურები.....	6
I. შესავალი.....	8
II. კერძო დაზღვევის არსი და მნიშვნელობა.....	13
1. სადაზღვევო ბაზრის განვითარების სტატისტიკა.....	15
2. სადაზღვევო ბაზრის განვითარების შედეგები .....	16
III. სუბროგაციის დოქტრინის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა.....	17
1. ტერმინ “სუბროგაციის” ეტიმოლოგიური მნიშვნელობა .....	17
2. სუბროგაციის დოქტრინა რომის სამართალში .....	18
3. სუბროგაციის დოქტრინა ინგლისურ სამართალში .....	21
4. სუბროგაციის დოქტრინა ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში .....	26
5. სუბროგაციის დოქტრინა ფრანგულ სამართალში.....	26
6. სუბროგაციის დოქტრინა გერმანულ სამართალში.....	28
7. დასკვნა.....	29
IV. სუბროგაციის დოქტრინის არსი .....	31
1. შესავალი.....	31
2. სუბროგაციის შინაარსი.....	31
3. სუბროგაციის მიზანი .....	34
3.1. სუბროგაცია – სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სტაბილურობის გარანტი .....	34
3.1.1. კრიტიკა .....	35
3.2. სუბროგაცია – ზიანის მიმუენებელი პირის პასუხისმგებლობაზე ზემოქმედების სამართლებრივი საშუალება .....	37
3.2.1. კრიტიკა .....	39
4. სუბროგაცია - სარგებლის მიმღები პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდების საშუალება .....	41
5. სუბროგაციის წარმოშობის საფუძვლები .....	44
5.1. სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები .....	44
5.1. სუბროგაციის წარმოშობის ფორმალური საფუძველი .....	48
5.2. მესამე პირი სუბროგაციის მიზნებისათვის.....	51
6.1. დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ .....	53
6.2. თანადაზღვევის ხელშეკრულება.....	56
6.3. დასკვნა.....	57
V. სუბროგაცია და “საოჯახო პრივილეგია“ .....	59
1. “საოჯახო პრივილეგიის” მიზანი .....	59
2. საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობა “საოჯახო პრივილეგიის“ თაობაზე.....	60
2.1. საკანონმდებლო ხარვეზი - “განზრახვა”, როგორც “საოჯახო პრივილეგიის” საფუძველი .....	61

2.2. რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის ხარვეზის გამოსწორებისთვის .....	62
3. “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით მოსარგებლე სუბიექტები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.....	63
3.1. ოჯახი და ოჯახის წევრის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე.....	63
3.2. “ოჯახის წევრის” განმარტების კრიტერიუმები .....	64
4. “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით მოსარგებლე სუბიექტების შედარებით-სამართლებრივი განმარტება.....	66
4.1. ოჯახის და ოჯახის წევრის ცნება გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფის მიზნიდან გამომდინარე.....	66
4.1.1. დამზღვევის ნაოქსავები .....	66
4.1.2. საერთო საოჯახო მეურნეობა .....	67
5. ოჯახური თანაცხოვრების განმარტება .....	69
5.1. დაქორწინებული და დაუქორწინებული წყვილების სამართლებრივი მდგომარეობა .....	69
5.2. რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინების სამართლებრივი მდგომარეობა ევროპისა და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.....	72
6. ოჯახის წევრთა თანაცხოვრების განმსაზღვრელი დრო.....	74
7. დასკვნა.....	75
<b>VI. სუბროგაციის დოქტრინის გამოყენების სფეროები.....</b>	<b>78</b>
1. შესავალი.....	78
2. დაზღვევის სახეები სუბროგაციის მიზნებისათვის.....	79
2.1. დაზღვევის სახეები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.....	79
2.1.1. დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნა დაზღვევის ობიექტის მიხედვით.....	79
2.1.2. მოთხოვნათა კუმულაცია.....	81
2.1.2.1. მოთხოვნათა კუმულაციის არსი .....	81
2.1.2.2. კუმულაციის პრინციპი საქართველოს სადაზღვევო პრაქტიკაში.....	83
2.2. დაზღვევის სახეები გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით .....	85
2.2.1. დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნა სადაზღვევო ანაზღაურების ფორმის მიხედვით .....	86
2.2.2. მყარი თანხით დაზღვევა, როგორც პირადი დაზღვევის საპირისპირო კატეგორია.....	88
2.2.3. კრიტიკა სუბროგაციის მიზნებისთვის დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნის თაობაზე .....	89
2.3. დასკვნა.....	90
3. სუბროგაცია პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს .....	92
3.1. შესავალი.....	92
3.2. პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი .....	93
3.3. დამზღვევის მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადასვლა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს .....	94

3.3.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართ სუბროგაციის გამოყენების უარყოფითი მხარეები .....	96
3.3.2. მზღვეველის სუბროგაციის უფლება სოლიდარული მოვალის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს.....	99
3.4. დასკვნა.....	100
<b>VII. მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლები.....</b>	<b>101</b>
1. შესავალი.....	101
2. მოთხოვნის უფლების ფარგლების თაობაზე კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ზოგადი მიმოხილვა.....	101
3. თეორიები მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების შესახებ .....	102
3.1. “მოთხოვნათა თანხვედრის” პრინციპი.....	102
3.2. “დიფერენციაციის თეორია” და “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია”.....	104
3.2.1. შესავალი .....	104
3.2.2. “დიფერენციაციის თეორია” .....	105
3.2.3. დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია .....	107
3.2.3.1. გარემოებათა თანხვედრა.....	108
3.2.4. “დიფერენციაციისა” და “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის” სამართლებრივი შედეგები.....	109
3.2.5. “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანისა” და “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის” გამიჯვნა.....	111
3.2.5.1. სასამართლო პრაქტიკა “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანისა” და “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის” ურთიერთგამიჯვნის თაობაზე .....	113
3.2.5.2. “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის” კრიტიკა.....	114
3.3. “აბსოლუტური თეორია” .....	116
3.3.1. სასამართლო პრაქტიკა “აბსოლუტური თეორიის” თაობაზე....	117
4. დასკვნა.....	118
<b>VIII. სუბროგაციის გამიჯვნა რეგულირებისა და ცენტრიზაცია .....</b>	<b>119</b>
1. შესავალი.....	119
2. სუბროგაციის და რეგულირების გამიჯვნა.....	120
2.1. ცნებათა განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეები .....	120
2.2. სუბროგაციისა და რეგულირების საერთო ნიშნები .....	121
2.3. სუბროგაციისა და რეგულირების განმასხვავებელი ნიშნები .....	122
2.3.1. პრაქტიკა რეგულირებისა და სუბროგაციის გამიჯვნის თაობაზე .....	124
2.3.1.1. განსხვავება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის მიხედვით .....	124
2.3.1.2. სუბროგაციის და რეგულირების ურთიერთგამიჯვნა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით .....	125
2.3.1.3. სასამართლო პრაქტიკა ხანდაზმულობის ვადების შესახებ.....	127

2.4. დასკვნა.....	128
3. სუბროგაციის და ცესიის გამიჯვნა .....	129
3.1. ცნებათა განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეები.....	129
3.2. სუბროგაციის და ცესიის საერთო ნიშნები .....	130
3.3. სუბროგაციის და ცესიის განმასხვავებელი ნიშნები.....	130
3.3.1. კაუზას მნიშვნელობა სუბროგაციისა და ცესიის ნამდვილობისთვის .....	130
3.3.1.1. კაუზას მნიშვნელობა ცესიის ნამდვილობისთვის .....	130
3.3.1.2. კაუზას მნიშვნელობა სუბროგაციის ნამდვილობისთვის .....	132
3.3.2. ვალდებულებაში პირთა უფლებამონაცვლეობა .....	133
3.3.2.1. პირთა უფლებამონაცვლეობა ცესიის დროს (ანალოგიის გამოყენების დაუშვებლობა) .....	134
3.3.2.2. მოთხოვნის დათმობის დროს უფლებამონაცვლეობის – ცესიის სამართლებრივი შედეგები .....	135
3.3.2.3. ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში პირთა ჩანაცვლების არსი .....	137
3.3.3. ცესიისა და სუბროგაციის წარმოშობის საფუძველი .....	142
3.3.3.1. ცესიისა და სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი .....	142
3.3.3.2. ცესიისა და სუბროგაციის წარმოშობის მატერიალური საფუძველი .....	144
4. დასკვნა.....	145
<b>IX. ნაშრომის დასკვნა.....</b>	<b>148</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>158</b>

## აბრევიატურები

### ქართულ ენაზე:

გვ.	გვერდი (გვერდები)
გსპ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
იხ.	იხილე
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარე

### უცხოურ ენებზე:

Aufl.	Auflage
a.F.	alte Fassung
Anm.	Anmerkung
BGB	Das Bürgerliche Gesetzbuch (für die Bundesrepublik Deutschland)
BGH	Bundesgerichtshof der Bundesrepublik Deutschland
BGHZ	Entscheidungen des BGH in Zivilsachen
BGE	Entscheidungen des Schweizerischen Bundesgerichts
BR-Drucks	Drucksachen des Bundesrates
BVerfG	Bundesverfassungsgericht
BT-Drucks.	Bundestags-Drucksache
DAR	Deutsches Autorenrecht (Zeitschrift)
EGVVG	Einführungsgesetz zum Versicherungsvertragsgesetz
f.	nächste folgende Seite
FamRZ	Zeitschrift für das gesamte Familienrecht
ff.	mehrere folgende Seiten
Hrsg.	Herausgeber
JuS	Juristische Schulung
JZ	Juristenzeitung
LG	Landesgericht
n.F	neue Fassung
NJW	Neue Juristische Wochenschrift
NZV	Neue Zeitschrift für Verkehrsrecht
OGH	Österreichischer Oberster Gerichtshof
OLG	Oberlandesgericht
ÖVVG	Österreichisches Bundesgesetz vom 2. Dezember 1958 über den Versicherungsvertrag
Rn.	Randnummer
r+s	recht und schaden
Verf.	Verfasser
Verl.	Verlag

VersR	Versicherungsrecht (Zeitschrift)
vgl.	vergleiche
Vorbem.	Vorbemerkung
VVG	Gesetz über den Versicherungsvertrag, Versicherungsvertragsgesetz
VVG –RegE	Entwurf eines Gesetzes zur Reform des Versicherungsvertragsrechts (Regierungsentwurf)
ZversWiss	Zeitschrift für die gesamte Versicherungswissenschaft
ed.	edition, editor
Rev.	Review
Univ.	University
Vol.	Volume
v.	versus

## I. შესავალი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია სადაზღვევო შემთხვევები, რომლის დროსაც ზიანი ადგება ადმიანის ჯანმრთელობას და ქონებას.<sup>1</sup> სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების გააზრება, არცთუ იშვიათად, არათუ რიგითი მოქალაქეებისთვის, სადაზღვევო სამართლის სპეციალისტებისთვისაც კი როგორი ამოცანაა. პრაქტიკაში წარმოშობა მრავალი პროცედური საკითხი, რომლის გადაწყვეტა, ხშირად, სიღრმისეულ მსჯელობას მოითხოვს. განსაკუთრებით, ეს ეხება იმგვარ ვითარებას, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ ურთიერთობა რამდენიმე მხარეს შორის წარმოშობა და დაზარალებული იქნება, უფლებას, ერთი და იგივე ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ერთდროულად ორი სხვადასხვა სუბიექტისგან.<sup>2</sup> მესამე პირისგან, რომელსაც ბრალი მიუძღვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში და მზღვეველისგან, რომელმაც სადაზღვევო ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით იკისრა. ასეთია, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ავტოსატრანსპორტო შემთხვევისგან დაზღვეულ პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოშობა, როგორც ზიანის მიმყენებლის, ისე სადაზღვევო კომპანიის მიმართ. თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში, ზიანის გამომწვევ მესამე პირსა და მზღვეველს შორის არავითარი სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს. თუმცა, ის გარემოება, რომ ასეთ დროს, ერთ სუბიექტში ხდება სადაზღვევო მოთხოვნისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თანხვედრა, მონაწილე სუბიექტებს შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთკავშირის არსებობას ადასტურებს.

ფუნქციური თვალსაზრისით, წარმოიშობა ვალდებულებათა სამართლებრივი გადანაწილების პროცედურა მზღვეველს, დამზღვევსა და ზიანის გამომწვევ მესამე პირს შორის.<sup>3</sup> სწორედ აღნიშნული სამართლებრივი პროცედურის გადაჭრას ისახავს მიზნად სუბროგაციის დოქტრინა, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის განსახილველ თემად არის წარმოდგენილი.<sup>4</sup>

“სუბროგაცია” ქართული კანონმდებლობისთვის უცხო ტერმინია. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებისას, კანონმდებლელს მხედველობიდან არ გამორჩენია ეს ინსტიტუტი და იგი სსკ-ის 832-ე მუხლით დაარეგულირა.<sup>5</sup> სსკ-ის 832-ე მუხლში გამოხატულ ინსტიტუტს

<sup>1</sup> იხ. Sarholz O., Das Quotenvorrecht, Eine Untersuchung zu §86 Abs.1 VVG und §116 Abs. 1-5 SGB X, Peter Verlag, Frankfurt am Main, 2011, 1.

<sup>2</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen. München, 2010, §86, Rn. 2.

<sup>3</sup> Frick I., Regress und Anrechnungsprobleme in der Summenversicherung, Peter Lang Frankfurt am Main. BeRn. New York, 1985, 2.

<sup>4</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen, München, 2010, §86, Rn. 2.

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 832-ე მუხლი, 1997 წლის 26 ივნისი, პარლამენტის უწყებაზე, №31, 1997 წელი, რეგისტრაციის №786.

მრავალი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა<sup>6</sup> აღგენს და მას იურიდიულ დოქტრინასა<sup>7</sup> და ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში სუბროგაციის სახელით იცნობენ.<sup>8</sup> ქართველი კანონმდებლობი აღნიშნულ დოქტრინას, სუბროგაციის ნაცვლად, მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნად მოიხსენიებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სუბროგაციის თაობაზე ნორმის არსებობა პოზიტიური მოვლენაა, თუმცა, ცხადია, მხოლოდ ნორმის არსებობა არ არის საკმარისი სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლებრივი ნორმის სწორად გააზრებასა და შეფარდებას ენიჭება. ადსანიშნავია, რომ ნორმის დიდი პრაქტიკული დანიშნულების მიუხედავად, თანამედროვე ქართულ ცივილისტიკაში მწირია სამეცნიერო შრომები, რომლებიც სადაზღვევო ურთიერთობების დროს მოთხოვნის უფლების გადაცემის, ე.წ. სუბროგაციის ინსტიტუტის არსება და სპეციფიკას სიღრმისეულად შეისწავლიდა.<sup>9</sup> მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა სუბროგაციის დროს წარმოშობილ ურთიერთობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების დღიდან არეგულირებს, გასული წლის ბოლომდე არ არსებობდა არც ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო სუბროგაციის გზით მოთხოვნის უფლების გადასვლაზე იმსჯელებდა. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება პირველია ქართულ სინამდვილეში, რომელშიც სასამართლომ ტერმინი “სუბროგაცია” გამოიყენა და სუბროგაციის ინსტიტუტი რეგულირებისგან გამიჯნა.<sup>10</sup> სუბროგაციის საკითხთა დამუშავების დეფიციტი აქტუალური პრობლემაა სადაზღვევო პრაქტიკაშიც. სუბროგაციის ინსტიტუტის შესახებ სადაზღვევო კომპანიების იურისტები ძალზე მწირ ინფორმაციას ფლობენ. ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობაში მსგავსი ინსტიტუტის არსებობის შესახებ ისინი საერთოდ არ არიან ინფორმირებული. ამგვარი პრაქტიკა ძალზე ნებატიურად უნდა შეფასდეს განსაკუთრებით იმ გარემოების

<sup>6</sup> გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი (VVG) 01/01/2008, 86-ე პარაგრაფი; შვეიცარიის კანონი კერძო დაზღვევის შესახებ, 02/04/1908, 72-ე პარაგრაფი; შვედეთის კანონი დზღვევის შესახებ 08/04/1927, 25-ე მუხლი; ავსტრიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი, 02/12/1958, 67-ე პარაგრაფი და სხვ.

<sup>7</sup> ი. Hawellek J., Die persönliche Surrogation, Eine vergleichende Untersuchung von Rechtsübergänge zu Regresszwecken in Deutschland Spanien und England, Hamburg, 2010, 70, 93, 129, 152, 167 ff.

<sup>8</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1249-1252-ე მუხლები; პოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 7:962 მუხლი; კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 2474-ე მუხლი; სლოვაკეთის სამოქალაქო კოდექსის 813-ე პარაგრაფი; სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ ლატვიის კანონის მე40 მუხლი; ჩინეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 44-ე მუხლი და სხვ.

<sup>9</sup> ამირანაშვილი გ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, № 1, 2014, 91-97; როგავა რ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადასვლის ფარგლები და მისი სანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი უზრნალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2013, 15-20.

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2012 წლის № ას-581-549-2011 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებათა კრებული, საქმე № 12, გვ. 61, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201212.pdf>.

გათვალისწინებით, რომ განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო ბიზნესის, კომპანიის სიცოცხლისუნარიანობისა და რენტაბელობის გათვლას, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამ ინსტიტუტზე დაყრდნობით ახორციელებენ. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, როგორც პრაქტიკოსი, ისე თეორეტიკოსი იურისტების მიერ სუბროგაციის ინსტიტუტის სათანადო დამუშავებისა და გააზრების აუცილებლობაზე. ეს კი მოითხოვს, ერთი მხრივ, დოქტრინალურ დონეზე სუბროგაციის ინსტიტუტის დამუშავებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ინსტიტუტის არსის თაობაზე პრაქტიკოსი იურისტებისა და სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების ცნობიერების ამაღლებას.

ზემოაღნიშნული გარემოებები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სუბროგაციის დოქტრინის სიღრმისეული გააზრების აუცილებლობას. სადისერტაციო კვლევის ობიექტია ის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც სუბროგაციის დროს მზღვეველს, დამზღვევსა და მესამე პირს შორის წარმოიშობა. ნაშრომის მიზანია თანამედროვე სადაზღვევო სამართალში სუბროგაციის ინსტიტუტის წარმოშობისა და ფუნქციონირების თვისებურებების შესწავლა და გაანალიზება. ნაშრომის ამოცანებია: სუბროგაციის ინსტიტუტის არსისა და მნიშვნელობის დადგენა; ქართულ კანონმდებლობაში მისი როლის განსაზღვრა; იმ პროცედური საკითხების წარმოჩენა, რომელიც სუბროგაციის ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენებისას შეიძლება წარმოშვას; მათი გადაჭრის გზების იღუსტრირება იმ ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც სუბროგაციის დოქტრინის სამშობლოდ ითვლებიან და სადაც სუბროგაციის ინსტიტუტის განვითარებას მრავალწლიანი ისტორია აქვს; იმ საკანონმდებლო ხარვეზების გაანალიზება, რომლებიც ქართულ კანონმდებლობაში სუბროგაციის პრინციპს უკავშირდება; ქართული სინამდვილისა და ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება.

ზემოაღნიშნული მიზნისა და ამოცანების მისაღწევად, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება - სუბროგაციის არსის განმარტება; იმ ისტორიული მოვლენების ანალიზი, რომელიც სუბროგაციის დოქტრინას უდევს საფუძვლად; სუბროგაციისა და მოთხოვნის უფლების დათმობის - ცესის, აგრეთვე სუბროგაციისა და რეგრესის სამართლებრივი კონსტრუქციების შედარებითი ანალიზი; სადაზღვევო სამართალში სუბროგაციის გამოყენების სფეროების გასაზღვრა, ასევე მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დადგენა და იმ სუბიექტთა წრის განსაზღვრა, რომელთა მიმართაც კანონმდებელი სუბროგაციის უფლების გამოყენებას იმპერატიულად კრძალავს; მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი; კონკრეტული წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ-ლოგიკური და სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. ნაშრომის კვლევის თეორიული და ნორმატიული საფუძველია ევროპული და ამერიკული სამეცნიერო კვლევები და

სასამართლო გადაწყვეტილებები, ასევე ადგილობრივი და უცხოური კანონმდებლობა. პკლევის ემპირიული საფუძველია სადაზღვევო კომპანიების თანამშრომლებისა და საკითხში გათვითცნობიერებული სხვა პირების გამოკითხვა სუბტორგაციასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესახებ.

ნაშრომი არის პირველი შედარებით-სამართლებრივი კვლევა, რომელშიც სუბტორგაციის პროცესში სუბტორგაციის მონაწილე პირთა სამართლებრივი ინტერესების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზეა შესწავლილი. სადისერტაციო ნაშრომი დირექტულია არა მხოლოდ თეორეტიკოსი იურისტებისთვის, არამედ დაზღვევის სფეროთი დაინტერესებული სხვა პირებისთვისაც, მათ შორის დაზღვეულებისთვის და რა თქმა უნდა, სადაზღვევო კომპანიებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია კერძო დაზღვევის არსი და მნიშვნელობა. კერძო დაზღვევის როლის უკეთ ილუსტრირების მიზნით, გაანალიზებულია, როგორც მსოფლიო სადაზღვევო ინდუსტრიის, ისე საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების სტატისტიკური მაჩვენებლები.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა სუბტორგაციის დოქტრინის ისტორიულ ექსკურსს. შესწავლილი და გაანალიზებულია რომის სამართლის ის ინსტიტუტები, რომლებიც, მოგვიანებით, საფუძვლად დაედო სუბტორგაციის დოქტრინის განვითარებას, როგორც ევროპის, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში. წარმოჩენილია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სამართალში სუბტორგაციის დოქტრინის განვითარების საფეხურები, აგრეთვე საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის როლი სუბტორგაციის დოქტრინის განვითარებაში.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია სუბტორგაციის არსი და მისი როლი სადაზღვევო სამართალში, ასევე, გაანალიზებულია სუბტორგაციის დოქტრინის შინაარსი და სუბტორგაციის ისეთი საკვანძო მიზნები, როგორიც არის სადაზღვევო საქმიანობის ხელშეწყობა, ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა და უსაფუძვლო გამდიდრების არღაშვება. ამასთან, აღნიშნული მიზნები გაანალიზებულია პრიტიკულად, მეცნიერთა არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების გათვალისწინებით. განხილულია სუბტორგაციის წარმოშობის სამართლებრივი და ფორმალური საფუძვლები. შემოთავაზებულია რეკომენდაციები სუბტორგაციის უფლების წარმოშობის ფორმალური მხარის სრულყოფისა და ურთიერთობის მონაწილე თითოეული მხარის დაცვის თაობაზე.

ნაშრომის მეხუთე თავში განხილულია “საოჯახო პრივილეგიის” არსი სუბტორგაციის მიზნებისათვის. გარდა ამისა, გაანალიზებულია სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის საკანონმდებლო ხარვეზი და შემოთავაზებულია რეკომენდაციები აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისათვის. გერმანული სამართლის დებულებების გათვალისწინებით, შემუშავებულია წინადადებები

ოჯახის ცნებისა და ოჯახს მიკუთვნებულ პირთა წრის დასადგენად. გაანალიზებული და სუბროგაციის დოქტრინის კონტექსტში განხილულია რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთა სამართლებრივი სტატუსი.

ნაშრომის მექანიზმი თავი ეთმობა სუბროგაციის დოქტრინის გამოყენების სფეროების ანალიზს. კერძოდ, განხილულია, თუ რა სახის ურთიერთობებზე ვრცელდება სუბროგაცია. ამ მიზნით, ერთმანეთისგან გამოჯნელია დაზღვევის სახეები დაზღვევის ობიექტის და ანაზღაურების ფორმის მიხედვით. გარდა ამისა, კრიტიკულად არის გაანალიზებული სუბროგაციის მიზნებისათვის დაზღვევის სახეების ურთიერთობამიჯვნის აუცილებლობა. ყურადღება ეთმობა სუბროგაციის დოქტრინის გამოყენებას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს. ამ მიზნით, მიმოხილულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი და მნიშვნელობა, განხილულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის დოქტრინის გამოყენების უარყოფითი და დადებითი მხარეები.

ნაშრომის მეშვიდე თავი ეხება მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკა არ არსებობს, გაანალიზებულია წლების განმავლობაში გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში ჩამოყალიბებული თეორიები მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დაანგარიშების შესახებ. კერძოდ, მიმოხილულია ოთხი ძირითადი თეორია, რომლითაც გერმანული სასამართლოები მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დაანგარიშებისას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ, წარმოჩენილია თითოეული თეორიის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამის გათვალისწინებით, შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს სადაზღვევო პრაქტიკაში მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დაანგარიშების ოპტიმალური მეთოდის განსაზღვრის შესახებ.

ნაშრომის ბოლო თავი ეთმობა სუბროგაციის გამიჯვნას რეგრესისა და ცესიისაგან. ამ მიზნით, განხილულია სუბროგაციის, რეგრესისა და ცესიის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, გაანალიზებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა რეგრესისა და სუბროგაციის გამიჯვნის თაობაზე. გარდა ამისა, განხილულია კაუზას მნიშვნელობა სუბროგაციის და ცესიის ნამდვილობისთვის, გაანალიზებულია ცესიისა და სუბროგაციის წარმოშობის როგორც მატერიალური, ისე სამართლებრივი საფუძველი.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში, დასახული მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, შეჯამებულია კვლევის შედეგები, შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს სადაზღვევო სამართლადში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და პრაქტიკაში სუბროგაციის დოქტრინის ეფექტიანად გამოყენების თაობაზე.

## II. კერძო დაზღვევის არსი და მნიშვნელობა

დაზღვევას სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დაზღვევა არ არის მხოლოდ საქმიანობის სფერო, რომელიც კანონმდებლობით რეგულირდება. მისი ზუსტი არსი და მნიშვნელობა უშუალოდ დაზღვევის მექანიზმში, მის საერთო იდეაში ვლინდება. მარტივად რომ განიმარტოს, დაზღვევა არის მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთი პირის ზიანი მრავალი სუბიექტის მიერ ერთობლივად ანაზღაურდეს. ეს კი, საბოლოოდ, თითოეული მათგანისთვის მნიშვნელოვნად ამცირებს ზიანის ოდენობას და შესაძლებელს ხდის, ზიანი სწრაფად და უმტკინეულოდ ანაზღაურდეს.<sup>11</sup>

სწორედ აღნიშნული უპირატესობიდან გამომდინარე, თანამედროვე საზოგადოებაში კერძო დაზღვევა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. იგი შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, თავი დაიზღვიონ იმ მოსალოდნელი რისკებისგან, რომლის თავიდან აცილება, ხშირად, შეუძლებელია.<sup>12</sup> მოსალოდნელი რისკისგან დაზღვევა სადაზღვევო ხელშეკრულების ძირითადი ფუნქცია. არც საქართველოს კანონში „დაზღვევის შესახებ“<sup>13</sup> და არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში<sup>14</sup> არ გვხვდება სპეციალური მუხლი, რომელიც სადაზღვევო ურთიერთობის ამ უმთავრეს ფუნქციაზე საგანგებოდ გაამახვილებდა ყურადღებას. თუმცა, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინთა განმარტების შესახებ მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ სადაზღვევო რისკია ის მოვლენა, რომლისგანაც დაზღვეულია დამზღვევის ქონება ან პიროვნება და, ზოგადად, რომლის გამოც იდება სადაზღვევო ხელშეკრულება.<sup>15</sup>

<sup>11</sup> Покровский И.А. Основные проблемы гражданского права. М., Статут (в серии: “Классика российской цивилистики”), 1998, 293-294.

<sup>12</sup> ი. გ. Looschelders D., Bewältigung des Zufalls durch Versicherung, VersR 1996, 529 ff. მითითებულია: Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, Vorbemerkung A. Rn. 16.

<sup>13</sup> ი. გ. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, 1997 წლის 2 მარტი, რეგისტრაციის №690-IIს. ხელმისაწვდომია:

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=29884&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29884&lang=ge).

<sup>14</sup> ი. გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, პარლამენტის უწყებანი, №31, 1997 წელი, რეგისტრაციის №786-IIს. ხელმისაწვდომია:

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge).

<sup>15</sup> ი. გ. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“. გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში აღიარებული შეხედულების მიხედვით, სწორედ საკანონმდებლო წესით უნდა განისაზღვროს მზღვეველის ვალდებულება, დააზღვიოს პირი კონკრეტული რისკისაგან. ი. გ. Castelli, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, 2. Auflage, 2011, §1, Rn. 10; Looschelders D., Bewältigung des Zufalls durch Versicherung, VersR 1996, 529 ff. მითითებულია: Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, Vorbemerkung A. Rn. 16. აღნიშნული შეხედულება გაზიარებულია გერმანელი კანონმდებლის მიერ, რასაც ცხადყოფს გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის პირველი პარაგრაფის პირველივე წინადადება. კერძოდ, გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის თანახმად, სადაზღვევო ხელშეკრულების ძირითად საკანონმდებლო ფუნქციად განსაზღვრულია მზღვეველის ვალდებულება, დააზღვიოს პირი კონკრეტული რისკისაგან. ხელმისაწვდომია: <http://dejure.org/gesetze/VVG/1.html>, [24.01.2014]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლელი „სადაზღვევო რისკის“ შინაარსობრივი

სადაზღვევო რისკის რეალიზაციის უშუალო შედეგი კი, სადაზღვევო შემთხვევაა, რომლის დადგომაც უცნობ, არაპროგნოზირებად მოვლენას უკავშირდება.<sup>16</sup> კერძოდ, უცნობი შეიძლება იყოს, დადგება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა (მაგალითად, ქურდობა), ან როდის დადგება იგი (მაგალითად, ადამიანის გარდაცვალება). იმისათვის, რომ შემთხვევა არაპროგნოზირებადად ჩაითვალოს, საკმარისია სუბიექტური, ანუ ხელშეკრულების მხარეთა მიერ მისი წინასწარი არცოდნა. სწორედ რისკის არაპროგნოზირებადობა და წინასწარ არცოდნა არის სადაზღვევო ხელშეკრულების დადების და მისი ნამდვილობის აუცილებელი პირობა. მაგალითად, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებით დაზღვეულია წარსულში მომხდარი შემთხვევა, რომელიც ხელშეკრულების ორივე მხარისათვის ცნობილია, რისკის არარსებობის გამო, სახეზე იქნება არა სადაზღვევო, არამედ *sui generis* ხელშეკრულება.<sup>17</sup> ასეთი ტიპის დაზღვევის ხელშეკრულება, დაზღვევის სპეციფიური ბუნებიდან გამომდინარე, ბათილად ითვლება.<sup>18</sup>

მზღვეველის მიერ სადაზღვევო რისკზე პასუხისმგებლობის აღებას საფუძვლად უდევს დამზღვევის საპირისპირო მოქმედება, რომელიც მის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდაში ვლინდება.<sup>19</sup> გერმანული იურიდიული დოქტრინისა<sup>20</sup> და სასამართლო პრაქტიკის<sup>21</sup> თანახმად, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ვალდებულების შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს

განმარტებისაგან თავს იკავებს და მის განმარტებას, სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეებს ანდობს. “სადაზღვევო რისკის” შინაარსობრივი განმარტებისაგან გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის რეფორმის კომისიამაც შეიკავა თავი. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. კომისიის საბოლოო მოხსენება VersR- Schriftenreihe 2004 Heft 25, 8. ხელმისაწვდომია: <http://www.rpmed.de/php/aktuelles/Abschlussbericht-Reformkommission-VVG-19.04.2004.pdf>.

<sup>16</sup> Reichert-Facilides F., Helmut H., Principles of European Insurance Contract Law, (PEICL), Edited by the Drafting Committee: Basedow J., Birds J., Clarke M., Cousy H., Heiss H., in co-operation with Leander Loacker D., 2009, 49.

<sup>17</sup> *sui generis* ხელშეკრულების ცნება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან მომდინარეობს. *sui generis* ხელშეკრულებაზე საუბრისას, საქმე ეხება ხელშეკრულების სახეს, რომელიც სამოქალაქო კოდექსით ან სხვა კანონით პირდაპირ არ არის დარეგულირებული. პირდაპირ არის დარეგულირებული, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება, ქირანობის ხელშეკრულება, დაგალების ხელშეკრულება. ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომის ფარგლებში, *sui generis* ხელშეკრულებები დაშვებული და ნამდვილია, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კანონის აკრძალვას ან იმპერატიულ მოთხოვნებს.

<sup>18</sup> იხ. Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, § 1, Rn. 21.

<sup>19</sup> იხ. Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, § 1, Rn. 23; Reichert-Facilides F., Helmut H., Principles of European Insurance Contract Law, (PEICL), Edited by the Drafting Committee: Basedow J., Birds J., Clarke M., Cousy H., Heiss H., in co-operation with Leander Loacker D., 2009, 49.

<sup>20</sup> იხ. Karczewski, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, VVG Handkommentar, 1. Auflage, 2009, § 50, Rn. 1 მოთვებულია: Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, § 1, Rn. 23.

<sup>21</sup> OLG Düsseldorf VersR 2000, 1355, 1356 მოთვებულია: Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, § 1 Rn. 23.

მხოლოდ დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.<sup>22</sup> სწორედ ამაში მდგომარეობს სადაზღვევო კომპანიის ინტერესი. დაზღვევა ურთიერთსარგებლიანობაზე დაფუძნებული ინსტიტუტია, რაზეც აშკარად მეტყველებს უკანასკნელ წლებში დაფიქსირებული არა მხოლოდ დაზღვეულ პირთა, არამედ სადაზღვევო კომპანიების ზრდის მაჩვენებლებიც.<sup>23</sup>

## 1. სადაზღვევო ბაზრის განვითარების სტატისტიკა

2010 წლის მონაცემებით, მსოფლიო სადაზღვევო ინდუსტრიის ჯამურმა ბრუნვამ 4,1 ტრილიონი დოლარი შეადგინა. წინასწარი პროგნოზით, 2015 წლისთვის, მსოფლიო ბაზრის სადაზღვევო ინდუსტრია 5,1 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 26%-ით აღემატება. სტატისტიკური კვლევების თანახმად, მსოფლიო სადაზღვევო ინდუსტრიის 35%-ს ევროპული ქვეყნები იკავებენ.<sup>24</sup>

მსოფლიო სადაზღვევო ინდუსტრიის ზრდა აისახება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზეც, რომელსაც არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოში პირველი სადაზღვევო კომპანია 1990 წელს დაარსდა და მას შემდეგ, კომპანიათა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე უმცე თხეუთმეტი სადაზღვევო კომპანია იყო წარმოდგენილი. აღნიშნული ზრდა აისახება სადაზღვევო კომპანიების მიერ წლიდან წლამდე მოზიდული პრემიების მაჩვენებელზეც. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური კვლევის მიხედვით, 2011 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების ჯამში 188,2 მილიონი ლარი, ხოლო ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2012 წლის მეორე კვარტალში – 233,9 მილიონი ლარი შეადგინა.<sup>25</sup> აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, სადაზღვევო მომსახურება, უახლოეს მომავალში, მოქალაქეთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა.

სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ზრდა და ეკონომიკური წინსვლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიებისთვის, არამედ

<sup>22</sup> ob. Hahn, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §12, Rn. 1. სადაზღვევო პრემიის თაობაზე, ასევე ob. Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961, ff §35, Anm. 4; Schimikowski P., Versicherungsvertragsrecht, 4. Aufl., 2009, Rn. 146 მთითებულია: Hahn, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §12, Rn. 5.

<sup>23</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის კვლევა სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ. ხელმისაწვდომია: <<http://www.nbg.ge/index.php?m=489>>.

<sup>24</sup> Insurance Industry: Market Research Reports, Statistics and Analysis <http://www.reportlinker.com/ci02425/Insurance.html>.

<sup>25</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის კვლევა სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ, 2011 წლის მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით. ხელმისაწვდომია: <<http://www.nbg.ge/index.php?m=489>>.

სახელმწიფოსთვისაც. იგი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს. კერძოდ, კომპანიების ეკონომიკური ზრდა პირდაპირპოპორციულად აისახება სახელმწიფოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო საქმიანობის ხელშეწყობა და მათთვის გარანტიების შექმნა სახელმწიფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა. გარანტიების შექმნაში, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი გარანტიების შექმნა იგულისხმება. სწორედ, გამართული და სრულყოფილი კანონმდებლობის საფუძველზეა შესაძლებელი მზღვეველისა და დამზღვევის ინტერესების მაქსიმალური დაცვა და უზრუნველყოფა.

## 2. სადაზღვევო ბაზრის განვითარების შედეგები

სადაზღვევო ინდუსტრიის ზრდის შედეგად გამოწვეული ობიექტური მოთხოვნილებები<sup>26</sup> დღის წესრიგში აყენებს სადაზღვევო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების გაფართოების აუცილებლობას. საჭირო ხდება სადაზღვევო სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა და ახალი რეგულაციების შემოღება, ზოგიერთ შემთხვევაში კი, არსებული ნორმების კომპლექსური და სიღრმისეული შესწავლა. ნორმების შესწავლის პროცესი, დღესდღეობით, ხელი ტემპით წარიმართება. საქართველოში სადაზღვევო სფეროს ხანმოკლე ისტორიის გამო, მცირეა სამეცნიერო შრომებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომლებიც დაზღვევასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს შეისწავლიდა და იურისტებს და სადაზღვევო სფეროთი დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა საკითხის გადაჭრაში დაეხმარებოდა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა ისეთ ინსტიტუტებთან მიმართებით, რომელიც სადაზღვევო ურთიერთობის ქვაკუთხედად გვევლინება. ამ ინსტიტუტების შინაარსის სიღრმისეული გააზრების გარეშე, სადაზღვევო ურთიერთობის სრულყოფილი მოწესრიგება რთული, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, შეუძლებელია. თანამედროვე სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს სადაზღვევო სამართლისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი მოთხოვნის უფლების გადაცემის – ე.წ. სუბროგაციის პრინციპია.

<sup>26</sup> ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 2011 წლის განმავლობაში, 2,6 მილიონი პოლისი გაფორმდა. ქედან, ფიზიკურ პირებზე გაცემული პოლისების რაოდენობამ 352 ათასი შეადგინა. 2011 წელს, სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ ჯამში 339,3 მილიონი ლარი შეადგინა. წერთ: საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2011, 96. სელმისაწვდომია: <http://www.nbg.ge/index.php?m=489>.

### III. სუბროგაციის დოქტრინის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა

#### 1. ტერმინ “სუბროგაციის” ეტიმოლოგიური მნიშვნელობა

ტერმინი “სუბროგაცია” (subrogatio) ლათინური წარმოშობისაა და ადრეულ პერიოდში, იგი კანონში დამატების შეტანას ნიშნავდა, განსხვავებით “ობროგაციისგან” (obrogatio), რომელიც კანონში ნაწილობრივი ცვლილების შეტანას<sup>27</sup> ან ძველი კანონის ახლით შეცვლას გულისხმობდა.<sup>28</sup> ადსანიშნავია, რომ ტერმინი სუბროგაციის განმარტება ამ სიტყვის მხოლოდ ეტიმოლოგიური მნიშვნელობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. მსედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დღესდღეობით, ამ ტერმინს სრულიად განსხვავებული დატვირთვა აქვს და მას თანამედროვე იურიდულ დიტერატურაში “ჩანაცვლების” მნიშვნელობით იყენებენ.

ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი ტერმინ სუბროგაციას განმარტავს სინონიმით “substitution”, რაც შეცვლას, ჩანაცვლებას ნიშნავს.<sup>29</sup> ამ ტერმინს, ძირითადად, ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნები იყენებენ, ხოლო ცივილისტური სამართლის ქვეყნებში, მის ნაცვლად, ტერმინი cessio legis გვხვდება.<sup>30</sup> სუბროგაცია გამოიყენება ისეთი პროცესის აღსაწერად, როდესაც ურთიერთობაში ერთი მხარე ანაცვლებს მეორეს, რის შედეგადაც ჩამნაცვლებელ პირს წარმოეშობა უფლება, საკუთარი ინტერესებისათვის, ჩანაცვლებული პირის უფლებებით ისარგებლოს.<sup>31</sup> სადაზღვევო ურთიერთობაში კი, სუბროგაცია გულისხმობს მზღვეველის უფლებას, დამზღვევისთვის კომპენსაციის გადახდის შემდეგ ჩაანაცვლოს იგი ზიანის მიმყენებელ პირთან ურთიერთობაში. ჩანაცვლება გულისხმობს მზღვეველის შესაძლებლობას, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც დაზღვეულ პირს აქვს ზიანის მიმყენებლის მიმართ,<sup>32</sup> წაუყენოს მას ყველა შესაგებელი და პრეტენზია, რომლითაც სუბროგირებული პირი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით ზიანის მიმყენებლის მიმართ სარგებლობს.<sup>33</sup>

<sup>27</sup> ურიძია ბ., და სხვ. გურგენიძე ვ., (რედ.), მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004, 483.

<sup>28</sup> Большой словарь иностранных слов. М., 2004, 536, 755.

<sup>29</sup> იხ. The Compact Edition of the Oxford English Dictionary, Oxford, 1987, 3177.

<sup>30</sup> Liebelt K.G., Aspekte der “Subrogation” im englischen Recht der Schadensversicherung, NZV 1993, 298.

<sup>31</sup> იხ. Mitchell Ch., The Law of Subrogation, Clarendon Press Oxford, United States, 2004, 3.

<sup>32</sup> იხ. Генձехадзе Е., Мартъянова Т. Страхование ответственности риска непогашения кредита, Закон. № 4, 1994, 31. მთოთებულია: Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮРВестник № 4 – 2001, 3 სემინარიზმია: <<http://law.isu.ru/ru/science/vestnik/20014/chebunin.html>>.

<sup>33</sup> Mitchell Ch., The Law of Subrogation, Clarendon Press Oxford, United States, 2004, 3.

## 2. სუბროგაციის დოქტრინა რომის სამართალში

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, რომაული სამართლის მკვლევარი, ვორვიკ ბუკლანდი აღნიშნავდა,<sup>34</sup> რომ კოდიფიკაციამდე, სუბროგაცია იმ გაგებით, რა გაგებითაც მას ინგლისურ საერთო სამართალში იყენებუნ, რომაული სამართლისთვის უცხო მოვლენა იყო. რომაულ სამართალში სუბროგაცია ცნობილი იყო, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ტერმინი. იგი აღნიშნავდა პროცესს, რომლის დროსაც ერთი თანამდებობის პირი ანაცვლებდა მეორეს, ან როდესაც ერთი თანამდებობის პირის ქმედება მეორე პირის ქმედებით იცვლებოდა.<sup>35</sup> ბუკლანდი აღნიშნავს, რომ სუბროგაციის მიმართ მიღომა რომის სამართალში იუსტინიანეს დროიდან შეიცვალა,<sup>36</sup> როდესაც უფლებამონაცვლეობა კერძო სამართალშიც გაჩნდა. იუსტინიანეს დიგესტებში ეს პრინციპი შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: “თუ კლაუდია გადაიხდიდა ცეზარის ვალს, რომელიც ცეზარს მართებდა ბრუტუსის სასარგებლოდ, მაშინ კლაუდია იკავებდა ბრუტუსის ადგილს და მასზე გადმოდიოდა ყველა ის უფლება, რომელიც ბრუტუსს ჰქონდა ცეზარის მიმართ”<sup>37</sup> მიუხედავად იმისა, რომ არსობრივი მნიშვნელობით, ზემოაღნიშნული წესით უფლებათა გადაცემა სუბროგაციის დროს მოთხოვნის უფლების დათმობის მსგავსია, ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ რომაული სამართალი არ იცნობდა უფლების კანონის ძალით გადაცემას. ვიდრე არ განხორციელდებოდა ხელშეკრულების მხარისთვის უფლებათა ფაქტობრივი გადაცემა, მას არ წარმოეშობოდა მოთხოვნის უფლება. მსგავსი მონაცემებისთვის საჭირო იყო ხელშეკრულების მხარის წინასწარი ან გადახდის შემდგომი თანხმობა.<sup>38</sup>

რომის სამართალში მოთხოვნის უფლების დათმობის დაშვებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი პერიოდი. უფლებამონაცვლეობა ძველი ius civile-ს მიხედვით დაშვებულ იქნა, მაგრამ მოთხოვნის უფლების დათმობის საკითხი, ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად წყდებოდა. კერძოდ, სამემკვიდრეო ურთიერთობებში მემკვიდრეზე მოთხოვნის უფლების გადასვლა უპრობლემოდ ხდებოდა, ხოლო ყველა სხვა ტიპის უფლებამონაცვლეობისთვის საჭირო იყო delegation, ანუ შეთანხმება გადასვლის თაობაზე,<sup>39</sup> რაც მოვალის თანხმობაზე იყო დამოკიდებული. ასეთ დროს, ახალ კრედიტორზე გადადიოდა არა ძველი მოთხოვნის უფლება, არამედ იგი იცვლებოდა ახალი მოთხოვნით. ამის მიზანად ძველი რომაულები ვალდებულებითი ურთიერთობის სპეციფიურ ბუნებას მიიჩნევდნენ. კერძოდ, მიიჩნეოდა, რომ

<sup>34</sup> Buckland W.W., Equity in Roman Law, Published by University of London Press, Pub. for the University of London Press, Ltd., by Hodder&Stoughton, London, 1911.

<sup>35</sup> იქვე, 47-54.

<sup>36</sup> იუსტინიანეს პერიოდი, 526-565 წწ.

<sup>37</sup> Corpus iuris civilis Digest 46.1.36 - Digesta Iustiniani, Книги XLV-XVII, Том 7, Полутом 1. отв. ред. Кофанов Л.П., Москва, Статут, 2005, 181. ხელმისაწვდომია: <http://digestaiust.narod.ru/46.html>.

<sup>38</sup> Buckland W.W.,Equity in Roman Law, Published by University of London Press, Pub. for the University of London Press, Ltd., by Hodder & Stoughton, London, 1911, 53.

<sup>39</sup> Барон Ю., Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 639.

ვალდებულებითი ურთიერთობა იყო წმინდა პირადი ხასიათის ურთიერთობა, რომელიც კონკრეტულ პირებს შორის არსებობდა, კრედიტორების შეცვლა კი შეცვლიდა თვით ვალდებულებითი ურთიერთობის არსეს,<sup>40</sup> რის გამოც მისი გადაცემა არ შეიძლებოდა. აშკარაა, რომ ამ მოსაზრების გავრცელება შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი ტიპის ურთიერთობებზე, რომელზეც მხარის პიროვნებას გარკვეული გავლენა ჰქონდა (მაგალითად, მომსახურების ვალდებულება, უზურფრუქტი). წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი არგუმენტაცია ყველა ტიპის ვალდებულებითი ურთიერთობისთვის სამართლიანი რომ იყოს, მოთხოვნის უფლების გადასვლა დაუშვებელი იქნებოდა თვით მემკვიდრეობითი ურთიერთობის შემთხვევაშიც.<sup>41</sup> რომის სამართლის მკვლევარი, იულიუს ბარონი თავის ნაშრომში “რომის სამოქალაქო სამართლის სიტემა”<sup>42</sup> აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი მიზეზი მოთხოვნის უფლების გადასვლის დაუშვებლობისა არის ის, რომ ძველი ius civile არ იცნობდა ფორმას, რომელიც სხვადასხვა ტიპის მოთხოვნის უფლების დათმობას შესაძლებელს გახდიდა.<sup>43</sup> ასეთი ფორმა უნდა შექმნილიყო და მას მიაკვლიერ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომში შემოიდეს ფორმულარული პროცესი, რომლის დროსაც სასამართლოში საქმის წარმოება შესაძლებელი გახდა მხარის პირადი მონაწილეობის გარეშე, მისი წარმომადგენლის მეშვეობით.<sup>44</sup> პირი, რომელსაც თავისი მოთხოვნის უფლების სხვისთვის გადაცემა სურდა, გასცემდა წარმომადგენლობის უფლებას და ამასთან ერთად, უფლებას, თავისთვის დაეტოვებინა ყვალაფერი, რასაც იგი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოვალისაგან მიიღებდა.<sup>45</sup> ამასთან, წარმომადგენელი ანგარიშვალდებული არ იყო წარმოდგენილის წინაშე. ამ უფლებამოსილების საფუძველზე, წარმომადგენელი ავტომატურად აღიჭურვებოდა მესამე პირების მიმართ მოთხოვნის უფლებით.<sup>46</sup>

მოგვიანებით, რომის სამართალში მოთხოვნის უფლების დათმობის (cessio) საკითხი სამართლებრივად დარეგულირდა. დადგინდა გარემოებები, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდა ცესია. პირველ რიგში, ცესია შესაძლებლად იქნა მიჩნეული კრედიტორის, ცედენტის ნების გამოვლენით, რომლის ძალითაც კრედიტორი უფლებას აძლევდა ცესიონერს, სასამართლოში ცედენტის სახელით თავის სასარგებლოდ ეწივლა. ნების გამოვლენის

<sup>40</sup> Барон Ю., Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 640.

<sup>41</sup> იქვე, 641.

<sup>42</sup> იხ. იქვე.

<sup>43</sup> Gai. 2, 38 გაიუსის ინსტიტუციები, დათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო სურგულაძე ნ., თბ., 2011, 63; Барон Ю., Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 640.

<sup>44</sup> Gai. 4,82 გაიუსის ინსტიტუციები, დათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო სურგულაძე ნ., თბ., 2011, 212; Барон Ю., Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 641.

<sup>45</sup> ცვაიგერტი ა., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, რედ. ბიბიძ თ., 2001, 130.

<sup>46</sup> Барон Ю., Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 641.

ნამდვილობისთვის რაიმე სპეციალური ფორმა დადგენილი არ იყო. თუმცა, იმისათვის, რომ ცესიონერს (უფლებამონაცვლებს) ცესიის დამამტკიცებელი საბუთი ჰქონდა, როგორც წესი, მოთხოვნის დათმობა წერილობით ფორმდებოდა. ასეთი წესით მოთხოვნის დათმობისას, მოვალის თანხმობა საჭირო არ იყო. მოთხოვნის უფლების დათმობის მეორე გზა იყო სასამართლო გადაწყვეტილება. ბოლოს, მოთხოვნის უფლების დათმობა შეიძლება განხორციელებულიყო უშუალოდ კანონის ძალით. ასეთ დროს, სადათ იყო, მოთხოვნის უფლების დათმობის მოთხოვნის კანონიერი უფლების მქონე ყველა პირს ცესიონერის როლში ipso jure გამოსვლა შეეძლო თუ ამ გზით მოთხოვნის უფლების დათმობა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში ხორციელდებოდა.<sup>47</sup> როგორც ისტორიული წყაროები მიუთითებს, რომის სამართალში თითქმის არ ხდებოდა მოთხოვნის უფლების დათმობა კანონის ძალით. პრაქტიკა იცნობდა ცესიას მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცედენტი, დათმობის განხორციელებასთან ერთად, ვალდებული იყო დახმარებოდა ცესიონერს გადაცემული უფლებების განხორციელებაში.<sup>48</sup> კერძოდ, მას უნდა მიეთითებინა და მიეცა მტკიცების ყველა საშუალება,<sup>49</sup> აგრეთვე გადაეცა ყველაფერი, რაც მას მოვალისაგან ჰქონდა მიღებული. თუმცა, ცესიონერს არ შეეძლო ესარგებლა იმ პროცესუალური პრივილეგიებით, რომელიც ცედენტს ჰქონდა მინიჭებული. მაგალითად, იგი ვერ განთავისუფლდებოდა საპროცესო ხარჯებისაგან. გარდა ამისა, ცესიონერს არ შეეძლო ესარგებლა პირადი პრივილეგიებით, რაც ცესიის შედეგად მოვალის დაზარალებას გამოიწვევდა.<sup>50</sup>

ცესიის განხორციელების მომენტიდან, ცედენტი კარგავდა თავის მოთხოვნის უფლებას<sup>51</sup> და მას იღებდა ცესიონერი, რომელსაც ამ უფლების განკარგვა თავისი შეხედულებისამებრ შეეძლო.<sup>52</sup> მეცნიერთა ნაწილი სწორედ ზემოაღნიშნული წესით მოთხოვნის უფლების დათმობას მიიჩნევს მოგვიანებით ინგლისში ჩამოყალიბებული სუბროგაციის დოქტრინის წინამორბედად.

<sup>47</sup> I. 57. D de leg.1 (30); I. 1. §§13. 14. D. de tut. 27, 3; I. 4.D. de his qui eff. 9, 3; I. 8.§ 15. D. deinoff.test. 5, 2; I. 2. D. qu. exf. 26, 9. მითითებულია: *Барон Ю.*, Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 645.

<sup>48</sup> I. 28. I. 55. D. deproc. 3, 3; I. 6.I. 14. pr. I. 23.pr. D. h. t. 18, 4. მითითებულია: *Барон Ю.*, Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 647.

<sup>49</sup> I. 23. § 1. D. h. t. 18, 4. მითითებულია: *Барон Ю.*, Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 647.

<sup>50</sup> *Барон Ю.*, Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 641- 647.

<sup>51</sup> I. 16. pr. D. deparct.2, 14, I. 18. pr. D. p. a. 13, 7; I. 26 D. deproc. 3, 3. მითითებულია: *Барон Ю.*, Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 645.

<sup>52</sup> I. 20. pr. Dh. t. 18, 4. მითითებულია: *Барон Ю.*, Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Пресс, Книга 4. 2005, 645.

### 3. სუბროგაციის დოქტრინა ინგლისურ სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში მსჯელობა სუბროგაციის დოქტრინასთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, მე-19 საუკუნის შემდეგ ეს ტერმინი ინგლისურ იურიდიულ ლექსიკაში არ გამოიყენებოდა.<sup>53</sup> მე-19 საუკუნის ბოლოდან, სუბროგაცია მყარად დამკვიდრდა ინგლისურ სამართლებრივ სისტემაში და ინგლისი ამ ინსტიტუტის სამზობლოდაც მოინათლა. თუმცა, თვით ინგლისელ იურისტებს შორის არ იყო ერთიანი შეხედულება სუბროგაციის ინსტიტუტის წარმოშობის პირველწყაროს შესახებ.<sup>54</sup> ნაწილი იურისტებისა მიიჩნევდა, რომ სუბროგაციის დოქტრინის პირველწყარო რომის სამართლი იყო და ისინი სუბროგაციის წინამორბედად სწორედ რომაული სამართლის დოქტრინას - *cessio actionum* მიიჩნევდნენ.<sup>55</sup> იურისტების ის ნაწილი, რომელიც ინგლისურ სამართალში დამკვიდრებულ სუბროგაციის დოქტრინას რომაული სამართლის პირმშოდ არ მიიჩნევდა, მიუთითებდა, რომ სუბროგაცია აღმოცენდა რომაული სამართლისაგან სრულიად დამოუკიდებლად, როგორც წმინდა ინგლისური თეორია, რომლის საწყისიც სამართლიანი სასამართლო იყო.<sup>56</sup> სამართლიანი სასამართლოები კი, როგორც ცნობილია, იბრძოდნენ სამართლიანობისათვის და ხელმძღვანელობდნენ ბუნებითი კანონებით.<sup>57</sup>

მართალია, მოთხოვნის უფლების დათმობას საერთო სამართალი რომის სამართლისგან განსხვავებულად არეგულირებდა, თუმცა, საერთო სამართალში დამკვიდრებულ სუბროგაციის დოქტრინასა და მის რომანულ-გერმანულ ორეულ *cessio actionum*-ს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მსგავსება იყო ის, რომ ორივე შემთხვევაში ერთი პირიდან მეორეზე უფლებათა გადაცემა ხორციელდებოდა. რაც შეეხება განსხვავებას, უფლებათა გადაცემა *cessio actionum*-ის მეშვეობით რომაულ სამართალში არსებობდა, ხოლო სუბროგაციის გზით უფლებათა გადაცემა სამართლიანობის სამართალში, ლორდ ჰარდინის კანცლერობის პერიოდში წარმოიშვა. გარდა წარმომავლობისა, ეს ორი დოქტრინა ერთმანეთისაგან უფლებათა გადაცემის ფორმითაც განსხვავდებოდა. საერთო სამართალში სუბროგაცია ხორციელდებოდა *ipso jure*, ყოველგვარი წინასწარი თანხმობისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე, განსხვავებით *cessio actionum*-ისგან, რომლის დროსაც უფლებათა გადაცემის თაობაზე თანხმობა

<sup>53</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev.45 1975, 49 ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3/>>.

<sup>54</sup> ი. ხ. Goff R., Jones G., The Law of Restitution, 6<sup>th</sup> ed., 2002, at. 3-004; ავტორების მოსაზრებები, რომლებიც სუბროგაციის საწყისად რომის სამართალს მიიჩნევენ ის. შემდეგ შრომებში: Derham S.R., Subrogation in Insurance Law, Melbourne, The Law Book Company Limited, 1985, 4; Dieckmann J. A., Der Derivativregress des Bürgen gegen den Hauptschuldner im englischen und deutschen Recht, 2003, 525-544.

<sup>55</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev.45 1975, 49 ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3/>>.

<sup>56</sup> ი. ხ. O'Brien J., The origins of Subrogation, O'Brien&Hennessy education series topic, 2003, 8; Щербакова А.Ю., Понятие и природа суброгации, Юрист, М. № 9, 2008, 47.

ყოველთვის წინასწარ, გადახდის განხორციელებამდე უნდა გაცხადებულიყო. რომაელი იურისტები უფლებამონაცვლეობის შესახებ წინასწარ ან გადახდის შემდგომ თანხმობას აუცილებლად მიჩნევდნენ იმისათვის, რომ სამართლებრივი პრობლემები არ წარმოშობილიყო. კერძოდ, უფლებათა გადაცემის თაობაზე თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მსარის მიერ ვალდებულების შესრულებით კრედიტორსა და მოვალეს შორის ვალდებულებები ქრებოდა.<sup>58</sup> შესაბამისად, ადარაფერი რჩებოდა გადასაცემი.<sup>59</sup> რომაულ სამართალში დამკვიდრებული პრინციპის თანახმად კი, არავის შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი, ვიდრე თვითონ აქვს (nemo dat quod non habet<sup>60</sup>). სწორედ ამიტომ, ვალდებულების შესრულებით პირის უფლებები რომ არ გაქარწყლებულიყო, სავალდებულო იყო სარგებლის მიმღების წინასწარი ან გადახდისშემდგომი თანხმობა უფლებამონაცვლეობის თაობაზე.

მართალია, ინგლისურ სამართალში, განსხვავებით რომაული სამართლისაგან, უფლებამონაცვლეობა ავტომატურად ხდებოდა, მაგრამ ზიანის ანაზღაურებელი, მეორადი მოვალე ამ უფლებების განხორციელებისას უნდა გამოსულიყო სარგებლის მიმღები პირის სახელით, რაც ამ უკანასკნელის თანხმობას საჭიროებდა. ეს კი, მთელ რიგ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების დროს არ დგებოდა არავითარი იურიდიული დოკუმენტი (მაგალითად, ხელშეკრულება), რომლის ძალითაც მხარეები მეორადი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას იურიდიულად დაადასტურებდნენ და რითაც სარგებლის მიმღები უფლებამონაცვლეობის ვალდებულებას იკისრებდა. როგორც წესი, სარგებლის მიღების შემდეგ, დაზარალებული კარგავდა ყოველგვარ ინტერესს, ყოფილიყო რაიმე სახის სამართლებრივი დავის მონაწილე. მეორად მოვალეს კი, სამართლებრივი უფლებამონაცვლეობის მოთხოვნის არავითარი სამართლებრივი მექანიზმი არ გააჩნდა. შესაბამისად, მას უჭირდა დაურწმუნებინა სარგებლის მიმღები, მიეცა მისთვის უფლება, მისი სახელით ეზივლა დებიტორის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორადი მოვალე პირველადი მოვალის წინააღმდეგ იჩივლებდა, რეალურად, აღარ არსებოდა ერთიანი სამართლებრივი საფუძველი ამ მოთხოვნასა და იმ თავდაპირველ ვალდებულებას შორის, რომელიც სარგებლის მიმღების წინაშე შესრულებით დასრულდა.<sup>61</sup>

აღნიშნული პრობლემა მათვრად იგრძნობოდა ინგლისში მე-17 საუგუნის შუა წლებიდან, როდესაც სადაზღვევო ინდუსტრია მყარად იკიდებდა ფეხს. სადაზღვევო კომპანიებს სურდათ მიედოთ სამართლებრივი გარანტიები, რომელიც მათ იმ ზიანის კომპანიების საშუალებას მისცემდა, რომელიც

<sup>58</sup> Zimmerman R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Kapstadt, Wetton, Johannesburg, 1990, 126.

<sup>59</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev.45 1975, 50 ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3/>>.

<sup>60</sup> Corpus iuris civilis. Digest 50.17.54 Digesta Iustiniani, Книги XLV-XVII, Том 7, Полутом 1. отв. ред. Кофанов Л.Л., Москва, Статут, 2005, 181. ხელმისაწვდომია: <<http://digestajust.narod.ru/50.html>>.

<sup>61</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev.45 1975, 53 ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3/>>.

მათ დაზღვეულებს მესამე პირის მიერ მიუენებული ზიანისთვის გადაუხადეს. სწორედ ასეთი პრობლემური ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობამ განაპირობა ინგლისში პირთა უფლებამონაცვლეობის დოქტრინის განვითარება, რომელსაც მოგვიანებით სუბროგაცია ეწოდა.

მე-18 საუკუნის შუა წლებიდან, ინგლისში გაჩნდა პირველი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელშიც სუბროგაციის დოქტრინაზე მითითება სადაზღვევო ურთიერთობების კონტექსტში გაკვთდა. ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, თანამედროვე სახელმწიფოების კანონმდებლობაში სუბროგაციის პრინციპი სწორედ სადაზღვევო კომპანიების აქტიურობისა და ბალისხმევის შედეგად აღმოცენდა. სადაზღვევო კომპანიებს შექმნდათ სარჩელები სასამართლოში, რომლითაც ითხოვდნენ იმ თანხის ანაზღაურებას, რომელიც მათ დაზღვეულებს სადაზღვევო კომპენსაციის სახით გადაუხადეს. სწორედ ასეთი სარჩელების საფუძველზე, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე შესაბამისი სახელმწიფოები სუბროგაციის ინსტიტუტს საკანონმდებლო აქტების ძალით გაამყარებდნენ, სასამართლოებმა წინა პლანზე წამოწიეს სუბროგაციის საკითხი. ამ გზით აღმოცენდა სუბროგაცია ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში.<sup>62</sup>

ინგლისში პირველი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ სუბროგაციის გზით უფლების გადაცემაზე იმსჯელა იყო *Randal v. Cockran*,<sup>63</sup> რომელშიც სასამართლომ ცნო სადაზღვევო კომპანიის უფლება, თვითონ დაეცვა და ემტკიცებინა დამზღვევი პირის უფლება მესამე პირების წინაშე.<sup>64</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ლორდმა ჰარდვიკმა მოახდინა სუბროგაციის უფლების იდენტიფიცირება სამართლიანობასთან. მან დაუშვა იმის ალბათობა, რომ სწორედ სამართლიანობა – “equity” იყო უფლებათა გადაცემის და სუბროგაციის უფლების გამართლების თეორიული საფუძველი.<sup>65</sup> ლორდი ჰარდვიკი მიუთითებდა, რომ ეკონომიკის განვითარება,

<sup>62</sup> Щербакова А.Ю., Понятие и природа суброгации, Юрист, М. № 9, 2008, 47.

<sup>63</sup> *Randall v. Cockran*, 1 Ves. sen. 98, 27 Eng. Rep. 916, 1748; *Marasinghe M.L.*, An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 1975, 49. ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3/>.

<sup>64</sup> *Derham S.R.*, Subrogation in Insurance Law, Melbourne, The Law Book Company Limited, 1985, at 4-5 მითითებულია: *John M. Moshonas, John A. Vamplew and Sean R. Lerner*, Subrogation: Basic Principles, Emerging Trends and Practical Considerations, Vancouver, British Columbia, 2006, 2.

<sup>65</sup> ინგლისურ ლიტერატურაში იურიდიული ტერმინის “equity” სამართლებრივი განმარტება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებლად არის მიხნეული. აღნიშნული საკითხის მკვლევარი მეცნიერები თავიათ ნაშრომებში მიუთითებუნ, რომ ტერმინის ფართო მნიშვნელობის გამო, შეუძლებელია მისი განმარტება რამდენიმე წინადაღებით. *Salmond J.*, Jurisprudence, 7<sup>th</sup> edition, Sweet & Maxwell, London, 1924. 9; ის გარემოება, რომ ტერმინი “equity” ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება, კიდევ უფრო ართულებს მის განმარტებას. ინგლისური ენის განმარტებითი დაქსივონი ტერმინს “equity” განმარტავს, როგორც სამართლიანობას, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. ტერმინის იურიდიული განმარტების მიხედვით, “equity” გულისხმობს სამართლის გამოყენებას მისი შინაარსობრივი და არა სიტყვა-სიტყვითი გაგებით. *Lewis W.D.*, The Winston Dictionary Encyclopedic Edition College ed. 1943, 329; “equity-ის”, როგორც სამართლის ნაწილის განვითარებას, ინგლისისა და ამერიკის სასამართლოების (განსაკუთრებულ დორდ კანცლერის სასამართლოს) დამსახურებად მიიჩნევენ. ეკრძოდ, სასამართლოები ცდილობდნენ, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ეხელმძღვანელათ ბუნებითი,

ქონების განკარგების ახალი საშუალებები და ქონებრივ სიკეთეთა მრავალფეროვნება, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ითხოვდა სიახლეებს უფლებათა გადაცემის დოქტრინაში.<sup>66</sup> სწორედ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ლორდ ჰარდვიკის პერიოდიდან დაიწყო ახალი პრინციპებისა და ნორმების განვითარება. მართალია, ეს სიახლეები იმდროინდელ სასამართლო გადაწყვეტილებებში შედარებით იშვიათად აისახებოდა, მაგრამ სამომავლოდ ამ სიახლეების გატარებისა და გამოყენების მზადყოფნა იმთავითვე შეიმჩნეოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სიახლე იყო ლორდ ჰარდვიკის მიერ Randal v. Cockran საქმეზე დადგენილი დოქტრინა უფლებათა გადაცემის შესახებ, რომელიც, მოგვიანებით, სუბროგაციის უფლების სახელით დამკვიდრდა და ფართო აღიარება მოიპოვა, როგორც ინგლისურ სამართლიანობის სამართალში, ისე საერთო სამართლის სისტემის სასამართლოებში.<sup>67</sup>

1782 წელს, საქმეზე Mason v. Sainsbury<sup>68</sup> ინგლისის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ლორდმა მანსფილდმა თავის გადაწყვეტილებაში სუბროგაციის უფლების შემოღების აუცილებლობის შესახებ განაცხადა. მან ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ “ყოველდღიურად, სადაზღვევო კომპანიები იკავებენ დაზღვეულთა ადგილს და გამოდიან დაზღვეულთა სახელით. ამიტომ, მზღვეველებს სასამართლო ძალით უნდა მიენიჭოთ უფლება, სუბროგაციის პრინციპზე დაყრდნობით, დაიკავონ დამზღვევის ადგილი მესამე პირებთან ურთიერთობაში”.<sup>69</sup> სასამართლო ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის სრულ გამორიცხვას ყოვლად გაუმართებლად მიიჩნევდა. სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ “ზიანის მიმყენებელმა აუცილებლად უნდა აანაზღაუროს მის მიერ გამოწვეული ზიანი, მიუხედავად მზღვეველის მიერ დამზღვევის დაკაყოფილებისა”.<sup>70</sup> ეს გადაწყვეტილება ადმოჩნდა გარდამტები სუბროგაციის დოქტრინის დამკვიდრებისათვის. სწორედ ამ პერიოდიდან, სამართლიანობის სამართალში და საერთო სამართალში აქტიურად დაიწყო უფლებათა გადაცემის დოქტრინის განვითარება. ლორდ მანსფილდს,

ნამდვილი კანონებით (natural justice), რათა შევხსოვ ის სიცარიელე, რაც საერთო სამართალში არსებობდა. Howard O.L., Historical Nature of Equity Jurisprudence, Fordham Law Rev. 23, 1951 ხელმისაწვდომია: <<http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol20/iss1/2>> [1.05.2013].

<sup>66</sup>Holdsworth W.S., Historical Introduction to the Land Law, Oxford Univ. Press, 1927, 466-477; მოთოქტეულია: Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 275; ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4>>.

<sup>67</sup>Yates v. Whyte, 4 Bing. N.C. 272, 132 Eng. Rep. 793 (1838), and note 34 მოთოქტეულია: Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 284 ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4>>.

<sup>68</sup>Mason v. Sainsbury (1782) 3 Dougl 61 Eng. Rep 1782, 538, 540 ხელმისაწვდომია: <<http://www.commonlii.org/int/cases/EngR/1782/37.pdf>>.

<sup>69</sup> იქვე, ასევე: Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev. 45 1975, 49 ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3>>.

<sup>70</sup> Mason v. Sainsbury (1782) 3 Dougl 61 Eng. Rep 1782, 538, 542, ხელმისაწვდომია: <<http://www.commonlii.org/int/cases/EngR/1782/37.pdf>>.

უფლებათა გადაცემის დოქტრინის განვითარებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, სადაზღვევო სამართლის მამადაც მოიხსენიებენ.<sup>71</sup>

ასი წლის შემდეგ, ინგლისის სასამართლოს მიერ საქმეზე – Castellain v. Preston<sup>72</sup> მიღებული გადაწყვეტილება აღმოჩნდა კიდევ ერთი გარდამტეხი მოვლენა სუბროგაციის დოქტრინის დამკვიდრებისთვის. ამ დროისათვის, უპერ ფორმულირებული იყო კონცეფცია დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების დაუშვებლობის შესახებ და მასთან ერთად, ორმაგი კომპენსაციის შეზღუდვის პრინციპი. სასამართლოებს და სადაზღვევო კომპანიებს კარგად ესმოდათ, რომ სუბროგაცია იყო ერთადერთი საშუალება, რომელიც დამზღვევს ორმაგი კომპენსაციის მიღების საშუალებას არ მისცემდა.<sup>73</sup> სასამართლომ სწორედ საქმეზე Castellain v. Preston საბოლოოდ დაადგინა ორმაგი კომპენსაციის შეზღუდვის პრინციპი, რომელიც სუბროგაციის დოქტრინის ფუნდამენტად იქცა.

აღნიშნულ საქმეში Castellain-ი, რომელმაც დააზღვია სახლი ხანძრისაგან, იყო ამავე სახლის გაყიდვის პროცესში. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ვიდრე ქონების ფაქტობრივი გადაცემა მოხდებოდა, სახლი ხანძრის შედეგად დაზიანდა. მიუხედავად ამისა, მყიდველმა გადაიხადა სახლის ღირებულება სრული მოცულობით, ხოლო მზღვეველმა, რომელმაც ამ ფაქტის შესახებ არაფერი იცოდა, სახლის მეპატრონებს, სადაზღვევო პოლისის თანახმად, სრული სადაზღვევო კომპენსაცია მისცა. მას შემდეგ, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე ცნობილი გახდა მზღვეველისთვის, მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დამზღვევის მიერ ორმაგი კომპენსაციის მიღების აკრძალვა და უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპზე მითითებით, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, მიიღო სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში “კომპენსაციის შეზღუდვის სახელით” დამკვიდრდა და დღემდე მოქმედებს. სასამართლომ მიუთითა, რომ “ხელშეკრულება დაზღვევის შესახებ – ეს არის შეთანხმება კომპენსაციის და მხოლოდ და მხოლოდ კომპენსაციის თაობაზე. ყოველი ხელშეკრულება გულისხმობს ზიანის სრულ ანაზღაურებას და იგი არასოდეს არ უნდა აღემატებოდეს განცდილ ზიანს. სადაზღვევო სამართლის ყოველი დანაწესი უნდა ემსახურებოდეს ამ ფუნდამენტური პრინციპის გატარებას. ყოველგვარი შეთანხმება, რომელიც აღნიშნულ დათქმას ეწინააღმდეგება, ბათილია”.<sup>74</sup> იხელმძღვანელა რა სასამართლომ “კომპენსაციის შეზღუდვის პრინციპით”, დაადგინა, რომ დაზღვეულ პირს არ ჰქონდა ორმაგი კომპენსაციის მიღების უფლება.

<sup>71</sup>Schreiber A.C., Lord Mansfield - The Father of Insurance Law [article] Insurance Law Journal, Vol. 1960, Issue 12 December 1960, 766-770. ხელმისაწვდომია:

<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/inslj22&div=174&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/inslj22&div=174&g_sent=1&collection=journals)>.

<sup>72</sup>Castellain v. Preston, Court of Appeal, 769-777, 1883, ხელმისაწვდომია:

<<http://www.lexisnexis.com/hottopics/lnacademic/>>.

<sup>73</sup> Щербакова А.Ю., Понятие и природа суброгации, Юрист, М. № 9, 2008, 45-51.

<sup>74</sup>Castellain v. Preston, Court of Appeal, 771, 1883, ხელმისაწვდომია:

<<http://www.lexisnexis.com/hottopics/lnacademic/>>.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ორმაგი კომპენსაცია ზიანს აუქნებდა ნამდვილ, ჭეშმარიტ და სამართლიან სამართალწარმოებას, რომლისთვისაც იბრძოდნენ საერთო სასამართლოები.<sup>75</sup>

#### 4. სუბროგაციის დოქტრინა ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში

ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, რთულია დასახელდეს სასამართლო პრეცედენტი, რომელიც სასამართლოების მიერ სუბროგაციის დოქტრინის აღიარებას დაედო საფუძვლად. სუბროგაციის დოქტრინა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მქონე ქვეყანამ, ინგლისური სამართლიდან გადაიღო.<sup>76</sup>

თუმცა, განსხვავებით ინგლისისგან, სუბროგაციის დოქტრინის პრაქტიკაში გამოყენება აქ მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყო. ამ პერიოდიდან, გამოჩნდა გადაწყვეტილებები, რომელიც სუბროგაციის დოქტრინას ეფუძნებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი იყო Aetna Life-ის საქმე სადაზღვევო კომპანია The Town Middleport-ის წინააღმდეგ.<sup>77</sup>

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებმა სუბროგაციის უფლება კოლონიალიზმის პერიოდიდან აღიარეს.<sup>78</sup> კერძოდ, სუბროგაცია განიხილებოდა, როგორც მზღვეველის მიერ დამზღვევის შეცვლა მესამე პირების წინააღმდეგ. იგი მიჩნეული იყო უფლებად, რომელიც გამოიყენებოდა ყოველთვის, როდესაც ვალი ან ვალდებულება სრულდებოდა იმ პირის ხარჯზე, რომლის პირდაპირი ვალდებულებაც ეს არ იყო.”<sup>79</sup>

#### 5. სუბროგაციის დოქტრინა ფრანგულ სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის სასამართლო გადაწყვეტილებებში უფლებათა გადაცემის დოქტრინაზე მითითება ხშირად კეთდებოდა, მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე ტერმინი “სუბროგაცია” ინგლისურ სამართლებრივ ლექსიკაში არ გამოიყენებოდა.<sup>80</sup>

ფრანგული სამართალი იცნობდა ინგლისური კონცეფციის მსგავს უფლებამონაცვლეობას და მას ტერმინი “სუბროგაციად” მოიხსენიებდა. თუმცა, სუბროგაციის ინგლისურ და ფრანგულ დოქტრინებს შორის შეიმჩნეოდა არსებითი განსხვავება. ფრანგი იურისტები მიიჩნევდნენ, რომ განსხვავებით ინგლისურ სამართალში ცნობილი მოთხოვნის უფლების დათმობისაგან, ფრანგული მოთხოვნის უფლების დათმობა - სუბროგაცია

<sup>75</sup> იხ. იქვე.

<sup>76</sup> Щербакова А.Ю., Понятие и природа суброгации, Юрист, М. № 9, 2008, 47.

<sup>77</sup> Aetna Life Ins. Co. v. Middleport, 124 U.S. 534 (1888) Submitted January 4, 1888 Decided February 6, 1888 124 U.S. 534, <http://supreme.justia.com/cases/federal/us/124/534/case.html>, [02.12.2012].

<sup>78</sup> Щербакова А.Ю., Понятие и природа суброгации, Юрист, М. № 9, 2008, 47.

<sup>79</sup> O'Brien J., The origins of Subrogation, O'Brien&Hennessy education series topic, 2003, 11.

<sup>80</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev.45 1975, 49 ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3/>.

ერთმნიშვნელოვნად გავდა ომაულ *cessio actionum*-ს,<sup>81</sup> სადაც მოთხოვნის უფლების დათმობა ხდებოდა არა *ipso jure*, არამედ უფლებამონაცვლეობის თაობაზე წინასწარი ან გადახდის შემდგომი თანხმობით. ამასთან, ფრანგი იურისტები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ გარემოებაზე, რომ რომაული “*cessio*” იყო საერთო ტერმინი იმ პროცესის აღსაწერად, როდესაც ხდებოდა ვალის გადაკისრება, დავალება, დელეგირება, აგრეთვე მოვალის მიერ კრედიტორისათვის ქონების ნებაყოფლობით გადაცემა და სუბროგაცია. ფრანგი იურისტი, ფილიპე რენუსონი თავის ნაშრომში<sup>82</sup> აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ზემოთ დასახელებულ მრავალფეროვან სამართლებრივ ურთიერთობათა ადნიშვნა საერთო ტერმინით *cession* ხდებოდა, რათა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები შეცდომაში არ შესულიყვნენ, თოთოეული ტიპის უფლებამონაცვლეობისთვის კონკრეტული იურიდიული სახელწოდების მინიჭება იყო საჭირო.<sup>83</sup>

სწორედ ამიტომ, მოგვიანებით, ფრანგებმა *cession*-თან ერთად, დაიწყეს ტერმინ *transfer*-ის გამოყენება. სხვადასხვა ტერმინი – *cession* და *transfer* (გადაცემა), ხშირ შემთხვევაში, გამოიყენებოდა იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან გაემიჯნათ მარტივი გადაცემა და ქმედება, რომელსაც ფრანგები “სუბროგაციას” უწოდებდნენ. ტერმინები “*cession*” და “*transfer*” გამოხატავდა ქმედებას, რომელსაც კრედიტორი იმ უფლებების განსაკარგად ახორციელებდა, რომელიც მისი საკუთრება იყო. სწორედ ასე განმარტავს რომაული სამართლის სახელმძღვანელოც კრედიტორის მიერ უფლებათა გადაცემას.<sup>84</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობა, რომელსაც რენუსონი მოთხოვნის უფლებათა გადაცემის თაობაზე ავითარებდა, სრულად შეესაბამებოდა იმ ნოვაციას, რომელიც სუბროგაციის თაობაზე ინგლისურ სამართალში იმ პერიოდისათვის არსებობდა. თუმცა, ინგლისური სამართლისგან განსხვავებით, ფრანგები უფლებათა გადაცემისათვის *cessio actionum*-ის მსგავსად, სავალდებულოდ მიიჩნევდნენ აშკარად გამოხატულ ქმედებას. ინგლისურ საერთო სამართალს კი, უჭირდა ამ არჩევანის გაკეთება და იგი *ipso jure* უფლების დათმობისკენ იხრებოდა, რის გამოც ინგლისურ სამართალში, განსხვავებით ფრანგულისგან, მე-19 საუკუნის დასაწყისამდე სუბროგაციის თაობაზე ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ იყო.<sup>85</sup>

მომდევნო წლებში, ფრანგული ტერმინი სუბროგაცია და ლორდ ჰარდვიკის მიერ ჩამოყალიბებული უფლებათა გადაცემის დოქტრინა ერთმანეთს

<sup>81</sup> Yates v. Whyte, 4 Bing. N.C. 272, 132 Eng. Rep. 793 (1838), and note 34 მითითებულია: *Marasinghe M.L.*, An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 284; ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>.

<sup>82</sup> Renusson P., Traite De La Subrogation, Paris, 1760, მითითებულია: *Marasinghe M.L.*, An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 284; ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>.

<sup>83</sup> ი. იქვე.

<sup>84</sup> ი. იქვე.

<sup>85</sup> *Marasinghe M.L.*, An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 285; ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>.

შეერწყა და 1851 წლიდან, ინგლისის სასამართლოებმა, მსგავსად საფრანგეთისა, ტერმინ სუბროგაციის გამოყენება დაიწყეს. სუბროგაცია განიხილებოდა, როგორც სამართლიანობის სპეციფიური მოთხოვნის უფლება, რომლის ფუძემდებლად ლორდი ჰარდიკი აღიარეს.<sup>86</sup>

## 6. სუბროგაციის დოქტრინა გერმანულ სამართალში

გერმანულ სამართალში, განსხვავებით ინგლისური, ამერიკული და ფრანგული სამართლისგან, ტერმინი სუბროგაცია არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის გამოყენებული. გერმანელი კანონმდებლი იმ ურთიერთობას, რომელსაც სუბროგაციის დოქტრინა მოიცავს, კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემას უწოდებს.<sup>87</sup> აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემის აღსანიშნავად ტერმინ სუბროგაციას აქტიურად იყენებს.<sup>88</sup>

გერმანიაში სადაზღვევო ურთიერთობის დროს კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემის მარეგულირებელი ნორმა პირველად სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ 1908 წლის კანონით იქნა შემოღებული. კერძოდ, სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფი მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების კანონის ძალით გადასვლას აწესრიგებდა. აღნიშნული ნორმა იყო პირველი ზოგადი წესი კერძო სამართალში, რომელიც მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლას, იგივე სუბროგაციას არეგულირებდა.<sup>89</sup> ნორმის შემოღებისას, იმდროინდელი კანონმდებელი ამოდიოდა მოსაზრებიდან, რომ მზღვეველს, მას შემდეგ რაც იგი სადაზღვევო ზიანს აანაზღაურებს, უნდა მიეცეს უფლება, დამზღვევის უფლებები ზიანის მიმყენებელი მესამე პირის წინააღმდეგ თავის სასარგებლოდ განახორციელოს.<sup>90</sup> გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ 1907 წლის კანონის 67-ე პარაგრაფის შემოღების უმთავრეს მიზნად და ამოცანად კანონმდებელი იმ ფაქტს ასახელებდა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება და მზღვეველის ხარჯზე ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლისაგან განთავისუფლება არ უნდა მომხდარიყო.<sup>91</sup>

2008 წლის 1 იანვარს გერმანიაში ძალაში შევიდა სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ ახალი კანონი. სადაზღვევო სამართლის სფეროში

<sup>86</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 287; ხელმისაწვდომია: <<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>>.

<sup>87</sup> ი. მაგ. გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფის ახალი რედაქცია.

<sup>88</sup> Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einfluss des Versicherungsvermittlers, 8. Auflage, 1961, §67, Rn. 97; Esser J., Schmidt E., Schuldrecht, Band I, Allgemeiner Teil, 8. Auflage Teilband 2, Heidelberg, 2000, 352.

<sup>89</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen. München, 2010, §86, Rn. 13.

<sup>90</sup> Begründung zu den Entwürfen eines Gesetzes über den Versicherungsvertrag, Berlin, 1906, 139.

<sup>91</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen. München, 2010, §86, Rn. 17.

რეფორმის გატარების აუცილებლობას კანონმდებელი იმ გარემოებით ასაბუთებდა, რომ კანონის ძველი, თითქმის 100 წლით ადრე მიღებული რედაქცია ქვეყნის სოციალურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებს ადარ შეესაბამებოდა.<sup>92</sup> ასევე, ძველ კანონში არ იყო გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რომელსაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის თანამედროვე გარანტიები ადგენს.<sup>93</sup> სწორედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება იყო 2008 წელს სადაზღვევო სამართლის სფეროში გატარებული რეფორმის ლაიტმოტივი.<sup>94</sup> ადსანიშნავია, რომ მიუხედავად ძირეული რეფორმისა, კანონის ძველი რედაქციის 67-ე პარაგრაფი ახალ რედაქციაში კანონმდებელმა თითქმის უცვლელად გადმოიტანა და კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადასვლა 86-ე პარაგრაფით დაარეგულირა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა კანონის ახალ რედაქციაშიც შეიკავა თავი ტერმინი “სუბროგაციის” გამოყენებისაგან.

## 7. დასკვნა

ისტორიული მიმოხილვა ცხადყოფს, რომ სუბროგაციის დოქტრინის თანამედროვე სახით ჩამოყალიბებას მისი განვითარების ხანგრძლივი პროცესი უსწრებდა წინ. მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის გახდა ნათელი სუბროგაციის დოქტრინის არსი. ამ დროისათვის, პირს, რომელიც გადაიხდიდა მესამე პირის სასარგებლოდ სხვა პირის ვალდებულებებისთვის, ენიჭებოდა უფლება, სარჩელი შეეტანა სასამართლოში მესამე პირის ნაცვლად თავდაპირველი მოვალის წინააღმდეგ და კომპენსაცია ან განხორციელებული გადახდის (კონტრიბუციის) უკან დაბრუნება მოეთხოვა. აღნიშნული პროცესი ტერმინი “სუბროგაციით” გამოიხატებოდა.<sup>95</sup> ამავე პერიოდისათვის, უკვე სრულიად ნათელი გახდა სუბროგაციის დოქტრინის სამი ელემენტი, რომელსაც ერთხმად აღიარებდა, როგორც ინგლისური სამართლიანობის სამართალი, ისე საერთო სამართალი:

სუბროგაცია იყო უფლებამონაცვლეობის საშუალება, რომელიც სხვისი ვალდებულების შემსრულებელ პირს ანიჭებდა შესაძლებლობას, პირველადი მოვალის მიმართ განეხორციელებია უკეთა ის უფლება, რომლითაც კრედიტორი იყო აღჭურვილი;

<sup>92</sup> სადაზღვევო სამართლის სფეროში გატარებული რეფორმის თაობაზე ვრცლად იხ: Schneider, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §1a, Rn. 1ff.

<sup>93</sup> BT-Drucks. 16/3945, S.1 identisch mit BR-Drucks. 707/06, S.1.; BT-Drucks. 16/3945, S.47 მითითებულია: Sarholz O., Das Quotenvorrecht, Eine Untersuchung zu §86 Abs.1 VVG und §116 Abs. 1-5 SGB X, Frankfurt am Main, 2011, 39.

<sup>94</sup> იქვე, 40.

<sup>95</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 278; ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>.

სუბროგაციის ძალით, უფლებათა გადაცემა-შეძენა არ იყო კრედიტორის მიერ წინასწარ გამოხატული თანხმობის შედეგი;

როგორც საერთო სასამართლოებმა, ისე სამართლიანობის სასამართლოებმა აღიარეს, რომ უფლებათა მსგავსი ტიპის გადაცემა-შეძენა აღმოცენდა სამართლიანობის პრინციპიდან და არა საერთო სამართლიდან.<sup>96</sup>

სუბროგაციის დოქტრინის ჩამოყალიბების პროცესი ინგლისში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მას წინ უსწრებდა სადაზღვევო კომპანიების დაუდალავი ბრძოლა უფლებებისთვის.<sup>97</sup> მზღვეველების ძალისხმევის შედეგად მიღებული ურიცხვი სასამართლო გადაწყვეტილებებით, ინგლისში საბოლოოდ დამკიდრდა სუბროგაციის დოქტრინა და იგი გახდა მაგალითი ისეთი სახელმწიფოებისთვის, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები,<sup>98</sup> საფრანგეთი,<sup>99</sup> ბელგია და სხვ. მართალია, თითოეულმა სახელმწიფომ სუბროგაციის დოქტრინა ქვეყნის სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით აითვისა, მაგრამ მათი საწყისი საფუძველი ინგლისში წარმოშობილი დოქტრინა იყო.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ სუბროგაცია არის დაცვის სპეციფიური საშუალება, რომელიც სამართლიანობის წიაღში შეიქმნა<sup>100</sup> და სამართლიანობისა და თანასწორობის იდეაბს ეფუძნება.<sup>101</sup> თვით ტერმინი “სუბროგაცია” კი, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში ფრანგული სამართლის სისტემიდან არის გადმოღებული.<sup>102</sup>

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, სუბროგაციის დოქტრინა სადაზღვევო კომპანიების ძალისხმევის შედეგად, სასამართლო პრეცედენტების საფუძვლზე შეიქმნა, მაგრამ მისი თავისებურება ისაა, რომ იგი მხოლოდ სადაზღვევო ურთიერთობებით არ შეიზღუდა.<sup>103</sup> ამ დოქტრინის გამოყენება შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, სადაც მხარეთა მიზანი უფლებამონაცვლეობა, ხოლო სამართლის მიზანი მოვალის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა და უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილება.

<sup>96</sup> Holdsworth W.S., A History of English Law, 1938, 260; მთითებულია: Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 279; ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>.

<sup>97</sup> Щербакова А.Ю., Понятие и природа суброгации, Юрист, М. № 9, 2008, 45-51.

<sup>98</sup> ი. იქვე.

<sup>99</sup> French Civil Code 1249-1252.

<sup>100</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 288; ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>.

<sup>101</sup> Jackson M.I., Subrogation, Suretyship, an the law of restitution, The University of British Columbia, 1988, 11.

<sup>102</sup> Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 275, 1976, 299; ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4/>.

<sup>103</sup> McCardie, J., John Edwards&Co. v. Motor Insurance Union, 2 K.B. 249, 252, 1922, მთითებულია: Marasinghe M.L., An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev. 45 1975, 65 ხელმისაწვდომია: <http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3/>.

## IV. სუბროგაციის დოქტრინის არსი

### 1. შესავალი

დაზღვევის სამოქალაქოსამართლებრივი მნიშვნელობის კვლევისას, პრინციპული დატვირთვა არა აქვს იმის დადგენას, თუ რამდენად ეფექტიანობა მექანიზმია დაზღვევა პირის ქონებრივი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ეს ეფექტიანობა ისედაც აშკარაა. როგორც ცნობილია, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას, დამზღვევისათვის ზიანის ანაზღაურებისა და მისი ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დაზღვევის როლი საკმაოდ მაღალია.<sup>104</sup> თუმცა, დაზღვევის ინსტიტუტის ამ დადებითი ასპექტის რეალიზებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ მზღვეველის მიერ დამზღვევის დაცვამ, გარკვეულწილად, არ “მოადუნოს” ზიანის მიმყენებელი. მართალია, დაზღვევის უპირველესი ამოცანა დამზღვევის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაა, მაგრამ სასურველია, იგი საპირისპირო მიმართულებითაც, კერძოდ, ზიანის მიმყენებლის ქონებრივ მდგომარეობაზეც ადეკვატურად მოქმედებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას დაზღვევის სარგებლით დაიმედებული პოტენციური მოპასუხების გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის საფუძვლიანი საფრთხე.<sup>105</sup>

ბუნებრივია, სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევ სუბიექტზე აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა დაზღვევის ინსტიტუტის უპირველესი მიზანი არაა და ამ თვალსაზრისით, იგი არ უწევს კონკურენციას სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინტიტუტს.<sup>106</sup> სსკ-ის 799-ე მუხლით ცალსახად არის განსაზღვრული, რომ დაზღვევის მიზანი ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესის დაცვაა. თუმცა, აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, საჭიროა უშუალოდ დაზღვევის სფეროში არსებობდეს გარკვეული მექანიზმი, რომლითაც ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე რეაგირება იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, ამ მექანიზმით ერთგვარად შეივსება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტიც. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს სადაზღვევო ურთიერთობებში სუბროგაციის პრინციპის არსებობას, რომელსაც სსკ-ის 832-ე მუხლი არეგულირებს.

### 2. სუბროგაციის შინაარსი

სუბროგაციის განმარტება სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან თვით იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც მისი დოქტრინის სამშობლოდ

<sup>104</sup> Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник №4 – 2001, 15 ქვემისაწყდომია: <<http://law.isu.ru/ru/scamanience/vestnik/20014/chebunin.html>>.

<sup>105</sup> Ровный В.В., Проблемы единства российского частного права, Иркутск, 1999, 256.

<sup>106</sup> Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник №4 – 2001, 15 ქვემისაწყდომია: <<http://law.isu.ru/ru/scamanience/vestnik/20014/chebunin.html>>.

მიიჩნევიან, სუბროგაცია განიხილება არა როგორც უფლება, არამედ როგორც პრინციპი, რომელიც ობიექტურობის და სამართლიანობის განხორციელებას ემსახურება.<sup>107</sup>

დაზღვევის კონტექსტში, სუბროგაციის დოქტრინა მზღვეველისა და დამზღვევის ურთიერთობის ორ ძირითად ასპექტთან ასოცირდება: პირველ რიგში, იგი უფლებას აძლევს მზღვეველს, განახორციელოს და დაიცვას ის უფლებები, რომელიც დამზღვევს ზიანის მიმუნებელი მესამე პირის მიმართ აქვს; მეორე, სუბროგაციის დოქტრინა ხელს უშლის დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრებას, ეს კი სრულ შესაბამისობაშია “ორმაგი კომპენსაციის აკრძალვის პრინციპთან”<sup>108</sup>.

სუბროგაციის პრინციპის უკეთ წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი მაგალითის საფუძველზე: საწარმომ, რომელსაც სურს შენობის გარკვეული ნაწილის შეკეთება, სარემონტო კომპანიასთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, საჭირო გახდა ელექტროშემდუღებლის გამოყენება, რომლის მოხმარების დროსაც გაჩნდა ხანძარი. შედეგად, საწარმოს დანადგარების დიდი ნაწილი დაიწვა. სსკ-ის მიხედვით, ასეთ დროს საწარმოს, რომლის ქონებაც დაზღვეულია, წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება თრი სუბიექტისაგან: სამშენებლო კომპანიისგან<sup>109</sup> და მზღვეველისგან<sup>110</sup> ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მოთხოვნათა კუმულაცია, ანუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთდროულად მენარდისა და მზღვეველისაგან, უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია.<sup>111</sup> ამიტომ, დამზღვევს აქვს არჩევანის უფლება - მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მესამე პირისგან (მოყვანილ მაგალითში - სამშენებლო კომპანიისაგან) ან მზღვეველისგან. მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იწოდება სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურებად, ხოლო დამზღვევის მოთხოვნა მზღვეველის მიმართ - სადაზღვეოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურებად.<sup>112</sup> სწორედ მზღვეველზე დამზღვევის სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადასვლას არეგულირებს სუბროგაცია - სსკ-ის 832-ე მუხლი.

<sup>107</sup> *Cagle Inc v. Sammons* 198 Neb 595; 254 NW 2d 398, 1977. ი. ც. CCH Australia Limited, "Australian and New Zealand Insurance Reporter" (2004) მითითებულია: *Skinner M., Coss J., Subrogation, Allens Arthur Robinson.*, პრეზენტაცია წარმოდგენილი ფორუმზე დაზღვევისა და გადაზღვევის შესახებ, 2006 წლის 7 ივნისი, 3 ხელმისაწვდომია: <<http://www.allens.com.au/pubs/pdf/insur/pap7jun06.pdf>>.

<sup>108</sup> *Skinner M., Coss J., Subrogation, Allens Arthur Robinson*, პრეზენტაცია წარმოდგენილი ფორუმზე დაზღვევისა და გადაზღვევის შესახებ, 2006 წლის 7 ივნისი, 3 ხელმისაწვდომია: <<http://www.allens.com.au/pubs/pdf/insur/pap7jun06.pdf>>.

<sup>109</sup> ი. სსკ-ის 650-ე მუხლი: მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთის ქონების დაღუპვისას.

<sup>110</sup> ი. სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება: დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვეო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

<sup>111</sup> მოთხოვნათა კუმულაციის თაობაზე ი. წინამდებარე ნაშრომის თავი - „მოთხოვნათა კუმულაცია“. ასევე, *Sieg K., Kumulation der Leistung, Regress und Subrogation in der privaten und in der staatlichen Versicherung*, ZversWiss, 1973, 321.

<sup>112</sup> ი. ც. *Langheid*, in: *Römer/Langheid/Rixecker, Versicherungsvertragsgesetz*, 3. Auflage, 2012, §86, Rn. 1.

სუბროგაციის საფუძველზე, კანონმდებელი ცდილობს ორი მიზნის მიღწევას: პირველი, დაზღვეულმა არ უნდა მიიღოს ორმაგი კომპენსაცია ზიანის მიმყენებელი მესამე პირისა და მზღვეველისაგან, ანუ დამზღვევი არ უნდა გამდიდრდეს უსაფუძვლოდ და მეორე, ზიანის მიმყენებელმა მესამე პირმა, სადაზღვევო ანაზღაურების საფუძველზე, არ უნდა ნახოს სარგებელი, კერძოდ, იგი არ უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.<sup>113</sup>

სწორედ აქედან გამომდინარე, მოყვანილ მაგალითში, მას შემდეგ რაც მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევს დამდგარ ზიანს, მზღვეველს სსკ-ის 832-ე მუხლის საფუძველზე წარმოეშობა უფლება, გახდეს დამზღვევის უფლებამონაცვლე, იჩივლოს სასამართლოში კონტრაქტორი მხარის, ანუ პირველადი მოვალის წინააღმდეგ და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც მან დამზღვევს გადაუხადა.<sup>114</sup> მოყვანილ მაგალითში, პირველად და მეორად მოვალეს (სარემონტო კომპანიასა და მზღვეველს) შორის არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. თუმცა, მეორადი მოვალე სადაზღვევო ხელშეკრულების ძალით სამართლებრივად დაკავშირებულია კრედიტორთან. სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მეორადი მოვალე – მზღვეველი ასრულებს თავის ვალდებულებას დამზღვევის წინაშე, ხოლო შესრულების შემდეგ, სუბროგაციის ძალით, მზღვეველს ეძლევა უფლება, გახდეს დამზღვევის - საწარმოს უფლებამონაცვლე. უფლებებთან ერთად, მზღვეველზე გადადის დამზღვევის მოვალეობებიც.

ადსანიშნავია, რომ სუბროგაციის დროს, როდესაც ხდება პირველადი მოვალის შეცვლა მესამე პირის, მეორადი მოვალის მიერ, პირველად და მეორად მოვალეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს. ამასთან, მეორადი მოვალე არ არის პირველად მოვალესა და კრედიტორს შორის წარმოშობილი ურთიერთობის უშუალო მონაწილე, თუმცა, მეორადი მოვალე სამართლებრივად დაკავშირებულია კრედიტორთან, ანუ შესრულების მიმდებარება. სწორედ ასეთი ტიპის სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მიმართავენ სუბროგაციას, რომელიც ვალდებულების შემსრულებელ პირს შესაძლებლობას აძლევს დაიკავოს კრედიტორის ადგილი, ისარგებლოს მისი უფლებებით პირველადი მოვალის მიმართ და მოითხოვოს სანაცვლო ანაზღაურება.<sup>115</sup>

<sup>113</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 17; ასევე, BGHZ 79, 35; მთითოებულია: von Koppenfels-Spiels, in: Looschelders, Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §86, Rn. 2. ინვლისის სასამართლოების მიღებომა ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. წინამდებარე ნაშრომის თავში - სუბროგაციის დოქტრინა ინგლისურ სამართალში.

<sup>114</sup> Drew D., Lucurell, Subrogation, Adjusting Today, is published as a public service by Adjusters International, 2001, 1 ხელმისაწვდომია: <[http://www.adjustersinternational.com/ATpdf/3007\\_Subrogation.pdf](http://www.adjustersinternational.com/ATpdf/3007_Subrogation.pdf)>.

<sup>115</sup> Hasse A., Der Regress im Sozial - und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand der Gesamtschuld, Eine rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen und französischen Recht, Duncker und Humblot, Berlin, 1992, 73.

სუბროგაციის განხორციელებისას, წარმოიქმნება ურთიერთობების სისტემა სამ სუბიექტს - მზღვეველს, ზიანის გამომწვევ სუბიექტსა და დაზღვეულ პირს შორის. თითოეული სუბიექტისათვის სუბროგაციას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს<sup>116</sup> და შესაბამისად, თითოეულ მათგანთან დაკავშირებით სუბროგაციის მიზანიც განსხვავებულია.

### 3. სუბროგაციის მიზანი

განვითარებულ ქვეყნებში სუბროგაციის ინსტიტუტის შემოღებისას, უმთავრესი მოტივი, რომლითაც კანონმდებლები ხელმძღვანელობდნენ, სადაზღვევო ურთიერთობების გამარტივება, მხარეთა უფლებების დროული და ეფექტური დაცვა და სადაზღვევო სფეროს სწრაფი განვითარების ხელშეწყობა იყო. ყოველიგე ზემოაღნიშნულის მიღწევა დაკავშირებულია იმ ძირითად ფუნქციასთან და მიზანთან, რომლითაც სუბროგაციის ინსტიტუტი ხასიათდება.

ურთიერთობის მონაწილე თითოეული სუბიექტისთვის სუბროგაციის დოქტრინას განსხვავებული სპეციფიკა და მიზანი აქვს. პირველი მიზანი, რომელიც მზღვეველს უკავშირდება, სადაზღვევო საქმიანობისთვის სტაბილური პირობების შექმნა და საქმიანობის შეწყვეტის რისკის შემცირებაა. მეორე მიზანია ზიანის მიმყენებელზე გარკვეული დისციპლინური და აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა. ბოლო მიზანი კი, დამზღვევი, სარგებლის მიმღები პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებაა.<sup>117</sup>

#### 3.1. სუბროგაცია – სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სტაბილურობის გარანტი

განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო კომპანიების იურისტების საქმიანობის უდიდესი წილი სწორედ იმ პირების წინააღმდეგ სუბროგაციის თაობაზე სარჩელების წარდგენაზე მოდის, რომლებიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე არიან პასუხისმგებელი.<sup>118</sup> სადაზღვევო კომპანიების მიერ სუბროგაციის გზით მიღებული თანხა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სარგებლი, რომელიც საბოლოოდ, კომპანიის მოგებას ზრდის. სუბროგაციის შესაბამის მიზანს, რომელიც მზღვეველისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, “ეკონომიკური” მიზანი შეიძლება ეწოდოს.

<sup>116</sup> Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001, 2 ხელმისაწვდომია: <http://law.isu.ru/ru/science/vestnik/20014/kravcov.html>.

<sup>117</sup> იქვე, 3.

<sup>118</sup> ი. Федорова Т.А., Отв. ред. Основы страховой деятельности: Учебник, 1999, 625-626. მოთხოვებულია: Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001, 3 ხელმისაწვდომია: <http://law.isu.ru/ru/science/vestnik/20014/chebunin.html>.

### 3.1.1. ქრიტიკა

გამომდინარე იქიდან, რომ მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებისა და თავის თავზე აღებული რისკისთვის უკვე აქვს დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის სახით სათანადო ანაზღაურება მიღებული, ზოგიერთი მეცნიერი მზღვეველისთვის სუბროგაციის უფლების მინიჭებას კრიტიკულად აფასებს და მას გაუმართლებლად მიიჩნევს. ზიანის მიმყენებლისაგან სუბროგაციის ძალით უკუმოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში, მზღვეველს ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს იმაზე მეტი, ვიდრე, რეალურად, მის მიერ დამზღვევისთვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურებაა – კერძოდ, დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიისა და ზიანის მიმყენებლის მიერ მზღვეველისთვის გადახდილი თანხის ჯამი.<sup>119</sup> შესაბამისად, მზღვეველი შეიძლება უსაფუძვლოდ გამდიდრდეს. სწორედ აქედან გამომდინარე, სუბროგაციის დოქტრინის მოწინააღმდეგები მიიჩნევენ, რომ სუბროგაციის დაშვების შემთხვევაში, სახეზე გვექნება სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომლითაც მზღვეველი, რეალურად, არავთარი რისკის მატარებელი არ იქნება. კერძოდ, სადაზღვევო შეთხვევის არდადგომის პირობებში, ბუნებრივია, მზღვეველი არავის წინაშე არ იქნება პასუხისმგებელი, ხოლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მართალია, სადაზღვევო კომპანია დამზღვევს აუნაზღაურებს დამდგარ ზიანს, მაგრამ, მოგვიანებით, იგი დამზღვევისთვის გადახდილ თანხას, სუბროგაციის ძალით, ზიანის მიმყენებელი მესამე პირისაგან უკან დაიბრუნებს.<sup>120</sup>

მზღვეველის რისკის არარსებობა, თითქოს, ეჭვევეშ აუქნებს თავად სადაზღვევო საქმიანობის არსეს,<sup>121</sup> რომელიც, თავისი ბუნებით, სადაზღვევო კომპანიის მიერ ამა თუ იმ რისკზე პასუხისმგებლობის მოლიანად აღების პრინციპს ეფუძნება.<sup>122</sup>

ზემოაღნიშნული შეხედულებები მზღვეველის “არარისკიანობის“ და მით უმტეს, მის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული მოგების თაობაზე, თეორიული შეხედულებებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად, შეიძლება ლოგიკურად მივიჩნიოთ. თუმცა, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ანალიზი სრულიად სხვა სურათს აჩვენებს. კერძოდ, სუბროგაციული მოთხოვნები, რომელიც მზღვეველს გადახდილი თანხის სრულად დაბრუნების თეორიულ შესაძლებლობას აძლევს, არცთუ ხშირად არის რეალიზებადი. მაგალითად, რუსეთის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სუბროგაციული მოთხოვნების უმრავლესობა ავტოდაზღვევის ხელშეკრულებიდან

<sup>119</sup> Серебровский В.И. Избранные труды по наследственному и страховому праву. М.: Статут (в серии “Классика российской цивилистики”), 1997, 548.

<sup>120</sup> Ефимова Л. Страхование как способ обеспечения обязательств по кредитному договору// Хоз. и право. №7, 1994.

<sup>121</sup> Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001, 4 სემინარი: <<http://law.isu.ru/ru/science/vestnik/20014/chebunin.html>>.

<sup>122</sup> Castelli, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, 2. Auflage, 2011, §1, Rn. 10; Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, Vorbemerkung A. Rn. 16. სადაზღვევო რისკის თაობაზე ვრცლად იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი – “კერძო დაზღვევის არსი და მნიშვნელობა“.

გამომდინარეობს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კი, დაზღვევის ეს სახე ყველაზე წამგებიანია, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიების მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების 80% სწორედ ავტოდაზღვევაზე მოდის. თუ ზიანის გამომწვევი მესამე პირის ვინაობა ცნობილია, როგორც წესი, სასამართლო სუბროგაციის თაობაზე წარდგენილი სარჩელების 98%-ს აქმაყოფილებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მზღვეველი ზიანის მიმყენებლისგან თანხის მიღებას ყოველთვის ახერხებს. ერთ-ერთი იურიდიული კომპანიის იურისტის განცხადებით, სადაზღვევო კომპანია მოგებული საქმეების მხოლოდ 30%-დან ახერხებს თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.<sup>123</sup> ამის მიზეზი კი, ხშირად ის არის, რომ ზიანის გამომწვევი პირი გადახდისუუნაროა ან ზოგიერთ შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა შემცირებულია სასამართლოს მიერ.<sup>124</sup> სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანია, ზიანის მიმყენებელი სუბიექტის გათვალისწინებით, თავს იკავებს სასამართლოში სარჩელის წარდგენისაგან. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად სადაზღვევო კომპანიის იურისტი ასახელებს პენსიონერის მიერ აივნიდან შემთხვევით გადმოგდებული მძიმე საგნით ფოლკსვაგენის ტიპის ავტომობილის დაზიანებას. მოცემულ შემთხვევაში, კომპანიამ უარი განაცხადა ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენაზე იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ზიანის მიმყენებლის შემოსავალი მხოლოდ პენსია იყო. მზღვეველთა პოზიციის გასამყარებლად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მრავალ სადაზღვევო შემთხვევას ობიექტური მიზეზი აქვს – წყალდიდობა, ქარიშხალი, ჭექა-ჭუხილი და ა.შ., სადაც პასუხისმგებელი პირი საერთოდ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.<sup>125</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, მეორე არგუმენტი, რომელზეც სუბროგაციის დოქტრინის მოწინააღმდეგები აქტიურად აპელირებენ, მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხეს უკავშირდება. დამზღვევის, ზიანის მიმყენებლისა და მზღვეველის ურთიერთობაში კანონმდებელი ამ უკანასკნელს, ერთგვარად, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, იმ თვალსაზრისით, რომ იგი არის ბოლო, რომელიც ზიანის ანაზღაურებაზეა უფლებამოსილი. თუმცა, ეს გარემოება სრულიადაც არ მიუთითებს იმაზე, რომ პრივილეგირებას, ავტომატურად, მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრება მოჰყება.<sup>126</sup> მიუხედავად იმისა, რომ მზღვეველს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ეკისრება და მას ამისათვის შესაბამისი სადაზღვევო პრემიაც აქვს მიღებული,

<sup>123</sup> ი. Гришина Т., На службе регресса, Деньги. 2001. № 42, 24 окт. 40-41 ხელმისაწვდომია: <http://www.kommersant.ru/doc/288703>.

<sup>124</sup> რესერტის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1083-ე მუხლი.

<sup>125</sup> Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮРВестник № 4 – 2001, 4 ხელმისაწვდომია:

<http://law.isu.ru/ru/science/vestnik/20014/chebunin.html>.

<sup>126</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 17.

მზღვეველს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სუბროგაციის გზით უკან დაიბრუნოს ანაზღაურებული თანხა.

სუბროგაცია არ უნდა განვიხილოთ, როგორც ცალკე აღებული მოვლენა. შედეგობრივი თვალსაზრისით, სუბროგაციის გზით, პირველ რიგში, უნდა მოხდეს მზღვეველის ზარალის კოფიციენტის შემცირება, რამაც სადაზღვევო პრემიების ოდენობაზე უნდა იქონიოს გავლენა. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, დამზღვევის სასარგებლოდ უნდა აისახოს.<sup>127</sup>

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სუბროგაციის საქმეების დამუშავება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მაღალკვალიფიციურ კადრს მოითხოვს. მათვის გადახდილი შრომის ანაზღაურებისა და სუბროგაციული საქმეების დამუშავებაზე გაწეული მაღალი ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით, სუბროგაცია ვერ განიხილება ინსტიტუტად, რომელიც სადაზღვევო კომპანიას დიდ მოგებას მოუტანს.<sup>128</sup> შესაბამისად, მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხეზე საუბარი გადაჭარბებულია. მეტიც, სუბროგაციის მიზანი - ხელი შეუშალოს დამზღვევისა და მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრებას, იმდენად მკაფიოა, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სუბროგაციის გზით მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხის თაობაზე მეცნიერთა შორის შეკითხვაც კი არ გაჩენილა.<sup>129</sup>

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო პრაქტიკიდან და სტატისტიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, არ ღირს საუბარი სადაზღვევო საქმიანობის არარისკიანობასა და სუბროგაციის გზით მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხის არსებობაზე. ის, თუ რის მიღწევა სურს კანონმდებელს სუბროგაციის გზით, ცალსახად - არ დაუშვას ურთიერთობის რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება.

### 3.2. სუბროგაცია – ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობაზე ზემოქმედების სამართლებრივი საშუალება

სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურების შემდეგ, ჩნდება კითხვა, რა ურთიერთმიმართება არსებობს, ერთი მხრივ, ზიანის მიმყენებელი მესამე პირის მიმართ დამზღვევის მოთხოვნასა და მეორე მხრივ, დამზღვევის მიერ მზღვეველისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას შორის.<sup>130</sup> სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით, არსებობს ერთიანი

<sup>127</sup> ob. იქვე.

<sup>128</sup> ob. Gärtner R., Das Bereicherungsverbot, eine Grundfrage des Versicherungsrechts, Berliner Juristische Abhandlungen, 1970, 165 ff.

<sup>129</sup> შეად. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 17; Sieg K., Kumulation der Leistung, Regress und Subrogation in der privaten und in der staatlichen Versicherung, ZversWiss, 1973, 341; Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlerrechts, 8. Aufl. 1961, §67 Anm. 17.

<sup>130</sup> Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage. Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 3 ff.

մուսաթրյեա օմու տառօծանյե, րոմ թիւլցազելու մոյր դամիւլցազու կոմպենսուրյեօտ նունո ար յարվալցածա,<sup>131</sup> րաչ ծյունեծրուցուա. մարտալու, սշածրոցացու յրտ-յրտո շմտացրյեսո մոնանո որմագո յոմպենսացու այրմալցու գնու դամիւլցազու շսացվալո ցամֆուրյեծուցու ելու մշմլաձ,<sup>132</sup> մացրամ, ցարճա ամուսա, սշածրոցացու մոնենաց ուսեացս, ձասշենումցելուցուցան ար ցանտացուշովլցա նունու դագցոմանյ ձասշենումցելու սշմույկիո. յեսածամուսադ, րուցսաց սաժանցազ մշմտեցա մյեսամյ პորու մոյր արու ցամովշալո, թիւլցազելու մոյր դամիւլցազուցու նունու անանցայրյեա ար յարվալցած նունու դա մասնյ սածուու ձասշենումցելու սշմույկիո մյեսամյ პորու րիյեա. սբորյե յեժան ցամոմժոնարյ, նունու ցամոմվացու პորու “քածչա” ան մասնյ ցարկալցալո “ադմիրալցուուտու” նյցավլցենու մուցյենա մրացալո ազթորու մոյր սշածրոցացու սայցանծու մոնենաց մուհեցա.<sup>133</sup>

մյեցնոյրյեա սշածրոցացու արշեթու աշուլցելու սամարտլունու մուտեացնու ցամոմժոնարյ ասածուույց յեժան ցամուույց. յերմու, ուսուն մոյտուույց յեն, րոմ նունո, րուցլու յանկարյթալու პորու մոյր արու ցամովշալո, զու մոյրաց ար շնու մուցյեց դաժարալցելու ստցու ամ նունու յոմպենսուրյեա, սածուու չամմո, նունու ցամոմվացու პորու յոնցեծրու մուցոմարյունանյ շնու ասաեաու.<sup>134</sup> դաշմացելու, յրտու դա օգուց մարտլուսավոնաձմժց յմյեցելու սեցածասեց սամարտլցեծրու մյեցեց դագցես. սամարտլունու արոնցուու ցամոմժոնարյ, նունու մոմյյենցելու մոյշեցաց օմուսա, դանցալցալու ույ արա դաժարալցելու, տացու յմյեցեանյ ձասշեն տանածրաց շնու ացու. սբորյե ամ մոնենու ցամոմժոնարյ, միւլցազելու յմլցա շովլցա, իսանաւուու դամիւլցա մյեսամյ პորցետան յըրտոյրտունանու դա մատցան նունու անանցայրյեա մուտեացու.<sup>135</sup> ամ շնու, սշածրոցացու ցարկալցալու անյութրալցած դանցալցու օմ “սուսյեթյե”, րուցլու, յրտու մյեցացու, նունու անանցայրյեծուսա նունու մոմյյենցելու პորու սբոմշունուրյեանու ցլունցեա.

ցարճա ամուսա, ույ սացունես թիւլցազելսա դա դամիւլցա մորու յըրտոյրտունու յուրուլշո ցանցունուուց, սրուցու նաուլու, րոմ սաժանցազ პրյուսու ցագակուսա, դամիւլցա մոնանո մոմացալո արասասյրցելո րուկցենուցան տացու դացու դա արա մյեսամյ პորտա

<sup>131</sup> Quast K.H., der Ausschluss der Regressnahme von Privatversicherern und Sozialversicherungsträgern bei Schadenszufügungen unter Familienangehörigen (§67 VVG, 640 und 1542 RVO), Bonn, 1975, 72.

<sup>132</sup> BGHZ 79, 35; Bost, Das Quotenvorrecht des VN, VersR 2007, 1199, 1200 թուույցելու: von Koppenfels-Spiel, in: Looschelders, Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §86, Rn. 2; Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 1.

<sup>133</sup> Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮРВестник № 4 – 2001, 5 бյցմուսավորմու: <<http://law.isu.ru/ru/science/vestnik/20014/chebunin.html>>.

<sup>134</sup> Мусин В.А., Суброгация в советском гражданском праве, Советское государство и право, №7, 1976, 129.

<sup>135</sup> օբ. օյցա.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება წარმოადგენს.<sup>136</sup> სწორედ ეს არის სადაზღვეო სამართლის ძირითადი საფუძველი. მესამე პირთა პასუხისმგებლობის დაზღვევა, როგორც წესი, არ არის ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების საგანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთდროულად სახეზე იქნებოდა, ერთი მხრივ, ქონების დაზღვევა დამზღვევისთვის და მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის დაზღვევა ზიანის მიმყენებლი, მესამე პირისათვის.<sup>137</sup> როგორც წესი, სადაზღვეო ხელშეკრულებაში მსგავსი რისკის ჩართვა არ შედის დამზღვევ პირთა ინტერესში და დამზღვევს არც აქვს არავითარი საფუძველი, გადახდილი პრემიით დააფინანსოს მესამე პირთა რისკის დაზღვევა.<sup>138</sup> თუ მსგავსი ინტერესია სახეზე, მისი განხილვა სადაზღვეო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი სადაზღვეო ხელშეკრულებაში ჩართულია ხოლმე, როგორც თანადამზღვევი სუბიექტი ან ხელშეკრულების განმარტების ნაწილში მასზე მითითებულია, როგორც სუბიექტზე, რომლის მიმართაც სუბროგაციული მოთხოვნის უფლება გამორიცხულია.

### 3.2.1. კრიტიკა

აღსანიშნავია, რომ ზიანის მიმყენებლის სუბროგაციული მოთხოვნის მიზანშეწონილობის საკითხზე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არაურთვევაროვანი შეხედულებაა ჩამოყალიბებული.<sup>139</sup> ზოგიერთი მეცნიერი მის აუცილებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მიუთითებს, რომ მზღვეველის სუბროგაციულ უფლებაზე საუბარი მიზანშეწონილი არ არის იმ დროს, როდესაც მას, რეალურად, დამზღვევისთვის ფინანსური შედეგი არ მოჰყვება. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ არ დირს სამართლებრივი ინსტიტუტის გამართლება ამა თუ იმ სამართლებრივ პრინციპზე მითითებით იმ დროს, როდესაც მისი გამოყენება საკანონმდებლო მიზნებსა და სურვილებს ეწინააღმდეგება.<sup>140</sup>

კრიტიკის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სტატისტიკური მონაცემები სრულიად სხვა სურათს აჩვენებს. კერძოდ, სტატისტიკური მაჩვენებლების თანახმად, მზღვეველისათვის უკუმოთხოვნის უფლების მინიჭება ზოგიერთ სფეროში საგრძნობლად ამცირებს

<sup>136</sup> BGHZ 30, 40. 44; 11.7.1960 მითითებულია: Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage. Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 3.

<sup>137</sup> BGB 30.4.1959 BGHZ 30 40, 43 f. Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage, Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 4.

<sup>138</sup> Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage. Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 4. ასევე იხილეთ: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 17; BGHZ 79, 19.

<sup>139</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 17.

<sup>140</sup> Gärtner R., Das Bereicherungsverbot, eine Grundfrage des Versicherungsrechts, Berliner Juristische Abhandlungen, Berlin, 1970, 171.

სადაზღვევო პროდუქტის ფასს, რაც, საბოლოოდ, სწორედ დამზღვევის სასარგებლოდ აისახება.<sup>141</sup>

სუბროგაციის ზემოაღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ეს ინსტიტუტი არ უნდა იქცეს ზიანის მიმყენებლის მიმართ მხოლოდ “სადამსჯელო” დონისძიების გატარების საშუალებად. ამიტომ, მიზანშეწონილია გარკვეული სამართლებრივი მექანიზმის შემოღება, რომლითაც კანონმდებელი მზღვეველის მოთხოვნის უფლებას ზიანის მიმყენებლის მიმართ გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა შვედეთის გამოცდილების გაზიარება. კერძოდ, სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ შვედეთის კანონის მიხედვით, მზღვეველს სუბროგაციის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ მესამე პირის მიერ ზიანი გამოწვეულია განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით.<sup>142</sup> რაც შეეხება ზიანის გამოწვევას მარტივი გაუფრთხილებლობით, ასეთი შემთხვევებისთვის კანონმდებელი მზღვეველის სუბროგაციულ მოთხოვნას პირდაპირ გამორიცხავს.<sup>143</sup> აღნიშნულ საკანონმდებლო რეგულაციას იურიდიულ ლიტერატურაში იმ მოსაზრებაზე მითითებით ამართლებენ, რომ სუბროგაციას, გარდა ზემოთ აღწერილი მიზნებისა, გარკვეულწილად, ზიანის მიმყენებლის შემაკავებელი ფუნქციაც აკისრია. გამომდინარე იქიდან, რომ მარტივი გაუფრთხილებლობის დროს, პირი მოქმედებს არა მიზანმიმართულად, არამედ იგი შედარებით დაბალი ხარისხით არღვევს აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს,<sup>144</sup> ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბრალის ამ ფორმით ზიანის მიყენებისას, სუბროგაციამ ზიანის მიმყენებელზე შემაკავებელი გავლენა იქონიოს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზიანის მიმყენებელი, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ უმრავლეს შემთხვევაში, პასუხს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის პირობებში აგებს.<sup>145</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სუბროგაციის “სადამსჯელო” ფუნქცია შემოიფარგლოს მხოლოდ ისეთი შემთხვევებით, როდესაც მესამე პირის მიერ ზიანი გამოწვეულია განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით, ხოლო მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მზღვეველის სუბროგაციის უფლება უნდა შეიზღუდოს.<sup>146</sup>

<sup>141</sup> Begründung zu den Entwürfen eines Gesetzes über den Versicherungsvertrag, Berlin, 1906, 364.

<sup>142</sup> შვედეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი, 08/04/1927, 25-ე მუხლი.

<sup>143</sup> Gärtner R., Das Bereicherungsverbot, eine Grundfrage des Versicherungsrechts, Berliner Juristische Abhandlungen, Berlin, 1970, 171.

<sup>144</sup> ი. ზოიძე ბ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხელურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 386.

<sup>145</sup> ი. იქვე.

<sup>146</sup> ადსაბიშნავია, რომ ზიანის მიმყენებლის ბრალის საკითხები გერმანული სასამართლოები ბინის დამქირავებლის მიმართ სუბროგაციის უფლების გამოყენების დასაშვებობის საკითხის კონტექსტში მსჯელობენ. კერძოდ, პრაქტიკაში მუდმივი დავის საგანია სუბროგაციის უფლების გამოყენება ბინის იმ დამქირავებელთა მიმართ, რომლებიც ქირასთან ერთად, სადაზღვევო პრემიასაც იხდიან. გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ ჯერ კიდევ 1995 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც განმარტა, რომ ბინის დამქირავებელი არ არის სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართული, როგორც სადაზღვევო უფლებით მოსარგებლე პირი. შესაბამისად, ასეთი სადაზღვევო ხელშეკრულებები

#### 4. სუბროგაცია - სარგებლის მიმდები პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდების საშუალება

ინგლისის სასამართლოების არგუმენტი, რომლითაც სუბროგაციის დოქტრინის გამოყენება თავდაპირველად იქნა დასაბუთებული, სამართლიანობა იყო. კერძოდ, სასამართლოები მიუთითებდნენ, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე სუბროგაციის ძალით უფლებათა გადასვლა სამართლიანობის იდეას უფრქნებოდა. მოგვიანებით, სასამართლოები მიუთითებდნენ, რომ სუბროგაცია შეესაბამებოდა მხარეთა სავარაუდო განზრახვას და მიზანს. თუმცა, დღესდღეობით, სასამართლო პრაქტიკაშიც და ოურიდიულ ლიტერატურაშიც გაბატონებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სუბროგაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მხარეთა უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციაა.<sup>147</sup>

და მაინც, დასადგენია, როდის შეიძლება წარმოიშვას უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე და რაში ვლინდება სუბროგაციის როლი მისი აცილების თვალსაზრისით. დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე წარმოიშობა ისეთ სიტუაციებში, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით და დაზარალებულს ერთდროულად აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მზღვეველისგან და ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან. ასეთ დროს, ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა, რეალურად, დაზარალებულს, ერთი და იგივე ზიანისთვის ორმაგი კომპენსაცია მიიღოს.

სწორედ ამ კითხვას პასუხობს სუბროგაციის მესამე, ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი - “დამზღვევის შეკავება”. სუბროგაცია არის საშუალება, რომელიც დაზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების წყაროდ გადაქცევას უშლის ხელს.<sup>148</sup> ამგვარი ფაქტი იმ შემთხვევაში დადგება, თუ დამზღვევს, ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება მიიღოს ზიანის ორმაგი კომპენსაცია: ერთდროულად, ზიანის გამომწვევი პირისგან და სადაზღვევო ხელშეკრულების კონტრაგენტისგან – მზღვეველისგან.<sup>149</sup> უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი შეიძლება დადგეს მეორე შემთხვევაშიც,

---

ყოველთვის ბინის მესაკუთრის ინტერესების დაცვას ისახავს მიზანად. იხ. BGH VersR 1996, 329 ff. თუმცა, მოგვიანებით, გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ კვლავ იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სუბროგაციული მოთხოვნის უფლების განხორციელების საკითხი ზიანის გამომწვევი პირის ბრალის საკითხის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ შენობის დაზღვევის დროს ბინის დამქირავებლის მიმართ სუბროგაციის უფლება გამორიცხულია, თუ მან ზიანი მარტივი გაუფრთხილებლით გამოიწვია. BGHZ 145, 393; BGH VersR 2005. ასევე იხ. Meixner O., Steinbeck R., Allgemeines Versicherungsvertragsrecht, 2011, §86, Rn. 37 ff.

<sup>147</sup> Hawellek J., Die persönliche Surrogation, Eine vergleichende Untersuchung von Rechtsübergänge zu Regresszwecken in Deutschland, Spanien und England, Hamburg, 2010, 152.

<sup>148</sup> Schimikowski P., Grundrisse des Rechts, Versicherungsvertragsrecht, 4., neu bearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck München 2009, Rn. 353.

<sup>149</sup> Брагинский М.И., Договор страхования. М. Статут, 2000, 150.

როდესაც პირი სადაზღვევო ანაზღაურებას ნამდვილი სადაზღვევო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში მიიღებს.<sup>150</sup>

დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხეზე მსჯელობა ინგლისის სასამართლოებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს. საქმეზე Castellain v. Preston<sup>151</sup> ბინის მესაკუთრე ითხოვდა ხანძრის შედეგად მიუენებული ზიანის ორმაგ კომპენსაციას. სწორედ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა სუბროგაციის დოქტრინისთვის სახელმძღვანელო დოგმა – დამზღვევის ორმაგი კომპენსაციისა და უსაფუძვლო გამდიდრების დაუშვებლობის პრინციპი.<sup>152</sup>

აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც სუბროგაციის სამშობლოდ ითვლებიან, არ არსებობს ერთგვაროვანი შეხედულება სუბროგაციის პრინციპის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლის თაობაზე. ამასთან, ინგლისის სასამართლო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სუბროგაციის უფლების გამოყენება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს და იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული ზიანის ანაზღაურების ზოგად (საერთო) საშუალებად, რომელიც უკელა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება იქნეს გამოყენებული. სწორედ ამიტომ, სუბროგაციის დოქტრინის გამოყენებას პირდაპირ უკავშირებენ ისეთ შემთხვევებს, სადაც უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე შეიძლება არსებობდეს. აღნიშნულზე პირდაპირ მიუთითა ლორდმა დიპლოკმა გადაწყვეტილებაში Orakpo v. Manson Investments Ltd, სადაც აღინიშნა: “ვინაიდან სუბროგაცია არის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების საშუალება და ამასთან, ინგლისურ სამართალში არ არსებობს უსაფუძვლო გამდიდრების უნივერსალური ცნება, მიზანშეწონილია, მისი გამოყენების აუცილებლობაც ამ საკითხის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე დადგინდეს.<sup>153</sup> კერძოდ, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რამდენად არსებობს დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული სუბროგაციის დოქტრინა”.

დღესდღეობით, თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში და იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული, რომ სადაზღვევო შემთხვევა

<sup>150</sup> აღნიშნული ვითარება შეიძლება იმ შემთხვევაში იყოს სახეზე, თუ ერთი მზღვეველი მეორე მზღვეველით იცვლება და გაურკვეველია, რომელი მზღვეველს ეკისრებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. BGH 16.3.1997 VersR 1997, 1088, 1090. Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 82.

<sup>151</sup> Castellain v. Preston, Court of Appeal, 769-777, 1883 ხელმისაწვდომია: <<http://www.lexisnexis.com/hottopics/lnacademic/>>.

<sup>152</sup> ინგლისის სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით ის. წინამდებარე ნაშრომის თავში – “ინგლისის სასამართლო პრეცედენტები სუბროგაციის დოქტრინის თაობაზე”.

<sup>153</sup> Orakpo (Respondent) v. Manson Investments Ltd. [1978] A.C. 95 მითითებულია: Mitchell Ch., The Law of Subrogation, Clarendon Press Oxford, United States, 2004, 3.

დამზღვევისთვის სარგებლის მომტან მოვლენად არ უნდა იქცეს.<sup>154</sup> დაზღვეულმა უნდა მიიღოს მხოლოდ განცდილი ზიანის კომპენსაცია<sup>155</sup> და მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნახოს მოგება.<sup>156</sup> ზოგადი დათქმა საერთოა, როგორც გერმანული, ისე საერთო სამართლის ქვეყნებისთვის. ჯერ კიდევ 1883 წელს, ინგლისის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: “დაზღვევის ხელშეკრულება არის შეთანხმება კომპენსაციის და მხოლოდ და მხოლოდ კომპენსაციის თაობაზე”.<sup>157</sup> როდესაც ინგლისელი მეცნიერები და იურისტები ამ პრინციპზე მიუთითებენ, ისინი განმარტავენ, რომ კომპენსაციის ოდენობის შეზღუდვა მხოლოდ სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე პირების ურთიერთობაზე გრცელდება. კერძოდ, თუ დაზარალებული პირი საჩუქრის სახით მიიღებს დამატებით კომპენსაციას მესამე პირისაგან, ეს უსაფუძვლო გამდიდრებად არ უნდა ჩაითვალოს.<sup>158</sup> გარდა ამისა, ინგლისის სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უსაფუძვლო გამდიდრებად არ უნდა ჩაითვალოს ის ნამეტი თანხა, რომელიც დამზღვევს კომპენსაციის მიღების შემდეგ ამა თუ იმ მიზეზით დარჩება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ინგლისურ დოქტრინაში მეცნიერები ხშირად მიუთითებენ ინგლისის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე “იორკშირის” სადაზღვევო კომპანია “ნისბეტის” გადამზიდავი კომპანიის წინააღმდეგ.<sup>159</sup> აღნიშნულ საქმეში, საზღვაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეული გემი, რომლის მეპატრონესაც მზღვეველმა სრულად აუნაზღაურა დამდგარი ზიანი. ამასთან, დაზღვეულმა უჩივლა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევ გემის მეპატრონეს და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. გემის მეპატრონემ ზიანი სრულად აანაზღაურა კანადურ დოლარში, თუმცა, ფუნტი სტერლინგის დევალგაციის გამო, კანადური დოლარის ფუნტ სტერლინგში კონვერტირების დროს აღმოჩნდა, რომ თანხა მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის გადახდილ სადაზღვევო თანხას

<sup>154</sup> Hawellek J., Die persönliche Surrogation, Eine vergleichende Untersuchung von Rechtsübergänge zu Regresszwecken in Deutschland, Spanien und England, Hamburg, 2010, 152; Liebelt K.G., Aspekte der “Subrogation” im englischen Recht der Schadensversicherung, NZV 1993, 298; Rosch C., Der gesetzliche Forderungsübergang nach der Reform des Versicherungsvertragsrechts, Frankfurt am Main, 2009, §86, 37; Reichert-Facilides F., Helmut H., Principles of European Insurance Contract Law, (PEICL), Edited by the Drafting Committee: Basedow J., Birds J., Clarke M., Cousy H., Heiss H., in co-operation with Leander Loacker D., 2009, 258.

<sup>155</sup> Schimikowski P., Grundrisse des Rechts, Versicherungsvertragsrecht, 4., neu bearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck München 2009, Rn. 353.

<sup>156</sup> Handy P., Mccartny B., Subrogation - Principles and Practice, The Chartered Institute of loss adjusters, Beachcroft LLP 2010, 2. <http://www.cila.co.uk/files/Property/Principles%20and%20Practice.pdf>.

<sup>157</sup> Castellain v. Preston, Court of Appeal, 769-777, 1883, ხელმისაწვდომია: <http://www.lexisnexis.com/hottopics/lnacademic/> “Every contract of marine or fire insurance is a contract of indemnity, and of indemnity only, the meaning of which is that the assured in case of a loss is to receive a full indemnity, but is never to receive more. Every rule of insurance law is adopted in order to carry out this fundamental rule, and if ever any proposition is brought forward the effect of which is opposed to this fundamental rule, it will be found to be wrong.”

<sup>158</sup> Handy P., Mccartny B., Subrogation - Principles and Practice, The Chartered Institute of loss adjusters, Beachcroft LLP 2010, 2. ნებარი სადაზღვევო თანხას დამზღვევისათვის გადახდილ სადაზღვევო თანხას

<sup>159</sup> <http://www.cila.co.uk/files/Property/Principles%20and%20Practice.pdf>.

<sup>159</sup> Yorkshire Insurance Co. Ltd. v. Nisbet Shipping Co. Ltd. [1962] 2 Q.B. 330, 339-341.

ადემატებოდა. ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, დამზღვევი ვალდებული იყო მზღვეველისთვის დაებრუნებინა ზიანის მიმკენებლისგან მიღებული თანხა, მაგრამ, ამასთან, მას ჰქონდა უფლება, დაუტოვებინა ის თანხა, რომელიც ნამეტი სახით დარჩა. ამ შემთხვევაში, სასამართლომ დაცულად მიიჩნია კომპენსაციის შეზღუდვა და ჩათვალა, რომ ეს არ წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრებას.<sup>160</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სუბროგაციის პრინციპის მიზანი მხოლოდ დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვით არ შემოიფარგლება. სუბროგაცია არის საშუალება, რომლითაც კანონმდებელი ცდილობს აღკვეთოს დაზღვევის გადაქცევა უსაფუძვლო გამდიდრების წყაროდ ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარისთვის. სწორედ ეს არის ზიანის მიმკენებელი მესამე პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების დაუშვებლობის ერთ-ერთი საკვანძო მიზანიც.<sup>161</sup>

სუბროგაციის დოქტრინის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი – დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდება ცალსახად აღიარებულია ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაშიც. ამას მოწმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინებაც, სადაც სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ მესამე პირისაგან სსკ-ის 832-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიზანად ისახავს, როგორც დამზღვევის, ისე მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას.<sup>162</sup>

## 5. სუბროგაციის წარმოშობის საფუძვლები

### 5.1. სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი

სადაზღვევო სამართლის კონტექსტში, აზრთა სხვადასხვაობაა სუბროგაციის უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლის თაობაზე. თანამედროვე შეხედულების მიხედვით, სუბროგაცია შეიცავს როგორც სახელშეკრულებო, ისე სამართლიანობის პრინციპის ელემენტებს.<sup>163</sup> სუბროგაციის დოქტრინის ბუნების გაგება პრინციპული მნიშვნელობისაა. კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რა არის სუბროგაციის უფლების წარმოშობის

<sup>160</sup> Handy P., Mccartney B., Subrogation - Principles and Practice, The Chartered Institute of loss adjusters, Beachcroft LLP 2010, 2. <http://www.cila.co.uk/files/Property/Principles%20and%20Practice.pdf>.

<sup>161</sup> ადნიშნულ საკითხებზე კრილად იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი – “სუბროგაცია – ზიანის მიმკენებელ პირზე ზემოქმედების სამართლებრივი საშუალება”.

<sup>162</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის № ას-663-624-2011 განჩინება. 2012 წლის გადაწყვეტილებათა კრებული 11, 72 ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf>.

<sup>163</sup> Banque Financier de la Cite v. Parc (Battersea) Ltd (1999) 1 AC 221; Woodside Petroleum Development Pty Ltd v. H&R – E&W pty Ltd (1999) 20 WAR 380. მითითებულია: Skinner M., Coss J., Subrogation, Allens Arthur Robinson, პრეზენტაცია წარმოდგენილი ფორუმზე დაზღვევისა და გადაზღვევის შესახებ, 2006 წლის 7 ივნისი, 5 ხელმისაწვდომია: <http://www.allens.com.au/pubs/pdf/insur/pap7jun06.pdf>.

წყარო, მისი მოქმედების ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს ან გაფართოვდეს.<sup>164</sup>

ზოგადად, სუბროგაციის წარმოშობის ორ საფუძველს გამოყოფენ. პირველი საფუძველია ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, სახეზეა “ჩვეულებრივი სუბროგაცია” და იგი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სადაზღვევო პოლისი შეიცავს სპეციალურ პირობას, დათქმას, რომლის თანახმადაც მზღვეველს სუბროგაციის უფლება ენიჭება.<sup>165</sup> მაგალითად, აღნიშნული პირობა შემდეგი სახით შეიძლება იყოს განსაზღვრული: “თუ ჩვენ - სადაზღვევო კომპანია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ ზარალს ავუნაზღაურებთ დაზღვეულ პირს და მას, თავის მხრივ, ექნება სამართლებრივი უფლება, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ზიანის გამომწვევი პირისაგან, მაშინ ამ ურთიერთობაში დაზარალებული პირის ადგილს დავიკავებთ ჩვენ, ანუ სადაზღვევო კომპანია”.<sup>166</sup>

სუბროგაციის წარმოშობის მეორე საფუძველია კანონის მითითება. კანონის ძალით სუბროგაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც “ხელშეკრულებაში არ გვხვდება მითითება სუბროგაციის უფლების მინიჭების თაობაზე”.<sup>167</sup> ვინაიდან ასეთი სუბროგაცია კანონის ძალით წარმოიშობა, მას ზოგჯერ “იურიდიულ ან კანონისმიერ სუბროგაციასაც უწოდებენ”.<sup>168</sup>

სუბროგაციის უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი ქვეყნების მიხედვითაც განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა უპირატესობას კანონის ძალით სუბროგაციას ანიჭებს. ამ ტიპის სუბროგაციის დროს, მზღვეველზე მოთხოვნის უფლების გადასვლა, როგორც წესი, “ავტომატურად”, კანონის ძალით ხორციელდება. ასეთ დროს, მხარეთა იურიდიული შეთანხმება - ხელშეკრულების გაფორმება საჭირო არ არის.<sup>169</sup> ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება, მაგალითად, შვეიცარია,<sup>170</sup>

<sup>164</sup> Skinner M., Coss J., Subrogation, Allens Arthur Robinson. პრეზენტაცია წარმოდგენილი ფორუმზე დაზღვევისა და გადაზღვევის შესახებ, 2006 წლის 7 ივნისი, ხელმისაწვდომია: <http://www.allens.com.au/pubs/pdf/insur/pap7jun06.pdf>.

<sup>165</sup> Pickar E.J., Westfield insurance company, inc. vs. Rowe: The South Dakota Supreme Court rejects the Common law "Made whole" doctrine on a property insurance Subrogation Claim, South Dakota Law Review, Vol. 47, Issue 2, 316-143, 2002, REV. 316. ხელმისაწვდომია: [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sdlr47&div=20&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=Pickar,%20Eric%20J.&type=matchall](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sdlr47&div=20&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=Pickar,%20Eric%20J.&type=matchall).

<sup>166</sup> The Case against subrogation ხელმისაწვდომია: <http://www.umt.edu/law/files/munro/The%20Case%20Against%20Subrogation.pdf>.

<sup>167</sup> Pickar E.J., Westfield insurance company, inc. vs. Rowe: The South Dakota Supreme Court rejects the Common law "Made whole" doctrine on a property insurance Subrogation Claim, South Dakota Law Review, Vol. 47, Issue 2, 316-143, 2002, REV. 316. ხელმისაწვდომია: [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sdlr47&div=20&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=Pickar,%20Eric%20J.&type=matchall](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sdlr47&div=20&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=Pickar,%20Eric%20J.&type=matchall).

<sup>168</sup> ი. იქვე.

<sup>169</sup> Мусин В.А., Суброгация в советском гражданском праве, Советское государство и право, №7, 1976, 129.

<sup>170</sup> შეად. შვეიცარიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ 1908 წლის 2 აპრილის კანონი, 72-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: <http://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/1908008/index.html>.

საფრანგეთი, გერმანია.<sup>171</sup> ადსანიშნავია, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სუბროგაციას, ნაცვლად ტერმინი “სუბროგაციისა”, კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემად მოიხსენიებენ,<sup>172</sup> რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გერმანიაში მისი წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს.

სახელმწიფოებს, რომლებიც იცნობენ სუბროგაციის წარმოშობას, როგორც ხელშეკრულების, ისე კანონის საფუძველზე, ძირითადად, ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნები მიეკუთვნება. მაგალითად, ინგლისურ სამართლში პირდაპირ არის მითითებული, თუ წინასწარ რაზე უნდა შეთანხმდნენ მსარეები იმისათვის, რომ შემდგომში მზღვეველს, სუბროგაციის უფლების განხორციელების თვალსაზრისით, დაბრკოლება არ შეექმნას. სწორედ ანგლო-ამერიკული სამართლის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ინგლისურ დოქტრინაში ერთმანეთისაგან სუბროგაციის ორ სახეს გამოყოფენ: ჩვეულებრივ, ანუ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილ და კანონის ძალით სუბროგაციას. დიდ ბრიტანეთში კანონის ძალით სუბროგაციას “equitable subrogation-ს”, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში – “statutory subrogation-ს” უწოდებენ. აღნიშნული სახელწოდებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დიდ ბრიტანეთში სუბროგაციას საფუძვლად უდევს სამართლიანობის პრინციპი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში - კანონი.<sup>173</sup>

ქართველმა კანონმდებელმა ევროპული ქვეყნების გამოცდილება გაიზიარა და სუბროგაციის უფლების წარმოშობას საფუძვლად კანონი დაუდო. კერძოდ, იმისათვის, რომ სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ მზღვეველს წარმოეშვას სუბროგაციის უფლება, მხარეთა წინასწარი შეთანხმება ან სხვა რაიმე ფორმალობის დაცვა სავალდებულო არ არის. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამზღვევის უფლებას, უარი თქვას მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე.<sup>174</sup> დამზღვევს შეუძლია აღნიშნული უარი სადაზღვევო შემთხვევის დაგვომის შემდეგაც განაცხადოს. ბუნებრივია, დამზღვევის უარი უფლების განხორციელებაზე ავტომატურად აისახება მზღვეველის სუბროგაციულ უფლებაზეც. სწორედ ამიტომ, მზღვეველის ინტერესების გათვალისწინებით, სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დამზღვევის მიერ მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რაც მას სუბროგაციის უფლების განხორციელების შემთხვევაში შეიძლება მიეღო.

<sup>171</sup> შეად. გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ 1908 წლის 30 მაისის კანონი. კანონის ახალი რედაქციის 86-ე პარაგრაფი. ბოლო ცვლილება ძალაში შევიდა 2008 წლის 1 იანვარს.

<sup>172</sup> ი. მაგ. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 143; Langheid, in: Römer/Langheid/Rixecker, Versicherungsvertragsgesetz, 2.Aufl. 2003, § 67, Rn. 1 ff.

<sup>173</sup> Щербакова А.Ю., Понятие и природа суброгации, Юрист, М. № 9, 2008, 49.

<sup>174</sup> შეად. სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, განსხვავებით, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსისაგან,<sup>175</sup> სსკ-ი სუბროგაციის თაობაზე მხარეთა კანონისგან განსხვავებული შეთანხმების შესაძლებლობაზე პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ კანონის ლოგიკური განმარტება<sup>176</sup> ცხადყოფს, რომ დამზღვევის ნებით მზღვეველის სუბროგაციის უფლების შეზღუდვა სავსებით შესაძლებელია. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ როდის უნდა განაცხადოს დამზღვევმა თავის უფლებაზე უარი მესამე პირის მიმართ, შეიძლება, მსგავსად, მაგალითად, ესპანური პრაქტიკისა,<sup>177</sup> დამზღვევმა ეს უფლება უშუალოდ სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას გამოიყენოს. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ სსკ-ის მიხედვით, მზღვეველის სუბროგაციის უფლება, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, არა კანონზე, არამედ დამზღვევის ნებაზეა დამოკიდებული.

თუ გავითვალისწინებთ სუბროგაციის დოქტრინის თავისებურებას, რომელიც მის “ავტომატურ” ხასიათში ვლინდება, გაუგებარია, თუ რატომ უკავშირებს ქართველი კანონმდებელი მზღვეველის სუბროგაციის უფლებას დამზღვევის ნებას. ამასთან, იმის გათვალისწინებოთ, რომ სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი, დამზღვევის ობიექტური ინტერესიდან გამომდინარე, პირდაპირ გამორიცხავს სუბიექტთა კონკრეტული წრის მიმართ სუბროგაციის უფლებას,<sup>178</sup> გაურკვეველია, თუ რა მიზანს ემსახურება კანონმდებლის მიერ დამზღვევისთვის საკუთარ მოთხოვნაზე უარის თქმის უფლების მინიჭება და ამით, მზღვეველის სუბროგაციის უფლების შეზღუდვა. კანონმდებლის მიზანს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ის გარემოება, რომ, რეალურად, დამზღვევის უარი მესამე პირის მიმართ თავისი მოთხოვნის უფლების განხორციელებაზე არც მზღვეველისთვის და არც თავად დამზღვევისთვის არ არის რაიმე მოგების თუ სარგებლის მომტანი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მსგავსად გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფისა, სსკ-ის 832-ე მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ მიეთითოს მზღვეველის სუბროგაციის უფლების იასო ჯურე, კანონის ძალით წარმოშობის თაობაზე და შეიზღუდოს დამზღვევის მიერ მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე უარის თქმის უფლება. რა თქმა უნდა, სადაზღვევო ხელშეკრულების მხარეებს უნდა შეეძლოთ, უშუალოდ

<sup>175</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 965-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლება გადადის იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული”. კანონი მიღებულია 1996 წლის 26 იანვარს.

<sup>176</sup> კანონის ლოგიკური განმარტება ესწრაფვის განსაზღვროს კანონის აზრი და მიზანი, სამართლის ნორმების ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, დაადგინოს ცალკეული ნორმის აზრი და განსაკუთრებულობა. კანონის განმარტების შესახებ ვრცლად იხ. თოთლაძე ლ., გაბრიაძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე გ., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ. 2012, 243-244.

<sup>177</sup> შეად. ესპანეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ 1980 წლის კანონი, 42-ე მუხლი.

<sup>178</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი – სუბროგაციის დაუშვებლობა დამზღვევის ოჯახის წევრის მიმართ“.

სადაზღვევო ხელშეკრულებით დეტალურად განსაზღვრონ ის უფლება-მოვალეობები, რომელიც მათ სუბროგაციის რეალიზაციის პროცესში წარმოქმობათ (მაგალითად, დამზღვევის ვალდებულება მზღვეველს გადასცეს თავისი სასარჩელო მოთხოვნები და უზრუნველყოფის საშუალებები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს ამ უფლებების რეალიზაციის პროცესში და ა.შ.). თუმცა, ეს არავითარი ფორმით არ უნდა აისახოს მზღვეველის სუბროგაციის უფლებაზე.

## 5.2 სუბროგაციის წარმოშობის ფორმალური საფუძველი

სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივ საფუძველზე საუბრისას, აღინიშნა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა სუბროგაციას კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადასვლად განიხილავს და მის წარმოშობას არა მხარეთა შეთანხმებას, არამედ კანონს უკავშირებს. თუმცა, განსხვავებით ამ საკითხისაგან, ერთიანი მიდგომა არ არის ჩამოყალიბებული კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადასვლის ფორმალურ მხარესთან დაკავშირებით, კერძოდ, იმის შესახებ, თუ რა მექანიზმით, რა ფორმალობის დაცვით ხორციელდება მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლა.

მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის მექანიზმი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით სხვადასხვაგვარად არის მოწესრიგებული. მაგალითად, ინგლისელი მეცნიერები შესაძლებლად მიიჩნევს, მზღვეველმა დაიკავოს ფიქციის ძალით დაზარალებული დამზღვევის (subrogator) ადგილი (subrogatee) და მოიპოვოს უფლება, დამზღვევის ნაცვლად მოითხოვოს გადახდილის უკან დაბრუნება.<sup>179</sup> გერმანელ კანონმდებელს კი, ინგლისურ მიდგომასთან შედარებით, მკაცრი სამართლებრივი ოეგულაცია აქვს დაწესებული. კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვის მეტი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, კანონმდებელი კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემაზე მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედ ნორმებს ავრცელებს<sup>180</sup> და ამით, კანონის ძალით მოთხოვნის დათმობას მკაცრ ფორმალურ ჩარჩოებში აქცევს.<sup>181</sup> კანონის ძალით მოთხოვნის გადაცემისთვის კანონმდებელი აუცილებლად მიიჩნევს გსკის 403-ე პარაგრაფის დაცვას, რომელიც თავდაპირველი კრედიტორის მიერ ახალი კრედიტორისთვის მოთხოვნის დათმობის თაობაზე დამოწმებული დოკუმენტის გადაცემას ითვალისწინებს. დამოწმებაში გერმანელი კანონმდებელი გულისხმობს თვიციალურ დამოწმებას სანოტარო წესით.<sup>182</sup> აქედან გამომდინარე, გერმანულ სამართალში სუბროგაციის უფლების

<sup>179</sup> Veal G.R., Subrogation: The Duties and Obligations of the Insured and Rights of the Insurer Revisited, HeinOnline, Tort & Insurance Law Journal, Volume XXVIII, Number 1, Fall, 1992, 70.

<sup>180</sup> შეად. გსკის 412-ე პარაგრაფი.

<sup>181</sup> კანონის ძალით მოთხოვნის დათმობის მიმართ გამოიყენება გსკის 399-404-ე და 406-410-ე პარაგრაფები, გარდა გსკის 405-ე პარაგრაფისა, რომელიც დოკუმენტის წარდგენით მოთხოვნის დათმობას ეხება. ვრცელად იხ. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 63.

<sup>182</sup> Roth, in: Säcker/Rixecker, Münchener Kommentar zum Bürgelichen Gesetzbuch, 6. Auflage, 2012, §403, Rn. 2. საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. Schulze, in: Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 8. Auflage, 2014, §410, Rn. 1.

განხორციელების აუცილებელი პირობა უფლების მფლობელის - დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის ოფიციალური დოკუმენტის გადაცემაა. ანალოგიური ფორმალობის დაცვაა საჭირო მოვალესთან მიმართებითაც. კერძოდ, გსკ-ის 410-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალეს ახალი კრედიტორის წინაშე ვალდებულება წარმოქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვალეს ახალი კრედიტორის მიერ მოთხოვნის დათმობის შესახებ ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტი გადაეცემა. აღნიშნულის განხორციელებამდე, გსკ-ის 407-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ თავდაპირველი კრედიტორის წინაშე განხორციელებული შესრულება ნამდვილად ითვლება.

საქართველოს კანონმდებლობა, მსგავსად გერმანულისა, კანონის ძალით მოთხოვნის დათმობის მიმართ უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შექნის შესახებ ნორმების გამოყენებას ითვალისწინებს.<sup>183</sup> კერძოდ, მსგავსად გსკ-ის 403-ე პარაგრაფისა, სსკ-ის 198-ე მუხლიც მოთხოვნის დათმობისათვის თავდაპირველი კრედიტორის მიერ ახალი კრედიტორისათვის სათანადო წესით დამოწმებული საბუთის გადაცემას მოითხოვს. განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს ახალი კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ მოვალის ოფიციალური შეტყობინების ვალდებულებას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოვალის შეტყობინებამდე, მის მიერ თავდაპირველი კრედიტორის წინაშე განხორციელებული ნებისმიერი შესრულება ნამდვილ შესრულებად ითვლება,<sup>184</sup> სავარაუდოდ, კანონმდებელი გულისხმობს, რომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ასეთი შეტყობინება ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის მიერ აუცილებლად განხორციელდება. იმის გათვალისწინებით, რომ შეტყობინების ფორმაზე კანონმდებელი სპეციალურ მითითებას არ აკეთებს, იგულისხმება, რომ მოვალის ზეპირი შეტყობინება ნამდვილად ითვლება.

სწორედ შეტყობინებაა ის ფაქტი, რომელსაც კანონმდებელი ახალი კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულების ავტომატურ წარმოშობას უკავშირებს.<sup>185</sup> თუმცა, ამ საკანონმდებლო დანაწესობან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიღებობა არსებობს. კერძოდ, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ მოვალის ვალდებულების წარმოშობისათვის რამდენად საკმარისია მზღვეველის ან დამზღვევის მიერ უფლებამონაცვლეობის შესახებ მოვალის მხოლოდ ზეპირი შეტყობინება, რამდენად დაცულია ასეთ დროს მოვალის ინტერესი, აგრეთვე მოვალის კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამოქალაქო ბრუნვის მეტი სტაბილურობისათვის ხომ არ არის საჭირო დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციის შემოღება. ალბათ, სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა გერმანელი კანონმდებელი,<sup>186</sup> როდესაც გსკ-ის 410-ე

<sup>183</sup> შეად. სსკ-ის 207-ე მუხლი.

<sup>184</sup> შეად. სსკ-ის მე-200 მუხლი.

<sup>185</sup> შეად. იხ. იქვე.

<sup>186</sup> Schulze, in: Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 8. Auflage, 2014, §410, Rn. 1.

პარაგრაფით იმპერატიულად განსაზღვრა მოვალის მიერ ახალი კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულება მხოლოდ თავდაპირველი კრედიტორის მიერ გაცემული მოთხოვნის დათმობის დოკუმენტის მისთვის გადაცემის სანაცვლოდ.<sup>187</sup> სრულიად ლოგიკურია, რომ მოვალეს აქვთ უფლება, მიიღოს ოფიციალური დადასტურება დამზღვევის მიერ ახალი კრედიტორისთვის – მზღვეველისთვის მოთხოვნის გადაცემის თაობაზე, ასევე მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მზღვეველსა და დამზღვევს შორის არსებული სადაზღვევო ურთიერთობის შესახებ, რადგან მზღვეველის სუბროგაციის უფლებას სწორედ სადაზღვევო ურთიერთობა უდევს საფუძვლად. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სადაზღვევო პრაქტიკაში უფლებამონაცვლეობა, როგორც წესი, ავტომატურად ხორციელდება და ხშირ შემთხვევაში, მხარეთა შორის არ დგება არავითარი დოკუმენტი, რომელიც სამომავლოდ მოვალის მიერ ახალი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებას განაპირობებს, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ ურთიერთობაში მოვალის, ე.წ. “სუსტი მხარის” ინტერესების დაცვა. დღესდღეობით, კანონმდებელი დაცვის არავითარ მექანიზმს არ გვთავაზობს.

მოვალის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ქართველმა კანონმდებელმა გაითვალისწინოს გერმანული სამართლის გამოცდილება და იმპერატიულად განსაზღვროს უფლებამონაცვლეობის თაობაზე მოვალის ოფიციალური შეტყობინების ვალდებულება.<sup>188</sup> ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მზღვეველის სუბროგაციის უფლებას საფუძვლად მზღვეველსა და დამზღვევს შორის ურთიერთობა უდევს, მესამე პირს - მოვალეს უნდა მიეცეს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მათ შორის არსებული სადაზღვევო ურთიერთობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სსკ-ის 832-ე მუხლი დისპოზიციური ხასიათისაა და ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, დამზღვევს უფლება აქვს უარი თქვას მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე, რაც მზღვეველის სუბროგაციის უფლებას გამორიცხავს, დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება სწორედ ასეთ შეზღუდვას ითვალისწინებდეს. შესაბამისად, მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურება მზღვეველს შეიძლება ავტომატურად არ ანიჭებდეს სუბროგაციის უფლებას. დაზღვევის ხელშეკრულების გაცნობა მოვალეს, ასევე, მისცემს შესაძლებლობას, დაადგინოს, ხომ არ ჰქონდა მზღვეველს დაზღვეულისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება, იყო თუ არა დაზიანებული ქონება სრულად დაზღვეული და ა.შ. ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე მოვალის წვდომა მნიშვნელოვანია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში სადაზღვევო (სფეროში) საქმიანობის ერთიანი და მყარი სიტემა ჩამოყალიბებული არ არის, მნიშვნელოვანია, კანონმდებლის მიერ დეტალურად დარეგულირდეს და გაიწეროს თითოეული მხარის უფლება-

<sup>187</sup> Stürner, in: Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch, 15. Auflage, 2014, §410, Rn. 1.

<sup>188</sup> შეად. გსკ-ის 407-ე და 409-410-ე პარაგრაფები.

მოვალეობა. მოვალეს უნდა მიეცეს არა მხოლოდ მზღვეველსა და დამზღვევს შორის არსებული ურთიერთობის გაცნობის, არამედ მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების მართლზომიერების შემოწმების საშუალებაც. აღნიშნულის აუცილებლობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საკმაოდ ხშირია მოვალეების პრეტენზია სადაზღვევო კომპანიების მიერ ზიანის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების არარაციონალურობისა და რეალურ ზიანთან შეუსაბამობის თაობაზე.

მაგალითად, სადაზღვევო კომპანიები ხშირად დებენ გრძელვადიან ხელშეკრულებას სხვადასხვა მომსახურე კომპანიებთან სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის შეკეთების თაობაზე. მომსახურე კომპანიები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ სადაზღვევო კომპანიებისგან, ხოლო თავად სადაზღვევო კომპანიები, სუბროგაციის უფლების განხორციელებით დაიმედებულები, ნაკლებად არიან დაინტერესებული სადაზღვევო ანაზღაურების რეალური ხარჯთაღრიცხვის წარმოებით. არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ავტომობილის შესაკეთებლად გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის კონტროლი. საბოლოოდ, მთელი ეს ჯაჭვი მიდის კერძო პირებამდე – მოვალეებამდე, რომელთაც კანონმდებელი დაცვის არავითარ მექანიზმს არ სთავაზობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მოვალეს მიეცეს სუბროგაციის საფუძვლად არსებული სამართლებრივი დოკუმენტის – ხელშეკრულების გაცნობის უფლება და სუბროგაციის ავტომატურმა ხასიათმა არ შეზღუდოს მოვალის კანონიერი ინტერესი. ასევე, მოვალეს უნდა მიეცეს უფლება, გადაამოწმოს მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა და იგი რეალურ საბაზო ღირებულებას შეადაროს. ოუ გავითვალისწინებო იმ გარემოებასაც, რომ სუბროგაცია არსებული დელიქტური უფლება-მოვალეობის ახალ მხარეებზე უცვლელად გადასვლას გულისხმობს, მოვალის ამ უფლების სამართლიანობა სრულიად უდავოა. კერძოდ, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, მოვალეს ექნებოდა სრულიად კანონიერი უფლება, გაეკონტროლებინა დაზარალებულის, იგივე კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა. ამასთან, უსაფუძვლოდ გაწეული დანახაბრჯის შემთხვევაში, მას ექნებოდა უფლება, უარი ეთქვა მის ანაზღაურებაზე.

## 6. მესამე პირი სუბროგაციის მიზნებისათვის

მზღვეველზე სუბროგაციული მოთხოვნის უფლების გადასვლისათვის მნიშვნელოვანია სამი წინაპირობა. პირველი, უნდა არსებობდეს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მეორე, აღნიშნული მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს მესამე პირისკენ და მესამე, მზღვეველს დამზღვევის

წინაშე შესრულებული უნდა პქონდეს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.<sup>189</sup>

კანონმდებლი გადასვლაუნარიანად მიიჩნევს ყველა მოთხოვნას, რომელიც “მესამე პირის” მიმართ არსებობს. საკითხი, თუ ვინ არის მესამე პირი სუბროგაციის მიზნებისათვის, თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლის მიერ ღიად არის დატოვებული. იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, მესამე პირი კონკრეტული დაზღვევის ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე უნდა განისაზღვროს.<sup>190</sup> მესამე პირის განმარტების ზოგად ფორმულირებას იძლევა გერმანიის ნორდრაინ-ვესტფალიის მიწის ჰამის უმაღლესი სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების თანახმად, მესამე პირი არის სუბიექტი, რომლის ინტერესიც არ არის კონკრეტული დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეული,<sup>191</sup> ანუ ყველა ის პირი, რომელიც იმავე სადაზღვევო ურთიერთობის ფარგლებში, საიდანაც მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოიშვას, არ არის უფლებამოსილი სუბიექტი.<sup>192</sup>

იმის გასარკვევად, თუ ვისი ინტერესია ხელშეკრულებით დაზღვეული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება დროის, შინაარსისა და მატერიალურ-სამართლებრივი ფარგლების მიხედვით. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსის განმარტების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეულია არა დამზღვევის, არამედ სხვა პირის ინტერესი, ანუ სახეზეა დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ.<sup>193</sup> შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, შესაძლოა, უშუალოდ დამზღვევი აღმოჩნდეს სწორედ ის მესამე პირი, რომლის მიმართაც მზღვეველს სუბროგაციის განხორციელების უფლება შეიძლება წარმოეშვას.<sup>194</sup>

ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მესამე პირებს, სუბროგაციის მიზნებისათვის, მიეკუთვნებიან ის სუბიექტები, რომლებიც სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, არ არიან დამზღვევები ან დაზღვეულები.<sup>195</sup> თუმცა, აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, ზოგიერთ

<sup>189</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 15.

<sup>190</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen, München, Band I, 2010, §86. Rn. 109.

<sup>191</sup> OLG Hamm VersR 1989, 36.

<sup>192</sup> Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einfluss des Versicherungsvermittlers, 8. Auflage, 1961, §67, Rn. 37.

<sup>193</sup> Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 68.

<sup>194</sup> Möller/Segger, in Langheid/Wandt, Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen, München, Band I, 2010, §86, Rn. 110.

<sup>195</sup> Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, 1999, Berlin und Heidelberg, §67, Rn. 51; Prölss, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz: VVG, 27. Auflage, 2004, §67, Rn. 12.

შემთხვევაში, ცალკეული სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებამ სრულიად სხვა სურათი შეიძლება აჩვენოს.

სწორედ სადაზღვევო ხელშეკრულებების განმარტებისა და დანერგილი პრაქტიკის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მესამე პირი, რომლის მიმართაც სუბროგაციული მოთხოვნის განხორციელებაა შესაძლებელი, შეიძლება იყოს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ მდგომი ნებისმიერი სუბიექტი,<sup>196</sup> მათ შორის დამზღვევი, რომლის ინტერესიც სადაზღვევო ხელშეკრულებით არ არის დაზღვეული (როდესაც სახეზეა დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ)<sup>197</sup> ან თანადაზღვეული.<sup>198</sup>

## 6.1. დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ

სუბროგაციის მიზნებისათვის, მესამე პირის დადგენა უოველთვის სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსის განმარტების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. სადაზღვევო ურთიერთობებში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, ხშირად, მესამე პირად მოიხსენიება არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტი – მოვალე, არამედ უშუალოდ სადაზღვევო ხელშეკრულებით მოსარგებლე სუბიექტიც, ანუ პირი, რომელიც “დაზღვევის შესახებ” კანონის თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზეა უფლებამოსილი.<sup>199</sup> ტერმინ მესამე პირს, უმეტეს შემთხვევაში, ისეთ სადაზღვევო ურთიერთობებში იყენებენ, სადაც დაზღვევის ხელშეკრულებით არა დამზღვევის, არამედ სხვა პირის ინტერესია დაზღვეული. სწორედ დამზღვევისა და სარგებლის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ერთმანეთისაგან გასამიჯნად გამოიყენება ტერმინი მესამე პირი, რომელიც არ უნდა იქნეს აღქმული და გაიგივებული სსკ-ის 832-ე მუხლის პირველ ნაწილში მოხსენიებულ იმ მესამე პირთან, რომლის მიმართაც მზღვეველს სუბროგაციის უფლება შეიძლება წარმოეშვას. სწორედ ამგვარი უზუსტობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, სხვა პირის სასარგებლოდ დადგებული დაზღვევის ხელშეკრულების თავისებურებებისა და მისი მხარეების უფლება-მოვალეობების გაანალიზება და სამართლებრივი შეფასება.

დამზღვევის მიერ საკუთარი ხარჯით სხვა პირის სადაზღვევო უზრუნველყოფის მიზნით დადებულ სადაზღვევო ხელშეკრულებას, როგორც საქართველოს,<sup>200</sup> ისე გერმანიის<sup>201</sup> კანონმდებლობის მიხედვით,

<sup>196</sup> Langheid/Wandt, in: Möller/Segger, Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen, München, Band I, 2010, §86, Rn. 110.

<sup>197</sup> Beckmann, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 28.

<sup>198</sup> Langheid, in: Römer/Langheid/Rixecker, Versicherungsvertragsgesetz, 3. Auflage, 2012, § 86, Rn. 24-26.

შეად. Brockmann H., Regress des Versicherers gegen den Versicherungsnehmer bei der Versicherung für fremde Rechnung in der Transportversicherung?, VersR 1960, 2. Sieg K., Der gesetzliche Forderungsübergang auf den Binnenversicherer, Berlin, 1970, §67, Rn. 40, 134.

<sup>199</sup> შეად. “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ვ” ქვეპუნქტი.

<sup>200</sup> შეად. სსკ-ის 836-838-ე მუხლები.

<sup>201</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 43-48-ე პარაგრაფები.

“დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ“ ეწოდება. როგორც ადინიშნა, იგი ერთი პირის (დამზღვევის) მიერ სხვა პირის (დაზღვეულის) სასარგებლოდ დადგებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა.<sup>202</sup> სხვა პირის სასარგებლოდ დადგებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, გარდა სპეციალური ნორმებისა, მესამე პირის სასარგებლოდ დადგებული ხელშეკრულების მიმართ მოქმედი ზოგადი წესები ვრცელდება.<sup>203</sup>

ასეთი ტიპის სადაზღვევო ურთიერთობის თავისებურება ისაა, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანზე პასუხისმგებლობა არა დამზღვევს, არამედ მესამე პირს – დაზღვეულს დაეკისრება.<sup>204</sup> სხვა პირის სასარგებლოდ დადგებული დაზღვევის ხელშეკრულების მხარე დამზღვევი პირია და სწორედ მას ეკისრება ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებაც. თუმცა, სადაზღვევო ხელშეკრულების კრედიტორი არის დაზღვეული, რომლის სასარგებლოდაც დადგებულია დაზღვევის ხელშეკრულება.<sup>205</sup>

დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ, თავისი სპეციფიური სამართლებრივი კონსტრუქციის გამო, ხშირად, იურისტების წინაშე აყენებს საკითხებს, რომელზეც ერთმნიშვნელოვანი სამართლებრივი პასუხის გაცემა რთულია. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის უფლება, კერძოდ, საკითხი, თუ როგორ ნაწილდება უფლება-მოვალეობები სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე სამ სუბიექტს – მზღვეველს, დამზღვევსა და დაზღვეულს შორის.

სხვა პირის სასარგებლოდ დადგებული დაზღვევის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურება კრედიტორის სუბიექტშია. კერძოდ, სადაზღვევო ურთიერთობის კრედიტორი არის არა დამზღვევი, არამედ სხვა პირი, რომლის სასარგებლოდაც დადგებულია დაზღვევის ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, სხვა პირის სასარგებლოდ დადგებული დაზღვევის ხელშეკრულების პირობებში, პირი, რომლის მიმართაც მზღვეველს სუბროგაციის უფლება შეიძლება წარმოეშვას, შესაძლოა დამზღვევიც კი აღმოჩნდეს. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეულია მხოლოდ სხვა პირის ინტერესი და მასთან ერთად დამზღვევის ინტერესი თანადაზღვეული არ არის.<sup>206</sup> თუ დაზღვევის ხელშეკრულებით დამზღვევის ინტერესის დაზღვევა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, იგულისხმება, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მზღვეველის სუბროგაციის უფლება დამზღვევის მიმართ დასაშვებია. მაგალითად, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის

<sup>202</sup> Rixecker, in: *Römer/Langheid/Rixecker*, Versicherungsvertragsgesetz, 4. Auflage, 2013, §43, Rn. 1.

<sup>203</sup> შეად. სსკ-ის 349-350 მუხლები, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 328-335-ე პარაგრაფები.

<sup>204</sup> Schirmer H., Zur Versicherbarkeit des Sachersatzinteresses in der Sachversicherung, ZversWiss, 1981, 637.

<sup>205</sup> Hübsch in: *Honsell*, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §74, Rn. 2.

<sup>206</sup> Baumann, in: *Honsell*, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 68; Prölss, in: *Prölss/Martin*, Versicherungsvertragsgesetz: VVG, 27. Auflage, 2004, §67, Rn. 15.

სასარგებლოდ დადებული ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დამსაქმებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევის შემთხვევაში, დამსაქმებელი ჩაითვლება მესამე პირად, რომლის მიმართაც მზღვეველს სუბროგაციის განხორციელების უფლება ექნება.<sup>207</sup> როგორც წესი, დამზღვევი დაზღვევის ხელშეკრულებას სხვის სასარგებლოდ დებს იმისათვის, რომ სამომავლოდ თავი დაიცვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. შესაბამისად, დამსაქმებლის მიმართ სუბროგაციის უფლება მზღვეველს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოეშვას, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა თანადაზღვეული არ არის. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ დამზღვევის მიერ ზიანის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში, რა ტიპისაც არ უნდა იყოს დაზღვევის ხელშეკრულება, დამზღვევის მიმართ სუბროგაციული მოთხოვნის უფლება მაინც განხორციელდება.<sup>208</sup>

სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის არის, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითის ანალოგიურად, დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, დაზღვეულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება ერთდროულად წარმოეშვას, როგორც დამზღვევისგან, ისე მზღვეველისგან. განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც დადებულია სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის ხელშეკრულება, რომლითაც სატრანსპორტო ორგანიზაცია აზღვევს გადასატანი ნივთის მესაკუთრის ინტერესს და სატრანსპორტო ორგანიზაციის ბრალით დგება სადაზღვევო შემთხვევა - ზიანდება გადასატანი ტვირთი. მოცემულ იურიდიულ კონსტრუქციაში სამართლებრივად არის შესაფასებელი, წარმოეშობა თუ არა მზღვეველს სუბროგაციული მოთხოვნის უფლება დამზღვევის მიმართ მას შემდეგ, რაც მზღვეველი დაზღვეულს ზიანს აუნაზღაურებს. აღნიშნული შემთხვევის სამართლებრივად შესაფასებლად, უნდა დადგინდეს, არის თუ არა სადაზღვევო ხელშეკრულებით კომპანიის სამოქალაქო პასუხისმგებლობაც დაზღვეული. თუ ხელშეკრულებით მსგავსი ტიპის დაზღვევა გათვალისწინებულია, სახეზე იქნება თანადაზღვევა და შესაბამისად, მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის უფლებაც გამოირიცხება, ხოლო თუ ხელშეკრულებით დამზღვევის ინტერესი არ არის თანადაზღვეული, დამზღვევი ჩაითვლება სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებულ მესამე პირად, რომლის მიმართაც მზღვეველს სუბროგაციის უფლება წარმოეშობა. უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთი ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებით, როგორც წესი, კომპანიების ინტერესი თანადაზღვეული არ არის.<sup>209</sup> შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, სახეზეა

<sup>207</sup> Kloth/Neuhaus, in: Schwintowski/Brömmelmeyer, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, 2008, §86, Rn. 14.

<sup>208</sup> Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 69.

<sup>209</sup> ob. BGHZ 33, 97, BGH 7.5.2003 VerR 2003 1171; Prölss in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz, VVG, 27. Auflage, 2004, §67 Rn. 11. Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage. Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 72.

სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის პირობებშიც თავად დამზღვევი შეიძლება მოგვევლინოს მესამე პირად სუბროგაციის მიზნებისათვის.

მართალია, იურიდიულ ლიტერატურაში თანადაზღვევის ხელშეკრულება ისეთი ტიპის ხელშეკრულებად მოიაზრება, რომლის პირობებშიც თანადაზღვეულის მიმართ მზღვეველის სუბროგაციის უფლება გამორიცხულია, მაგრამ, როგორც მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, სადაზღვევო ურთიერთობების შინაარსის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, თანადაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაშიც კი, ზოგჯერ, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ მესამე პირად, უშუალოდ, თანადაზღვეული სუბიექტიც კი შეიძლება მოგვევლინოს.

## 6.2. თანადაზღვევის ხელშეკრულება

ზემოთ მოყვანილი არაერთი მაგალითი ცხადყოფს, რომ რთულია იმ სუბიექტთა ცალსახა ჩამონათვალის გაკეთება, რომლებიც სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებულ მესამე პირებს მიეკუთვნებიან. თუ ერთ შემთხვევაში მესამე პირი შეიძლება იყოს დამზღვევი,<sup>210</sup> მეორე შემთხვევაში ასეთ სუბიექტად შეიძლება თანადაზღვეული მოგვევლინოს. სწორედ ამიტომ, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო სრულიად სამართლიანად მიიჩნევს გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ მესამე პირად ნებისმიერ სუბიექტს, რომელსაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება. მათ შორის მოიაზრება ისეთი პირიც, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსარგებლე სუბიექტიც კი შეიძლება იყოს.<sup>211</sup>

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა თანადაზღვევის ხელშეკრულება. ასეთი ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებაში, დამზღვევთან ერთად, რომელიც იმავდროულად დაზღვეულიც არის, თანადაზღვეულის სახით, ჩართულია სხვა პირიც, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, მესაკუთრე, მძღოლი ან თანამდებოლი.<sup>212</sup>

გაბატონებული მოსაზრებით, ასეთი ტიპის დაზღვევის ხელშეკრულების პირობებში, თანადაზღვეულს, როგორც მოსარგებლეს, უფლება აქვს მზღვეველს დამზღვევის მსგავს პირობებში ჩაეყენება მოთხოვოს, რაც თანადაზღვეულის მიმართ მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის განხორციელების დაუშვებლობასაც გულისხმობს.<sup>213</sup> მართალია, პრაქტიკაში

<sup>210</sup> Muschner, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, VVG Handkommentar, 1. Auflage, 2009, §86, Rn. 15.

<sup>211</sup> BGH 11.7.1960; BGHZ 33 97, 100; მთითებულია: Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage. Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 69.

<sup>212</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 31.

<sup>213</sup> BGH 13.6.1957 BGHZ 24, 378, 385, 5.3.2008 175 374, 377. მთითებულია: Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage. Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 70.

თანადაზღვეულის ეს უფლება დაცული და გარანტირებულია, მაგრამ მეცნიერთა შორის არსებობს საერთო შეხედულება იმის თაობაზე, რომ სადაზღვევო უზრუნველყოფის შეფასება კონკრეტული პირის მიმართ ფაქტისადმი მისი დამოკიდებულებისა<sup>214</sup> და მისი ცოდნის მიხედვით უნდა განხორციელდეს.<sup>215</sup> შესაბამისად, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ თანადაზღვეულის მიმართ სუბროგაციის უფლება არ დაიშვება. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ასეთი ტიპის დაზღვევის ხელშეკრულება, ერთდროულად, დამზღვევისა და თანადაზღვეულის სხვადასხვა ინტერესის დაზღვევას შეიძლება ითვალისწინებდეს. შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველს ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება წარმოეშვას მხოლოდ დამზღვევის და არა თანადაზღვეულის მიმართ. მეტიც, მზღვეველმა თანადაზღვეულის მიმართ სუბროგაციის უფლებითაც კი შეიძლება ისარგებლოს.

თანადაზღვევის ხელშეკრულების პირობებში, თანადაზღვეულის მიმართ მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნა ფორმალურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, იმისათვის, რომ დამზღვევის ხელში ერთდროულად თავი არ მოიყაროს ორმა უფლებამ – ერთი მხრივ, მზღვეველის მიმართ სადაზღვევო ანაზღაურების და მეორე მხრივ, თანადაზღვეულის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამ,<sup>216</sup> იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში სამართლიანად განიხილება მზღვეველზე იმ მოთხოვნების ფიქტური გადასვლა, რომელიც დამზღვევს თანადაზღვეულის მიმართ აქვს.<sup>217</sup> ვინაიდან მზღვეველზე თანადაზღვეულის მიმართ მოთხოვნის უფლების გადასვლა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, სადაზღვევო მიზნებიდან გამომდინარე, მზღვეველს ამ მოთხოვნათა რეალური განხორციელების უფლება არა აქვს.<sup>218</sup>

### 6.3. დასკვნა

ზემოთ მოყვანილი არაერთი მაგალითი ცხადყოფს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მესამე პირი შესაძლოა სხვადასხვა სუბიექტი იყოს. ყურადსადებია ის გარემოება, რომ ასეთი პირი შეიძლება იყოს თვით დამზღვევიც, რომლის მიმართაც კანონმდებელი,

<sup>214</sup> სადაზღვევო შემთხვევისადმი თანადამზღვევის დამოკიდებულებაში იგულისხმება პირის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევა განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით. იხ. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 29.

<sup>215</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 31. იგულისხმება თანადამზღვევის მიერ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ვალდებულების დარღვევა.

<sup>216</sup> აქ იგულისხმება ვითარება, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია თანადამზღვევის ქმედებით. გამონაკლისია ვითარება, როდესაც სადაზღვევო შემთხვევას თანადამზღვევი განზრას გამოიწვევს.

<sup>217</sup> Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Auflage. Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 70.

<sup>218</sup> იხ. იქვე.

თითქოს, ცალსახად მიუთითებს, როგორც სუბიექტზე, რომელსაც ყოველთვის თავად აქვს მოთხოვნა მესამე პირის მიმართ.

მართალია, საერთო წესის მიხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები დაზღვეულს ეკუთვნის, მაგრამ ამ უფლებების რეალიზაცია დაზღვეულს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ეს დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებული ხელშეკრულებითაა განსაზღვრული ან თუ დაზღვეული სადაზღვევო პოლისს ფლობს. სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებში იგულისხმება ის უფლებები, რომელიც სადაზღვევო შემთხვევასთან და სადაზღვევო ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული. მირითადად, ეს არის მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოთხოვნის უფლება. ყველა სხვა უფლება, როგორიც არის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის უფლებები, აგრეთვე სადაზღვევო მოვალეობები, მაგალითად, სადაზღვევო პრემიის გადახდის მოვალეობა და სხვ., დამზღვევს რჩება.<sup>219</sup>

სავარაუდოდ, სწორედ ამ შეხედულებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მატარებელ სუბიექტად მხოლოდ დამზღვევი მოიხსენია. თუმცა, როგორც ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებები, ისე იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული შეხედულებები ცალსახად მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსის განმარტებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მფლობელი სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ დამზღვევი, არამედ დაზღვეულიც. მეტიც, სსკ-ის 832-ე მუხლის მიზნებისათვის, მესამე პირი, რომლისკენაც შესაძლოა მიმართული იყოს მზღვეველის სუბროგაციის უფლება, შეიძლება იყოს თავად დამზღვევი, ხოლო მოთხოვნის უფლების მფლობელი – დაზღვეული. ასეთ ვითარებაში, სრულიად ლოგიკურად ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა მზღვეველს სუბროგაციის უფლება დამზღვევის მიმართ იმ საკანონმდებლო ჩანაწერის გათვალისწინებით, რომლითაც კანონმდებელი მხოლოდ დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლაზე მიუთითებს.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ არ მოხდეს მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტება და უსამართლოდ არ შეიზღუდოს სადაზღვევო კომპანიების კანონიერი ინტერესი, მიზანშეწონილია დაზუსტდეს სსკ-ის 832-ე მუხლის შინაარსი და ამავე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “თუ დამზღვევს/დაზღვეულს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვევს/დაზღვეულს ზიანს”. მსგავსი ჩანაწერი შესაძლებელს გახდის, აღმოიფხვრას საკანონმდებლო გაუგებრობა. კერძოდ, სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე, შესაბამისი გარემოებების

<sup>219</sup> OLG Hamm r+s 1986, 317 მითითებულია: *Dageförde*, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §43, Rn. 1.

არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება, მესამე პირად ჩაითვალოს დამზღვევი ან დაზღვეული და შესაბამისად, კონკრეტული სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მზღვეველზე გადავიდეს, როგორც დამზღვევის, ისე დაზღვეულის მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ.<sup>220</sup>

## V. სუბროგაცია და “საოჯახო პრივილეგია”

### 1. “საოჯახო პრივილეგიის” მიზანი

სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესრიგებს სუბროგაციის უფლების დამზღვევის ოჯახის წევრის მიმართ გამოყენების საკითხს, კერძოდ, მზღვეველის სუბროგაციის უფლების აკრძალვას დამზღვევი პირის ოჯახის იმ წევრის მიმართ, რომელმაც სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია. 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: “თუ დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეხება მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მაშინ უფლების გადასვლა გამორიცხულია, როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ გამოიწვია”. ერთი შეხედვით, ნორმის მიზანი სრულიად მისაღები და სამართლიანია. იგი ცდილობს დაიცვას დამზღვევი პირის ინტერესი და აკრძალოს მზღვეველის სუბროგაციის უფლება დამზღვევის ოჯახის წევრის მიმართ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სუბროგაციას, ერთგვარად, სადამსჯელო ხასიათი აქვს, ნაკლებად საგარაუდოა, რომ დამზღვევს თავისი ოჯახის წევრის დასჯა სურდეს. ამას გარდა, თუ მზღვეველი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას დამზღვევის ოჯახის წევრს წაუყენებს, ამით ის, ფაქტობრივად, თავად დამზღვევსაც დასჯის. კერძოდ, სუბროგაციის ძალით, დამზღვევს მოუწევს მზღვეველისთვის სადაზღვევო ანაზღაურების უკუგადახდა ზიანის მიმყენებელ ოჯახის წევრთან არსებული საერთო საოჯახო ბიუჯეტიდან. ყოველივე ზემოაღნიშნული, საბოლოოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს სადაზღვევო ურთიერთობის არსება და მნიშვნელობას.

სწორედ იმისათვის, რომ დაზღვევამ თავისი მნიშვნელობა არ დაკარგოს, კანონმდებელი დამზღვევი პირის ოჯახის წევრს, ერთგვარად, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს და მის მიმართ მზღვეველის სუბროგაციის უფლებას იმპერატიულად გამორიცხავს. იურიდიულ დოქტრინაში ამ მოვლენას “საოჯახო პრივილეგიის” სახელით მოიხსენიებენ.<sup>221</sup>

<sup>220</sup> წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის, სსკ-ის 832-ე მუხლის შინაარსის განმარტებისას მოხსენიებულ დამზღვევში ყოველთვის იგულისმება სუბიექტი, რომლის ინტერესიც არის სადაზღვევო ხელშეკრულებით დაზღვეული. შესაბამისად, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული, იგულისმება, რომ მოსარგებლე არის უშუალოდ დამზღვევი.

<sup>221</sup> ი. ხ. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, § 22, Rn. 68; von Koppenfels-Spiels, in: Looschelders, Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §86, Rn. 63.

სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია “საოჯახო პრივილეგიის” ორი უმთავრესი მიზანი. პირველ რიგში, მან უნდა დაიცვას დამზღვევის ინტერესი. კერძოდ, დამზღვევს, რომელიც სადაზღვევო პერიოდის მანძილზე იხდის სადაზღვევო პრემიას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, არ უნდა მოუხდეს საკუთარი შემოსავლიდან ზიანის ანაზღაურება.<sup>222</sup> “საოჯახო პრივილეგიის” მეორე მიზანი საოჯახო (სოციალური) მშვიდობის შენარჩუნება.<sup>223</sup> ამ უკანასკნელს კი აუცილებლად შეექმნება საფრთხე, თუ ოჯახში წარმოიქმნება დავა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე.<sup>224</sup> მარტივად რომ ითქვას, არ იქნება სამართლიანი, მზღვეველს მიეცეს სუბროგაციის უფლება დამზღვევის ოჯახის იმ წევრის მიმართ, რომელსაც შემთხვევით გაუტყდა ვაზა, რის შედეგად დამდგარი ზიანი მზღვეველმა დამზღვევს აუნაზღაურა.<sup>225</sup>

## 2. საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობა “საოჯახო პრივილეგიის” თაობაზე

“საოჯახო პრივილეგიის” თითოეული ზემოაღნიშნული მიზანი სრულიად ბუნებრივი და სამართლიანია. დამზღვევი, რომელიც სადაზღვევო ურთიერთობაში მთავარ ფიგურად მიიჩნევა, უნდა სარგებლობდეს გარკვეული სამართლებრივი გარანტიებით, რომელიც არა მხოლოდ სადაზღვევო ხელშეკრულებით, არამედ კანონის იმპერატიული ნორმებითაც იქნება განსაზღვრული და დარეგულირებული. თუმცა, დამზღვევის ინტერესების დაცვა არ უნდა განხორციელდეს მზღვეველის კანონიერი ინტერესისა და მისი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. ამის საფრთხეს კი წარმოშობს სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო მინიშნება. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, კანონმდებელი “საოჯახო პრივილეგიას”, ანუ სუბროგაციის შეზღუდვას,<sup>226</sup> აწესებს დამზღვევის ოჯახის იმ წევრის მიმართ, რომელმაც “ზიანი განზრახ გამოიწვია”.<sup>227</sup> ცხადია, ეს დათქმა

<sup>222</sup> ი. Schmidt K., JuS 1994, 802 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 150.

<sup>223</sup> სოციალური მშვიდობის შენარჩუნების მიზანზე პირდაპირ მიუთითებს ევროპის სადაზღვევო სამართლის პრინციპები. მუხლი 10:101 (3). Reichert-Facilides F., Helmut H., Principles of European Insurance Contract Law, (PEICL), Edited by the Drafting Committee: Basedow J., Birds J., Clarke M., Cousy H., Heiss H., in co-operation with Leander Loacker D., 2009, 260, C9.

<sup>224</sup> BGHZ 41, 79, 83, BGH VersR 1971, 901, 902; LG Saarbrücken VersR 1995, 158 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 150

<sup>225</sup> Insurance Contracts, Law Reform Commission, December 2011, 213. ხელმისაწვდომია: <[http://www.lawreform.ie/\\_fileupload/consultation%20papers/cp65insurancecontracts.pdf](http://www.lawreform.ie/_fileupload/consultation%20papers/cp65insurancecontracts.pdf)>

<sup>226</sup> სუბროგაციის უფლების შეზღუდვის შესახებ ასევე ი. Insurance Contracts, Law Reform Commission, December 2011, 213. ხელმისაწვდომია: <[http://www.lawreform.ie/\\_fileupload/consultation%20papers/cp65insurancecontracts.pdf](http://www.lawreform.ie/_fileupload/consultation%20papers/cp65insurancecontracts.pdf)>

<sup>227</sup> ი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი. 1997 წლის 26 ივნისი, პარლამენტის უწყებაზე, №31, 1997 წელი, რეგისტრაციის №786-III. ხელმისაწვდომია: <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge)>

წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ სადაზღვევო სამართლის, არამედ, ზოგადად, სამართლის პრინციპებთან.

## 2.1. საკანონმდებლო ხარვეზი - “განზრახვა”, როგორც “საოჯახო პრივატულების” საფუძველი

“განზრახვა” ჯერ კიდევ რომის სამართალში ბრალის ყველაზე მძიმე ფორმად მიიჩნეოდა და იგი პირის პასუხისმგებლობის საფუძველი იყო.<sup>228</sup> ბრალის საკითხის მნიშვნელობა პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის დღესაც უცვლელად ძალაშია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის თავის დებულებებით თუ ვიმსჯელებთ, მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონმდებელი “განზრახვას” სადაზღვევო ურთიერთობებშიც იგივე მიზნით იყენებს და მას მზღვეველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად მიიჩნევს. ამის ნათელი მაგალითია სსკ-ის 813-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად “დამზღვევის მიერ საფრთხის განზრახ გაზრდის შემთხვევაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე”. გარდა ამისა, სსკ-ის 829-ე მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული მზღვეველის გათავისუფლება თავისი მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, “თუ დამზღვევი პირი სადაზღვევო შემთხვევას გამოიწვევს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით”. პირადი დაზღვევის შემთხვევაში, სსკ-ის 856-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “მზღვეველი გათავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან, თუ სარგებლის მიმღები უბრძურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით”. სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში კი, სსკ-ის 850-ე მუხლის მიხედვით, “მზღვეველი გათავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან, თუ პირი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო თავს მოიკლავს”. მოყვანილი ნორმები ცხადყოფს, რომ კანონმდებელი “განზრახვას” არათუ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად, არამედ დამზღვევის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევს. შესაბამისად, გაუგებარია სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა დამზღვევის ოჯახის წევრის მიერ ზიანის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში მის მიმართ სუბროგაციის უფლების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. მოცემული ნორმა არა მხოლოდ წინააღმდეგობაშია სამართლის პრინციპებთან, არამედ იგი უსაფუძვლოდ ზღუდავს მზღვეველის კანონიერ უფლებას, ზიანის მიმყენებელ პირს წაუყინოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი საკანონმდებლო ხარვეზს შეიცავს და იგი კანონმდებლის ნამდვილ ნებას არ შეესაბამება. ამასთან, თუ

<sup>228</sup> იხ. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო სურგულაძე ნ, თბ., 2011, III წიგნი, 211; გარიშვილი გ, ხოვერია გ, რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2013, 489-491.

გავითვალისწინებო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავებას საფუძვლად გერმანული სამართლი დაედო,<sup>229</sup> დამატიქრებელია, რომ ზემოაღნიშნული ნორმა მისი გერმანული ანალოგის – გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ძველი რედაქციის 67-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის სრულიად საპირისპირო შინაარსს გამოხატავს.<sup>230</sup> კერძოდ, გერმანული ნორმის მიხედვით, “თუ მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია დამზღვევთან საერთო საოჯახო მეურნეობაში მცხოვრები ოჯახის წევრის მიმართ, მაშინ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების გადასვლა გამორიცხულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირმა ზიანი განზრახ გამოიწვია”. გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ეს ნორმა სრულიად ნათელია. იგი არ შეიცავს რაიმე ბუნდოვან ან ორაზროვან საკანონმდებლო ჩანაწერს, რომელიც ზიანის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში, პირის პასუხისმგებლობის აუცილებლობის თაობაზე რაიმე შეკითხვას გააჩენდა.

## 2.2. რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის ხარვეზის გამოსწორებისთვის

სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი დისკრიმინაციული ხასიათისაა. იგი არათანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს დამზღვევს და მზღვეველს. კანონმდებლის ობიექტური მიზანი, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პირის პასუხისმგებლობის და ამის ხარჯზე, სამართლიანობის აღდგენის უზრუნველყოფა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ნორმის ფაბულა შესაძლებლობას იძლევა, დაზღვეულმა სადაზღვევო ანაზღაურების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ოჯახის წევრთან ურთიერთშეთანხმებით, ხელი შეუწყოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომას და მიუხედავად ამისა, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. მეტიც, სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი საშუალებას იძლევა, ასეთ შემთხვევაში მისი ოჯახის წევრი სრულად გათვალისწინებული გათვალისწინებული დამთხვევის შემთხვევაში, პირის პასუხისმგებლობისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილში არსებული ხარვეზი გასწორდეს და ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “თუ მზღვეველის მოთხოვნის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიმართულია იმ პირის მიმართ, რომელთანაც დამზღვევი აწარმოებს საერთო საოჯახო მეურნეობას, დაუშვებელია მასზე გადავიდეს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის

<sup>229</sup> საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის თაობაზე ვრცლად იხ. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თავი პირველი, 1997, §7, 31-35.

<sup>230</sup> დაზღვევის სფეროში 2008 წელს გატარებული რეფორმის შედეგად, სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ გერმანიის კანონის 67-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შინაარსი, გარკვეული ცვლილებებით, გადატანილ იქნა კანონის ახალი რედაქციის 86-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილში. განზრახვასთან დაკავშირებული დაოქმა უცვლელად იქნა დატოვებული.

უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი დამზღვევთან ერთად საერთო საოჯახო მეურნეობაში მცხოვრებმა პირმა განზრას გამოიწვია”.<sup>231</sup>

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის თავში მოცემული ნორმების ანალიზმა ცხადყო, რომ სსკის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი არ შეესაბამება საკანონმდებლო მიზანს და იგი კოდექსის საერთო სისტემიდან ამოვარდნილია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მართლწერიგის ერთიანობას მისი შემადგენელი ნორმების ლოგიკური ურთიერთკავშირი განსაზღვრავს და სამართლის ერთიანი სისტემა ამ ურთიერთკავშირით იქმნება,<sup>232</sup> სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სამართლის მოცემული ნორმა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საპირისპიროდ განმარტოს და იგი მზღვეველისთვის სუბროგაციის უფლების მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლად განიხილოს. აქედან გამომდინარე, პრობლემის აღმოფხვრის ერთადერთი გზა ნორმის დაუყოვნებლივი ცვლილებაა.

### 3. “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით მოსარგებლე სუბიექტები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

#### 3.1. ოჯახი და ოჯახის წევრის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე

სსკის 832-ე მუხლით გათვალისწინებული “საოჯახო პრივილეგია” არ არის მხოლოდ საქართველოს სადაზღვევო სამართლისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტი. იგი მოქმედებს ყველა იმ ქვეყანაში, რომლის კანონმდებლობაც სუბროგაციის დოქტრინას იცნობს. როგორც აღინიშნა, ქართველმა კანონმდებლმა, ნორმის შემოღებისას, გერმანული გამოცდილება გაიზიარა. 2008 წლის რეფორმის გატარებამდე, “საოჯახო პრივილეგია” გერმანიის კანონმდებლობაში სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით იყო მოწესრიგებული, ხოლო რეფორმის გატარების შემდეგ, ეს ინსტიტუტი სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ახალი რედაქციის 86-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილით დარეგულირდა და მან სუბიექტთა შედარებით ფართო წრე მოიცვა.<sup>233</sup>

კანონმდებლის მიზანია, “საოჯახო პრივილეგიის” შემოღებით თავიდან აიცილოს დამზღვევი პირის პასუხისმგებლობა იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი სადაზღვევო პრემიას იხდიდა. “საოჯახო პრივილეგია” იცავს არა დამზღვევის ოჯახის წევრის, არამედ თავად დამზღვევის ინტერესს.<sup>234</sup>

<sup>231</sup> მსგავსად გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილისა.

<sup>232</sup> ი. ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. “მერიდიანი,” 2004, 153.

<sup>233</sup> ი. ლანგედ, in: Langheid/Römer, Versicherungsvertragsgesetz, 3. Auflage 2012, Rn. 55.

<sup>234</sup> ი. სიე, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961, §67, Anm. 105.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, ვინ არიან ის სუბიექტები, რომელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ზიანის ანაზღაურებაში მონაწილეობა დამზღვევსაც შეიძლება მოუწიოს. საკითხის ანალიზს, როგორც საქართველოს, ისე გერმანიის შემთხვევაში, ის გარემოება ართულებს, რომ არც ერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში ოჯახის ერთიანი ცნება განსაზღვრული არ არის.<sup>235</sup> გერმანიაში ამ საკითხის გადაწყვეტა, წლების განმავლობაში, სასამართლოებს ჰქონდათ მინდობილი. რეფორმის გატარებისას, კანონმდებელმა გაითვალისწინა ყველა ის შემთხვევა, რომელიც ნორმის პრაქტიკაში განხორციელებასთან იყო დაკავშირებული. ძველი კანონის მიხედვით, საოჯახო პრივილეგიით სარგებლობდა მხოლოდ ოჯახის წევრი, ხოლო ახალი ნორმით, ტერმინი ოჯახი და ოჯახის წევრი შეიცვალა საერთო საოჯახო მეურნეობით, რითაც პრივილეგირებულ სუბიექტთა წრე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილებით, კანონმდებელი შეცადა, ნორმა თანამედროვე საზოგადოებრივი მოთხოვნების მოერგო.<sup>236</sup>

საქართველოში, გერმანიისგან განსხვავებით, არ არსებობს არც ერთი პრეცედენტი, რომელშიც სასამართლო სსკ-ის 832-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, დამზღვევის ოჯახს ან მის ოჯახს მიკუთვნებულ პირთა წრეს განმარტავდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სადაზღვევო სფერომ განვითარების გარკვეულ ეტაპს მიაღწია, არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში, გერმანული სასამართლოების მსგავსად, საქართველოს სასამართლოების წინაშეც დაისვას ოჯახის და ოჯახს მიკუთვნებული პირთა წრის განმარტების საკითხი, რაც ამავე მუხლის მიზნის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. როგორც გერმანული სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ოჯახის და ოჯახს მიკუთვნებული პირთა წრის განმარტებისას, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი იმ კრიტერიუმების დადგენაა, რომელიც დამზღვევის ოჯახისადმი პირის კუთვნილებას განსაზღვრავს.

### 3.2. “ოჯახის წევრის” განმარტების კრიტერიუმები

გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში აღიარებულია, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფის შინაარსის განმარტებისას, სხვა საკანონმდებლო აქტებში მოცემული ოჯახის წევრის ცნების ანალოგიის გამოყენება არ არის ის გზა, რომელიც სამართლშემფარდებელს საკანონმდებლო მიზნამდე მიიყვანს.<sup>237</sup> იმის გასარტვევად, თუ რა აზრი ჩააქსოვა კონკრეტულ ნორმაში კანონმდებელმა, მიზანშეწონილია, ნორმა თავად მისი მიზნიდან და ამოცანიდან

<sup>235</sup> ი. იქვე.

<sup>236</sup> იხილეთ შემდეგი კანონები: დაზღვევის შესახებ კანონის ახალი რედაქცია <[http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/vvg\\_2008/gesamt.pdf](http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/vvg_2008/gesamt.pdf)> დაზღვევის შესახებ კანონის ძველი რედაქცია: <<http://dejure.org/gesetze/OVVG311207/67.html>>

<sup>237</sup> ი. Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961 §67, Anm. 105.

გამომდინარე განიმარტოს.<sup>238</sup> აღნიშნული მიღვომა სრულიად ლოგიკური და სამართლიანია, რისი დასაბუთებაც საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მარტივად შეიძლება. კერძოდ, როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ოჯახის ერთიანი ცნება განსაზღვრული არ არის. ოჯახის განმარტება სხვადასხვა ნორმატიულ აქტშია მოცემული და ამ განმარტებებში მოაზრებულ სუბიექტთა წრე, კონკრეტული კანონის მიზნიდან გამომდინარე, განსხვავებულია. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 ნაწილის მიხედვით, კოდექსის მიზნებისათვის ოჯახს მიეკუთვნება – “მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები შშობელი, შვილი და გერი, და, მმა, ბებია, პაპა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან”. ოჯახის წევრის ცნება, ასევე, მოცემულია საქართველოს კანონში “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ”, სადაც, განსხვავებით საგადასახადო კოდექსისაგან, პირთა წრე შედარებით შეზღუდულია. კერძოდ, კანონის მე4 მუხლის “ა” ქვეუნების მიხედვით, “ოჯახის წევრში იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.”<sup>239</sup> როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კანონმდებელი კონკრეტული კანონის მიზნიდან გამომდინარე, ზრდის ან ამცირებს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებიც ოჯახს მიეკუთვნებიან. სამართლის თითოეული დარგისთვის დამახასიათებელია ოჯახის წევრთა საკუთარი წრე.<sup>240</sup> შესაბამისად, იმის თქმა, რომ სსკ-ის 832-ე მუხლის განმარტებისთვის, სხვა ნორმატიულ აქტებში მოცემული ოჯახის ცნების ანალოგიის გამოყენება პირდაპირი სახით შეგვიძლია, ცალსახად გაუმართლებელია.

ამგვარი პრობლემური საკითხების გადასაჭრელად, იურისტები, ხშირად, იურიდიულ დოქტრინაში ცნობილ ნორმათა განმარტების სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო კონტინენტური სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, ნორმის განმარტების ყველაზე ოპტიმალურ მეთოდად შედარებით-სამართლებრივ მეთოდი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელსაც სამართლის ნორმის განმარტების მეხუთე მეთოდსაც უწოდებენ.<sup>241</sup> ნორმის შედარებით-სამართლებრივი განმარტება გულისხმობს სამართლის ნორმის განმარტებას მსგავსი სამართლის სისტემის მქონე ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. ამასთან, ვინაიდან საქართველო კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას

<sup>238</sup> იბ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, 2004, 148.

<sup>239</sup> „ოჯახის წევრის“ განმარტება ასევე მოცემულია შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი. მიღებულია 2009 წლის 9 ოქტომბერს, რეგისტრაციის №1772-IIb, ხელმისაწვდომია: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=90034&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=90034&lang=ge).

<sup>240</sup> იბ. ჩიკვა შვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლი, „მერიდიანი“ 1999, 27.

<sup>241</sup> იბ. Häberle P., Grundrechtsgeltung und Grundrechtsinterpretation im Verfassungsstaat - Zugleich zur Rechtsvergleichung als fünfter Auslegungsmethode, JZ 1989, 193. მითოებულია: ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, 2004, 148.

მიეკუთვნება,<sup>242</sup> მიზანშეწონილია, ნორმის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გერმანული სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განხორციელდეს.

#### 4. “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით მოსარგებლე სუბიექტების შედარებით-სამართლებრივი განმარტება

##### 4.1. ოჯახის და ოჯახის წევრის ცნება გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფის მიზნიდან გამომდინარე

გერმანული სასამართლო გადაწყვეტილებებით თუ ვიმსჯელებთ, მართლმსაჯულება დამზღვევის და მისი ოჯახის წევრის ეკონომიკურ კავშირს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე აფასებს და დამზღვევის ოჯახისადმი პირის კუთვნილების საკითხს ამ შეფასების საფუძველზე წყვეტს.

გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ტქქსტის სიტყვასიტყვითი განმარტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი პირის კუთვნილებას პრივილეგირებული წრისადმი ორი კრიტერიუმით აფასებს: პირველი კრიტერიუმია დამზღვევის ოჯახის წევრობა, ანუ ნათესაური კავშირი, ხოლო მეორე – მასთან საერთო საოჯახო მეურნეობის ქონა.<sup>243</sup>

##### 4.1.1. დამზღვევის ნათესავები

დამზღვევისა და ზიანის მიმყენებლის ნათესაური კავშირი არის პირველი ნიშანი, რომელიც ერთი ოჯახისადმი მათ კუთვნილებას განსაზღვრავს. გერმანული კანონმდებლობა, ამ მუხლის მიზნებისათვის, ნათესაური კავშირის ცნებას არ გვთავაზობს. გერმანიის სადაზღვევო კანონმდებლობაში ერთადერთი აქტი, რომელშიც ოჯახის წევრის განმარტებაა მოცემული, პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ სტანდარტული პირობებია.<sup>244</sup> თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული აქტი მხოლოდ პასუხისმგებლობის დაზღვევას ეხება და შესაბამისად, მას სპეციფიური მიზანი აქვს, გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფის განმარტებისთვის მისი ანალოგიის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.<sup>245</sup>

სწორედ ადნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახის წევრის ცნების განმარტებისას, ყურადღება თავად ნორმის მიზანს უნდა მიეკვე.

<sup>242</sup> ი. ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი,” 2004, 148.

<sup>243</sup> Deutsch E., Versicherungsvertragsrecht, 5. Auflage, karlsruhe, Verlag Versicherungswirtschaft, 2005, §27, Rn. 289.

<sup>244</sup> Allgemeine Versicherungs- Bedingungen für die Haftpflicht-Versicherung (AHB) § 4 II 2 ხელმისაწვდომია: [http://www.beck.de/rsw/upload/SKA/AHB\\_2008\\_1.pdf](http://www.beck.de/rsw/upload/SKA/AHB_2008_1.pdf)

<sup>245</sup> ი. Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961, §67, Anm. 105.

სუბროგაციული მოთხოვნის შეზღუდვას, როგორც ნაშრომის წინა თავში აღინიშნა, ორი მიზანი აქვს: დამზღვევი უნდა გათავისუფლდეს იმ ფინანსური ტვირთისაგან, რაც მისი ოჯახის წევრის მიმართ მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს და მეორე, ზიანის ანაზღაურების თაობაზე ოჯახის წევრთა შორის კონფლიქტის არიდების გზით, უნდა შენარჩუნდეს საოჯახო მშვიდობა.<sup>246</sup>

სწორედ ამ მიზნებით ხელმძღვანელობდნენ გერმანული სასამართლოები და მეცნიერები, როდესაც დამზღვევის ოჯახს მიკუთვნებულ ნათესავების წრეს ადგენდნენ. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომლის მიხედვით, სუბროგაციის მიზნისთვის “საოჯახო პრივილეგიით” მოსარგებლე სუბიექტებს მიეკუთვნებიან: მეუღლები, შვილები, და-მმა, დანათესავებული და დამოუკრებული პირები,<sup>247</sup> ასევე პირები, რომლებიც დაზღვეულთან არ არიან საოჯახოსამართლებრივ კავშირში, თუმცა, საოჯახო გაერთიანებაში სხვა მხრივ არიან ინტეგრირებული. ამ უკანასკნელ წრეს განეკუთვნებიან გერი, ნაშვილები, მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები და შვილობილები.<sup>248</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის ნათესაური კავშირი “საოჯახო პრივილეგიის” განმსაზღვრელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ნიშანია. გარდა დაზღვეულთან ნათესაური კავშირისა, გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის თანახმად, აუცილებელია ამ პირთა თანაცხოვრება საერთო საოჯახო მეურნეობაში.<sup>249</sup>

#### 4.1.2. საერთო საოჯახო მეურნეობა

საერთო საოჯახო მეურნეობის არსებობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, სხვადასხვა ნიშნით დგინდება.<sup>250</sup> რადგან საერთო საოჯახო მეურნეობის არსებობა “საოჯახო პრივილეგიით” სარგებლობის წინაპირობაა, ასეთი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთი მესამე პირს ეკისრება.<sup>251</sup> რაც უფრო შორია ნათესაური კავშირი

<sup>246</sup> ob. von Koppenfels-Spies, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, Vorbemerkung, § 86, Rn. 65.

<sup>247</sup> BGH VersR 1980, 644, 645; Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961 §67, Anm. 107.

<sup>248</sup> BGH VersR 1980, 526, 527 f OGH VersR 1989, 830, 831; Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961 §67, Anm. 105.

<sup>249</sup> BGH VersR 1980, 644, 645 მთლიანობის: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 153.

<sup>250</sup> ob. Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 154.

<sup>251</sup> ob. Prölss, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zu VVG und EGVVG sowie Kommentierung wichtiger Versicherungsbedingungen unter Berücksichtigung des ÖVVG und österreichischer Rechtsprechung, 27. Aufl., 2004 §67, Rn. 53. მთლიანობის: Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Aufl., Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 166.

დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის, მით უფრო მეტი მტკიცებულება უნდა არსებოდეს, რომელიც საერთო საოჯახო მეურნეობაში მათ თანაცხოვრებას დაადასტურებს.<sup>252</sup> პირთა ცხოვრება საერთო საოჯახო მეურნეობაში არის უფრო მეტი, ვიდრე, უბრალოდ, კოლექტიური თანაცხოვრება.<sup>253</sup> იგი ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა ერთად მცხოვრებ პირთა მიერ ერთად კვება, საერთო მოხმარების ნივთების ქონა, თავისუფალი დროის ერთად დაგეგმვა და სხვ.<sup>254</sup> გერმანიის სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს კრიტერიუმები, რომელსაც პირთა კავშირი უნდა აქმაყოფილებდეს იმისათვის, რომ იგი საერთო საოჯახო მეურნეობად იქნეს მიწნეული. კერძოდ, მესამე პირის ძირითადი საცხოვრებელი უნდა იყოს დამზღვევის ოჯახი, ამასთან, პირები ხანგრძლივი დროის მანძილზე უნდა მიეკუთვნებოდნენ საერთო ეკონომიკურ გაერთიანებას და მათ უნდა ჰქონდეთ საერთო საოჯახო ბიუჯეტი.<sup>255</sup> სწორედ საერთო ბიუჯეტის დაცვაა “საოჯახო პრივილეგიის” არსებობის მთავარი მიზანი.

დაზღვეულთან თანაცხოვრება პირობითი მოთხოვნაა და იგი შეიძლება ფართოდ განიმარტოს. კერძოდ, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტებით, თუ პირს სხვადასხვა მიზეზის გამო, უმეტესად სხვა ადგილზე უწევს ცხოვრება, მაგრამ იგი მუდმივად ინაწილებს პასუხისმგებლობას და მონაწილეობს, როგორც მატერიალურად, ისე მორალურად, საერთო მეურნეობის წარმართვაში, იგი ჩაითვლება საერთო საოჯახო მეურნეობაში მცხოვრებ პირად და მასზე გავრცელდება კანონით გათვალისწინებული “საოჯახო პრივილეგია”.<sup>256</sup>

<sup>252</sup> ob. Baumann, in: *Honsell*, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, 1999, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 154.

<sup>253</sup> ob. Hormuth, in: *Beckmann/Matusche-Beckmann*, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, § 22, Rn. 72; Baumann, in: *Honsell*, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, 1999, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 156.

<sup>254</sup> უკად. BGH 12.11.1985 VersR 1986 333, 334 მითითებულია: Voit, in: *Bruck/Möller*, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Aufl., Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 169.

<sup>255</sup> ob. Voit, in: *Bruck/Möller*, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Aufl., Band. III, §74-99, 2010, §86 Rn. 168.

<sup>256</sup> BGH 2.11.1961 VersR 1961 1077, 1078. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მეუდლეს, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბინა ნაქირავები აქვს სხვა ქალაქში და ძირითად საცხოვრებელ ადგილზე, სადაც მეუდლესთან ერთად ეწევა საოჯახო მეურნეობას, მხოლოდ შაბათ-კვირას ჩადის, არ არსებობს მისთვის საოჯახო პრიველიგიით სარგებლობაზე უარის თქმის საფუძველი. BGH 2 XI. 1961 VersR 1959 VB Anm. 6, მსგავსად: OLG München 15. VI. 1959 VersR 1959, 944 მითითებულია: Sieg, in: *Bruck/Möller*, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961, §67, Anm. 106.

## 5. ოჯახური ონაცხოვრების განმარტება

### 5.1. დაქორწინებული და დაუქორწინებული წყვილების სამართლებრივი მდგრამარეობა

იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იცვლება ადამიანთა თანაცხოვრების ფორმები და იმ პირთა წრე, რომლებიც საზოგადოების მიერ “ოჯახს მიკუთვნებულ” პირებად აღიქმებიან,<sup>257</sup> ჩნდება კითხვა - რა ითვლება ოჯახად თანამედროვე გაგებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კი, დგება “ოჯახს მიკუთვნებულ” პირთა წრის დეტალური განმარტების და შესაბამისად, კანონმდებლობის დახვეწისა და ახალი მოთხოვნებისადმი მისადაგების საჭიროება. თუ უკანასკნელ პერიოდამდე ოჯახად მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინებაზე დამყარებული პირთა ერთობლივი თანაცხოვრება მიიჩნევდა, თანამედროვე პერიოდში, არარეგისტრირებული ქორწინება ევროპის მრავალ ქვეყანაში, კანონის ან უძალლესი სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე,<sup>258</sup> კონსტიტუციით დაცულ ქორწინებას და ოჯახს გაუთანაბრდა.<sup>259</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში წლების განმავლობაში გრძელდებოდა დისკუსია იმ საკითხთან დაკავშირდებით, მიეკუთვნებოდნენ თუ არა გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ “საოჯახო პრივილეგით” მოსარგებლე სუბიექტებს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები.<sup>260</sup> 1807 წელს, როდესაც გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი იქნა მიღებული, გერმანელ კანონმდებელს არც კი შეეძლო წარმოედგინა, თუ რამდენად ფართოდ გავრცელდებოდა წყვილთა თანაცხოვრება ქორწინების გარეშე<sup>261</sup> და, შესაბამისად, რამდენად აქტუალური გახდებოდა ამ საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება.

<sup>257</sup> OLG Stuttgart v. 13. 8. 1992, 11 U 36/92, VersR 1993, 724 მითითებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 425.

<sup>258</sup> არარეგისტრირებული ქორწინების შესახებ გადაწყვეტილებების ანალიზი იხ. Grziwotz H., Rechtsprechung zur nichtehelichen Lebensgemeinschaft, FamRZ 2009, 750 მითითებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 426.

<sup>259</sup> იხ. Grziwotz H., Rechtsprechung zur nichtehelichen Lebensgemeinschaft, FamRZ 2009, 750 მითითებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 426. მსგავსი მიდგომაა ევროპის სხვა ქვეყნებშიც, მაგ. ავსტრიაში – შეად. OGH v. 23. 11. 1988, 7 Ob 44/88, VersR 1989, 830. იტალიაში – შეად. Corte di Cassazione Roma v. 28.3. 1994, zitiert nach Ferrari, ZeuP 1997, 1123. საფრანგეთში – შეად. Tribunal de Grande Instance Belfort v. 25. 7. 1995, მითითებულია: Ferrari F., ZeuP 1997, 1124.

<sup>260</sup> Huber Ch., Nichteheliche Lebensgemeinschaft – Ersatz nur bei Erfüllung einer gesetzlichen Unterhaltpflicht, NZV, 2007, 1-7; Jahnke, J., Versorgungsschaden in der nicht-ehelichen Lebensgemeinschaft nach einem Unfall, NZV, 2007, 239-337.

<sup>261</sup> იხ. Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 425.

დღესდღეობით კი, გერმანიაში პარტნიორული თანაცხოვრების ყველაზე გავრცელებული ფორმა სწორედ არარეგისტრირებული ქორწინებაა.<sup>262</sup>

წლების განმავლობაში, გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული სამეცნიერო მოსაზრებების საფუძველზე, ჩამოყალიბდა კრიტერიუმები, რომელიც უნდა ახასიათებდეს პირთა კავშირს იმისათვის, რომ იგი საზოგადოებრივი თვალთახედვით, ქორწინების მსგავს ურთიერთობად იქნეს მიჩნეული და შესაბამისად, მასზე კანონით გათვალისწინებული პრივილეგია გავრცელდეს. კერძოდ, აუცილებელია ასეთ ურთიერთობაში მყოფ პირთა მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის გაძლოლა.<sup>263</sup> აღნიშნულის განმსაზღვრელია, მაგალითად, თანაცხოვრების ხანგრძლივობა, ბავშვებზე ერთობლივი ზრუნვა, უფლება პარტნიორის შემოსავლისა და ქონების განკარგვაზე და სხვ.<sup>264</sup> სწორედ ეს არის კრიტერიუმები, რომელიც არარეგისტრირებულ ქორწინებას სხვა ტიპის პარტნიორული თანაცხოვრებისაგან განასხვავებს.<sup>265</sup>

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პარტნიორის დამზღვევის ოჯახის წევრად მიჩნევის საკითხი დიად დატოვა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობაში მყოფი პირები, როგორც წესი, ეკონომიკურ ერთიანობას ქმნიან, მათ მიმართ გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფით გათვალისწინებული “საოჯახო პრივილეგიის” გავრცელების საკითხი, უმეტეს შემთხვევაში, დადგებითად წყდება.<sup>266</sup>

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ეს მიდგომა გაზიარებულ იქნა გერმანულ იურიდიულ დოქტრინაშიც.<sup>267</sup> მეცნიერთა დიდი

<sup>262</sup> გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, 2009 წელს არარეგისტრებული ქორწინებების რაოდენობა, 2006 წლითან შედარებით, 34%-ით გაიზარდა, Statistisches Bundesamt, Pressemitteilung Nr. 307 v. 25. 8. 2008; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [www.destatis.de/allg/d/veroe/prose4fmikro\\_d.htm](http://www.destatis.de/allg/d/veroe/prose4fmikro_d.htm). 2009 წლის მონაცემებით, გერმანიაში 2,4 მილიონი არარეგისტრირებული ქორწინება დაფიქსირდა (ქორწინებების საერთო რაოდენობა 4,8 მილიონს შეადგინა). ბავშვების 28% არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მშობლებთან იზრდება. შეად. BVerfG v. 9. 11. 2004, I BvR 684/98, NJW 2005, 1413 მითითებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 425.

<sup>263</sup> ი. ლ. LG Saarbrücken VersR 1995, 158, 159 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 165.

<sup>264</sup> ი. ლ. BGH NJW 1993, 999, 1001; LG Saarbrücken VersR 1995, 158, 159 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 165.

<sup>265</sup> OLG Brandenburg 43 zu § 67 II VVG a.F., OLG Rostock 44 zu § 116 VI SGB X und des OLG Nürnberg მითითებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 427.

<sup>266</sup> BGH v. 22. 4. 2009, IV ZR 160/07.

<sup>267</sup> ი. ლ. Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 162 ff. ასევე, Boudon B., Handbuch Versicherungsrecht, 2. Aufl., 2003, §2 Rn. 159; Jahnke J., Unfalltod und Schadenersatz, 1. Aufl., 2007, 332; Lang H., Festschrift für Georg Greißinger zum 75. Geburtstag, Deutscher Anwalt Verlag, 2009,

ნაწილი მიიჩნევს, რომ ნორმის ორმაგი მიზანი – საოჯახო მშვიდობის შენარჩუნება და ფინანსური ტვირთისგან დამზღვევის გათავისუფლება, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებზეც ისევე უნდა გავრცელდეს, როგორც ქორწინებაში მყოფ პირებზე.<sup>268</sup> ასეთ ურთიერთობაში მყოფი პირებიც ეკონომიკურ ერთიანობას ქმნიან. შესაბამისად, ერთ-ერთი პარტნიორის მიმართ სუბროგაციული მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის გადანაწილება დაზღვეულ პარტნიორსაც მოუწევს, რის შედეგადაც იგი იძულებული იქნება გადაიხადოს ის, რაც მზღვეველისგან მიიღო.<sup>269</sup> თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სადაზღვევო ურთიერთობის მთავარი მიზანი დამზღვევის ინტერესის დაცვაა, ნაკლებად საგარაუდოა, მზღვეველს დამზღვევის ოჯახური თანაცხოვრების სამართლებრივი ფორმა აინტერესებდეს. მისთვის მთავარია, არსებობდეს ეკონომიკური ერთიანობა, რომლის შესანარჩუნებლადაც კანონმდებელმა “საოჯახო პრივილეგია” შემოიღო. სწორედ დამზღვევის ინტერესის დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, ნორმა უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში, არამედ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებზეც.

გამონაკლისია ერთსქესიან პირთა კავშირი, რომლითაც საერთო საოჯახო მეურნეობა იქმნება. გერმანიის ნორდრაინ-ვესტფალიის მიწის პამის უმაღლესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ პირის კუთვნილება დამზღვევის ოჯახისადმი არის მის მიმართ სუბროგაციული მოთხოვნის შეზღუდვის ერთ-ერთი წინაპირობა. ერთსქესიან პირთა კავშირის შემთხვევაში კი, სახეზე არ არის ოჯახი, ანუ არ არის მოცემული სუბროგაციული მოთხოვნის გამომრიცხავი წინაპირობა, რაც შეუძლებელს ხდის ასეთ კავშირში მცხოვრები პირების მიმართ გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფით გათვალისწინებული “საოჯახო პრივილეგიის” გავრცელებას.<sup>270</sup>

---

133; Anm. 3; ders. jurisPR-VerkR 2/2008, Anm. 5; Röthel, NZV 2001, 331; Schirmer, DAR 2007, 2; Groß, DAR 1999, 340; Kothe, Familienschutz für Lebensgemeinschaften beim Forderungsumgang nach §67 II VVG, §116 VI SGB X, NZV 1991, 89; Dahm D., Häusliche Gemeinschaft und nichteheliche Lebensgemeinschaft, NZV 2008, 280. მთითებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 427.

<sup>268</sup> ob. Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 163.

<sup>269</sup> ob. Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 426.

<sup>270</sup> OLG Hamm, Urteil vom 29.4.1993 (27 U 242/92)

## 5.2. რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინების სამართლებრივი მდგომარეობა ევროპისა და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

ხანგრძლივი, ქორწინების მსგავსი ტიპის კავშირი, სამართლის მრავალ სფეროში, კონსტიტუციით დაცულ ქორწინებას და ოჯახს უთანაბრდება.<sup>271</sup> არარეგისტრირებული ქორწინება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1992 წელს განმარტა, როგორც ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება, რომელიც ხანგრძლივად გრძელდება.<sup>272</sup> გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტებით, ცენტრალური მნიშვნელობის არის ერთად მცხოვრებ პირთა მიერ მატერიალური სახსრების ერთობლივი მოპოვება და განკარგვა, ანუ ეკონომიკური ერთიანობის არსებობა, თუნდაც ამ პირებს არ ჰყავდეთ შვილები.<sup>273</sup>

ასეთი ტიპის ურთიერთობაში მყოფ პირებზე კანონით დადგენილი პრივილეგიის გავრცელება არ ეწინააღმდეგება გერმანიის კონსტიტუციას,<sup>274</sup> რომლის მე-6 მუხლით რეგისტრირებული ქორწინება და ოჯახია დაცული. კერძოდ, ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუციური დაცვა სასამართლოებს არ უკრძალავს სხვა ტიპის თანაცხოვრების სამართლებრივ აღიარებას.<sup>275</sup> პირით, გერმანიის კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, ურთიერთობის ფორმიდან გამომდინარე, ხანგრძლივი და მყარი არარეგისტრირებული თანაცხოვრება ქორწინებას შეიძლება გაუთანაბრდეს.<sup>276</sup>

საქართველოს კანონმდებლობაში ქორწინების მიმართ შედარებით მკაცრი მოთხოვნებია დადგენილი. სსკ-ის 1106-ე მუხლი ქორწინებას განმარტავს, როგორც “ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის

<sup>271</sup> ob. Grziwotz H., Rechtsprechung zur nichtehelichen Lebensgemeinschaft, FamRZ 2009, 750 მითოვებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 426. მსგავსი მიდგომაა ევროპის სხვა ქვეყნებშიც, მაგ. ავსტრიაში – შეად. OGH v. 23. 11. 1988, 7 Ob 44/88, VersR 1989, 830. იტალიაში – შეად. Corte di Cassazione Roma v. 28.3. 1994, zitiert nach Ferrari, ZeuP 1997, 1123. საფრანგეთში – შეად. Tribunal de Grande Instance Belfort v. 25. 7. 1995, ციტირებულია: Ferrari, ZeuP 1997, 1124.

<sup>272</sup> BVerfG v. 17. 11. 1992 – BvL 8/87, NJW 1993, 643; Dahm D., Häusliche Gemeinschaft und nichteheliche Lebensgemeinschaft – neue Rechtsprechung zur Anwendung des Familienprivilegs auf die nichteheliche Lebensgemeinschaft und Reform des Versicherungsvertragsrechts, NZV 2008, 280.

<sup>273</sup> ob. Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 426.

<sup>274</sup> მსგავსად BGH v. 1. 12. 1987, VI ZR 50/87, VersR 1988, 253; Delank, ZfS 2007, 183, 184. მითოვებულია: Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 426.

<sup>275</sup> BVerfG NJW 1990, 1593, 1594 მითოვებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 164.

<sup>276</sup> BVerfG 112, 50, 67ff.; 106, 166, 176 ff; Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 426.

სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში<sup>277</sup> აღნიშნული ნორმიდან ცალსახად გამომდინარეობს დასკვნა, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებას საქართველოს კანონმდებლობით არავითარი სამართლებრივი სტატუსი არა აქვს მინიჭებული და შესაბამისად, ასეთ ურთიერთობაში მყოფ პარტნიორებს ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშობათ ის უფლება-მოვალეობები, რაც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს აკავშირებთ. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს სსკ-ის 1151-ე მუხლიდანაც, რომელიც ადგენს, რომ “მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქორწინება”. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის განმარტებით, დაუქორწინებელი მამაკაცი და ქალი, რომლებიც შეიძლება თანაცხოვრობდნენ, არ მიიჩნევიან ოჯახად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.<sup>278</sup>

იმ ფაქტის გათვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში საქართველოშიც იმატა არარეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვმა, ბუნებრივია, ჩნდება მსგავსი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისა და დაცვის აუცილებლობა.

ადსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემის წინაშე მრავალი ევროპული სახელმწიფო აღმოჩნდა, რაც სხვადასხვა სახის სოციალურმა და სამართლებრივმა ცვლილებებმა განაპირობა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შემოთავაზებული ოჯახური ცხოვრების განმარტება გასცდა ფორმალურ ურთიერთობას და მან პარტნიორებს შორის ფაქტობრივი კავშირებიც მოიცვა.<sup>279</sup> კერძოდ, ევროპის კომისიამ აღნიშნა, რომ “ოჯახური ცხოვრების” არსებობა-არარსებობის საკითხი, მნიშვნელოვანწილად, მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალური არსებობის ფაქტზეა დამოკიდებული.<sup>280</sup> გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ “ოჯახური ცხოვრების” ცნება არ იზლუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა ფაქტობრივ “ოჯახურ კავშირებს”, როდესაც

<sup>277</sup> სსკ-ის 1106-ე მუხლი.

<sup>278</sup> იხ. ქორქლია კ., მუხლებიდებულების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2004, 214.

<sup>279</sup> ჯონსონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnson and others v. Ireland), 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 112; მარკსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium), 1979 წლის 13 ივნისი, Series A no.31 და X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y and Z v. United Kingdom), 1997 წლის 22 აპრილი, EHRR 1997-II მითითებულია: ქორქლია კ., მუხლებიდებულების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2004, 191.

<sup>280</sup> „კ“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (K v. the United Kingdom), No. 11468/85, 1986 წლის 15 ოქტომბერი, 50 DR 199; X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y and Z v. United Kingdom), 1997 წლის 22 აპრილი, EHRR 1997-II 36-ე პუნქტი მითითებულია: ქორქლია კ., მუხლებიდებულების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2004, 191.

მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. [...] ორგორც წესი, სხვა ფაქტორებმაც შეიძლება მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ასეთ ურთიერთობას აქვს საკმარისი მდგრადობა, რათა დამყარდეს ფაქტობრივი “ოჯახური კავშირები”.<sup>281</sup>

## 6. ოჯახის წევრთა თანაცხოვრების განმსაზღვრელი დრო

მას შემდეგ, რაც დადგინდება პირის საერთო საოჯახო მეურნეობისადმი კუთვნილება და ამ კრიტერიუმით კონკრეტულ სუბიექტზე “საოჯახო პრივილეგიის” გავრცელების შესაძლებლობა, ჩნდება კითხვა, დროის რა მონაკვეთში უნდა ცხოვრობდეს დამზღვევის ოჯახის წევრი დამზღვევთან იმისათვის, რომ მასზე კანონით დადგენილი “საოჯახო პრივილეგია” გავრცელდეს. აღნიშნული საკითხი საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის და მასზე არც ქართულ მართლმსაჯულებას აქვს რაიმე პრაქტიკა შემუშავებული, რაც “საოჯახო პრივილეგიის” მარეგულირებელ ნორმას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

აღნიშნული საკითხი გერმანულ იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაშიც, სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის რეფორმის გატარებამდე, მუდმივად დავის საგანი იყო.<sup>282</sup> ერთადერთი, რაზეც გერმანული სასამართლოები ცალსახად თანხმდებოდნენ, იყო დამზღვევის ოჯახის იმ წევრზე “საოჯახო პრივილეგიის” გავრცელება, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში დამზღვევის ოჯახში ცხოვრობდა.<sup>283</sup> სსკ-ის 832-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, გერმანიის სასამართლოების ქს მიღვომა ცალსახად გასაზიარებელია. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში დამზღვევის ინტერესების დაცვა მარტივად მისაღწევია. თუმცა, შესაძლოა, სადაც გახდეს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია “საოჯახო პრივილეგია” გავრცელდეს ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც დამზღვევის ოჯახში ცხოვრებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ იწყებენ ან იმ პირებზე, რომლებიც დაზღვეულთან თანაცხოვრებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ წყვეტება.

იმისათვის, რომ დაზღვეულმა და ზიანის გამომწვევმა პირმა მოგვიანებით არ მოახდინონ მანიპულირება და სუბროგაციის გამომრიცხავი გარემოება ხელოვნურად არ შექმნა,<sup>284</sup> გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ცალსახად გამორიცხავს პირზე კანონით გათვალისწინებული

<sup>281</sup> 1994 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 297-C მითითებულია: ქორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ალ., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2004, 192.

<sup>282</sup> ი. Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961, §67, Anm. 107.

<sup>283</sup> ი. იქვე. აგრეთვე Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 157; BGHZ 54, 256, 260; BGH VersR 1971, 901; 1980, 644, 645; OGH VersR 1964, 692.

<sup>284</sup> ი. Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961, §67, Anm. 107.

პრივილეგიის გავრცელებას დაზღვეულთან თანაცხოვრების სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დაწყების შემთხვევაში.<sup>285</sup> რეფორმამდე, გერმანელი კანონმდებელი უშვებდა ერთადერთ გამონაკლისს ამ თვალსაზრისით, კერძოდ, პირთა ქორწინებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ.<sup>286</sup> რაც შეეხება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ თანაცხოვრების შეწყვეტას,<sup>287</sup> იგი გავლენას არ ახდენდა პირის უფლებაზე, ესარგებლა “საოჯახო პრივილეგიით”.<sup>288</sup> მართალია, წლების განმავლობაში გერმანიის სასამართლოები კანონის ნორმას ამ მიმართულებით განმარტავდნენ, მაგრამ დაგროვილმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში, პირები უფლებას ბოროტად იყენებდნენ.<sup>289</sup> კერძოდ, პრივილეგიის მისაღებად, ისინი ქორწინების გზით იწყებდნენ ოჯახურ თანაცხოვრებას და ქმნიდნენ ეკონომიკურ ერთიანობას. კანონმდებელმა ახალი კანონის მიღებისას გათვალისწინა აღნიშნული გარემოება და პირთა მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ ოჯახის შექმნა არ განსაზღვრა გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფით “საოჯახო პრივილეგიით” სარგებლობის უფლების მინიჭების საფუძვლად.<sup>290</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსტ-ის 832-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საოჯახო პრივილეგია გავრცელდეს დამზღვევის ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც დაზღვეულთან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში ცხოვრობდნენ.

## 7. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის ნათესაური კავშირისა და საერთო საოჯახო მეურნეობის არსებობა არის ორი აუცილებელი კრიტერიუმი, რომელიც “საოჯახო პრივილეგიით” მოსარგებლე სუბიექტებისადმი პირის კუთვნილებას განსაზღვრავს. სწორედ ამ ორი ნიშის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი საუბარი ოჯახის

<sup>285</sup> BGHZ 54, 256, 261; BGH VersR 1971, 901 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 157.

<sup>286</sup> BGH VersR 1980, 644, 645, OLG Köln VersR 1991, 1237; OLG Hamburg VersR 1992, 685, 686; 1238; იხ. აგრეთვე: BGH VersR 1976, 149, 150. მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 158.

<sup>287</sup> მაგალითად, ოუ მეუღლები განქორწინდებიან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, ზიანის მიმყენებელ ერთ-ერთ მეუღლეზე კვლავ ვრცელდება კანონით დადგენილი “საოჯახო პრივილეგია”.

<sup>288</sup> იხ. BGHZ VersR 1971, 901; 1980, 644, 645 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 157.

<sup>289</sup> იხ. Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Aufl., Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 177.

<sup>290</sup> იხ. იქვე.

წევრთა საერთო საოჯახო ბიუჯეტზე, რომელსაც კანონმდებელი სუბროგაციისაგან იცავს.

აღნიშნულისგან განსხვავებით, ქართველი კანონმდებელი საუბრობს მხოლოდ დაზღვეულთან მცხოვრებ ოჯახის წევრზე, როგორც პრივილეგირებულ სუბიექტზე და იგი ყურადღების გარეშე ტოვებს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა, დამზღვევი და ზიანის მიმყენებელი ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი შეიძლება არ ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ საერთო საოჯახო ბიუჯეტი და შესაბამისად, სუბროგაციული მოთხოვნისაგან დასაცავი ერთიანი ეკონომიკური ინტერესი. ასეთ დროს, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, რომ კანონმდებელი უსამართლოდ ზღუდვას მზღვეველის უფლებას, მოითხოვოს დამზღვევთან მცხოვრები ზიანის მიმყენებელი პირისგან დამზღვევისთვის გადახდილის უკუგადახდა. ერთი შეხედვით, აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი უგულვებელყოფს სუბროგაციის შეზღუდვის მთავარ ეკონომიკურ მიზანს და შედეგად, იცავს არა დამზღვევის, არამედ მისი ოჯახის წევრის ინტერესს. ამასთან, ქართველი კანონმდებელი უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დამზღვევს და მის ოჯახის წევრს, შესაძლოა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ერთად არ უწევდეთ ცხოვრება, მაგრამ ისინი შეიძლება მიეკუთვნებოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას და მათ შეიძლება ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური მიზანი. თუ კანონს სიტყვით განვმარტავთ, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი კანონმდებელი არც ასეთ ვითარებაში ითვალისწინებს დამზღვევის ინტერესს და მისგან მოშორებით მცხოვრები, მაგრამ საერთო საოჯახო მეურნეობის მქონე პირთა მიერ “საოჯახო პრივილეგით” სარგებლობას გამორიცხავს. გერმანული სასამართლო პრაქტიკა კი, სრულიად საპირისპიროს ცხადყოფს. სასამართლოები მთავარ აქცენტს სწორედ დამზღვევისა და ზიანის მიმყენებლის მიერ საერთო საოჯახო მეურნეობის წარმართვაზე აკეთებენ.<sup>291</sup> ის ფაქტი, რომ დამზღვევის ოჯახის წევრს, ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეიძლება ცხოვრება სხვა ადგილას უწევდეს, გავლენას არ ახდენს საერთო საოჯახო მეურნეობისადმი მის კუთვნილებაზე.<sup>292</sup> გადამწყვეტი სწორედ ეკონომიკური ერთიანობა და საერთო საოჯახო ბიუჯეტია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობით, გერმანულის მსგავსად, დამზღვევის და მზღვეველის ინტერესების დასაცავად, დაკონკრეტდეს კრიტერიუმები, რომელიც დამზღვევის ოჯახისადმი პირის კუთვნილებას განსაზღვრავს. ოჯახის წევრთან თანაცხოვრება “საოჯახო პრივილეგიის” დადგენის ერთადერთ კრიტერიუმად არ გამოდგება და იგი სამართალშემფარდებელს საკანონმდებლო მიზნამდე არ მიიყვანს. ამიტომ, მიზანშეწონილია, სსკ-ის

<sup>291</sup> BGH 2.11.1961 VersR 1961 1077, 1078 მითითებულია: Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961 §67, Anm. 105.

<sup>292</sup> ob. Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961 §67, Anm. 106.

832-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული “საოჯახო პრივილეგია” გავრცელდეს არა დაზღვეულთან მცხოვრებ ოჯახის წევრზე, არამედ დამზღვევის ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც მასთან საერთო საოჯახო მეურნეობაში არიან ინტეგრირებული. ეს კრიტერიუმი შესაძლებელს გახდის, ნორმით გათვალისწინებული პრივილეგია გავრცელდეს ოჯახის ყველა იმ წევრზე, რომელთანაც დამზღვევს საერთო ეკონომიკური ინტერესი აქვს და რომლის დასაცავადაც კანონმდებელმა “საოჯახო პრივილეგია” შემოიღო.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 832-ე მუხლი იცავს დამზღვევი პირის ინტერესს და არა ოჯახს და ქორწინებას.<sup>293</sup> აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საქართველოს სასამართლოებმა გაიზიარონ გერმანიის და ევროპის სასამართლოების გამოცდილება და პირები, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ აკმაყოფილებენ ოჯახისათვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს, სსკ-ის 832-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ქორწინებაში მყოფ პირებს გაუთანაბრონ. შესაბამისად, მათ მიმართ სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული “საოჯახო პრივილეგია”. ამგვარი პრაქტიკის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, სსკ-ის 832-ე მუხლში არსებული ჩანაწერი “დაზღვეულთან მცხოვრები ოჯახის წევრის” თაობაზე შეიცვალოს და “საოჯახო პრივილეგიით” სარგებლობის უფლების განმსაზღვრელ ინდიკატორად ზიანის მიმყენებლისა და დამზღვევის საერთო მეურნეობისადმი კუთვნილება დადგინდეს. მსგავსი ჩანაწერი სრულ პარმონიაში იქნება “სადაზღვევო სამართლის ეგროპულ პრინციპებთან”, რომლის 10:101 (3) მუხლის თანახმად, მზღვეველის სუბროგაციის უფლება გამორიცხულია დამზღვევთან საერთო საოჯახო მეურნეობაში მცხოვრები სუბიექტების მიმართ. მსგავსი მიდგომა აირჩია გერმანელმა კანონმდებელმაც 2008 წლის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფის გადასინჯვისას. კანონის ახალი რედაქციის 86-ე პარაგრაფით “საერთო საოჯახო მეურნეობაში თანაცხოვრება” ერთმნიშვნელოვნად დადგინდა “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით სარგებლობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად. სწორედ აღნიშნული ცვლილებით დაესვა საბოლოოდ წერტილი ამ საკითხის ირგვლივ გერმანულ იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში წლების განმავლობაში მიმდინარე დისკუსიას.<sup>294</sup>

<sup>293</sup> ob. Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 164.

<sup>294</sup> ob. Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Aufl., Band. III, §74-99, 2010, §86 Rn. 167; Lang H., Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, 427.

## VI. სუბროგაციის დოქტრინის გამოყენების სფეროები

### 1. შესავალი

სუბროგაციის დოქტრინაზე მსჯელობისას, პრობლემურია საკითხი, დაზღვევის რომელ სფეროებზე უნდა გავრცელდეს კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადასვლა.<sup>295</sup> ამასთან, ნორმის მოქმედების ფარგლები და სფეროები მისი სისტემური ანალიზის საფუძველზე დადგინდეს.

სუბროგაციის მომწესრიგებელი 832-ე მუხლი დადგენილია სსკ-ის მეოცე თავის მესამე ქვეთავში, რომელიც ზიანის დაზღვევას არეგულირებს. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 832-ე მუხლი კოდექსის ნორმათა სისტემაში იმავე პრინციპით არის განთავსებული, რა პრინციპითაც გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონში 86-ე პარაგრაფი, რომელიც მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის საკითხს აწესრიგებს. გერმანელმა კანონმდებელმა დაზღვევის სფეროში რეფორმის გატარებისას,<sup>296</sup> კანონის ძველი რედაქციის მსგავსად,<sup>297</sup> ნორმა კვლავ ზიანის დაზღვევის თავში დატოვა,<sup>298</sup> რითაც მან სუბროგაციული მოთხოვნის უფლების თავისებურებას და დაზღვევის სახის მიხედვით მისი შეზღუდვის აუცილებლობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

გამომდინარე იქიდან, რომ მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის მარეგულირებელი ნორმა სადაზღვევო ურთიერთობის მომწესრიგებელ ზოგად ნორმებში არ არის მოცემული, ლოგიკურია, რომ იგი ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებაზე ვერ გავრცელდება. როგორც აღინიშნა, ნორმა ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელ თავშია დადგენილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სუბროგაციული მოთხოვნის უფლება იმ სადაზღვევოსამართლებრივი ურთიერთობებით შემოიფარგლება, რომელიც ზიანის დაზღვევას ეხება.<sup>299</sup>

საკითხის ღრმად გასაანალიზებლად, მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სადაზღვევო ურთიერთობები სახეების მიხედვით და ამის საფუძველზე განისაზღვროს, თუ რომელი სადაზღვევო ურთიერთობები მიეკუთვნება ზიანის დაზღვევას. საბოლოოდ კი, უნდა შეფასდეს, როდის შეიძლება მოხდეს მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლა, ანუ სუბროგაცია.

<sup>295</sup> იბ. *Langheid*, in: *Römer/Langheid/Rixecker*, Versicherungsvertragsgesetz, 3. Auflage, 2012, Rn. 1.

<sup>296</sup> Abschlussbericht der Kommission zur Reform des Versicherungsvertragsrechts vom 19. April 2004 ხელმისაწვდომია: <<http://www.rpmed.de/php/aktuelles/Abschlussbericht-Reformkommission-VVG-19.04.2004.pdf>>, [07.01.2014].

<sup>297</sup> გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ძველი რედაქცია ხელმისაწვდომია: <<http://dejure.org/gesetze/0VVG311207/67.html>>, [07.01.2014].

<sup>298</sup> იბ. იქვე.

<sup>299</sup> იბ. *Möller/Segger*, in: *Langheid/Wandt*, Münchener Kommentar zum VVG, 1. Auflage, 2010, §86, Rn. 31.

## 2. დაზღვევის სახეები სუბროგაციის მიზნებისათვის

### 2.1. დაზღვევის სახეები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში<sup>300</sup> და არც “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონში<sup>301</sup> დაზღვევის სახეების ზუსტი ჩამონათვალი მოცემული არ არის. “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის “ა”, “ბ” და “გ” ქვეპუნქტები ერთმანეთისაგან მიჯნავს პირად დაზღვევას, ქონების დაზღვევას და პასუხისმგებლობის დაზღვევას და მათი ზოგადი განმარტებით შემოიფარგლება.<sup>302</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც სადაზღვევო ურთიერთობებს სამ ტიპად აჯგუფებს, თუმცა, იგი განსხვავდება კანონისეული ტიპოლოგიისგან და მოიცავს ზიანის დაზღვევას, სიცოცხლის დაზღვევას და უბედური შემთხვევის დაზღვევას.<sup>303</sup>

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კანონმდებლის მიზანია, სუბროგაცია, თავისი სპეციფიური ბუნების გათვალისწინებით, კონკრეტული სადაზღვევო ურთიერთობებით შეზღუდოს, ბუნებრივია, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ურთიერთობა ამა თუ იმ სახის დაზღვევას შეიძლება მიეკუთვნოს.

#### 2.1.1. დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნა დაზღვევის ობიექტის მიხედვით

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნას დაზღვევის ობიექტის მიხედვით ახორციელებენ.<sup>304</sup> კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რა სიკეთეა დაზღვეული სადაზღვევო ხელშეკრულებით, ერთმანეთისგან იმიჯნება ქონების დაზღვევა (ზიანის დაზღვევა) და პირადი დაზღვევა.<sup>305</sup> ნებისმიერი ქონებრივი ინტერესის დაზღვევა, მათ შორის ზიანის დაზღვევა, ქონების დაზღვევის სახედ

<sup>300</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, პარლამენტის უწყებანი, №31, 1997 წელი, რეგისტრაციის №786-IIIს. ხელმისაწვდომია: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge)

<sup>301</sup> იხ. იქვე.

<sup>302</sup> „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი: ა) დაზღვევა, დაკავშირებული დამზღვევის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა); ბ) დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა); გ) დაზღვევა, დაკავშირებული დამზღვევის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

<sup>303</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის შესახებ თავის III-V ქვეთავები.

<sup>304</sup> იხ. ცისკადე ქ., ჭახტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

<sup>305</sup> ცისკადე ქ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა “მერიდიანი”, 2011, 36.

განიხილება.<sup>306</sup> ამ სახის დაზღვევას მიეკუთვნება, ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა, დაზღვევა ქურდობისგან, შენობა-ნაგებობის დაზღვევა და სხვ.

სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა დამდგარ ზიანზეა დამოკიდებული.<sup>307</sup> სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მზღვეველი ვალდებულია დამზღვევს აუნაზღაუროს დამდგარი ზიანი სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების შესაბამისად.<sup>308</sup> ზიანის დაზღვევის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევის მიერ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს დამდგარ ზიანს.<sup>309</sup> სწორედ ამიტომ, ქონების დაზღვევას, ხშირად, კონკრეტული ზიანის დაფარვის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ.<sup>310</sup> ზიანის დაზღვევის ეს თავისებურება განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა, როდესაც საქმე მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლას, ანუ სუბროგაციას ეხება. კონკრეტული ზიანის დაფარვის პრინციპი მჭიდრო კავშირშია უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვის პრინციპთან, რომელიც, თავის მხრივ, სუბროგაციის დოქტრინის ფუნდამენტია. დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას კი, კანონმდებელი დამზღვევისთვის ორმაგი კომპენსაციის შეზღუდვით ცდილობს, რაც სუბროგაციის გზით მიღწევა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც მზღვეველი დამზღვევს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში, დამდგარ ზიანს სრულად აუნაზღაურებს, მზღვეველზე გადადის დამზღვევის უკელა ის მოთხოვნის უფლება, რაც მას ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ აქვს.<sup>311</sup> ეს კი, თავისთავად, ხელს უშლის დამზღვევის მიერ ზიანის ორმაგ კომპენსაციას, ერთი მხრივ, მზღვეველისგან და მეორე მხრივ, ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან. ამ მიღომით შესაძლებელია იმ მიზნის მიღწევა, რომელსაც სუბროგაციის დოქტრინა ისახავს – თავიდან იქნეს აცილებული დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება.

რაც შეეხება დაზღვევის მეორე სახეს - პირად დაზღვევას, ასეთი ტიპის სადაზღვევო ურთიერთობაში დაზღვევის ობიექტია პირის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.<sup>312</sup> განსხვავებით ზიანის დაზღვევისაგან, რაც კონკრეტული ქონებრივი ინტერესის დაზღვევას გულისხმობს, პირადი დაზღვევის პირობებში, სადაზღვევო შენატანის საფუძველზე, დამზღვევი აზღვევს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ახდენს დაზღვევას უბედური შემთხვევისაგან. პირადი დაზღვევის სპეციფიური ბუნებიდან გამომდინარე,

<sup>306</sup> ი. ცისკადე ქ., ჭანმურია/ზოიდე/ნინიძე/შენგელია/ხელშერიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

<sup>307</sup> ი. ცისკადე ქ., შენგელია/ზოიდე/ნინიძე/შენგელია/ხელშერიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

<sup>308</sup> ი. ცისკადე ქ., შენგელია/ზოიდე/ნინიძე/შენგელია/ხელშერიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

<sup>309</sup> ი. ცისკადე ქ., შენგელია/ზოიდე/ნინიძე/შენგელია/ხელშერიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

<sup>310</sup> ი. ცისკადე ქ., შენგელია/ზოიდე/ნინიძე/შენგელია/ხელშერიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

<sup>311</sup> ი. ცისკადე ქ., შენგელია/ზოიდე/ნინიძე/შენგელია/ხელშერიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

<sup>312</sup> ი. ცისკადე ქ., შენგელია/ზოიდე/ნინიძე/შენგელია/ხელშერიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 140.

კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ იგი დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან, რომელიც შეუფასებელია, როგორიც დამზღვევისთვის მიყენებული ზიანი ციფრებში გამოიხატოს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოთა უმრავლესობა (მაგალითად, საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი და სხვ.), მათ შორის საქართველოც, პირად დაზღვევაზე უსაფუძლო გამდიდრების ამკრძალავ ნორმებს არ ავრცელებს და შესაბამისად, მასზე მზღვეველის სუბროგაციის უფლებასაც გამორიცხავს. კანონმდებლობა დამზღვევს უტოვებს უფლებას, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, ერთი მხრივ, მზღვეველისგან, ხოლო, მეორე მხრივ, ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან. კანონმდებლის ეს მიღომა ლოგიკურია – ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის ხელყოფის დროს, არავის შეუძლია განსაზღვროს და მატერიალურ ოდენობაში გამოხატოს გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრის ან დაზარალებული პირის მიერ განცდილი ზიანი. ორივე მათგანმა, მატერიალურ ზიანთან ერთად, შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც მორალური, ისე ფსიქოლოგიური ტრამვა, რომლის შეფასებაც ადამიანს არ შეუძლია. ეს მიღომა შეესაბამება ჯერ კიდევ ძველ რომში ცნობილ გამოთქმას: “liberum corpus nullam recipit aestimationem”.<sup>313</sup> სწორედ პირადი დაზღვევის სპეციფიური ბუნებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა სსკ-ის 832-ე მუხლის მოქმედება მხოლოდ ზიანის დაზღვევის ხელშეკრულებით შემოფარგლა და პირადი დაზღვევის დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კვლავ დამზღვევს დაუტოვა.<sup>314</sup> შესაბამისად, ასეთ დროს, კანონმდებელმა დასაშვებად მიიჩნია ზიანის ანაზღაურება, ერთი მხრივ, მზღვეველისგან და მეორე მხრივ, ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან, ანუ ე.წ. მოთხოვნათა კუმულაცია.

## 2.1.2. მოთხოვნათა კუმულაცია

### 2.1.2.1. მოთხოვნათა კუმულაციის არსი

კუმულაციის პრინციპი, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში მოთხოვნათა კუმულაციის სახელითაც იცნობენ, გულისხმობს დამზღვევი პირის უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მოვალისგან იმ მოცულობით, რაც მას მზღვეველის მიერ ზიანის აუნაზღაურებლობის ან სადაზღვევო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში დაეკისრებოდა.<sup>315</sup> მარტივად რომ ვთქვათ, სადაზღვევო ურთიერთობებში მოთხოვნათა კუმულაცია გულისხმობს კრედიტორის მიერ ერთი და იგივე ზიანისთვის ანაზღაურების მიღებას, როგორც მზღვეველისგან, ისე ზიანის მიმყენებლისგან. კუმულაციის გზით, დაზარალებული იღებს რეალურ

<sup>313</sup> Gaius Dig. 9,1,3 ა. 9,3,7. ამ გამოთქმის თანახმად, სხეულის დაზიანების შემთხვევაში ადამიანის სხეულის (მიხოვის მიყენებული ზიანის) შეფასება შეუძლებელია.

<sup>314</sup> ი.ხ. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München 2009, §22, Rn. 9. ინგლისის სასამართლო პრეცედენტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად ი.ხ. Insurance Commission of Western Australia v. Kightly.

<sup>315</sup> Maurer A., Kumulation und Subrogation in der Privat- und Sozialversicherung, Ein Beitrag zur Harmonisierung der Gesetzgebung, Bern, 1975, 13 f.

ზიანზე მეტ კომპენსაციას. მისი ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის არდადგომის პირობებში იარსებებდა.<sup>316</sup> მაგალითად, თუ პირის არამართლზომიერი ქმედების შედეგად, ზიანი მიადგება დამზღვევის ქონებას და ჯანმრთელობას (მაგალითად, პირი დაკარგავს შრომისუნარიანობას), დამზღვევს ექნება უფლება, მკურნალობისა და მორალური ზიანის ანაზღაურება მოთხოვოს ერთდროულად, როგორც სადაზღვევო კომპანიისგან (თუ ამას სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს), ისე ზიანის გამომწვევი პირისგან. ერთი შეხედვით, კუმულაციის პრინციპი წინააღმდეგობაშია ორმაგი კომპენსაციის შეზღუდვისა და უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპთან, რომლის დაცვაც, როგორც ნაშრომის წინა თავში აღინიშნა, სუბროგაციის დოქტრინის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ მოთხოვნათა კუმულაცია, ზოგადად, დასაშვებია, რატომ არის სახელმწიფოთა უმრავლესობაში სუბროგაციის დოქტრინა აღიარებული? როგორ არის შესაძლებელი ერთდროულად ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპის მოქმედება? რა შემთხვევაში არის დასაშვები მოთხოვნათა კუმულაცია და როდის შეიძლება შეიზღუდოს იგი? როგორიც მოიძებნოს კანონმდებლობა, რომელიც მოთხოვნათა კუმულაციის დასაშვებობის თაობაზე პირდაპირ მითითებას აკეთებს. ზემოთ დასმულ თითოეულ კითხვაზე პასუხის გაცემა სუბროგაციის პრინციპის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების საფუძველზეა შესაძლებელი.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ პირადი დაზღვევა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევას მოიცავს, თავისი განსაკუთრებული ბუნების გამო, განსხვავდება დაზღვევის სხვა სახეებისგან. პირადი დაზღვევის შემთხვევაში, საქმე ეხება ისეთ სიკეთეს, როგორიც არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელიც შეუფასებელია. ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას, ფიზიკურ ტრაგმასთან ერთად, შეიძლება ახლდეს ისეთი სულიერი თუ მორალური ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია. მორალური ზიანის დაანგარიშებისას, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება მის ორ უმთავრეს ფუნქციაზე. პირველი, მორალური ზიანის ანაზღაურებით, უნდა განხორციელდეს დაზარალებულისთვის იმ ზიანის კომპენსირება, რომელიც არ არის ქონებრივი ხასიათის. მეორე, კომპენსაციამ უნდა მოიცვას არა მხოლოდ იმ მომენტისათვის არსებული ზიანი, არამედ ის ზიანიც, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია მოვალის არამართლზომიერ ქმედებასთან და დაზარალებულს მოვალის არამართლზომიერი ქმედების შედეგად სამომავლოდ შეიძლება წარმოეშვას. მორალური ზიანის დასაანგარიშებლად, მნიშვნელოვანია დამდგარი ზიანის სიმძიმის, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ხარისხისა და ხანგრძლივობის, აგრეთვე სულიერი ტკივილის ხანგრძლივობის დადგენა. გარდა ამისა, აუცილებელია უკვე არსებული ან სამომავლოდ გამოვლენადი დაავადებების მკურნალობისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობის

<sup>316</sup> იხ. იქვე.

განსაზღვრა, დადგენა იმისა, თუ რამდენად განტურნებადია ეს დაავადებები და ბოლოს, მომხდარი ფაქტიდან გამომდინარე, საერთო მდგომარეობის შეფასება.<sup>317</sup> მაგალითად, თუ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ავტომობილის დაზიანებასთან ერთად, ზიანი მიადგება პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მას უფლება აქვს, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, მოითხოვოს მორალური ზიანის კომპენსაცია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს: სხეულის დაზიანებით, დაინვალიდებით, შრომისუუნარობის დაკარგვით ან სხვა გარემოებით გამოწვეულ სულიერ ტრავმას. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს, მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ მზღვეველისგან,<sup>318</sup> არამედ ზიანის გამოწვევაზე პასუხისმგებელი პირისგანაც. პირადი დაზღვევის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებები განაპირობებს იმას, რომ კუმულაციის პრინციპის მეშვეობით, დამზღვევის “გადამეტებული კომპენსაცია” არის დასაშვები. მისი ეს უფლება შეუზღუდავია.<sup>319</sup> მაგალითად, გერმანიის უედერალურმა სასამართლომ ორმაგი კომპენსაცია გამართლებულად მიიჩნია მკურნალობის ხარჯებისთვის და აღნიშნა: დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურება ერთდროულად მოითხოვოს, როგორც ზიანის მიმყენებლისგან, ისე სადაზღვევო კომპანიისგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზიანი დადგა ერთხელ და არა ორჯერ.<sup>320</sup> იმ შემთხვევაშიც კი, თუ უბედური შემთხვევის შედეგად დამზღვევი პირი გარდაიცვლება, გარდაცვლილი პირის მეუღლეს ან შვილს ექნება უფლება, კუმულაციის პრინციპზე დაყრდნობით, ზიანის ორმაგი კომპენსაცია მოითხოვოს. გერმანიის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გაზიარებულ იქნა, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე საერთო სასამართლო პრაქტიკაში.

### 2.1.2.2. კუმულაციის პრინციპი საქართველოს სადაზღვევო პრაქტიკაში

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართულ სადაზღვევო პრაქტიკაში დამზღვევი პირებისთვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება არ ხდება. ნაცვლად იმისა, რომ სადაზღვევო კომპანიებმა დამზღვევისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებასა და მისი ინტერესის დაცვაზე იზრუნონ, ისინი, როგორც წესი, დამზღვევისა და ზიანის მიმყენებლის ნაკლები ინფორმირებულობით სარგებლობენ. კომპანიები ცდილობენ, პირადი დაზღვევის შემთხვევაშიც კი, სუბროგაციის გზით თავად ჩაანაცვლონ დამზღვევი სსკ-ის 832-ე მუხლის საფუძველზე. მათ მიერ სრულიად უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ სსკ-ის 832-ე მუხლი, რომელიც მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ითვალისწინებს, მოქცეულია სსკ-ის მეოცე თავის მეორე ქვეთავში, რომელიც ზიანის დაზღვევას ეხება. ამასთან, სსკ-ის 820-843-ე მუხლები შეიცავს სპეციალური და არა ზოგადი ხასიათის ნორმებს და ისინი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე,

<sup>317</sup> Schultze-Zeu R., Rechtsprechung im Volltext Geburtsschadensrecht, Stand: 15.06.2013, ხელმისაწვდომია: <[http://www.ratgeber-artzhaftung.de/130617\\_Rechtsprechung\\_Geburtsschaden.pdf](http://www.ratgeber-artzhaftung.de/130617_Rechtsprechung_Geburtsschaden.pdf)>.

<sup>318</sup> შეად. სსკ-ის 824-ე მუხლი.

<sup>319</sup> Maurer A., Kumulation und Subrogation in der Privat- und Sozialversicherung, Bern, 1975, 14.

<sup>320</sup> Bundesgerichtshof vom 14. November 1974 in Sachen Fux gegen Altstadt.

რომელიც ზიანის დაზღვევიდან წარმოიშობა. რაც შეეხება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევას, ისინი რეგულირდება სსკ-ის მეოცე თავის მეოთხე და მეხუთე ქვეთავებით, აგრეთვე სადაზღვევო ურთიერთობის მომწერიგებელი ზოგადი დებულებებით. ამდენად, პირადი დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ დაზარალებული პირის ჩანაცვლება და სსკ-ის 832-ე მუხლის ძალით გადახდილი თანხის უკუმოთხოვნა დაუშვებელია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება.<sup>321</sup> სასამართლოს სარჩელით მიმართა სადაზღვევო კომპანიამ და მოითხოვა ბჯ.-ის მემკვიდრის სასარგებლოდ გადახდილი 7000 ლარის მესამე პირისაგან რეგრესის ძალით ანაზღაურება.<sup>322</sup> მოსარჩელე მიუთითებდა, რომ პირი, რომელსაც დაზღვეული პქონდა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა. მზღვეველმა, ხელშეკრულების პირობების თანახმად, მის მემკვიდრეს აუნაზღაურა სადაზღვევო თანხა - 7000 ლარი. ამასთან, გარდაცვლილის მემკვიდრემ დამატებითი კომპენსაცია, 12000 ლარის ოდენობით, ზიანის გამომწვევი პირისგან მიიღო. სადაზღვევო კომპანიამ, სსკ-ის 832-ე მუხლიდან გამომდინარე, მოითხოვა მის მიერ გადახდილი 7000 ლარის სუბროგაციის წესით დაბრუნება ზიანის გამომწვევი პირისგან.

სასამართლომ განმარტა სსკ-ის 832-ე მუხლის სამართლებრივი ბუნება და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმა არ არეგულირებს რეგრესულ მოთხოვნებს. სასამართლომ იგი დაახასიათა, როგორც საგამონაკლისო ხასიათის ნორმა, რომელიც სპეციალურ ურთიერთობებს არეგულირებს და მისი გამოყენება პირად დაზღვევაზე, თუნდაც ანალოგის გზით, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიიჩნია. ამასთან, პირადი დაზღვევის ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია დამზღვევის ორმაგი კომპენსაცია, ანუ დამზღვევის მიერ მოთხოვნათა კუმულაცია.<sup>323</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სრულიად შეესაბამება ამ საკითხის შესახებ გერმანულ სასამართლოებში დანერგილ პრაქტიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სუბროგაციის და კუმულაციის პრინციპის მოქმედება ერთ სამართლებრივ სივრცეში არავითარ ურთიერთწინააღმდეგობას არ წარმოშობს. თითოეულ მათგანს განსხვავებული დანიშნულება აქვს, თუმცა, მიზანი, რომელსაც ისინი ემსახურებიან, ერთია. ეს არის დაზარალებულის ინტერესის დაცვა და მისთვის ზიანის სრული კომპენსაცია, რაც, ზოგადად, სადაზღვევო ურთიერთობის ქვაკუთხედია.

<sup>321</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 განჩინება, გვ. 72. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf>>.

<sup>322</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში იმ პროცესის აღსაწერად, რომელსაც სუბროგაცია არეგულირებს, ტერმინ „რეგრესს“ იყენებს.

<sup>323</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-663-624-2011 განმარტება. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba42.pdf>>.

## 2.2. დაზღვევის სახეები გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით

სუბროგაციის დოქტრინის მოქმედების სფეროებზე საუბრისას, საინტერესოა სხვა ქვეყნების მიღომა ამ საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საინტერესო კი, გერმანული სამართალია, რომელიც ქართულისაგან სრულიად განსხვავებულ მიღომას ირჩევს.

2008 წლის რეფორმამდე, გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი დაზღვევის სახეების ისეთივე დაყოფას ადგენდა, როგორც ეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.<sup>324</sup> თუმცა, დაზღვევის სახეების აღნიშნული წესით ურთიერთგამიჯვნის თაობაზე გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში, წლების განმავლობაში, არაურთგაროვანი მიღომა იყო ჩამოყალიბებული. ასეთი ტიპის დაყოფის მოწინააღმდეგები მიიჩნევდნენ, რომ პირად დაზღვევასა და ზიანის დაზღვევას შორის მკაფიო ზღვრის გავლება რთულია და ისინი ყოველთვის შეიძლება ერთმანეთში გადაიკვეთოს.<sup>325</sup> ეს განსაკუთრებით შეეხება ჯანმრთელობის დაზღვევას იმ შემთხვევაში,<sup>326</sup> როდესაც იგი პირად დაზღვევასთან ერთად, იმ ქონებრივი ზიანის დაზღვევასაც ითვალისწინებს, რომელიც ჯანმრთელობაზე გაწეული ხარჯების შედეგად დამზღვევს შეიძლება მიადგეს. გერმანიაში დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა ზიანის დაზღვევისა და პირადი დაზღვევის ერთმანეთისგან რადიკალური გამიჯვნის არაპრაქტიკულობა. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, გერმანელმა კანონმდებელმა სადაზღვევო სფეროში რეფორმის გატარებისა და ახალი კანონის მიღებისას, ზიანის დაზღვევის და პირადი დაზღვევის საკანონმდებლო ურთიერთგამიჯვნისაგან თავი შეიკავა.<sup>327</sup> ახალ კანონში კანონმდებელმა ტერმინი პირადი დაზღვევა აღარც გამოიყენა,<sup>328</sup> რითაც არაპირდაპირ დაუჭირა მხარი დაზღვევის სახეების დაყოფის იმ მიღომას, რომელიც გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში, წლების განმავლობაში, დაყოფის ალტერნატიულ სახედ განიხილებოდა.<sup>329</sup>

<sup>324</sup> გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის პირველი პარაგრაფი ძველი რედაქციით. ხელმისაწვდომია: <<http://dejure.org/gesetze/0VVG311207/1.html>>.

<sup>325</sup> ი. ბ. Begründung Regierungsentwurf BT-Drucks. 16/3945. 56 ხელმისაწვდომია: <<http://dip21.bundestag.de/dip21/btd/16/039/1603945.pdf>>.

<sup>326</sup> BGH VersR 2001, 1100, 1101 მითითებულია: Reinhard, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §194, Rn. 10.

<sup>327</sup> ი. მ. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar zum VVG, 1. Auflage, 2010, §86, Rn. 32.

<sup>328</sup> ი. ვ. Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Aufl., Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 17.

<sup>329</sup> ი. მ. Möller,in: Bruck/Möller, Kommentar zum VVG, 8. Auflage, 1961ff., § 1Anm. 23; ა. გ. გ. Schauer M., Das österreichische Versicherungsvertragsrecht, 1995, 38 მითითებულია: Oster G., Entwicklung und Trends in der privaten Berufsunfähigkeits Zusatzversicherung in Deutschland, Österreich und der Schweiz, Verl. Versicherungswirtschaft, 1999, 41.

## 2.2.1. დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნა სადაზღვევო ანაზღაურების ფორმის მიხედვით

გერმანიაში სადაზღვევო სფეროში დაგროვილმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სადაზღვევო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, მხარეთა მოთხოვნილებების მიხედვით, იცვლება ხელშეკრულების შინაარსი. ხშირად, ხელშეკრულებაში დაზღვევის სხვადასხვა ფორმა ერთმანეთს კვეთს, რაც დაზღვევის ამა თუ იმ სახისადმი მის მიკუთვნებას ართულებს. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებათა შინაარსის გათვალისწინებით, იურიდიულ დოქტრინაში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაზღვევის დაყოფა არა დასაზღვევი ობიექტის, არამედ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების სახის მიხედვით. ამ მიდგომიდან გამომდინარე, გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში ჩამოყალიბდა დაზღვევის ხელშეკრულების დაყოფა ზიანის დაზღვევად და ე.წ. Summenversicherung-ად, ანუ დაზღვევად მყარად განსაზღვრული სადაზღვევო თანხით. დაზღვევის ამ ორი სახის ერთმანეთისაგან გამიჯვნას საფუძვლად დაედო ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესი, რომელიც პირველად გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებაში იქნა გამოყენებული.<sup>330</sup>

ზიანის დაზღვევასა და მყარი სადაზღვევო თანხით დაზღვევას შორის სხვაობა დამზღვევის განსხვავებულ მოთხოვნილებებს უკავშირდება. ერთ შემთხვევაში საუბარია კონკრეტულად დამდგარი ზიანის, ხოლო მეორე შემთხვევაში – აბსტრაქტული ზიანის ანაზღაურებაზე<sup>331</sup> ზიანის დაზღვევისაგან განსხვავებით, სადაც სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზიანზეა დამოკიდებული, მყარი სადაზღვევო ანაზღაურების პირობებში, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა მხარეთა შეთანხმებით დადგენილი თანხის მიხედვით განისაზღვრება.<sup>332</sup> ასეთი ტიპის დაზღვევის პირობებში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგ, მზღვეველი ვალდებულია დამზღვევს გადაუხადოს მხარეთა შეთანხმებით წინასწარ მყარად დადგენილი ფულადი თანხა, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობის ზიანია დამდგარი.<sup>333</sup>

წლების განმავლობაში, გერმანელი მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ სადაზღვევო ურთიერთობის თავისუფალი ბუნებიდან გამომდინარე, კერძო ავტონომიის პრინციპზე დაყრდნობით, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ,

<sup>330</sup> BGH 4.7.2001 VersR 2001, 1100, 1101.

<sup>331</sup> ob. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar zum VVG, 1. Auflage, 2010, §86, Rn. 34; Prölss, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz: VVG, 27. Aufl., 2004, §1 Rn. 27.

<sup>332</sup> ob. von Koppensfels-Spiels, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §86, Rn. 63; Prölss, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz, 28. Aufl., Band 14, 2010, §1, Rn. 89.

<sup>333</sup> ob. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, § 22, Rn. 9; von Koppensfels-Spiels K, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §86, Rn. 41; Schauer, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999 Vorbem. §49-68a, Rn. 1; Prölss, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz, 28. Aufl., Band 14, 2010, §1, Rn. 89.

როგორც მყარად განსაზღვრული თანხით, ისე დამდგარი ზიანის პროპორციულ ანაზღაურებაზე. გარდა ამისა, მეცნიერები მიუთითებდნენ, რომ აღნიშნულ წესზე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განურჩევლად იმისა, თუ რას ეხება დაზღვევის ხელშეკრულება, ზიანის დაზღვევას თუ პირად დაზღვევას.<sup>334</sup>

ეს მოსაზრება გაიზიარა სადაზღვევო კანონმდებლობაზე მომუშავე გერმანიის სამთავრობო კომისიამაც, რამაც თავდაპირველად კომისიის დასკვნაში, ხოლო საბოლოოდ, კანონის ტექსტში ჰქოვა ასახვა.<sup>335</sup> ამის ნათელი მაგალითია გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 184-ე პარაგრაფი, რომლის თანახმად, თუ უბედური შემთხვევის დაზღვევა არის არა ზიანის დაზღვევის, არამედ მყარად დადგენილი სადაზღვევო ანაზღაურების ხელშეკრულება, მაშინ სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფი, რომელიც ზიანის დაზღვევის თავისთვის მოქმედებს, არ გამოიყენება.

ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია ლოგიკური დასკვნის გამოტანა, რომ უბედური შემთხვევის დაზღვევის მიმართ, რომელიც კლასიკური გაგებით პირად დაზღვევას მიეკუთვნება, თუ მხარეები დამდგარი ზიანის პროპორციულ ანაზღაურებაზე შეთანხმდნენ, შესაძლებელია ამავე კანონის 86-ე პარაგრაფის გამოყენება, რომელიც ზიანის დაზღვევის თავშია მოცემული და სუბროგაციას არეგულირებს. ძველი კანონის მოქმედებისას, პირადი დაზღვევის მიმართ სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფის გამოყენება რთული იყო, რადგან კანონმდებელი ამავე კანონის პირველი პარაგრაფით ზიანის დაზღვევას და პირად დაზღვევას ერთმანეთისაგან მიჯნავდა, ხოლო 67-ე პარაგრაფი მხოლოდ ზიანის დაზღვევაზე ვრცელდებოდა. ეს იყო არა საკანონმდებლო ხარვეზი, არამედ კანონმდებლის გაცნობიერებული მიზანი, გამოერიცხა სუბროგაცია პირადი დაზღვევის პირობებში. აღნიშნულ მიზანს, თავის მხრივ, საფუძვლად ედო პირადი დაზღვევის კლასიკური აღქმა, რომლის მიხედვითაც პირადი დაზღვევა სიცოცხლის დაზღვევად და უბედური შემთხვევის დაზღვევად იყოფოდა. სადაზღვევო ურთიერთობის განვითარებამ ცხადყო, რომ ზიანის დაზღვევის ელემენტები პირადი დაზღვევის დროსაც შეინიშნება. აღნიშნულმა გარემოებებმა, საბოლოოდ, მოამწიფა სიტუაცია, რომელმაც გერმანელ კანონმდებელს ზემოაღნიშნული ცვლილებისკენ უბიძგა.<sup>336</sup>

<sup>334</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, § 22, Rn. 10.

<sup>335</sup> ob. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar zum VVG, 1. Auflage, 2010, §86, Rn. 34.

<sup>336</sup> ob. Frick I., Regreß- und Anrechnungsprobleme in der Summenversicherung, Frankfurt a. M., Bern; 1985, 85.

## 2.2.2. მყარი თანხით დაზღვევა, როგორც პირადი დაზღვევის საპირისპირო კატეგორია

გერმანიაში გატარებული რეფორმის საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ ზიანის დაზღვევის საპირისპირო კატეგორია არის არა პირადი დაზღვევა, არამედ დაზღვევა მყარი თანხით,<sup>337</sup> რომელიც, თვის მხრივ, როგორც პირად დაზღვევას, ისე ზიანის დაზღვევას შეიძლება მოიცავდეს.<sup>338</sup> დაზღვევის ამ ორ სახეს შორის სხვაობას საფუძვლად უდევს დამზღვევის განსხვავებული მოთხოვნილებები. კერძოდ, თუ ერთ შემთხვევაში საქმე ეხება დამზღვევის კონკრეტული ზიანის, ანუ იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც რეალურად დადგა, მეორე შემთხვევაში საქმე აბსტრაქტული ზიანის ანაზღაურებას ეხება. სწორედ ამ უკანასკნელს ითვალისწინებს დაზღვევა მყარი სადაზღვევო თანხით. ასეთი ტიპის ხელშეკრულებით იფარება არა გაზომვადი, ციფრული გამოხატული ქონებრივი ზიანი, არამედ აბსტრაქტული ზიანი, რომლის ფარგლები წინასწარ არის დაფიქსირებული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მარტივი განსაჭვრეტია, რომ სუბროგაცია, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდების საშუალება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ სადაზღვევო ურთიერთობებში, სადაც დამდგარი ზიანის შეფასება და ზიანის შესაბამისი ანაზღაურება ხორციელდება. რაც შეეხება სადაზღვევო ურთიერთობებს, სადაც სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა არა კონკრეტულად დამდგარ ზიანზე, არამედ მხარეთა წინასწარ შეთანხმებასა და მხარის აბსტრაქტულ მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული, ასეთ დროს უსაფუძვლო გამდიდრებაზე და შესაბამისად, სუბროგაციაზე საუბარი შეუძლებელია.

სწორედ ეს არის პირველი არგუმენტი, რომლის საფუძველზეც მიიჩნევა, რომ დაზღვევის იმგვარ ხელშეკრულებაზე, რომლითაც მყარი სადაზღვევო ანაზღაურებაა გათვალისწინებული, ზიანის დაზღვევის მარეგულირებელი ნორმები არ ვრცელდება. შესაბამისად, მყარი თანხით დაზღვევის პირობებში, დამზღვევ პირს რჩება ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როგორც სადაზღვევო კომპანიისგან, ისე ზიანის მიმყენებელი პირისგანაც.

მეორე არგუმენტი, რომელიც გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში მყარი სადაზღვევო თანხით დაზღვევის ხელშეკრულების პირობებში მზღვეველის სუბროგაციის უფლებას გამორიცხავს, ასეთი ტიპის ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმების არარსებობას უკავშირდება. კერძოდ, როგორც ზიანის დაზღვევას, ისე მყარი თანხით დაზღვევას საფუძვლად გარკვეული სადაზღვევო შემთხვევა უდევს.<sup>339</sup> ორივე ვითარებაში, სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება გამოწვეულ იქნეს მესამე პირის ქმედებით. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, დამზღვევს აქვს ორი მოთხოვნა – პირველი, მოთხოვნის უფლება მზღვეველისაგან

<sup>337</sup> ი. ლორენც, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §1, Rn. 85.

<sup>338</sup> ი. არმბრუსტერ, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz, 28. Aufl., Band 14, 2010, §74, Rn. 30.

<sup>339</sup> ი. ლორენც, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §1, Rn. 88.

მყარი სადაზღვევო ანაზღაურების ხელშეკრულების საფუძველზე და მეორე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მესამე პირისგან. არსებობს ოვალშისაცემი სხვაობა სადაზღვევო ურთიერთობის ორივე ასპექტში მზღვეველსა და ზიანის მიმყენებელს შორის ურთიერთობაში. გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფი ზიანის დაზღვევის დროს წარმოშობილ ურთიერთობებს არეგულირებს. შესაბამისი ნორმა, რომელიც სხვა სახის სადაზღვევო ურთიერთობებს დაარეგულირებდა, არც კანონის ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში და არც ახალი კანონის მიღების შემდეგ, შემოღებული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, გაბატონებული მოსაზრებით, მყარი თანხით სადაზღვევო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, დამზღვევი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ინარჩუნებს, როგორც მზღვეველისგან, ისე ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან,<sup>340</sup> ანუ იგი ინარჩუნებს მოთხოვნათა კუმულაციის უფლებას.<sup>341</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა სამართლებრივი ურთიერთობა მზღვეველს, ზიანზე პასუხისმგებელ მესამე პირსა და მყარი თანხით დაზღვევის ხელშეკრულების მქონე დამზღვევს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოაწესრიგა და ამით, მოთხოვნის უფლება ზიანის დაზღვევისას და მოთხოვნის კუმულაცია მყარი თანხით დაზღვევის პირობებში ერთმანეთს დაუპირისპირა.

### 2.2.3. კრიტიკა სუბროგაციის მიზნებისთვის დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნის თაობაზე

გერმანელი კანონმდებლის მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, იურიდიულ დოქტრინაში გვხვდებოდა არა ერთი შეხედულება, რომელიც კანონმდებლის მიერ ზიანის დაზღვევის და მყარი თანხით დაზღვევის ხელშეკრულებათა ურთიერთგამიჯვნას კრიტიკულად აფასებდა. მაგალითად, გერმანელი მეცნიერები, ზიგი<sup>342</sup> და გერტნერი<sup>343</sup> აღნიშნავდნენ, რომ საკითხის სამართლებრივი განმარტებისას განსაკუთრებული ყურადღება კანონმდებლის პოლიტიკურ-სამართლებრივ მიზანს უნდა მიექცეს. თუ კანონმდებლის ზოგადი მიზანია, ხელი შეუშალოს და აკრძალოს დამზღვევი პირის უსაფუძვლო გამდიდრება, მაშინ ნორმები, რომელიც აღნიშნულ მიზანს ემსახურება, დაზღვევის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტიპზე არ უნდა გავრცელდეს. ზიგისა და გერტნერის აზრით,

<sup>340</sup> იბ. Möller, in: Bruck/Möller, Kommentar zum VVG, 8. Auflage 1961 ff., §1, Anm. 23- 25.

<sup>341</sup> იბ. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar zum VVG, 1. Auflage, 2010, §86, Rn. 33.

<sup>342</sup> იბ. Sieg K., Der Regress des Versicherers in neuerer Sicht, VersRdsch 1968, 187 მითოთებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §86, Rn. 37; ასევე Frick I., Regress und Anrechnungsprobleme in der Summenversicherung, Peter Lang Frankfurt am Main. Bern, New York, 1985, 12.

<sup>343</sup> იბ. Gärtner R., Das Bereicherungsverbot, eine Grundfrage des Versicherungsrechts, Berliner Juristische Abhandlungen, 1970, 135-140, 143, 148 მითოთებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 38.

საერთო სამართლებრივი მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია, ეს მიზანი გავრცელდეს ყველა ურთიერთობაზე, რომელშიც უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე რეალურად არსებობს, იქნება ეს ზიანის დაზღვევა, თუ დაზღვევა მყარი თანხით.<sup>344</sup>

მეორე საკითხი, რომელიც მეცნიერთა კრიტიკას იმსახურებდა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების მიხედვით ხელშეკრულებათა ურთიერთგამიჯვნა იყო. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ხელშეკრულების ზიანის დაზღვევის ან მყარი თანხის დაზღვევის ხელშეკრულების სახისადმი მიკუთვნება მზღვევების მხრიდან ხელშეკრულებათა თვითნებური დიფერენცირების საფუძველი შეიძლება გახდეს. კერძოდ, სწორედ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით განისაზღვრება, დამზღვევ პირს სადაზღვევო ანაზღაურებასთან ერთად მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დარჩება თუ მოთხოვნის უფლება მზღვეველს გადაეცემა. ეს კი, დამზღვევის ინტერესებზე უარყოფითად შეიძლება აისახოს.<sup>345</sup> ამის საპირისპიროდ, მაგალითად, გერმანელი მეცნიერის, ვოლფგანგ ვოიტის აზრით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელშეკრულების პირობებს სადაზღვევო პრემიის ოდენობაზეც შეუძლია უშუალო გავლენა იქონიოს. კერძოდ, თუ ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, მესამე პირების მიმართ დამზღვევის მოთხოვნის უფლება მზღვეველზე გადადის, სადაზღვევო პრემიის ოდენობა ნაკლებია, ვიღრე იგი მზღვეველის მხრიდან სუბროგაციული მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.<sup>346</sup> აქედან გამომდინარე, სადაზღვევო პირობების მიხედვით დაზღვევის ხელშეკრულებათა ურთიერთგამიჯვნა დამზღვევისთვის ყოველთვის უარყოფითი შედეგების მომტანი არ არის. უდავოა, რომ დამზღვევის მიერ მაღალი პრემიის გადახდის შემთხვევაში, იგი, ერთგვარად, მესამე პირების მიმართ მოთხოვნის უფლების გამოსყიდვას და დაბალი პრემიის გადახდის ხარჯზე მესამე პირებისაგან მისაღები ანაზღაურების ერთგვარ კომპენსირებას ახდენს.

## 2.3. დასკვნა

ზიანის დაზღვევისა და მყარი თანხით დაზღვევის ხელშეკრულების ურთიერთგამიჯვნის თაობაზე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სხვადასხვა კრიტიკული მოსაზრების მიუხედავად, მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ გატარებული საკანონმდებლო რეფორმა იყო წინგადადგმული ნაბიჯი, რომელმაც საბოლოოდ გადაჭრა ის პრობლემა, რომელიც სადაზღვევო

<sup>344</sup> ი. მ. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §86, Rn. 37.

<sup>345</sup> ი. მ. Voit, in: Bruck/Möller, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9. völlig neu bearbeitete Aufl., Band. III, §74-99, 2010, §86, Rn. 19.

<sup>346</sup> ი. მ. იქვე.

პრაქტიკაში მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის საკითხს უკავშირდებოდა.

მართალია, ამ ეტაპზე, საქართველოს სადაზღვევო პრაქტიკაში ზემოაღნიშნული პროცესი შედარებით ნაკლები სიმძაფრით იგრძნობა, მაგრამ თუ სადაზღვევო ბაზრისა და სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების ტემპებს გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების დაანგარიშების ზოგადი წესის შემუშავების აუცილებლობა დღის წესრიგში უახლოეს მომავალში დადგეს. ამისათვის, მიზანშეწონილია, გერმანული გამოცდილების გაზიარებით, გადაიდგას ნაბიჯები, რომლითაც იმ პროცესების თავიდან არიდება გახდება შესაძლებელი, რომლის წინაშეც სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ. ამასთან, ქართული სადაზღვევო კანონმდებლობის მსგავსება გერმანულ სადაზღვევო კანონმდებლობასთან მნიშვნელოვნად ამარტივებს იმ სიახლეების იმპლემენტირებას, რომელიც გერმანელმა კანონმდებელმა მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე სამართლებრივ დებულებებში ასახა.

სსკ-ის 799-ე მუხლი, რომელშიც დაზღვევის ცნებაა განმარტებული, მსგავსად გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ახალი რედაქციისა,<sup>347</sup> დაზღვევის სახეების პირდაპირ გამიჯვნას პირად დაზღვევად და ზიანის დაზღვევად არ ითვალისწინებს. ამავე ნორმის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით ანაზღაურებაზე შეიძლება შეთანხმდნენ. ვინაიდან ნორმა დაზღვევის თავის ზოგად დებულებებშია მოცემული, უდავოა, რომ საქართველოს კანონმდებლობაც, მსგავსად გერმანულია, ისეთი დაზღვევის პირობებში, რომელიც კლასიკური გაგებით პირად დაზღვევას მიეკუთვნება,<sup>348</sup> უშვებს მხარეების შეთანხმებას მათვის სასურველი ანაზღაურების ფორმაზე, კერძოდ, როგორც მყარი სადაზღვევო თანხით, ისე დამდგარი ზიანის პროპორციულ ანაზღაურებაზე. გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით, ამ უკანასკნელი ტიპის ხელშეკრულებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რა სიკეთეა დაზღვეული, ვრცელდება ზიანის დაზღვევის თავში მოცემული ნორმა, რომელიც მზღვეველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადასვლას, ანუ სუბროგაციას აწესრიგებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლებურმა მიდგომამ გერმანიაში გაამარტივა სადაზღვევო ურთიერთობები და აღმოფხვრა მთელი რიგი პროცესები, რომელიც მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლას უკავშირდებოდა, ამ საკითხის ირგვლივ გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და სადაზღვევო სფეროში დაგროვილი პრაქტიკა სრულად შეგვიძლია გავიზიაროთ. აღსანიშნავია, რომ

<sup>347</sup> გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის პირველი პარაგრაფი ახალი რედაქციით. ხელმისაწვდომია: <<http://dejure.org/gesetze/VVG/1.html>>.

<sup>348</sup> ჯანმრთელობის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევის დაზღვევა. ცისკაძე მ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხელურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 167.

სადაზღვევო ურთიერთობის სრულყოფილი მოწესრიგების კუთხით, მყარი თანხით დაზღვევის მნიშვნელობა და ორლი ერთხმად აღიარებულია არა მხოლოდ გერმანიის,<sup>349</sup> არამედ ინგლისის,<sup>350</sup> საფრანგეთისა<sup>351</sup> და შვეიცარიის<sup>352</sup> კანონმდებლობაში, იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში.<sup>353</sup> ამასთან, ევროპის სადაზღვევო სამართლის პრინციპების განმარტებაში ცალსახად არის მითითებული, რომ სუბროგაციის პრინციპი გამოყენება მხოლოდ ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების პირობებში და მისი გამოყენება დასაშვებია იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომლითაც დაზღვევა მყარი სადაზღვევო თანხით არ არის განსაზღვრული.<sup>354</sup>

### 3. სუბროგაცია პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს

#### 3.1. შესავალი

ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას სუბროგაციის მიზნებისათვის დაზღვევის სახეების ურთიერთგამიჯვნის ახალი კრიტერიუმების შემოღების აუცილებლობის თაობაზე კიდევ უფრო ამყარებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სუბროგაციის გამოყენება ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების მიმართაც კი სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, სუბროგაციის პრინციპის სამართლიანი გამოყენებისათვის, აუცილებელია სადაზღვევო ხელშეკრულებათა გამიჯვნა წლების განმავლობაში დამკაიდრებული დაყოფისაგან განსხვავებული კრიტერიუმებით. ზემოაღნიშნული აუცილებლობა კიდევ უფრო მკაფიოდ იგრძნობა, როდესაც საქმე ზიანის დაზღვევის ერთ-ერთ სახეს – პასუხისმგებლობის დაზღვევას ეხება.

მეცნიერთა შორის დისკუსიის საგანია საკითხი, შესაძლებელია თუ არა სუბროგაციის გამოყენება პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ სუბროგაციის გამოყენება

<sup>349</sup> ი. მ. Prölss, in: *Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz*, 28. Aufl., Band 14, 2010, §1, Rn. 89; Hormuth, in: *Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch*, 2. vollständige Auflage, Verlag C.H Beck München 2009, §22, Rn. 8-10.

<sup>350</sup> ვრცლად ი. მ. Ivamy E., General Principles on Insurance Law, 1993, 9.

<sup>351</sup> ვრცლად ი. მ. Hasse A., Der Regress im Sozial - und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand der Gesamtschuld, Eine rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen und französischen Recht, Duncker und Humblot, Berlin, 1992, 86-91.

<sup>352</sup> ვრცლად ი. მ. Müller A., Regress im Schadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers, 2006, 41. ხელმისაწვდომია: <[http://www1.unisg.ch/www/edis.nsf/wwwDisplayIdentifier/3174/\\$FILE/dis3174.pdf](http://www1.unisg.ch/www/edis.nsf/wwwDisplayIdentifier/3174/$FILE/dis3174.pdf)>, [22.01.2014], ასევე შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება: BGE 119 II 364 f. = Pra (83) 1994, Nr. 163.

<sup>353</sup> ი. მ. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები: BGH NVersZ 2001, 457, 458; BGH VersR 2001, 1100; BGH VersR 74, 184. ასევე შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება: BGE 119 II 364 f. = Pra (83) 1994, Nr. 163.

<sup>354</sup> Reichert-Facilides F., Helmut H., Principles of European Insurance Contract Law, (PEICL), Edited by the Drafting Committee: Basedow J., Birds J., Clarke M., Cousy H., Heiss H., in co-operation with Leander Loacker D., 2009, 258.

პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს დაუშვებელია.<sup>355</sup> იურისტების ნაწილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სადაზღვევო სამართალი არა თუ უშვებს, არამედ მიზანშეწონილადაც მიიჩნევს პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს მზღვეველის ამ შესაძლებლობას. ერთ-ერთი რუსი მეცნიერის აზრით, “იმის გამო, რომ დაზღვევას არა აქვს სადამსჯელო ფუნქცია და შესაბამისად, არც პრევენციული ამოცანა, იგი დატვირთულია დამატებითი ფუნქციით, მზღვეველს მიანიჭოს ზიანის გამომწვევი პირისაგან იმის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, რაც მან დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების სახით გადაუხადა”.<sup>356</sup> სწორედ სუბროგაცია არის ის დამატებითი ფუნქცია, რაზეც მეცნიერი მიუთითებს და რომლის გამოყენებასაც იგი ნებისმიერი სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების მიმართაც, მიზანშეწონილად მიიჩნევს.

### 3.2. პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი

პასუხისმგებლობის დაზღვევა ზიანის დაზღვევის განსაკუთრებული ფორმაა.<sup>357</sup> იგი მიზნად ისახავს, დაიცვას დამზღვევი პირის ეკონომიკური ინტერესი იმ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხარჯზე, რომელიც მას მესამე პირების წინაშე შეიძლება დაეკისროს.<sup>358</sup>

თანამედროვე ტექნიკისა და ეკონომიკის წინსვლის ფონზე, რისკების მუდმივ მატებასთან ერთად, პასუხისმგებლობის დაზღვევა ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროდუქტად იქცა. მაგალითად, გერმანიის 2006 წლის სტატისტიკური მონაცემებით, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებათა რიცხვმა 1980 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის ორჯერ გადააჭარბა და 42 მილიონ ევროზე მეტი შეადგინა.<sup>359</sup>

<sup>355</sup> Шац Б.С., Суброгация при страховании ответственности, "Юридическая и правовая работа в страховании", N 1, I квартал 2007, 1; Фогельсон Ю.Б. Комментарий к страховому законодательству. М.: Юрист, 2002, 195. მითითებულია: Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮРВестник № 4 – 2001, 15 ხელმისაწვდომია: <<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=184613>> [23.01.2014].

<sup>356</sup> Кулагин М.И. Предпринимательство и право: опыт Запада. М., 1992, 97. მითითებულია: Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮРВестник № 4 – 2001, ხელმისაწვდომია: <<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=184613>>, მსგავს მოსაზრებას აკითარებენ მეცნიერები, ვ. ა. რახმილოვი და ს. ვ. ლედიკოვი.

<sup>357</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ნებაყოფლობით დაზღვევას მიეკუთვნება.

<sup>358</sup> BGH v. 18. 12. 1979, BGHZ 76, 279=VersR 1980, 625=NJW 1980, 1623 მითითებულია: Schneider, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §24, Rn. 1. აგრეთვე იხ. გვარამია და, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, თბილისი, 2002, 43. ხელმისაწვდომია, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. ზოდე, ბ., აგრომობილის მფლობელთა ქონებივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხები. ურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1985, 23-30.

<sup>359</sup> გერმანიის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. Gesamtverband der deutschen Versicherungswirtschaft e. V., Jahrbuch 2007, 27 ხელმისაწვდომია: <<http://www.gdv.de/2007/11/jahrbuch-der-deutschen-versicherungswirtschaft>>

პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, მზღვეველი კისრულობს იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც დამზღვევის გაუფრთხილებელი ქმედებით მესამე პირს შეიძლება მიადგეს. სწორედ სამი პირის ურთიერთობაშია პასუხისმგებლობის დაზღვევის თავისებურება. კერძოდ, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას, დამზღვევი მესამე პირის დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი მოთხოვნებისაგან დაიცვას. დიდი ხნის განმავლობაში, პასუხისმგებლობის დაზღვევა მხოლოდ დამზღვევის ინტერესების დასაცავად შექმნილ სადაზღვევო პროდუქტად განიხილებოდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ამ ტიპის ხელშეკრულებებით მესამე პირთა ინტერესის დაცვამაც არსებითი მნიშვნელობა შეიძინა.<sup>360</sup> სადაზღვევო პრაქტიკა იცნობს მრავალრიცხოვან დაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელიც პასუხისმგებლობის დაზღვევას მიეკუთვნება.<sup>361</sup>

### **3.3. დამზღვევის მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადასვლა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს**

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას სსკ-ის 839-843-ე მუხლები არეგულირებს. ცალსახა პასუხს კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის გამოყენება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. თუმცა, კოდექსში ნორმის სისტემური მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სუბროგაციის მოწესრიგებელი 832-ე მუხლი პასუხისმგებლობის დაზღვევაზეც ვრცელდება. კერძოდ, პასუხისმგებლობის დაზღვევა ზიანის დაზღვევის თავშია მოწესრიგებული, ხოლო ნორმა, რომელიც სუბროგაციას არეგულირებს, ზიანის დაზღვევის ზოგად დებულებებშია მოცემული, რაც ამ მუხლის გამოყენებას პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებებზე იმთავითვე არ გამორიცხავს. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბებული არ არის.

პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართ სუბროგაციის დოქტრინის გამოყენების მართებულობისა და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესაფასებლად, შეგვიძლია განვიხილოთ პიპოთეტური შემთხვევა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სადაზღვევო ურთიერთობას, კერძოდ, ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის

---

[2007/gdv\\_jahrbuch\\_2007/?back=%2F2007%2F11%2Fjahrbuch-der-deutschen-versicherungswirtschaft-2007%2F](http://2007/gdv_jahrbuch_2007/?back=%2F2007%2F11%2Fjahrbuch-der-deutschen-versicherungswirtschaft-2007%2F), [23.01.2014].

<sup>360</sup> ი. Schneider, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §24, Rn. 3.

<sup>361</sup> ასეთია, მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ზამთარში დამზღვევის სახლის წინ გამელელის წაქცევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას, დამზღვევი პირის ძაღლის მიერ ფოსტალიონის კბენის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, გათბობის სისტემიდან გამოუნილი ზეთის შედეგად მეზობლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და სხვ.

დაზღვევას ეხება.<sup>362</sup> სადაზღვევო კომპანია “ბი ჯი” ჯგუფმა, სსკ-ის 839-ე მუხლის შესაბამისად, დააზღვია მოქალაქე გიორგაძე საკუთარი ავტომობილით სარგებლობისას წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. დადგა სადაზღვევო შემთხვევა – დამზღვევმა გიორგაძემ ზიანი მიაყენა მესამე პირს, პეტრიაშვილს, რომელმაც მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. გიორგაძესა და სადაზღვევო კომპანიას შორის დადგებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, მზღვეველს წარმოეშობა პეტრიაშვილისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. თუ გავიზიარებთ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია უკან დაიბრუნოს ის, რაც მან ზიანის მიმყენებლის ნაცვლად დაზარალებულს გადაუხადა, მაშინ სსკ-ის 832-ე მუხლის შესაბამისად, მზღვეველის მიერ პეტრიაშვილისთვის ზიანის ანაზღაურებისთანავე, მზღვეველზე გადავა მოთხოვნის უფლება, რომელიც პეტრიაშვილს ზიანის მიმყენებელი პირის, გიორგაძის მიმართ პქონდა.<sup>363</sup>

აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ სუბროგაციის გამოყენებას მივყავართ სიტუაციამდე, როდესაც დამზღვევი, რომელიც იხდის თანხას საკუთარი პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის, არ თავისუფლდება ხარჯებისაგან, არამედ მას მაინც ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (პირს ამგვარი პასუხისმგებლობა ეკისრება სხვა კრედიტორის, მოყვანილ მაგალითში – სადაზღვევო კომპანიის წინაშე, რომელსაც მან სადაზღვევო პრემია გადაუხადა). მოცემული მაგალითი ადასტურებს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის პრინციპის გამოყენებამ აბსურდულ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციას, უპირველეს ყოვლისა, გამორიცხავს ის გარემოება, რომ სუბროგაცია, თავისი არსით, მზღვეველის მიერ ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას გულისხმობს. პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში კი, ზიანის მიმყენებელი არის არა მესამე პირი, არამედ თავად დამზღვევი, რაც მის მიმართ სუბროგაციის უფლების გამოყენებას უპირობოდ გამორიცხავს.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაცია დასაშვებად იქნება მიწნეული, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა დამზღვევისთვის ყოველგვარ ეკონომიკურ მიზანს დაკარგავს. აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებით ვეღარ მოხდება

<sup>362</sup> ადსანიშნავია, რომ 2010 წლის 15 იანვრამდე, ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო იყო. იგი რეგულირდებოდა 1997 წლის 27 ივნისის კანონით ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სავალდებულო სამოქალაქო დაზღვევის შესახებ. ხელმისაწვდომია:

<[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=31750&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31750&lang=ge)>.

<sup>363</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, პარლამენტის უწყებანი, №31, 1997 წელი, რეგისტრაციის №786-IIს. ხელმისაწვდომია:

<[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702&lang=ge)>.

დამზღვევის ქონებრივი ინტერესის დაცვა, რამდენადაც მზღვეველის მიერ სუბროგაციული უფლების განხორციელების შემთხვევაში, დამზღვევ პირს იგივე მატერიალური ზიანი მიაღება, რაც მას სადაზღვევო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში მიაღებოდა. რეალურად, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით დამზღვევისთვის შეიცვლება მხოლოდ კრედიტორი, ხოლო მისი პასუხისმგებლობის ვალდებულება კვლავ ძალაში დარჩება.<sup>364</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის განხორციელების დასაშვებად ცნობა უარყოფითად აისახება არა მხოლოდ დამზღვევზე, არამედ მთელ სადაზღვევო ბაზარზე. კერძოდ, პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დღეისათვის მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია,<sup>365</sup> დაკარგავს თავის ეკონომიკურ დატვირთვას.<sup>366</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია, გაათავისუფლოს დამზღვევი პირი იმ ვალდებულებებისგან, რომელიც მას მესამე პირების წინაშე შეიძლება წარმოეშვას. თუ პასუხისმგებლობის დაზღვევაზე გავრცელდება სუბროგაციის უფლება და მზღვეველს შესაძლებლობა მიეცემა, დამზღვევს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოთხოვოს, დამზღვევი არა თუ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, არამედ მას კრედიტორად მოეგლინება თავისი მზღვეველი, რომელსაც სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო პრემიას სწორედ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით უხდიდა.

### **3.3.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართ სუბროგაციის გამოყენების უარყოფითი მხარეები**

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის დასაშვებობას იურიდიულ ლიტერატურაში მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს. ისინი ცდილობენ, სხვადასხვა არგუმენტით იურიდიულად გაამყარონ მოსაზრება პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის დაუშვებლობის შესახებ და მისი დისპოზიციური ბუნება იმპერატიული გახადონ. მაგალითად, რუსი მეცნიერი, ფოგელსონი მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის უფლების გამოყენება სამართლებრივად დაუშვებელია. კერძოდ, მზღვეველის მიერ სადაზღვევო

<sup>364</sup> ი. ჩეбунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, Сибирский Вестник № 4 – 2001, 13 ხელმისაწვდომია: <<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=184613>>.

<sup>365</sup> მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკური მონაცემებით, 2010 წელს გერმანიის 34,7 მილიონი მაცხოვრებელი კერძო პასუხისმგებლობის დაზღვევით სარგებლობდა. ამასთან, ეს სტატისტიკური მაჩვენებელი არ მოიცავს ავტომოტორანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევას. ი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ხელმისაწვდომია:

<<http://de.statista.com/statistik/daten/studie/250109/umfrage/personen-mit-privater-haftpflichtversicherung-ohne-pkw>>, [15.09.2013]

<sup>366</sup> ი. დედიкова С.В., Сфера применения суброгации в страховании, научный семинар по вопросу о сфере применения суброгации, 2009. ხელმისაწვდომია: <<http://bookinsurant.ru/stati-o-strakhovanii/258-sfera-primeneniya-subrogatsii-v-strakhovanii>>, [23.01.2014].

თანხის ანაზღაურებით, მხარეები ერთმანეთის წინაშე ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას, რაც მათ შორის ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად, თუ ურთიერთობა აღარ არსებობს, გადასაცემიც აღარაფერი რჩება.<sup>367</sup> მეცნიერის აღნიშნული მცდელობა, პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის უფლება გამორიცხონ, დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, მისი არგუმენტაცია, ორი მიზეზის გამო, სუსტი და არადამაჯერებელია.

ავტორის მოსაზრების თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებით ვალდებულება წყდება. შესაბამისად, მხარეთა შორის აღარ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც, სამომავლოდ, მათ ჩანაცვლებას შეიძლება დაედოს საფუძვლად.<sup>368</sup> ამ შემთხვევაში, მეცნიერი სრულად იზიარებს რომაელი იურისტების მოსაზრებას, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ჩანაცვლების თაობაზე მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, შესრულებით მხარეთა ვალდებულება წყდება და შესაბამისად, გადასაცემი აღარაფერი რჩება.<sup>369</sup> თუ ზემოთ მოყვანილი არგუმენტი იურიდიულ საზოგადოებაში გაზიარებული იქნება, სადაზღვევო ურთიერთობების გარანტიები შეიძლება ეჭვავეშ დადგეს. კერძოდ, შესაძლოა, ამ არგუმენტმა მომავალ ში წაახალისოს მზღვეველები, სრულად არ აანაზღაურონ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი. ამით, მზღვეველები შეძლებენ დამზღვევ პირთან ურთიერთობათა ჯაჭვის შენარჩუნებას, რაც ზოგიერთი რუსი მეცნიერის აზრით, სუბროგაციის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.<sup>370</sup> თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, სუბროგაციის გამოყენება შეუძლებელი იქნება არა მხოლოდ პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, არამედ ისეთ ურთიერთობებშიც კი, სადაც სუბროგაციის დოქტრინა ცალსახად აღიარებულია. მაგალითად, სუბროგაციას ვერ გამოვიყენებოთ ზიანის დაზღვევის დროს, სადაც სუბროგაციის უფლების გამოყენების წინაპირობა სწორედ მზღვეველის მიერ დამზღვევის სრული კომპენსაციაა. ამ მოსაზრებას სრულად იზიარებენ, როგორც ინგლისის,<sup>371</sup> ისე ამერიკული სასამართლოები, რომლებიც გადაწყვეტილებებს სწორედ ამგვარი მსჯელობით ასაბუთებენ. მაგალითად, არკანზასის უზენაესმა სასამართლომ

<sup>367</sup> ი. ფოგელსონ Ю.Б., Комментарий к страховому законодательству. М.: Юрист, 2000, 195 მთითებულია: Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001, 15 ხელმისაწვდომია: <<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=184613>>.

<sup>368</sup> ი. იქნა.

<sup>369</sup> Digest 46.1.17. Digesta Iustiniani, Книги XLV-XVII, Том 7, Полутом 1. отв. ред. Кофанов Л.Л., Москва, Статут, 2005, 181. ხელმისაწვდომია: <<http://digestaiust.narod.ru/46.html>>.

<sup>370</sup> ი. ფოგელსონ Ю.Б. Комментарий к страховому законодательству. М.: Юрист, 2002, 195. მთითებულია: Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001, 15 ხელმისაწვდომია: <<http://law.isu.ru/ru/scamanience/vestnik/20014/chebunin.html>>.

<sup>371</sup> ი. Castellain v. Preston, Court of Appeal, 769-777, 1883, ხელმისაწვდომია: <<http://www.lexisnexis.com/hottopics/lnacademic/>>, ასევე, Scottish Union & National Insurance Co v. Davis, 1970, 1 Lloyd's Rep 1190 ხელმისაწვდომია: <<http://www.law.cornell.edu/supremecourt/text/196/611#writing-type-1-Day>>.

საქმეზე *Curtis Lee Franklin, Jr. v. Healthsource of Arkansas* განმარტა, რომ პირი (ზღვეველი) არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს და განახორციელოს სუბროგაციის უფლება, ვიდრე იგი არ მოახდენს დაზარალებულისთვის ზიანის სრულ კომპენსაციას.<sup>372</sup> ანალოგიურად, საქმეზე *Page v. Scottish Insurance Co Ltd*, სადაც მზღვეველმა უარი განაცხადა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარი ხარჯების სრულ ანაზღაურებაზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ვიდრე მზღვეველი თავის ვალდებულებებს ბოლომდე არ შეასრულებდა, მას არ ჰქონდა სუბროგაციის უფლება.<sup>373</sup> გერმანიის სასამართლოებიც იზიარებენ ამ მოსაზრებას და აღნიშნავენ, რომ მზღვეველზე დამზღვევის უფლებები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადავიდეს, რაც “დამზღვევს ზიანი მზღვეველისა და ზიანის გამომწვევი პირის მიერ სრულად აუნაზღაურდება”.<sup>374</sup>

აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი არგუმენტი პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის რეალიზებისათვის მზღვეველსა და დამზღვევს შორის უწყვეტი ურთიერთობის არსებობის აუცილებლობის შესახებ დამაჯერებელი არ არის. სწორედ მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის სრული კომპენსაციაა სუბროგაციის უფლების წარმოშობის აუცილებელი და არა დამაბრკოლებელი გარემოება.

მეორე არგუმენტი, რომელიც პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს ურთიერთობათა ჯაჭვის აუცილებლობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას არადამაჯერებელს ხდის, მყარი თანხით დაზღვევის ხელშეკრულებას უკავშირდება. წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც დადგა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის დროსაც მესამე პირს მიადგა 10000 ლარის ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი თანხით დაზღვევა 5000 ლარის ოდენობით. მზღვეველმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და დაზარალებულ მესამე პირს აუნაზღაურა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანი 5000 ლარის ფარგლებში. დარჩენილი 5000 ლარის ანაზღაურების ვალდებულება, დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე, დამზღვევს ეკისრება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ურთიერთობათა ჯაჭვი დამზღვევსა და დაზარალებულს შორის არსებობას განაგრძობს. ეს კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მზღვეველს უფლებას აძლევს, სუბროგაციის ძალით, დამზღვევისაგან მესამე პირისათვის ანაზღაურებული ზიანის – 5000 ლარის უკუგადახდა მოითხოვოს. მოყვანილ მაგალითში თავს იჩენს ორი პრობლემა, რაც პასუხისმგებლობის დაზღვევის არსე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. პირველი, ასეთ ვითარებაში, დამზღვევის მიერ ანაზღაურებული ზიანის ჯამი გაცილებით მეტია, ვიდრე ის იქნებოდა ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში. კერძოდ, ამ სქემის მიხედვით, საბოლოოდ, დამზღვევს დაეკისრება დაზარალებულისთვის 5000 ლარის ზიანის

<sup>372</sup> *Curtis Lee Franklin, Jr. v. Healthsource of Arkansas* (96-116, S.W.2d). Supreme Court of Arkansas Opinion delivered April 21, 1997 სელმისაწვდომია: <<http://opinions.aoc.arkansas.gov/weblink8/0/doc/178708/Electronic.aspx>>.

<sup>373</sup> *Page v. Scottish Insurance Co Ltd* (1929) 98 LJKB 308.

<sup>374</sup> OLG Hamm NJW-RR 1990, 39.

ანაზღაურების, ხოლო მზღვეველისთვის 5000 ლარის უპებადახდის ვალდებულება. ამას ემატება ის სადაზღვევო პრემია, რასაც დამზღვევი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში იხდიდა.

თუ ფოგელსონის ზემოთ მოყვანილი არგუმენტი მზღვეველსა და დამზღვევს შორის ურთიერთობათა ჯაჭვის უწყვეტობის აუცილებლობის შესახებ გაზიარებული იქნება, მაშინ “პირველი რისკის სისტემით” ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში,<sup>375</sup> რომელიც მზღვეველის მიერ დამდგარი ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას გულისხმობს, მზღვეველი ყოველთვის დაკარგავს სუბროგაციის უფლებას, ვინაიდან ანაზღაურებასთან ერთად შეწყდება დელიქტური ვალდებულება დამზღვევსა და დაზარალებულს შორის. ამან კი, სადაზღვევო სფეროში მანკიერი პრაქტიკა შეიძლება ჩამოაყალიბოს. კერძოდ, ეს შეიძლება იქცეს ერთგვარ სტიმულად მზღვეველებისთვის, სხვადასხვა მიზეზის გამო, სრულად არ აანაზღაურონ დამდგარი ზიანი, რის საფუძველზეც ისინი დამზღვევთან ურთიერთობის შენარჩუნებას შეძლებენ. შედეგად, სადაზღვევო კომპანიებს მიეცემათ უფლება, პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, სუბროგაციის ძალით, დამზღვევისაგან გადახდილის უკან დაბრუნება მოითხოვონ.<sup>376</sup>

### 3.3.2. მზღვეველის სუბროგაციის უფლება სოლიდარული მოვალის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს

განვითარებული მსჯელობის შემდეგ, ბუნებრივია, იბადება შემდეგი კითხვა – თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს მზღვეველის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენება დამზღვევის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს არსებითად ლახავს, რაც, ზოგადად, სადაზღვევო ურთიერთობის არსე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, მაშინ, ნორმის სისტემური მდგბარეობიდან გამომდინარე, რატომ იძლევა კანონმდებელი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროსაც მზღვეველის მიერ სსკ-ის 832-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი შეიძლება მოიძებნოს სსკ-ის 463-476-ე მუხლებში, რომელიც სოლიდარულ მოვალეობას ეხება. კერძოდ, სსკ-ის 463-ე მუხლის მიხედვით, მთლიანი ვალდებულების შესრულებაში მონაწილეობის მიღება ერთდროულად რამდენიმე პირს შეიძლება ევალებოდეს.<sup>377</sup> ასეთი პირები სოლიდარულ მოვალეებად იწოდებიან. სსკ-ის 467-ე მუხლი კი, ითვალისწინებს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ მთლიანი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, რაც მას, ვალდებულებაში

<sup>375</sup> ი. ა. Armbrüster, in: *Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz*, 28. Aufl., Band 14, 2010, §75, Rn. 21; Beckmann, in: *Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch*, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §15, Rn. 95. აგრეთვე, ცისკაძე გ. განვითარებულისაზე ნინების უფლებების შესაძლებლობის რეზუმი (რეზ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, გ. II, 2001, 110.

<sup>376</sup> ი. ა. Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001, 15 ხელმისაწვდომია: <<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=184613>>.

<sup>377</sup> ანალოგიურად, გსკ-ის 421-ე პარაგრაფი.

თავისი წილის გამოკლებით, დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ უკუმოთხოვნის უფლებას ანიჭებს.<sup>378</sup>

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულია მხოლოდ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის პასუხისმგებლობა, მზღვეველი მხოლოდ მის წილ ზიანს აანაზღაურებს და შესაბამისად, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ სუბროგაციის საკითხი დღის წესრიგში არ დადგება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ სხვა სოლიდარული მოვალეების პასუხისმგებლობაც დააზღვია, ეს უკანასკნელნი თავად იქნებიან დაზღვეულები და აქედან გამომდინარე, მათ მიმართ სუბროგაციის განხორციელება ასევე ალოგიკური და შეუძლებელი იქნება.

### 3.4. დასკვნა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დარეგულირებული ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სუბროგაციის უფლების დაუშევებლობაზე საუბრისას, მიზანშეწონილია, აქცენტი არა დამზღვევისა და დაზარალებულის ურთიერთობასა და მზღვეველის ინტერესზე, არამედ პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანზე გაკეთდეს. სუბროგაციის ინსტიტუტი არ უნდა იქნეს გამოყენებული დამზღვევის ან მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ. პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, დამზღვევის მიზანია დაიცვას თავისი ქონება შესაძლო რისკისაგან. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველს ექნება ანაზღაურებული ზიანის დამზღვევისგან უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, პასუხისმგებლობის დაზღვევა აღარ იქნება რეალური მექანიზმი დამზღვევის ინტერესის დასაცავად. დამზღვევისთვის შეიცვლება მხოლოდ პოტენციური კრედიტორი. დაზარალებული ჩანაცვლდება მზღვეველით, ხოლო დამზღვევის ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდება. მეტიც, დამზღვევის მიერ გაწეული ხარჯი იქნება ორმაგი იმ ხარჯთან შედარებით, რაც დაზღვევის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში წარმოიქმნებოდა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს მზღვეველზე სარგებლის მიმღების მოთხოვნის უფლების უპირობო გადასვლის შემთხვევაში, სახეზე აღარ იქნება მზღვეველზე სადაზღვევო რისკის გადანაწილება, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოვა დაზღვევის არსთან. ასეთი ხელშეკრულება მოკლებული იქნება ყოველგვარ ეკონომიკურ მიზანს და შესაბამისად, იგი შეიძლება მოჩვენებით გარიგებადაც კი დაკვალიფიცირდეს.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სუბროგაციის უფლება მოკლებულია აქტუალობას სოლიდარული პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში, რასაც პრაქტიკული მაგალითები და არგუმენტები უტყუარად ადასტურებს.

<sup>378</sup> იხ. სსკ-ის 473-ე მუხლის პირველი ნაწილი. მსგავსად, გსკ-ის 426-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა.

## VII. მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლები

### 1. შესავალი

სადაზღვევო სამართალში აქტუალობით სარგებლობს პრობლემური საკითხები, რომლებიც სადაზღვევო ურთიერთობების დროს სამ სუბიექტს - დამზღვევს, მზღვეველსა და ზიანის მიმუნებელს შორის მოთხოვნის უფლების გადაცემის ფარგლების თაობაზე წარმოიშობა.

გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დადგენა განსაკუთრებით რთულია, როდესაც ზიანის გამომწვევი მესამე პირის მიმართ დამზღვევის მოთხოვნის უფლება არ არის საკმარისი დამზღვევის და შემდგომში სუბროგაციული მოთხოვნის უფლების მქონე მზღვეველის დაკმაყოფილებისთვის. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა ფარგლებში შეიძლება გადავიდეს მზღვეველზე სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებული სუბროგაციული მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ.

### 2. მოთხოვნის უფლების ფარგლების თაობაზე კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ზოგადი მიმოხილვა

გამომდინარე იქიდან, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებები მრავალფეროვანია, მისი მონაწილე სუბიექტები სრულიად განსხვავებულ, ინდივიდუალური ხასიათის სამართალურთიერთობებში ებმებიან. თითოეული ეს ურთიერთობა თავისებურებით და ინდივიდუალური ბუნებით გამოირჩევა, რაც, საბოლოოდ, სსკ-ის 832-ე მუხლის საფუძველზე მზღვეველზე გადასაცემი მოთხოვნის უფლების ფარგლების მოცულობის განსხვავებულობას განაპირობებს. სწორედ ამ მიზეზთა გამო, არცერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ იცნობს ნორმას, რომელშიც მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების განსაზღვრის წესი პირდაპირ იქნებოდა მითითებული. ამ ფარგლების შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა.

ადსანიშნავია, რომ საქართველოში არ არსებობს არცერთი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სადაზღვევო კომპანიების პრაქტიკაში სუბროგაციული მოთხოვნიდან გამომდინარე ურთიერთობების რიცხვი მუდმივად იზრდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში, ეს საკითხი აუცილებლად გახდება, როგორც სამართალშემფარდებლის, ისე სადაზღვევო კომპანიების ზრუნვისა და შეფასების საგანი.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში მოთხოვნის უფლების ფარგლების მოცულობის დადგენის წესთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა ჩამოყალიბებული. გერმანელმა კანონმდებელმა 2008 წელს რეფორმის გატარების დროს საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებისგან თავი შეიკავა და მისი გადაწყვეტა, კონკრეტული სადაზღვევოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, სასამართლოებს მიანდო.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სასამართლოებს მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების თაობაზე არასოდეს უმსჯელიათ, როულია იმის პროგნოზირება, თუ რა მიღვომას აირჩევს სამართლშემფარდებელი მსგავსი დავის არსებობის შემთხვევაში. საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებსაც კი არა აქვთ ერთიანი პოზიცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დადგენა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სუბროგაციის პრინციპის მიმართ ქართველი და გერმანელი კანონმდებლის მიღვომა ერთმანეთს ემთხვევა, გასაზიარებელია გერმანულ იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, რომელიც მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების ფარგლების დადგენისათვის გამოიყენება.

გერმანული სასამართლოები მოთხოვნის უფლების ფარგლების საკითხის გადაწყვეტას სხვადასხვა თეორიის საფუძველზე ცდილობენ. სუბროგაციის არსიდან გამომდინარე, უმთავრესი პრინციპი, რომლითაც სასამართლოები ხელმძღვანელობენ, დაზღვევის რომელიმე მსარის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდებას უკავშირდება. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, გერმანულ იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა თეორიები, რომელიც მზღვეველზე მოთხოვნის უფლების ფარგლების მოცულობის დადგენისათვის, სასამართლოებისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ დღესდღეობით აქტიურად გამოიყენება. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა “მოთხოვნათა თანხვედრის”, “დიფერენციაციის”, “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების” და “აბსოლუტური” თეორიები.

### 3. თეორიები მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების შესახებ

#### 3.1. “მოთხოვნათა თანხვედრის” პრინციპი<sup>379</sup>

“მოთხოვნათა თანხვედრის” პრინციპის თანახმად, მზღვეველის მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ და დამზღვევის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მზღვეველის მიმართ ერთმანეთს უნდა ფარავდეს და ემთხვეოდეს.<sup>380</sup> მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების საკითხი მარტივად წყდება, როდესაც მზღვეველზე მოთხოვნის უფლება მის მიერ დამზღვევისთვის ანაზღაურებული ზიანის ფარგლებში გადადის.<sup>381</sup> ასეთ დროს, მზღვეველზე გადადის მხოლოდ ის მოთხოვნები, რომელიც მის მიერ დამზღვევისთვის ანაზღაურებული ზიანის თანმხვედრია. მოცემული ფორმულირებიდან ნათელია, რომ მზღვეველზე არ გადადის დამზღვევის ყველა ის მოთხოვნა, რომელიც მას ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ

<sup>379</sup> “Kongruenzprinzip”.

<sup>380</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 49.

<sup>381</sup> იქვე, Rn. 48.

აქვს.<sup>382</sup> გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში ამ პრინციპს მოთხოვნათა თანხვედრის, იგივე კონგრუენციის პრინციპს უწოდებენ.<sup>383</sup>

კონგრუენციის პრინციპი თანმხვედრად მიიჩნევს ზიანს, რომლის ანაზღაურების ვალდებულება მზღვეველს სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ეკისრება. თანხვედრა მაშინ დასტურდება, როდესაც დამდგარი ზიანი მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით იფარება.<sup>384</sup> არათანმხვედრ ზიანს კი მიეკუთვნება ზიანი, რომლის ანაზღაურების მოთხოვნაც დამზღვევს ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან შეუძლია.<sup>385</sup> მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულებით შეიძლება დაზღვეულ იქნეს შენობა-ნაგებობა, ხოლო ხელშეკრულებით შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შენობა-ნაგებობის გაუქირავებლობით წარმოშობილი მატერიალური ზიანის ანაზღაურება.<sup>386</sup> ასეთ შემთხვევაში, შენობა-ნაგებობის დაზიანებით გამოწვეული ზიანი, რომლის ანაზღაურებაც სადაზღვევო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, კონგრუენტულ ზიანად ჩაითვლება და იგი სუბროგაციის ძალით გადავა მზღვეველზე, ხოლო მიუღებელი შემოსავალი არაკონგრუენტულ ზიანად ჩაითვლება და მესამე პირისგან ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დამზღვევს დარჩება.

მოთხოვნის უფლების მოცულობის განსასაზღვრად, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა ოდენობით აანაზღაურა მზღვეველმა მესამე პირის მიერ მიყენებული ზიანი. მზღვეველზე ვერ გადავა ის მოთხოვნები, რომელიც სავარაუდოდ წარმოქმნადი ზიანის ანაზღაურებას უკავშირდება.<sup>387</sup>

კონგრუენციის პრინციპისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებით დაცული (უზრუნველყოფილი) მოთხოვნის უფლების ფარგლების დადგენას,<sup>388</sup> კერძოდ, საკითხს, მოიცავს თუ არა სადაზღვევო ხელშეკრულება იმ ზიანის ანაზღაურებას, რომლის მოთხოვნის უფლებაც დამზღვევს მესამე პირის მიმართ აქვს. ამ მიზნიდან გამომდინარე, სუბროგაციის ძალით მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნათა გადასვლის შესაძლებლობის განსასაზღვრად, მიზანშეწონილია ორი გარემოების

<sup>382</sup> Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 89; Kloth/Neuhäusl, in: Schwintowski/Brömmelmeyer, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, 2008, §86, Rn. 24.

<sup>383</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 48. Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 89;

<sup>384</sup> BGH 8.12.1981. –VZ ZR 153/80, VerR 1982, 283; OLG Hamm 15.3.1993 – 6 U 251/92. NZV 193, 477.

<sup>385</sup> Kloth/Neuhäusl, in: Schwintowski/Brömmelmeyer, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, 2008, §86, Rn. 24.

<sup>386</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 50.

<sup>387</sup> Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einfluss des Versicherungsvermittlers, 8. Auflage, 1961, §67, Rn. 59.

<sup>388</sup> BGH VerR 1958, 161, 162 მოთვალიდებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 91.

დადგენა: პირველი, ემსახურება თუ არა მზღვეველის მოთხოვნა ზიანის მიმკებლის მიმართ და დამზღვევის მოთხოვნა მზღვეველის მიმართ ერთი და იგივე ინტერესს (აღნიშნულ თანხვედრას ობიექტურ თანხვედრას უწოდებენ);<sup>389</sup> მეორე, არის თუ არა სუბროგაციის ძალით გადასვლადი მოთხოვნები სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი (ამ უკანასკნელს გერმანულ იურიდულ დოქტრინაში დროში თანხვედრას უწოდებენ).<sup>390</sup>

მოთხოვნის უფლების გადასვლაუნარიანობის განსასაზღვრად, ორივე დასახელებული გარემოების არსებობის დადგენის აუცილებლობა თავად სადაზღვევო ხელშეკრულების მიზნით არის განპირობებული. კერძოდ, უნდა განხორციელდეს დამზღვევის ზიანის კომპენსაცია მის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ფარგლებში და ამასთან, არ უნდა მოხდეს დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება.<sup>391</sup>

### 3.2. “დიფერენციაციის თეორია” და “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია”

#### 3.2.1. შესავალი

გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში აღიარებული შემდგომი თეორიები, რომელიც მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების დასადგენად ხშირად გამოიყენება, “დიფერენციაციის თეორიისა” და “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის” სახელით არის ცნობილი.

“მოთხოვნათა თანხვედრის პრინციპიდან“ “დიფერენციაციის თეორიასა“ და “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიაზე“ მარტივად გადავდივართ. “დიფერენციაციის თეორია” და მისგან გამომდინარე “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია” მაშინ იძენს მნიშვნელობას, როდესაც მზღვეველის მოთხოვნის უფლება ზიანის გამომწვევი მესამე პირის მიმართ ან დამზღვევის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

<sup>389</sup> “Sachliche Kongruenz“ - ობიექტური თანხვედრა გულისხმობს სადაზღვევო ანაზღაურებას, რომელიც მიზნად ისახავს მიუწებული ზიანის პროპორციულ, შესაბამის ანაზღაურებას. ობიექტური თანხვედრის შესახებ ვრცლად იხ. Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 90.

<sup>390</sup> “Zeitliche Kongruenz“ – Kloth/Neuhaus, in: Schwintowski/Brömmelmeyer, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, 2008, §86, Rn. 24. BGH VersR 1979, 640, 641; Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 90.

<sup>391</sup> OLG Köln r+s 1989, 1, 2 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 90.

მზღვეველის მიმართ ნაკლებია ფაქტობრივად დამდგარ მატერიალურ ზიანზე.<sup>392</sup>

მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ მაშინ არის დამდგარ ზიანზე ნაკლები, როდესაც ზიანის დადგომაში დამზღვევიც თანაბრალეულია, ხოლო დამზღვევის მოთხოვნის უფლება მზღვეველის მიმართ მაშინ არის დამდგარ მატერიალურ ზიანზე ნაკლები, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დამზღვევის თანამონაწილეობა ზიანზე პასუხისმგებლობის გადანაწილებაში,<sup>393</sup> ან როდესაც ზოგიერთი სახის ზიანის ანაზღაურება სადაზღვევო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ან პირდაპირ არის გამორიცხული.<sup>394</sup>

### 3.2.2. “დიფერენციაციის თეორია”

დიფერენციაციის თეორიის თანახმად, მესამე პირების მიმართ დამზღვევის მოთხოვნის უფლება მზღვეველზე მხოლოდ იმ მოცულობით შეიძლება გადავიდეს, რა სხვაობაც არსებობს, ერთი მხრივ, სადაზღვევო ანაზღაურებას და მეორე მხრივ, ზიანის მიმუენებლის პასუხისმგებლობასა და დამდგარ ზიანს შორის.<sup>395</sup> კერძოდ, უნდა განხორციელდეს მზღვეველის სადაზღვევო ვალდებულებისა და მესამე პირის პასუხისმგებლობის მოცულობის დაჯამება და საბოლოოდ, ზიანის ოდენობის გამოთვლა. კიდევ უფრო კონკრეტულად, დიფერენციაციის თეორიის მიხედვით, მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნები მესამე პირის მიმართ მხოლოდ იმ მოცულობით შეიძლება გადავიდეს, რა მოცულობითაც მზღვეველის მიერ ანაზღაურებული ზიანი და დამზღვევის მიერ მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნა რეალურად დამდგარ ზიანს აჭარბებს.<sup>396</sup> მაგალითად, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარმა ზიანმა შეადგინა 10000

<sup>392</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 51.

<sup>393</sup> სადაზღვევო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს დამზღვევი პირის თანამონაწილეობა დამდგარი ზიანი ანაზღაურებაში. წინასწარ შეთანხმებული თანამონაწილეობის დროს, მზღვეველს არ ეყისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც დამზღვევის თანამონაწილეობაა გათვალისწინებული. თანამონაწილეობის ფარგლები შესაძლოა განისაზღვროს პროცენტულად ან მხარეთა შეთანხმებით, წინასწარ, მყარად განსაზღვრული თანხის ფარგლებში. სადაზღვევო ზიანის ანაზღაურებაში დამზღვევის თანამონაწილეობის შესახებ ვრცლად იხ. Haldbach, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar, VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 75, Rn. 9; Grob K., die Selbsbeteiligung des Versicherten im Schadenfall, Wesen und Bedeutung im Rahmen der Privatversicherung, Zürich, 1967.

<sup>394</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 51.

<sup>395</sup> BGHZ 13, 28,30; 25, 340, 343; 47, 308, 310; OGH VersT 1969, 385, 386 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 99.

<sup>396</sup> BGHZ 25, 340, 342, BGH versR 1958, 161, 162; 1982, 283; OLG Karlsruhe VersR 1991, 1127, 1128. მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 99.

ლარი, საიდანაც მზღვეველს, სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, ეკისრება 6000 ლარის ანაზღაურება, ხოლო ზიანის მიმუენებელს 5000 ლარის ანაზღაურება (დამზღვევის თანაბრალეულობის გამო), მზღვეველზე გადავა დამზღვევი პირის მოთხოვნა ზიანის მიმუენებლის მიმართ 1000 ლარის ფარგლებში (6000 ლარს მიმატებული 5000 ლარი და მათ ჯამს გამოკლებული რეალური ზიანი - 10000 ლარი). შესაბამისად, დამზღვევის მოთხოვნის უფლება ზიანის მიმუენებლის მიმართ განისაზღვრება 4000 ლარით და საბოლოოდ, იგი მიიღებს ზიანის სრულ კომპენსაციას 10000 ლარის ოდენობით<sup>397</sup> (6000 ლარი მზღვეველისგან და 4000 ლარი ზიანი მიმუენებლისგან).

ადსანიშნავია, რომ დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას, მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების მოცულობა თანმხვედრი (კონგრუენტული) ზიანის ფარგლებში განისაზღვრება. კერძოდ, ზემოაღნიშნული სხვაობის დადგენა ხორციელდება მხოლოდ კონგრუენტული ზიანისთვის, ანუ იმ ზიანისთვის, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც მზღვეველს სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე ეკისრება. რაც შეეხება არათანმხვედრ (არაკონგრუენტულ) ზიანს, მისი ანაზღაურების მოთხოვნა დამზღვევს ზიანის მიმუენებლისგან შეუძლია, ხოლო მზღვეველს მის გადასვლაზე მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა.<sup>398</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, ცალსახაა, რომ რაც უფრო მცირეა თანმხვედრი ზიანი, რჩება მით უფრო მეტი არათანმხვედრი ზიანი, რომლის ანაზღაურების მოთხოვნა დამზღვევს ზიანის მიმუენებელი მესამე პირისგან შეუძლია.<sup>399</sup> აქედან გამოდინარე, მზღვეველსა და დამზღვევს შორის ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის უფლების გაყოფის საკითხი მხოლოდ კონგრუენტულ ზიანთან დაკავშირებით წარმოიშობა. აღნიშნული კონკურენცია სახეზეა მხოლოდ მაშინ, თუ არც სადაზღვევო ანაზღაურება და არც მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნა არ არის საკმარისი დამზღვევის კონგრუენტული ზიანის სრული ანაზღაურებისათვის.<sup>400</sup> დიფერენციაციის თეორიის თანახმად, ამ შემთხვევაში წარმოიშობა დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების უფლება.<sup>401</sup>

<sup>397</sup> Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 99.

<sup>398</sup> BGHZ 25, 340, 344 f., BGH VersR 1982, 383, 384 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 103.

<sup>399</sup> BGHZ 47, 196, 200; BGH VersR 1982, 383 მითითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 103.

<sup>400</sup> Kloth/Neuhaus, in: Schwintowski/Brömmelmeyer, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, 2008, §86, Rn. 29.

<sup>401</sup> BGH VersR 1982, 283 მითითებულია: Neuhaus/Kloth, in: Schwintowski/Brömmelmeyer, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, 2008, §86, Rn. 29.

### 3.2.3. დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია

დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიაზე<sup>402</sup> საუბრისას, საქმე ეხება არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სხვა, მეტად პრაქტიკულ და პრობლემურ საკითხებსაც. გერმანიაში სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ პირველი კანონის შემოღების დღიდან,<sup>403</sup> დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია გერმანულ სადაზღვევო სამართალში მეცნიერთა შორის დისკუსიის საგანია. დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის განვითარებას გერმანიაში საფუძვლად გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 1954<sup>404</sup> და 1967<sup>405</sup> წლის გადაწყვეტილებები დაედო. ორმოცდაათ წელზე მეტია, გერმანიის სასამართლოები მოთხოვნის უფლების ფარგლების გადასვლის საკითხის დადგენისას სწორედ ამ თეორიას ეყრდნობიან.<sup>406</sup> თუმცა, კანონმდებელი ერთიანი წესის შემოღებისაგან დღემდე თავს იკავებს.<sup>407</sup>

ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულების უმთავრესი მიზანი დამზღვევის ქონებრივი ინტერესის დაცვაა, ბუნებრივია, სუბროგაცია არ შეიძლება ამ უკანასკნელის საზიანოდ განხორციელდეს.<sup>408</sup> აღნიშნული მიღომა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოსათვის იყო ერთგარი ბიძგი, განევითარებინა ეწ. “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია”, რომელსაც ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების არსი და მიზანი დაედო საფუძვლად.

სადაზღვევო ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე, დამზღვევს, სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ, წარმოეშობა უფლება, სადაზღვევო თანხის ფარგლებში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მზღვეველისგან, ხოლო მზღვეველს, თავის მხრივ, წარმოეშობა ვალდებულება, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის საფუძველზე, მზღვეველის სუბროგაციის უფლებაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც დამზღვევის ზიანის სრული კომპენსაცია განხორციელდება და მისი უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე დადგება.<sup>409</sup>

<sup>402</sup> “Quotenvorrecht”.

<sup>403</sup> გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი პირველი მიღებულ იქნა 1908 წელს.

<sup>404</sup> BGHZ 13, 28 = VersR 1954, 211 მთითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar, VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 122.

<sup>405</sup> BGHZ 47, 196 = VersR 1967, 505. მთითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 122.

<sup>406</sup> Sarholz O., Das Quotenvorrecht, Eine Untersuchung zu §86 Abs.1 VVG und §116 Abs. 1-5 SGB X, Peter Verlag, Frankfurt am Main, 2011, 4.

<sup>407</sup> VersR 2007, 1199 – 1205, Sarholz O., Das Quotenvorrecht, Eine Untersuchung zu §86 Abs.1 VVG und §116 Abs. 1-5 SGB X, Peter Verlag, Frankfurt am Main, 2011, 4.

<sup>408</sup> Muschner, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, 2009, §86, Rn. 23.

<sup>409</sup> Günther C., Der Regress des Sachversicherers, 2003, 8, მთითებულია: Muschner, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, 2009, §86 Rn. 24.

### 3.2.3.1. გარემოებათა თანხვედრა

სრული ანაზღაურება. გადასასვლელი მოთხოვნის უფლების მოცულობის საკითხი პრაქტიკაში მარტივად წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის სრული ანაზღაურება ეკისრება. ბუნებრივია, ასეთ დროს არც კი ისმება კითხვა, თუ ვინ სარგებლობს უპირატესი ანაზღაურების უფლებით. მაგალითად, თუ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარმა ზიანმა ზუსტად სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა შეადგინა, მზღვეველის მიერ დამზღვევის დაკმაყოფილებისთანავე, მასზე დამზღვევი პირის მოთხოვნები მესამე პირის მიმართ შეუკვეცავად, სრული მოცულობით გადავა.<sup>410</sup> ასეთ დროს, სადაზღვევო ანაზღაურებასა და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზიანს შორის სხვაობის არარსებობის გამო, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის გამოყენება საჭირო არ არის.

ნაწილობრივი ანაზღაურება. როგორია გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დადგენა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის სრული ანაზღაურება მზღვეველს არ ეკისრება,<sup>411</sup> ან როდესაც ზიანის მიმყენებლის მიმართ დამზღვევის მოთხოვნის უფლება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზიანზე ნაკლებია.<sup>412</sup> ასეთ დროს, წარმოიქმნება კონფლიქტი მზღვეველსა და დამზღვეულს შორის. ერთი მხრივ, დამზღვეულს აქვს ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლება და მეორე მხრივ, მზღვეველს აქვს ინტერესი, ანაზღაურებული ზიანის ფარგლებში განახორციელოს სუბროგაციული მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ და ამის საფუძველზე, უკან მიიღოს გადახდილი ანაზღაურება.<sup>413</sup>

სწორედ მზღვეველისა და დამზღვევის მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის დროს, როდესაც დამზღვევის ზიანის სრული კომპენსაციისათვის არც სადაზღვევო ანაზღაურება და არც მესამე პირის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი საკმარისი არ არის, დამზღვევის ინტერესების დასაცავად, “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიას” მიმართავენ. ასეთ დროს, ზიანის ანაზღაურების უპირატესი უფლება დამზღვევს ენიჭება. მას მოთხოვნის უფლება მესამე პირების მიმართ რჩება იმ დრომდე, ვიდრე იგი ზიანის სრულ კომპენსაციას არ მიიღებს.<sup>414</sup> შესაბამისად, მზღვეველის სუბროგაციის უფლება ზიანის მიმყენებლის მიმართ შეზღუდულია იმ წილის პროპორციულად, რაც დამზღვევის ზიანის

<sup>410</sup> Muschner, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, 2009, §86, Rn. 27.

<sup>411</sup> დამზღვევის მიერ ზიანის ანაზღაურებაში თანამონაწილეობის, ხელშეკრულებით ზუსტად განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ან სხვა გარემოებების გამო.

<sup>412</sup> ზიანის დადგომაში დამზღვევის თანამონაწილეობისას, მისი ბრალის არსებობის გამო.

<sup>413</sup> Muschner, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, 2009, §86, Rn. 26.

<sup>414</sup> BGHZ 47, 308, 310; OGH VersR 1977, 755, 756; OLG Köln VersR 1960 894, 895.

სრული კომპენსაციისათვის არის საჭირო.<sup>415</sup> სწორედ დამზღვევის სრულად კომპენსირების შემდეგ არის შესაძლებელი მზღვეველზე მოთხოვნათა გადასვლა.<sup>416</sup> მაგალითად, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალებულისთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 5000 ლარი და ზიანის დადგომაში მასაც მიუძღვის ბრალი (50%), მისი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მესამე პირის მიმართ განისაზღვრება ზიანის დადგომაში მისი ბრალის პროპორციულად - 2500 ლარით. თუ სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამზღვევის თანამონაწილეობა ზიანის ანაზღაურებაში 2000 ლარის ოდენობით, მზღვეველს დამდგარი ზიანიდან (5000 ლარიდან) 3000 ლარის ანაზღაურება დაეკისრება. სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ, დაზღვეულ პირს კვლავ დარჩება 2000 ლარის აუნაზღაურებელი ზიანი. ზიანის მიყენებლის მიმართ დამზღვევის მოთხოვნის უფლების მოცულობა - 2500 ლარი არ არის საქმარისი დამზღვევის და სუბროგაციული უფლების მქონე მზღვეველის ერთდროული დაგმაყოფილებისთვის. სწორედ ამიტომ, “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის” მიხედვით, ზიანის მიყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლება დარჩება დამზღვევს იმ მოცულობით, რაც დამდგარი ზიანის კომპენსაციისათვის არის საჭირო (მოყვანილ მაგალითში 2000 ლარის ფარგლებში). დამზღვევის სრული კომპენსირების შემდეგ კი, უპირატესი ანაზღაურების თეორიის მიხედვით, მზღვეველს წარმოეშობა სუბროგაციული მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ იმ მოცულობით, რაც დამდგარ ზიანს გადააჭარბებს<sup>417</sup> (მოყვანილ მაგალითში 500 ლარის ოდენობით).<sup>418</sup>

### 3.2.4. “დიფერენციაციისა” და “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის” სამართლებრივი შედეგები

ზემოაღნიშნული თეორიები მოთხოვნის უფლების გადასვლის ფარგლების თაობაზე გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში დისკუსიის საგანია. განსაკუთრებულ აზრთა სხვადასხვაობას დიფერენციაციისა და დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის სამართლებრივი შედეგები იწვევს. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული თეორიები დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების წყარო შეიძლება გახდეს.<sup>419</sup>

მეცნიერები მიუთითებენ ორ საკითხზე, რომელიც ზემოაღნიშნულ თეორიათა გამოყენების დროს განსაკუთრებით საყურადღებო და

<sup>415</sup> Kloth/Neuhaus, in: Schwintowski/Brömmelmeyer, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, 2008, §86, Rn. 7.

<sup>416</sup> ob. იქვე. Rn. 29.

<sup>417</sup> Muschner, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, 2009, §86, Rn. 27.

<sup>418</sup> მზღვეველის მიერ გადახდილი 3000 ლარის და მესამე პირის მიერ ანაზღაურებული ზიანის ჯამი შეადგენს 5500 ლარს, რაც დამზღვევისთვის მიყენებულ ზიანს 500 ლარით აჭარბებს. სწორედ 500 ლარის ფარგლებში გადავა მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლება.

<sup>419</sup> Günther C., Der Regress des Sachversicherers, 2003, 10; Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 56.

პრობლემურია. პირველ რიგში, ეს არის საკითხი, თუ რომელი მოთხოვნის მიმართ სარგებლობს დამზღვევი უპირატესი ანაზღაურების უფლებით, მხოლოდ კონგრუენტული ზიანის თუ არაკონგრუენტული ზიანის მიმართაც. მეორე, მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა ფარგლებში ვრცელდება დამზღვევის უპირატესი ანაზღაურება, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით, სადაზღვევო ანაზღაურების სახით, სადაზღვევო ნივთის ახლით შეცვლაა გათვალისწინებული.<sup>420</sup>

პირველ შემთხვევაში, “სხვაობის თანხვედრის”<sup>421</sup> პრინციპიდან გამომდინარე, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების უფლება მხოლოდ იმ მოთხოვნების მიმართ გამოიყენება, რომელიც კონგრუენტულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მზღვევების ვალდებულებასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ერთი ნაწილი არ არის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებასთან თანმხვედრი, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია გამოიყენება მხოლოდ იმ ზიანის მიმართ, რომელიც კონგრუენტულია. მაგალითად, წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც ავტომობილის დაზღვევის ხელშეკრულებით ავტომობილის შეკეთებისა და ადდგენისათვის გათვალისწინებულია სადაზღვევო ანაზღაურება 9000 ლარის ოდენობით. დამზღვევის თანაბრალეულობით, დადგა სადაზღვევო შემთხვევა 10000 ლარის ზიანით. აქედან, 9000 ლარი შეადგინა ავტომობილის შეკეთებისთვის საჭირო ხარჯმა, ხოლო 1000 ლარი - მზღვევების მიერ სხვა ავტომობილის ქირავნობისთვის გაწეულმა ხარჯმა (არაკონგრუენტული ზიანი). სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, მზღვეველს დაეკისრება მხოლოდ 9000 ლარის მატერიალური ზიანის (კონგრუენტული ზიანის) ანაზღაურება, ხოლო ვალდებულებითსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, მოვალეს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება ბრალის წილის პროპორციულად – 4500 ლარის ოდენობით (აღნიშნულ თანხაში არ შედის არაკონგრუენტული ზიანი). დიფერენციაციის თეორიის თანახმად კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნა მესამე პირის მიმართ გადავა მხოლოდ იმ მოცულობით, რა სხვაობაც იქნება სადაზღვევო ანაზღაურებას, მოვალის

<sup>420</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 52; Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 98 ff.

<sup>421</sup> BGH v. 30. 9. 1957, BGHZ 25, 340; BGH v. 28. 1. 1958, VersR 1958, 161; BGH v. 18. 1. 1966, BGHZ 44,382 = VersR 1966, 256 = NJW 1966, 654; BGH v. 20. 3. 1967, BGHZ 47, 196 = VersR 1967, 505 = NJW 1967, 1273; BGH v. 8. 12. 1981, BGHZ 82, 383 = VersR 1982, 283 = NJW 1982, 827; BGH v. 12. 1. 1982, VersR 1982, 383; Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl. 1961, § 67; Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 102; Prölss, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zu VVG und EGVVG sowie Kommentierung wichtiger Versicherungsbedingungen, 27. Aufl. 2004, §67, Rn. 23; Langheid, in: Römer/Langheid/Rixecker, Versicherungsvertragsgesetz, 2.Aufl. 2003, § 67 Rn. 40; Sblowski, Zur Anwendung der Differenztheorie in der Sachversicherung - § 67 Abs 1 VVG, r+s 1985, 313. მთითებულია: Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 55.

კასუხისმგებლობასა და დამდგარ, კონგრუენტულ ზიანს შორის,<sup>422</sup> ზემოაღნიშნული მაგალითის შემთხვევაში – 4500 ლარის ოდენობით.<sup>423</sup> არაკონგრუენტული ზიანისთვის დამზღვევი მიიღებს 500 ლარის ანაზღაურებას მესამე პირისგან (50%-იანი ბრალის პროპორციულად), ხოლო მზღვეველს არაკონგრუენტულ ზიანზე სუბროგაციული მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა. საბოლოოდ, მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები უცვლელი დარჩება. იგი აანაზღაურებს ზიანს თავისი ბრალის პროპორციულად, ჯამში 5000 ლარის ოდენობით.<sup>424</sup>

მეორე შემთხვევა განსაკუთრებულია სადაზღვევო ანაზღაურების გალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე. კერძოდ, ამ შემთხვევაში საქმე ეხება სადაზღვევო ხელშეკრულებას, რომლითაც სადაზღვევო ანაზღაურებად ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენაა გათვალისწინებული.<sup>425</sup> ასეთ დროს, ბუნებრივია, იბადება კითხვა, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების უფლება მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურებაზე ვრცელდება, თუ დამზღვევი უპირატესი ანაზღაურების უფლებას იმ შემთხვევაშიც ინარჩუნებს, როდესაც მხარეები სადაზღვევოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურებაზე არიან შეთანხმებული. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, სადაზღვევოსამართლებრივი ზიანისა და სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის გამიჯვნა და ამ გამიჯვნის შედეგების სამართლებრივი გაანალიზება.

### 3.2.5. “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანისა” და “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის” გამიჯვნა

“სადაზღვევოსამართლებრივ ზიანს”<sup>426</sup> იურიდიულ დოქტრინაში “ნორმირებულ სადაზღვევო ზიანსაც” უწოდებენ.<sup>427</sup> მასში იგულისხმება არა სამოქალაქოსამართლებრივი ზიანი, არამედ ზიანი, რომლის ანაზღაურებაც მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე ეკისრება.<sup>428</sup>

<sup>422</sup> BGHZ 13, 28,30; 25, 340, 343; 47, 308, 310; OGH VersT 1969, 385, 386 მთითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 99.

<sup>423</sup> სადაზღვევო ანაზღაურების (9000) და მესამე პირის პასუხისმგებლობის (4500) ჯამს (13500) გამოკლებული კონგრუენტული ზიანი – 9000 ლარი (=4500 ლარი).

<sup>424</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2009, §22, Rn. 54.

<sup>425</sup> რაც ასევე არ გამორიცხავს დაზიანებული ნივთის ახლით შეცვლას.

<sup>426</sup> გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 88-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სადაზღვევო ანაზღაურება არის ფულადი თანხა, რომელიც მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზიანებული ნივთის აღდგენისთვის ან შეცვლისთვის (პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებისთვის) უნდა გადაიხადოს.

<sup>427</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2009, §22, Rn. 55.

<sup>428</sup> OLG Köln r+s 1989, 326; OLG Karlsruhe VersR 1991, 1127; OLG Hamm NJW-RR 1990, 39. მთითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 156.

შესაბამისად, მისი საპირისპირო კატეგორიაა “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანი”,<sup>429</sup> რომლის ანაზღაურებაც ზიანის მიმყენებელს სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების საფუძველზე მოეთხოვება.

“სადაზღვევოსამართლებრივ ზიანისა” და “სამოქალაქოსამართლებრივ ზიანის” შორის შეიძლება არსებობდეს თანხვედრის, ე.წ. კონგრუენციის პრობლემა.<sup>430</sup> “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანი” შეიძლება საგრძნობლად აღემატებოდეს “სამოქალაქოსამართლებრივ ზიანის”, მაგალითად, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურების სახით ახალი ნივთის ღირებულების ეკვივალენტურ ანაზღაურებას<sup>431</sup> ან სადაზღვევო ნივთის ახლით შეცვლას კისრულობს.<sup>432</sup> ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, სადაზღვევოსამართლებრივი ანაზღაურება ვერ იქნება თანმხვედრი, ანუ კონგრუენტული იმ ანაზღაურებასთან, რომელიც ზიანის მიმყენებელს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმების საფუძველზე შეიძლება დაეკისროს. როგორც გერმანიის,<sup>433</sup> ისე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით,<sup>434</sup> ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ცალსახად არის გათვალისწინებული მოვალის მიერ ნივთის მიმდინარე ღირებულების აღდგენის და არა დაზიანებული ნივთის ახლით შეცვლის ვალდებულება. მოთხოვნათა არათანხვედრის გამო, სრულიად ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა მოხდეს “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანისა” და “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის” ურთიერთშერწყმა.<sup>435</sup> გარდა ამისა, ჩნდება კითხვა, დამზღვევს უპირატესი ანაზღაურების უფლებით სარგებლობა მხოლოდ “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის” ანაზღაურების

<sup>429</sup> Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 99.

<sup>430</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 49.

<sup>431</sup> ნივთის მიმდინარე ღირებულება გულისხმობს ნივთის ღირებულებას, რომელიც მას ზიანის დადგომის მომენტში (დღეს) პქონდა. ვრცლად იხ. BGH 22.1.1984 – VIva 145/82, NJW 1984, 2165 ასევე: Halbach, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, 2009, §88, Rn. 4. Langheid, in: Römer/Langheid/Rixecker, Versicherungsvertragsgesetz, 2. Aufl. 2003, §52, VVG, Rn. 6; Höke, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §19, Rn. 20.

<sup>432</sup> ახალი ნივთის ღირებულება არის ნივთის მიმდინარე ღირებულების საწინააღმდეგო ცნება. მასში იგულისმება ის ღირებულება, რომელიც ნივთის ახალ მდგომარეობაში დასაბრუნებლად არის საჭირო. ამასთან, ეს არ გამორიცხავს ნივთის შეცვლას ახლით. აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცლად იხ. Höke, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §19, Rn. 20.

<sup>433</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი: “პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება”.

<sup>434</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: “იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება”.

<sup>435</sup> BGHZ 47, 308, 311 = VersR 1967, 674, 675 მითითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 156.

დროს შეუძლია, თუ იგი ამ უპირატესობას მაშინაც ინარჩუნებს, როდესაც მხარეები “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანის” ანაზღაურებაზე არიან შეთანხმებული.

### 3.2.5.1. სასამართლო პრაქტიკა “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანისა” და “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის” ურთიერთობამიჯვნის თაობაზე

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში, არაერთგვაროვანი შეხედულებაა ჩამოყალიბებული. გერმანიის ნორდრაინ-ვესტფალიის მიწის ჰამილტონის სასამართლო “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანისა” და “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის” ურთიერთობამიჯვნას უმნიშვნელოდ მიიჩნევს და წინა პლანზე დამზღვევის ინტერესს აყენებს.<sup>436</sup> სასამართლოს განმარტებით, სადაზღვევო ზიანში ნაგულისხმევი უნდა იყოს არა “სამოქალაქოსამართლებრივი ზიანი”, არამედ “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანი”.<sup>437</sup> შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს უნდა განხორციელდეს “სადაზღვევოსამართლებრივი ზიანის” სრული კომპენსაციის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურება უნდა გავრცელდეს სწორედ სადაზღვევოსამართლებრივი ზიანის და არა სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურებაზე.

გერმანიის ნორდრაინ-ვესტფალიის მიწის ჰამის უმაღლესი სასამართლოს არგუმენტის უკეთ ილუსტრირებისათვის, შეგვიძლია გავაანალიზოთ შემდეგი შემთხვევა. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეულია ავტომობილი 12000 ლარად (ახალი ავტომობილის ღირებულება). ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დამზღვევის თანამონაწილეობა ზიანზე პასუხისმგებლობის გადანაწილებაში 4000 ლარის ოდენობით. დამზღვევის 50%-იანი თანაბრალეულობით დადგა სადაზღვევო შემთხვევა, რომლის შედეგად დამდგარმა სამოქალაქოსამართლებრივმა ზიანმა 8000 ლარი შეადგინა. მოყვანილ მაგალითში სახეზეა ორი სახის ზიანი, რომელიც არ არის თანმხვედრი. თუ გავითვალისწინებთ გერმანიის ნორდრაინ-ვესტფალიის მიწის ჰამის უმაღლესი სასამართლოს მითითებას დამზღვევის სადაზღვევოსამართლებრივი ზიანის სრული კომპენსაციის აუცილებლობის შესახებ, ამ მიზნის მისაღწევად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში, მზღვეველისა და ზიანის მიმყენებლის მიერ ჯამში გადახდილმა ანაზღაურებამ 12000 ლარი უნდა შეადგინოს. ამისათვის, სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, მზღვეველს დამზღვევისთვის სადაზღვევოსამართლებრივი ზიანის 8000 ლარის ოდენობით ანაზღაურება დაეკისრება (12000 ლარს გამოკლებული ზიანზე პასუხისმგებლობის გადანაწილებაში დამზღვევის

<sup>436</sup> OLG Hamm NJW–RR 1990, 39 მითითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §86, Rn. 156.

<sup>437</sup> Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §86, Rn. 156.

თანამონაწილეობის ოდენობა – 4000 ლარი), ხოლო დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის საფუძველზე, დამზღვევს შესაძლებლობა ექნება, დარჩენილი ზიანის 4000 ლარის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისგან მოითხოვოს, საერთო ჯამში კი, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 12000 ლარის ტოლი ანაზღაურება მიიღოს. ეს კი, საბოლოოდ, იქნება იმ ანაზღაურების ეკვივალენტური, რომელსაც დამზღვევი დაზღვევაში თანამონაწილეობის ან სადაზღვევო შემთხვევაში მისი ბრალის არარსებობის შემთხვევაში მიიღებდა.<sup>438</sup> ბუნებრივია, ზემოაღნიშნული დასკვნა პირდაპირპროპორციულად აისახება მზღვეველის სუბროგაციულ მოთხოვნაზე.

### 3.2.5.2. “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის” კრიტიკა

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ პრაქტიკაში დანერგილმა დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიამ (Quotenvorrecht) იურიდიულ დოქტრინაში მრავალი აგტორის კრიტიკა დაიმსახურა.<sup>439</sup> ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ გერმანიის ნორდრაინ-ვესტფალის მიწის ჰამის უმაღლესი სასამართლო<sup>440</sup> არასწორ დასკვნამდე მივიდა, როდესაც მოთხოვნათა თანხვედრის არარსებობის დროს დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის გამოყენება დასაშვებად მიიჩნია.<sup>441</sup>

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორია დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების წყარო შეიძლება გახდეს. კერძოდ, აღნიშნული თეორია დამზღვევს აძლევს ზიანის სრული კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას მაშინაც, როდესაც მას ამის სამართლებრივი საფუძველი არა აქვს, მაგალითად, როდესაც ზიანის დადგომაში დამზღვევიც თანაბრალეულია ან როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელობის გადანაწილებაში დამზღვევის თანამონაწილეობაა განსაზღვრული. “დიფერენციაციის თეორიის” და მისგან გამომდინარე “დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის” საფუძველზე, დამზღვევი იღებს შესრულებას, რომელიც მას არ ეკუთვნის. იგი, რეალურად, იმაზე უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე სადაზღვევოსამართლებრივი ურთიერთობიდან ან

<sup>438</sup> BGH v. 4. 4. 1967, BGHZ 47, 308 = VersR 1967, 674 = NJW 1967, 1419; OLG Köln v. 25. 8. 1983, VersR 1985, 631; OLG Köln v. 8. 3. 1988, r+s 1989, 1 (2); OLG Hamm v. 21. 9. 1989, NJW-RR, 1990, 39; OLG Karlsruhe v. 18. 10. 1990, VersR 1991, 1127 (1128); OLG Köln v. 21. 7. Langheid, Anm. zu OLG Köln, r+s 1992, 326. მთითებულია: Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 15.

<sup>439</sup> Muschner, in: Rüffer/Halbach/Schimikowski, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, 2009, §86 Rn. 29; Günther C., Der Regress des Sachversicherers, 4. Auflage, Band 30, Karlsruhe, 2012, 13; Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 56.

<sup>440</sup> OLG Hamm NJW -RR 1990, 39 მთითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §86, Rn. 155.

<sup>441</sup> ი. მ. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 155.

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე იქნებოდა. უპირატესი ანაზღაურების უფლების მქონე დამზღვევის მატერიალური მდგომარეობა, შედეგობრივი თვალსაზრისით, უტოლდება იმ დამზღვევის მდგომარეობას, რომელსაც ბრალი ზიანის დაგომაში არ მიუძღვის ან დაზღვევაში ნაკლები თანამონაწილეობისთვის მაღალ საპრემიო შენატანს იხდის.<sup>442</sup> აღნიშნულს გამართლება არა აქვს არც “სადაზღვევო ხელშეკრულების მიზნიდან”<sup>443</sup> და არც “დაზღვევის არსის თანამედროვე გაგებიდან“ გამომდინარე.<sup>444</sup>

“დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების”, იგივე “წილის უპირატესობის” თეორიის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს თეორია ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სამართლიანობის პრინციპს, არამედ სადაზღვევო ურთიერთობის ზოგად არსესა და მიზანსაც. მეცნიერები, მოლერი, ზეგერი<sup>445</sup> და ბაუმანი<sup>446</sup> მიიჩნევენ, რომ გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფის როგორც სიტყვა-სიტყვითი, ისე შინაარსობრივი განმარტების საფუძველზე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ “არასახელშეკრულებო სარგებელი”<sup>447</sup> დამზღვევს არ უნდა დარჩეს. ზიანის ანაზღაურებისას, დაზარალებულის მიერ ზიანის ანაზღაურებით მიღებული სარგებელი უნდა გაიქვითოს.<sup>448</sup>

მოსაზრება, რომელიც დამზღვევისთვის “არასახელშეკრულებო სარგებლის” დატოვებას ემხრობა, ეწინააღმდეგება კანონმდებლის მიზანს.<sup>449</sup> მოლერისა და ზეგერის მოსაზრებით, მზღვეველი დამზღვევს სადაზღვევო ანაზღაურებას არა “არასახელშეკრულებო სარგებლისაგან” დამოუკიდებლად, არამედ სწორედ სუბროგაციული მოთხოვნის უფლების გადასვლის სანაცვლოდ ჰპირდება.<sup>450</sup>

---

<sup>442</sup> ob. *Langheid*, Anm. zu OLG Köln, r+s1992, 326; *Langheid*, in: *Römer/Langheid /Rixecker*, Versicherungsvertragsgesetz, 2.Aufl. 2003, § 67, Rn. 39; *Ebert/Segger*, Abschied vom Quotenvorrecht, VersR 2001, 143; *Günther C.*, Der Regress des Sachversicherers, 4. Auflage, Band 30, Karlsruhe, 2012, 10f.

<sup>443</sup> ob. *Baumann H.*, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, hrsg. v. *Honsell H.*, 1999, §67, Rn. 90.

<sup>444</sup> *Sieg*, in: *Bruck/Möller*, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl. 1961, § 67, Rn. 66.

<sup>445</sup> ob. *Möller/Segger*, in: *Langheid/Wandt*, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 1-327.

<sup>446</sup> ob. *Baumann*, in: *Honsell*, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 7.

<sup>447</sup> დამზღვევის “არასახელშეკრულებო სარგებელში” იგულისხმება ის მოთხოვნები, რომელიც მას ზიანის მიმერებელი, მესამე პირის მიმართ აქვს.

<sup>448</sup> Motive für das Versicherungs – u. Bausparwesen 1963, 139 (ასევე შეად. RGZ 97, 76, 78; BGHZ 79, 35, 37).

<sup>449</sup> ob. *Prölss*, Versicherungsaufsichtsgesetz, 12. Auflage, 2005, Rn. 25.

<sup>450</sup> *Möller/Segger*, in: *Langheid/Wandt*, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 139.

### 3.3. “აბსოლუტური თეორია”

ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების საფუძველზე, მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ ნორმის შინაარსი “აბსოლუტურ თეორიას” შეესაბამება. ამ თეორიის თანახმად, მზღვეველზე მოთხოვნის უფლების გადასვლა მზღვეველის მიერ დამზღვევის წინაშე ვალდებულების შესრულებაზეა დამოკიდებული. ამასთან, არცერთი ქვეყნის კანონმდებლობაში არ გვხვდება მითითება მზღვეველის მიერ დამზღვევის სრული კომპენსაციის აუცილებლობის თაობაზე. მეტიც, როგორც გერმანულ, ისე ქართულ კანონმდებლობაში მოთხოვნის უფლების გადასვლის წინაპირობად მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურება და არა, იმპერატიულად, ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებაა მითითებული. შესაბამისად, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის საფუძველზე, მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის უფლების დამზღვევის სრულ კომპენსაციასთან დაკავშირება სრულიად გაუმართლებელია.<sup>451</sup>

გერმანელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სუბროგაციის თაობაზე დაზღვევის შესახებ კანონში არსებული ნორმის არც სიტყვა-სიტყვითი და არც ტელეოლოგიური განმარტების საფუძველზე არ დგინდება მიზანი, რომელიც წილის უპირატესობის თეორიას დაასაბუთებდა.<sup>452</sup> აღიარებული შეხედულებით, სუბროგაციის მიზანი, ერთი მხრივ, ზიანის მიმყენებლის აუცილებელ პასუხისმგებლობაში და მეორე მხრივ, დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდებაში მდგომარეობს.<sup>453</sup>

კანონმდებლის პირველი მიზანი, გამორიცხოს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის გარეშე დატოვება, ყველა ზემოაღნიშნული თეორიის საფუძველზე მიიღწევა. ოუმცა, მეცნიერები უპირატესობას აბსოლუტურ თეორიას ანიჭებენ. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, მას შემდეგ, რაც მზღვეველი დამზღვევს სადაზღვევო თანხას აუნაზღაურებს, ანაზღაურებული ზიანის ფარგლებში, მასზე გადადის მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ. ამ შემთხვევაში, ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა დამზღვევის წინაშე ვალდებულების შესრულებაში ვლინდება, რითაც სუბროგაციის პირველი მიზნის რეალიზებაა უზრუნველყოფილი.<sup>454</sup>

ამასთან, აბსოლუტური თეორია იძლევა შესაძლებლობას, თავიდან იქნეს არიდებული დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება.

<sup>451</sup> იბ. იქვე. Rn. 141.

<sup>452</sup> BGHZ 13, 28, 31 = VersR 1954, 211, 212 მითითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 146.

<sup>453</sup> იბ. Langheid, in: Römer/Langheid/Rixecker, Versicherungsvertragsgesetz, 2.Aufl. 2003, § 67, Rn. 5, Prölss, in: Prölss/Martin, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zu VVG und EGVVG sowie Kommentierung wichtiger Versicherungsbedingungen, 27. Aufl. 2004, §67 Rn. 1, Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 25; Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §86, Rn. 139.

<sup>454</sup> იბ. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §86, Rn. 147.

### 3.3.1. სასამართლო პრაქტიკა “აბსოლუტური თეორიის” თაობაზე

გერმანიის სასამართლოები აბსოლუტურ თეორიას არ აღიარებენ. ისინი მას სუბროგაციის მიზანთან შეუსაბამო თეორიად მიიჩნევენ და უპირატესობას წილის უპირატესობის თეორიას ანიჭებენ. თუმცა, “აბსოლუტური თეორიის” მომხრე მეცნიერები გერმანიის სასამართლოების მიერ განვითარებულ მსჯელობას სუბროგაციის მიზანთან აბსოლუტური თეორიის შეუსაბამობის თაობაზე დაუსაბუთებლად მიიჩნევენ.<sup>455</sup> მეცნიერთა მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ თეორიათა შორის, თეორია, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლის მეორე მიზანთან, თავიდან აიცილოს დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება, სწორედ წილის უპირატესობის თეორიაა. წილის უპირატესობის თეორიის შემთხვევაში, ყურადღება არ ექცევა იმას, თუ რა ფარგლებშია პირის ინტერესი დაზღვეული, კერძოდ, რა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებაა დადგებული მზღვეველსა და დამზღვევს შორის, არის თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არასრული დაზღვევა ან დამზღვევის თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის გადანაწილებაში. შესაბამისად, არასრული დაზღვევის შემთხვევაშიც კი, დიფერენციაციისა და წილის უპირატესობის თეორიის მიხედვით, დამზღვევს შეუძლია განახორციელოს ზიანის სრული კომპენსაცია სამოქალაქოსამართლებრივი და სადაზღვევოსამართლებრივი მოთხოვნის უფლების საფუძველზე.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს არგუმენტს, რომლის თანახმად მზღვეველის მიერ სადაზღვევო ზიანის ანაზღაურების გალდებულება მესამე პირის მიმართ დამზღვევის მოთხოვნებისაგან დამოუკიდებელია, მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებს. თუმცა, ისინი მიუთითებენ, რომ მზღვეველის შეპირება ზიანის ანაზღაურების თაობაზე იმავდორულად შეიცავს დათქმას, რომლის მიხედვითაც დამზღვევის მიერ სამოქალაქოსამართლებრივი წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობის შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია დამზღვევის წინაშე თავისი გალდებულების შესრულება მასზე მოთხოვნის უფლების გადასვლას დაუკავშიროს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ზიანის ანაზღაურებისას დაზარალებულის მიერ ზიანის ანაზღაურებით მიღებული სარგებლის გაქვითვა (Vorteilsausgleichung) და საბოლოოდ, სუბროგაციის უმთავრესი მიზნის, უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდების მიღწევა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი.<sup>456</sup>

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო არ ეთანხმება გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულ მოსაზრებას სუბროგაციის მიზნის განმარტებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ უმჯობესია “ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების არსი” და მის საფუძველზე – სუბროგაციის მიზანი განიმარტოს. სასამართლოს აზრით, ამგვარი მიღვომა ნორმის

<sup>455</sup> იბ. იქვე. Rn. 150.

<sup>456</sup> იბ. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 150.

არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების შესაძლებლობას მოგვცემს.<sup>457</sup> კერძოდ, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტებით, “ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების არსი “სადაზღვევო ხელშეკრულების მიზანს უნდა შეესაბამებოდეს. შესაბამისად, ხელშეკრულება უნდა მიუთითობდეს, რომ დამზღვევს “სადაზღვევო თანხის ფარგლებში“ მზღვეველისგან ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ყველა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს.”<sup>458</sup>

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მომდევნო პერიოდის გადაწყვეტილებებში და მოგვიანებით, იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები მიუთითებს, რომ არც მეცნიერებს და არც სასამართლოს არ სურთ მზღვეველის ვალდებულება სადაზღვევო ხელშეკრულების არსზე დამოკიდებული გახადონ. ასეთ შემთხვევაში, აზრი დაეკარგება ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს და დამზღვევს, მიუხედავად სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსისა, ყოველთვის ექნება შესაძლებლობა, ზიანის სრული კომპენსაცია მიიღოს, მათ შორის იმ ზიანისაც, რომელიც მას არც კი დაუზღვევია.

გერმანელი მეცნიერები, მოლერი და ზეგერი ასევე არ ეთანხმებიან გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელშიც კერძო დაზღვევის ხელშეკრულების დროს დამზღვევის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა მიზანშეწონილად არის მიჩნეული. მსგავსი უპირატესობის დასასაბუთებლად, არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ამასთან, გაუგებარია, რა საფუძვლით უნდა მიენიჭოს კერძო სადაზღვევოსამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა დამზღვევს მზღვეველთან შედარებით.<sup>459</sup>

ამიტომ, სრულიად სამართლიანია მოსაზრება, რომ დამზღვევის კომპენსირების დროს ყურადღება უნდა მიექცეს არა სადაზღვევო ხელშეკრულების ზოგად არსს, არამედ ინდივიდუალურ სადაზღვევო ხელშეკრულებას, რომელიც მზღვეველსა და დამზღვევს შორის არის დადგებული. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დადგინდეს დამზღვევისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ფარგლები, ზიანის დადგომაში მისი თანამონაწილეობისა და არასრული დაზღვევის გათვალისწინებით.<sup>460</sup>

#### 4. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ რთულია საერთო, უნივერსალური წესის დადგენა, რომლითაც მზღვეველზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების განსაზღვრა იქნებოდა შესაძლებელი.

<sup>457</sup> BGHZ 13, 28, 31= VersR 1954, 211, 212 მთითებულია: Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 151.

<sup>458</sup> ob. იქვე.

<sup>459</sup> ob. Möller/Segger, in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 154.

<sup>460</sup> ob. იქვე. Rn. 152.

გადასასვლელი მოთხოვნის ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სადაზღვეო ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. სავარაუდოდ, სწორედ ეს მოსაზრება იყო მიზეზი იმისა, რომ 2008 წლის რეფორმის გატარებისას, გერმანელმა კანონმდებელმა ერთიანი წესის შემოღებისა და წლების განმავლობაში სასამართლოების მიერ ხშირად გამოყენებული რომელიმე თეორიისთვის უპირატესობის მინიჭებისაგან თავი შეიკავა. კანონმდებელმა გაითვალისწინა სადაზღვეო ურთიერთობათა ინდივიდუალური ბუნება და მზღვევლზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დაანგარიშების იმპერატიული წესის დადგენას თავი აარიდა, რითაც სასამართლოების როლს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ ყოფილა არცერთი პრეცედენტი, სადაც სასამართლო მზღვევლზე გადასასვლელი მოთხოვნის უფლების ფარგლების დაანგარიშების წესზე იმსჯელებდა, მიზანშეწონილია იმ გამოცდილების გაზიარება, რომელსაც გერმანული სასამართლოები სხვადასხვა თეორიებზე დაყრდნობით წლების განმავლობაში აგროვებდნენ.

ნაშრომში განხილული რომელიმე თეორიის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას, სამართალშემფარდებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს სამი უმთავრესი მოთხოვნა: მან უნდა დაიცვას დამზღვევის ინტერესი, გაითვალისწინოს ინდივიდუალური სადაზღვეო ხელშეკრულების თავისებურება და არ დაუშვას დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება.

## VIII. სუბროგაციის გამიჯვნა რეგრესისა და ცესიისაგან

### 1. შესავალი

თანამედროვე სახელმწიფოების კანონმდებლობის დიდი ნაწილისთვის სუბროგაციის დოქტრინა უცხო არ არის.<sup>461</sup> თუმცა, იმ პროცესის აღსანიშნავად, რომელსაც აღნიშნული დოქტრინა არეგულირებს, ტერმინი “სუბროგაციას” მათი მცირე ნაწილი იყენებს.<sup>462</sup> ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. სსკ-ის 832-ე მუხლი ეხება სუბროგაციის დოქტრინას და აღწერს სამართლებრივ ურთიერთობას, რომლისთვისაც ურთიერთობაში მხარეთა უფლებამონაცვლეობაა დამახასიათებელი. თუმცა, კანონმდებლობაში ტერმინი „სუბროგაცია“ არსად გვხვდება. შესაბამისად, აღნიშნული ტერმინი, ხშირად, უცნობია იმ იურისტებისთვისაც კი, რომლებიც სადაზღვეო სფეროში მოღვაწეობენ და მოთხოვნის უფლების გადაცემის ამ საშუალებას არცოუ იშვიათად იყენებენ. პროცესს, რომლის

<sup>461</sup> გერმანიის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფი, ავსტრიის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფი, საბერძნეთის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის მე-14 პარაგრაფი, პოლონეთის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 828-ე პარაგრაფი, ესპანეთის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 43-ე პარაგრაფი, პორტუგალიის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 136-ე პარაგრაფი.

<sup>462</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 965-ე მუხლი.

დროსაც მზღვეველი მესამე პირის მიმართ დამზღვევის მოთხოვნის უფლების რეალიზებას ახორციელებს, უმეტესად, რეგრესულ ურთიერთობად მოიხსენიებენ,<sup>463</sup> რაც იმთავითვე არასწორია. გარდა რეგრესისა, სუბროგაციას, ხშირად, აიგივებენ სამართლის ისეთ ინსტიტუტობაც, როგორიც არის ცესია.

ადსანიშნავია, რომ როგორც სუბროგაცია, ისე ცესია და რეგრესი საქართველოს სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი თეორიული კონსტრუქციებია. თუმცა, ამ ინსტიტუტებს იმდენად მსგავსი ნიშან-თვისებები აქვს, რომ ერთმანეთისაგან მათი გარჩევა ხშირად რთულია. იმისათვის, რომ სუბროგაციის არსი ნათელი გახდეს, რეგრესისა და ცესისაგან მის გამიჯვნას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, ამ ინსტიტუტების გამიჯვნას, გარდა თეორიული მნიშვნელობისა, დიდი პრაქტიკული დატვირთვაც აქვს. კერძოდ, ინსტიტუტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლის, ისე სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისითაც. ეს კი, საბოლოოდ, ურთიერთობის მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობების განსხვავებულ ბუნებას განაპირობებს. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, თითოეული ინსტიტუტი ცალ-ცალკე განიმარტოს და მათი შედარებითი ანალიზი განხორციელდეს.

## 2. სუბროგაციის და რეგრესის გამიჯვნა

### 2.1. ცნებათა განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეები

მრავალი ავტორი სუბროგაციის ინსტიტუტის დახასიათებისას, ადრეულ პერიოდში და დღესაც, ტერმინ რეგრესს იყენებს.<sup>464</sup> არიან მეცნიერებიც, რომლებიც ტერმინ „სუბროგაციას“ აქტიურად იყენებენ, თუმცა, მას მაინც რეგრესის სახესხვაობად განიხილავენ.<sup>465</sup> მაგალითად, ერთ-ერთი მეცნიერი მიუთითებს, რომ „მზღვეველის უფლება სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნებაზე ეფუძნება სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპს, რომლის თანახმად პირი, რომელიც ანაზღაურებს სხვის მიერ მიყენებულ ზიანს, აღიჭურვება უფლებით, ჩაანაცვლოს დაზღვეული პირი და ყველა მისი შესაგებელი და პრეტენზია წაუყენოს ზიანის მიმყენებელს. მსგავსი ტიპის

<sup>463</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 ოქტომბრის №ას-663-624-2011 განჩინება, გვ. 72. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf>>.

<sup>464</sup> ob. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22; Ломидзе О., Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, РОС. юстиция. №12, 1998, 13; Новицкий И.Б., Регрессные обязательства между социалистическими хозяйственными организациями, Госюриздан, 1952, 192; Серебровский В.И., Избранные труды по наследственному и страховому праву, Статут (в серии “Классика российской цивилистики”), 1997, 548.

<sup>465</sup> ob. Агарков М.М., Обязательство по советскому гражданскому праву. М., 1940, 160; Юдельсон К.С. Основные проблемы права регресса в советском гражданском праве, Ученые труды ВИОН. Вып. 9, 1947; Новицкий И.Б., Регрессные обязательства между социалистическими организациями, 1952, 145-195, Гольмстен А.Х., Опыт построения общего учения о праве регресса, Юридические исследования и статьи. Том второй. СПб, 1913, 184.

უფლებამონაცვლეობა არის სუბროგაცია, რომელიც რეგრესული მოთხოვნის განსაკუთრებული სახეა<sup>466</sup>.

აღსანიშნავია, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც ტერმინ „სუბროგაციას“ მეცნიერთა ძალზე მცირე ნაწილი იყენებს<sup>467</sup> და მას, მეტწილად, ტერმინ „რეგრესით“ მოიხსენიებენ.<sup>468</sup> ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის შესახებ ნორმა სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ გერმანულ კანონში მისი მიღების დღიდან არსებობს,<sup>469</sup> სადაზღვევო სფეროში გატარებული რეფორმის შემდეგაც კი, აღნიშნული სამართალურთიერთობის აღსანიშნავად გერმანელმა კანონმდებელმა ტერმინი „სუბროგაცია“ არ გამოიყენა და იგი პვლავ კანონისმიერ გადაცემად მოიხსენია.<sup>470</sup>

## 2.2. სუბროგაციისა და რეგრესის საერთო ნიშნები

მეცნიერები თანხმდებიან, რომ სუბროგაციასა და რეგრესს აქვს საერთო ნიშნები, რაც, ბუნებრივად, ამ ინსტიტუტების ერთმანეთში აღრევას იწვევს. კერძოდ, სუბროგაციაც და რეგრესიც უკუმოთხოვნის სახესხვაობებია,<sup>471</sup> რომელიც გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ისახავს მიზნად.<sup>472</sup> ორივე ინსტიტუტის დანიშნულება მოვალის მიერ გადამხდელისთვის თანხის უკან დაბრუნება<sup>473</sup> და იმ პირის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაა, რომელმაც კრედიტორის მოთხოვნა სხვის ნაცვლად დააკმაყოფილა.<sup>474</sup> ამასთან, ორივე ურთიერთობის წარმოშობის ფორმალური საფუძველი კანონია, ხოლო მატერიალური – მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება. სუბროგაციის და რეგრესის უმთავრესი მიზანია, არ დაუშვას ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება.

მითითებული გარეგანი მსგავსების მიუხედავად, მეცნიერები თანხმდებიან, რომ სხვაობა რეგრესსა და სუბროგაციას შორის პრინციპული

<sup>466</sup> ი. გენდзехაძე Е., Мартынова Т., Страхование ответственности риска непогашения кредита, Закон. 1994. № 4, 31.

<sup>467</sup> ი. Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einfluss des Versicherungsvermittlers, 8. Auflage, 1961, §67, Rn. 97.

<sup>468</sup> ი. von Koppens-Spiels, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §86; Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann; Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22.

<sup>469</sup> მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლის საკითხი დარეგულირებული იყო გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ძველი რედაქციის 67-ე პარაგრაფით, ხოლო ამჟამად დარეგულირებულია კანონის ახალი რედაქციის 86-ე პარაგრაფით.

<sup>470</sup> „Gesetzliche Forderungsumgang“.

<sup>471</sup> Дедиков С.В., Регресс и суброгация по договорам ОСАГО, Хозяйство и право, № 9, 2004, 67.

<sup>472</sup> Кисель И.В., Обязательства с участием третьих лиц: Дисс. 2002, 122.

<sup>473</sup> Белов В.А., Сингулярное правопреемство в обязательстве. 2-е изд., стер. М.: Центр ЮрИнфоП, 2001, 98.

<sup>474</sup> Сарбаш С.В., Общее учение об исполнении договорных обязательств: Дисс. д.ю.н. М., 2005, 158.

ხასიათისაა.<sup>475</sup> შესაბამისად, საჭიროა მათი, როგორც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვა და შესწავლა.

### 2.3. სუბროგაციისა და რეგრესის განმასხვავებელი ნიშნები

სუბროგაციის და რეგრესს შორის არსებითი განსხვავება ურთიერობის წარმოშობის საფუძველშია. კერძოდ, რეგრესი ყოველთვის ორი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობას გულისხმობს: პირველი და არსებითი არის ის ძირითადი ვალდებულება, რომელსაც მესამე პირი (მეორადი მოვალე) ასრულებს, ხოლო მეორე დაკავშირებულია პირველ, მთავარ ვალდებულებასთან და მისი წარმოშობა უშუალო კავშირშია პირველი ვალდებულების შესრულებასთან.<sup>476</sup> მაგალითად, შრომითი ურთიერთობის დროს დასაქმებულის (მუშაკის) მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია საწარმო ან ორგანიზაცია.<sup>477</sup> ამასთან, მას შემდეგ, რაც საწარმო ან ორგანიზაცია სრულად აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს, მას უფლება აქვს თავისი მუშაკისაგან რეგრესის წესით მოითხოვოს იმ თანხის უკან დაბრუნება, რაც საწარმომ დაზარალებულ პირს გადაუხედა.<sup>478</sup>

ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დაზარალებულსა და საწარმოს მუშაკს შორის წარმოიშობა, არის პირველი და მთავარი ვალდებულება. იგი წარმოშობს ახალ, რეგრესულ ვალდებულებას, კერძოდ, საწარმოს მოთხოვნის უფლებას მუშაკის მიმართ. სწორედ ამიტომ, რეგრესული ვალდებულება მიიჩნევა პირველი ვალდებულებიდან ნაწარმოებ - მეორად ვალდებულებად. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ძირითადი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია დელიქტი, ანუ მუშაკის მიერ პირისათვის ზიანის მიყენება, ხოლო ნაწარმოები, ანუ რეგრესული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია ის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის მოქმედებს.

მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ რეგრესის დროს ყოველთვის წარმოიშობა ახალი უფლება და პირველადი ვალდებულების შეწყვეტის შედეგად, ახალი ვალდებულება.<sup>479</sup>

ზემოაღნიშნული ფაქტორი რეგრესისა და სუბროგაციის წარმოშობის განსხვავებულ დროს განაპირობებს. რეგრესული ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მთავარი (ძირითადი) ვალდებულების შესრულების

<sup>475</sup> Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001, бეჭმისაწვდომია: <<http://law.isu.ru/ru/science/vestnik/20014/kravcov.html>>

<sup>476</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე, ამირანაშვილი გ., სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი უკრნალი, 2001, 19-26.

<sup>477</sup> შეად. სსკ-ის 37-ე მუხლის პირველ ნაწილს და სსკ-ის 997-ე მუხლს.

<sup>478</sup> იხ. ჩიკვაშვილი შ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგავლია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, 2001, 403.

<sup>479</sup> Ломидзе О., Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, Рос. юстиция. №12, 1998, 16-18.

შემდეგ,<sup>480</sup> კერძოდ, მას შემდეგ, რაც საწარმო ან ორგანიზაცია მუშაკის მიერ მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს. სუბროგაციის შემთხვევაში კი, განსხვავებით რეგრესისგან, სახეზეა ერთადერთი, მთავარი ვალდებულება, რომლის პირობებში კრედიტორი („პირველადი კრედიტორი“, დამზღვევი) ანაზღაურების მიღებისთანავე ტოვებს

ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას და მას ანაცვლებს „მეორადი კრედიტორი“, კერძოდ, პირი, რომელმაც ვალდებულება „პირველადი კრედიტორის“ წინაშე სხვის ნაცვლად შეასრულა. სადაზღვევო სამართლის მაგალითზე რომ განვიხილოთ, მას შემდეგ, რაც მზღვეველი დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზიანს აუზაზღაურებს, იგი აღიჭურვება უფლებით, დამზღვევი პირი მესამე პირთან ურთიერთობაში ჩაანაცვლოს და გადახდილის უკან დაბრუნება მოითხოვოს. ზემოთ დასახელებული დელიქტური და შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ერთობლიობისგან განსხვავებით, სუბროგაციის შემთხვევაში, სახეზეა მხოლოდ ერთი, ძირითადი დელიქტური ურთიერთობა დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის. სწორედ ეს განაპირობებს იმ გარემოებას, რომ მზღვეველი, როგორც წესი, ზიანის მიმყენებელი პირის წინაშე დამზღვევი პირის სახელით გამოდის და მისი უფლებების რეალიზაციას საკუთარი ინტერესებისათვის ახორციელებს. ამასთან, განსხვავებით რეგრესისაგან, სადაც რეგრესული მოთხოვნის უფლების განხორციელებისთვის კრედიტორს (დამსაქმებელს) არავის თანხმობა არ სჭირდება, სუბროგაციის დროს, დამზღვევს შეუძლია უარი განაცხადოს მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე.<sup>481</sup> შესაბამისად, ასეთ დროს, მზღვეველს სუბროგაციის უფლება აღარ წარმოეშობა.<sup>482</sup>

როგორც რეგრესის, ისე სუბროგაციის შემთხვევაში, კრედიტორი კარგავს მოთხოვნის უფლებას. რეგრესის შემთხვევაში, ამას განაპირობებს სრულიად ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა ახალი მხარეებით, სადაც ის ვალდებულება, რომელშიც მხარე კრედიტორი იყო, წარმოადგენს მხოლოდ წინაპირობას ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისთვის. სუბროგაციის შემთხვევაში კი, კრედიტორი ტოვებს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას და მის ადგილს იკავებს პირი, რომელმაც ვალდებულება მის სასარგებლოდ შეასრულა. როგორც მეცნიერი, მუსინი აღნიშნავს, სუბროგაციის შემთხვევაში, განსხვავებით რეგრესისგან, სახეზეა სინგულარული სამართალმექანიზმის შემთხვევაში, კერძოდ, არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი უცვლელი რჩება. შესაბამისად, არ იცვლება არც ურთიერთობის

<sup>480</sup> Смирнов В.Т., Регрессные иски в обязательствах из причинения вреда. М.: Государственное издательство юридической литературы, 1960, 5.

<sup>481</sup> მოვალეს შეუძლია შეეწინააღმდეგოს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, თუკი მოვალე დაამტკიცებს, რომ ასეთი შესრულებით მას ზიანი ადგება. იხ. ძლიერი შვილი ზ., ცერცეაძე გ., რობაჯიძე ი., სვანაძე გ., სახელშეკრულებო სამართალმექანიზმის შემთხვევაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 437-438.

<sup>482</sup> იხ. სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება.

<sup>483</sup> Мусин В.А., Суброгация в советском гражданском праве, Советское государство и право. № 7, 1976, 129.

შინაარსიდან გამომდინარე მოთხოვნა. ახალი კრედიტორი, მზღვეველი ხდება „პირველადი კრედიტორის“ - დამზღვევის უფლებების სამართლებრივი დოკუმენტის მიხედვის შემთხვევაში კი, სრულიად ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობა.

### 2.3.1. პრაქტიკა რეგრესისა და სუბროგაციის გამიჯვნის თაობაზე

#### 2.3.1.1. განსხვავება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის მიხედვით

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სუბროგაციის და რეგრესის გამიჯვნის პრობლემაზე მსჯელობის ტენდენცია ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც შეინიშნება. დღევანდელი მდგომარეობით, არსებობს მხოლოდ ორი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ სადაზღვევო ურთიერთობების კონტექსტში, სუბროგაციასა და რეგრესზე იმსჯელა. თუმცა, სამომავლოდ ამ საკითხზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის ორივე მათგანს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. 2012 წლის 17 თებერვალის განჩინება არის პირველი, რომელშიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სადაზღვევო ურთიერთობის დროს პირთა ჩანაცვლებაზე იმსჯელა,<sup>484</sup> უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სიცოცხლის დაზღვევის დროს დაზარალებულის ორმაგი კომპენსაციის დასაშვებობის შესახებ. სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა რეგრესული მოთხოვნის უფლება და დელიქტურ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლა და მიუთითა, რომ “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მესამე პირისაგან ითვალისწინებს არა რეგრესული მოთხოვნის უფლებას, არამედ დელიქტურ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლას, ჩანაცვლებას, რაც შეიძლება მიზნად ისახავდეს, როგორც დამზღვევის, ისე მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას”. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შეიქმნა პირველი პრეცედენტი, სადაც სასამართლომ სსკ-ის 832-ე მუხლი რეგრესულ მოთხოვნებთან არ გააიგივა და იგი სრულიად სხვა ტიპის სამართლებრივ ურთიერთობად განიხილა. მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ კვლავ იმსჯელა რეგრესული მოთხოვნის უფლებასა და სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლების დათმობაზე და მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ტერმინი „სუბროგაცია“ პირველად გამოიყენა.<sup>485</sup> ამასთან, სასამართლომ მკაფიოდ გამიჯნა ერთმანეთისაგან

<sup>484</sup> მსგავსად – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებათა კრებული 12, გვ. 61. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201212.pdf>>.

<sup>485</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 განჩინება. 2012 წლის გადაწყვეტილებათა კრებული 11, 72 ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf>>.

<sup>486</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებათა კრებული 12, გვ. 61. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201212.pdf>>.

რეგრესი და სუბროგაცია და მიუთითა, რომ სუბროგაციის დროს, განსხვავებით რეგრესისგან, ხდება არა ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, ან ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლა, არამედ მხოლოდ კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლის გარეშე. შესაბამისად, სასამართლო განმარტებით, ასეთ დროს მოთხოვნა კრედიტორზე უნდა გადავიდეს ისეთივე მოცულობით, როგორიც თავდაპირველ კრედიტორს ჰქონდა. ახალ მხარეებს შეუძლიათ მოთხოვნა და შესაგებელი ერთმანეთს იმ მოცულობით წაუყენონ, რა მოცულობითაც იგი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის პირველ ეტაპზე – პირველად კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებობდა.

### 2.3.12. სუბროგაციის და რეგრესის ურთიერთგამიჯვნა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით

სუბროგაციისა და რეგრესის ზემოაღნიშნული განმასხვავებელი კრიტერიუმების საფუძველზე, მათ შორის იკვეთება ფორმალური განსხვავებაც, რაც ამ ორი ინსტიტუტის განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადაში ვლინდება.

უკუმოთხოვნის ორივე საშუალებისთვის კანონმდებელმა ერთმანეთისგან განსხვავებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები დაადგინა. მართალია, კანონმდებელი რეგრესული მოთხოვნის და სუბროგაციის უფლების განხორცილების კონკრეტულ ვადებზე პირდაპირ არ მიუთითებს და არც სპეციალურ ვადას განსაზღვრავს, მაგრამ სსკ-ის 129-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში, კანონით ამავე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადებისგან განსხვავებული ვადებიც შეიძლება იქნეს გათვალისწინებული. სუბროგაციის შემთხვევაში, რადგან სახეზეა მოთხოვნის უფლების მფლობელის ჩანაცვლება მოთხოვნის უფლების სამართლებრივი ბუნების შეცვლის გარეშე, სრულიად ბუნებრივია, რომ გადასული მოთხოვნის მიმართ არ იმოქმედებს ხანდაზმულობის ახალი ვადები, არამედ, რეგრესისგან განსხვავებით, მანამდე დაწყებული ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება.<sup>487</sup> ამ გარემოების ლოგიკური ასენა რეგრესისა და სუბროგაციის განსხვავებული სამართლებრივი ბუნებით მარტივად არის შესაძლებელი.

რეგრესული ვალდებულებების შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ძირითადი, მთავარი ვალდებულების შესრულების მომენტიდან,<sup>488</sup> ანუ იმ დროიდან, როდესაც უშუალოდ რეგრესული ვალდებულება წარმოიშვა (ზემოთ მოყვანილი შრომითი ურთიერთობის მაგალითზე, მას შემდეგ, რაც დამსაქმებელი ზიანს აუნაზღაურებს

<sup>487</sup> ი. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 66.

<sup>488</sup> ი. ლомидзе О., Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, Российская юстиция, № 12, 1998, 13-14.

დაზარალებულ, მესამე პირს). რაც შეეხება სუბროგაციას, აქ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის შეცვლა არ ხდება.<sup>489</sup> მზღვეველმა დროის ათვლა უნდა დაიწყოს არა სადაზღვევო ანაზდაურების გადახდის მომენტიდან, არამედ იმ დროიდან, როდესაც დამზღვევი პირის უფლებები დაირღვა და მან ამის შესახებ შეიტყო ან უნდა შეეტყო.<sup>490</sup> როგორც წესი, ეს არის დღე, როდესაც მზღვეველმა შეიტყო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე. მსგავსი მიღგომა სრულიადაც არ არის უსამართლო მზღვეველების მიმართ, ვინაიდან ისინი საკმაოდ სწრაფად იღებენ ინფორმაციას მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე. მზღვეველის შეტყობინების ვალდებულება მკაფიოდ არის გათვალისწინებული, როგორც კანონმდებლობით, ისე სადაზღვევო პოლისით (ხელშეკრულებით). სსკ-ის 814-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე, დამზღვევი (დაზღვეული) მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს”. მეტიც, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა, დამზღვევის მიმართ სანქცია იქნეს გამოყენებული. კერძოდ, არასაპატიო მიზეზით ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო, მზღვეველმა შეიძლება უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზდაურებაზე.<sup>491</sup> გარდა ამისა, როდესაც საუბარია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებზე სუბროგაციის დროს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სსკ-ის 832-ე მუხლის ძალით, მზღვეველზე უფლებების გადასვლა ხდება იმ წესების გათვალისწინებით, რომელიც დამზღვევსა და ზიანის მიერებაზე პასუხისმგებელ პირს შორის მოქმედებს. როგორც ნაშრომის წინა თავში აღინიშნა,<sup>492</sup> სუბროგაციის თავისებურება სწორედ ისაა, რომ მზღვეველის მიერ დამზღვევის ჩანაცვლებით, უცვლელი რჩება იმ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელიც დამზღვევსა და ზიანის მიმერებელ პირს შორის არსებობდა. მაგალითად, თუ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ზიანი მიადგა დაზღვეულ პირს, მზღვეველის მიერ მისი ჩანაცვლების შემდეგ უცვლელი რჩება ის უფლება-მოვალეობები, რომელიც ზიანის მიმერებელსა და დაზღვეულ პირს შორის დელიქტიდან გამომდინარე არსებობდა. მხარეთა ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნები კვლავ ძალაში რჩება. სწორედ, სუბროგაციის ამ ბუნებიდან გამომდინარე, უცვლელი რჩება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებიც.

<sup>489</sup> ob. BGH VersR 1961, 910 მთითებულია: Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 138; OLG Düsseldorf VersR 1956, 325; Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einfluss des Versicherungsvermittlers, 8. Auflage, 1961, §67, Rn. 97.

<sup>490</sup> აღსანიშნავია, რომ რესერტის სამოქალაქო კოდექსის 200-201-ე მუხლებით, სუბროგაციის შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ პირდაპირ არის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელება, ხოლო რეგრესული ვალდებულებების შემთხვევაში, 201-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა ძირითადი ვალდებულების შესრულების მომენტიდან იწყება.

<sup>491</sup> მსგავსად რესერტის ფედერაცია. იხ. რესერტის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი.

<sup>492</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი: „სუბროგაციის და რეგრესის გამიჯგნის სამართლებრივი საფუძვლები“.

კერძოდ, რეგულისაბან განსხვავებით, ვადის ათვლა დაიწყება არა მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან.

### 2.3.1.3. სასამართლო პრაქტიკა ხანდაზმულობის ვადების შესახებ

ზემოაღნიშნულ მიღებოდას სუბროგაციისა და რეგულის განსხვავებული ხანდაზმულობის ვადების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოც იზიარებს. კერძოდ, სასამართლომ 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებაში ცალსახად მიუთითა, რომ სსკ-ის 832-ე მუხლი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის დროსაც ხდება პირთა შეცვლა ვალდებულებაში. ეს კი, სასამართლოს განმარტებით, არ ცვლის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს და შესაბამისად, არც არსებული ხანდაზმულობის ვადის დენას.<sup>493</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ხანდაზმულობის ვადის დენის განსაზღვრის საკითხი სუბროგაციული მოთხოვნის არსებობისას. საქმე შეიცავდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2006 წლის 27 ივნისს სადაზღვევო კომპანიასა და მზღვეველს შორის გაფორმდა ყირგიზული კომპანიისათვის მისაწოდებელი ტვირთის დაზღვევის ხელშეკრულება. 2006 წლის 13 სექტემბერს ყირგიზული კომპანიისთვის მიწოდებული ტვირთი დაზიანებული აღმოჩნდა, რისთვისაც სადაზღვევო კომპანიამ, სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, დაზღვეულს აუნაზღაურა დამდგარი ზიანი. ამის შემდეგ, მზღვეველმა მიმართა გადამზიდავს და სადაზღვევო თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა, რაზეც გადამზიდავმა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო უარი განაცხადა. სადაზღვევო კომპანიამ სარჩელით მიმართა საპელაციო სასამართლოს და გადამზიდავის მიერ ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. სასამართლომ მიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მან რეგული ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მიაკუთვნა. ამასთან, იმის გამო, რომ რეგული მოთხოვნისთვის კანონით სპეციალური ვადა დადგენილი არ არის, სსკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ მიუთითა საერთო ხანდაზმულობის ვადაზე და აღნიშნული ურთიერთობისთვის მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა განსაზღვრა, რის საფუძველზეც მხარის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და მიუთითა, რომ სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა

<sup>493</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებათა კრებული 12. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201212.pdf>>.

მიეკუთვნება არა რეგულურ მოთხოვნის უფლებებს, არამედ პირის შეცვლას ვალდებულებაში. ეს კი განაპირობებს მხოლოდ კრედიტორის შეცვლას ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში და მისი შინაარსის უცვლელად დატოვებას. შესაბამისად, ახალი კრედიტორის მიმართაც გრძელდება ხანდაზმულობის ვადები, რომელიც ძველი კრედიტორის მიმართ მოქმედებდა. მაგალითად, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა 2006 წელს და დაზღვეულს მზღვეველმა ზიანი აუნაზღაურა 2007 წელს, ზიანის მიმეუნებლის მიმართ მზღვეველის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება არა 2007 წლიდან, ანუ როდესაც მოხდა სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობა, არამედ 2006 წლიდან – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ ზუსტად განმარტა, როდის უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობისას. ვინაიდან სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობისთვის ხანდაზმულობის ვადა კანონით განსაზღვრული არ არის, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სსკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესის გამოყენება და ხანდაზმულობის სპეციალური ვადის განსაზღვრა. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა<sup>494</sup> და აღნიშნული ურთიერთობისთვის სსკ-ის 699-ე მუხლით ხანდაზმულობის სპეციალური, ერთწლიანი ვადაა გათვალისწინებული, სწორედ ეს დრო უნდა განისაზღვროს მზღვეველსა და გადამზიდავს შორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად. შესაბამისად, მისი ათვლა უნდა დაიწყოს 2006 წლის 13 სექტემბრიდან. მოყვანილ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ მხარემ სასამართლოს ამ ვადის დაუცველად მიმართა, მოთხოვნა მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<sup>495</sup>

## 2.4. დასკვნა

ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, არამედ სსკ-ის 832-ე მუხლით მოქმედიგებულ სამართლებრივ ინსტიტუტში მეტი სიცხადის შესატანადაც. მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ცალსახად იკვეთება სამართლშემფარდებლის მცდელობა, მკაფიოდ გამიჯნოს ერთმანეთისაგან სუბროგაციისა და რეგრესის ინსტიტუტები, რაც ევროპული ქვეყნების სასამართლების მიღებობას შეესაბამება.<sup>496</sup> მიღებული გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს

<sup>494</sup> ი. სსკ-ის 668-ე მუხლი.

<sup>495</sup> მსგავსი პრაქტიკა აქვს რუსეთის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმს. ვრცელად ი. ვ. Вестник Высшего Арбитражного Суда РФ. №3, 1998, 37-38.

<sup>496</sup> OLG Düsseldorf VersR 1956, 325, OGH VersR, 1969, 385 მითოვებულია: Baumann, in: Honsell H., (Hrsg.), Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, 1999, §67, Rn. 138.

იურისტებს, სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენელებს და სადაზღვევო სფეროთი დაინტერესებულ სხვა პირებს, გამიჯნონ სუბროგაცია სხვა მსგავსი ტიპის ინსტიტუტებისაგან. აღნიშნული გამიჯვნა, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, როგორც დაზღვეულებისთვის, ისე მზღვევებისთვის პრინციპული მნიშვნელობისაა. კერძოდ, სუბროგაცია ორივე სუბიექტისთვის ეკონომიკურ მნიშვნელობას იძენს. იგი მზღვევებს უქმნის ერთგვარ გარანტიას, უკან დაიბრუნოს დამზღვევისათვის გადახდილი თანხა. სადაზღვევო კომპანიების სარეზერვო ფონდები ივსება არა მხოლოდ სადაზღვევო პრემიების საფუძველზე, არამედ კომპანიის სხვა შემოსავლებიდანაც. ეს უკანასკნელი მოიცავს თანხას, რომელსაც სადაზღვევო კომპანიები დამზღვევისათვის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი იმ მესამე პირებისაგან იღებენ, რომელთა მაგივრადაც მზღვეველმა აანაზღაურა ზიანი. რაც შეეხება დაზღვეულს, გერმანული გამოცდილების შესაბამისად,<sup>497</sup> იგი ხელშეკრულების დადებისას სარგებლობს გარკვეული შედავათით, თუ მზღვეველს არ უკრძალავს სუბროგაციის უფლების გამოყენებას ზიანის მიმყენებელი მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის ზემოაღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის განვითარება უსათუოდ ხელს შეუწყობს სადაზღვევო ურთიერთობებისა და სადაზღვევო ბაზრის შემდგომ განვითარებას.

### 3. სუბროგაციის და ცესიის გამიჯვნა

#### 3.1. ცნებათა განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეები

არც ქართულ და არც გერმანულ კანონმდებლობაში, ტერმინ „სუბროგაციის“ მსგავსად, მოთხოვნის დათმობის აღსანიშნად, ტერმინი „ცესია“ არ გვხვდება. თუმცა, გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით აქტიურად გამოიყენება,<sup>498</sup> ხოლო თავად ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს „ცედენტი“ და „ცესიონერი“ ეწოდებათ.<sup>499</sup> ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებელი ცდილობს, სუბროგაცია და ცესია მკაფიოდ გამიჯნოს ერთმანეთისაგან და ამისათვის, განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებს. მაგალითად, გერმანული კანონმდებელი სუბროგაციის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების კანონისმიერ გადაცემაზე, ხოლო ცესის შემთხვევაში – მოთხოვნის სახელშეკრულებო დათმობაზე მიუთითებს.<sup>500</sup>

<sup>497</sup> Langheid, in: Römer/Langheid/Rixecker, Versicherungsvertragsgesetz, 2.Aufl. 2003, §67, Rn. 39.

<sup>498</sup> ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ახვლედიანი/ზონდე/ჯორბეგნაძე (რედ.), საქართველოს სამქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 1999, 140; ჭავჭავაშვილი ზ., მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაეცემა, სადისერტაციო ნაშრომი, 2008 ხელმისაწვდომია: <[http://tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/zviad%20chechelashvili.pdf](http://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/zviad%20chechelashvili.pdf)>, Habersack in: Habersack M., Schwab M., Münchener Kommentar zum BGB, Band 5, Schuldrecht Besonderer Teil III, 6. Auflage 2013, C.H. Beck, §812, Rn. 202-215.

<sup>499</sup> ი. მüller in: Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 8. Auflage, 2013, §398, Rn. 4.

<sup>500</sup> სუბროგაციის დოქტორიას გერმანელი კანონმდებელი აღნიშნავს ტერმინით – „gesetzlicher Förderungsgübergang, ხოლო ცესის ტერმინით – „Abtretung“.

### **3.2. სუბროგაციის და ცესიის საერთო ნიშნები**

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი, გარკვეულწილად, სუბროგაციისა და ცესიის განსხვავებულ სამართლებრივ ბუნებაზე მიუთითებს, მაინც ხშირია ამ ინსტიტუტების ერთმანეთში აღრევისა და ერთმანეთთან გაიგივების ფაქტები. ეს შემთხვევითი არ არის. ორგორც სუბროგაცია, ისე ცესია კრედიტორის მოთხოვნის უფლების გადასვლის მარეგულირებელი ინსტიტუტებია. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ორივე მათგანი კრედიტორის (ცედენტის, სუბროგანტის) უფლებების მესამე პირზე გადასვლას (ცესიონერზე, სუბროგატზე) გულისხმობს. ამასთან, ცესიის და სუბროგაციის შემთხვევაში, მესამე პირი კრედიტორის უფლებებს იღებს სრული მოცულობით. კერძოდ, იგი ამ უფლებებს იღებს იმ უზრუნველყოფის საშუალებით, პრივილეგიებით და პროცენტებით, რაც თავდაპირველ კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებობდა. ამასთან, სსკ-ის 207-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს კანონის ძალით მოთხოვნის დათმობისას იმ წესების გამოყენებაზე, რომელიც უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენის დროს გამოიყენება.<sup>501</sup> მსგავსი მიდგომაა ჩამოყალიბებული გერმანულ კანონმდებლობაშიც. გსკ-ის 412-ე პარაგრაფის მიხედვით, კანონის ძალით მოთხოვნის გადაცემის მიმართ ანალოგიურად გამოიყენება მოთხოვნის დათმობის მარეგულირებელი ნორმები.<sup>502</sup> აქედან გამომდინარე, სსკ-ის 832-ე მუხლსა და გერმანიის სადაზლვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფზე, რომელიც კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემას, ანუ სუბროგაციას აწესრიგებს, ვრცელდება ის ნორმები, რომელიც მოთხოვნის დათმობიდან (ცესიიდან) გამომდინარე ურთიერთობას არეგულირებს.<sup>503</sup> მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართლის ეს ინსტიტუტები, ერთი შეხედვით, ერთმანეთის მსგავსია, მეცნიერები თანხმდებიან, რომ მათ განსხვავებული სამართლებრივი ბუნება და თეორიული კონსტრუქცია აქვთ.<sup>504</sup>

### **3.3. სუბროგაციის და ცესიის განმასხვავებელი ნიშნები**

#### **3.3.1. კაუზას მნიშვნელობა სუბროგაციისა და ცესიის ნამდვილობისთვის**

##### **3.3.1.1. კაუზას მნიშვნელობა ცესიის ნამდვილობისთვის**

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მოთხოვნის უფლების დათმობის (ცესიის) სამართლებრივი ბუნების თაობაზე, წლების განმავლობაში,

<sup>501</sup> კანონის ძალით მოთხოვნის დათმობის დროს გამოიყენება სსკ-ის 198-206-ე მუხლები.

<sup>502</sup> კანონის ძალით მოთხოვნის დათმობის მიმართ გამოიყენება გსკ-ის 399-404-ე და 406-410-ე პარაგრაფები, გარდა გსკ-ის 405-ე პარაგრაფისა, რომელიც დოკუმენტის წარდგენით მოთხოვნის დათმობას ეხება. ვრცელდება ის. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 63.

<sup>503</sup> ის. Müller, in: Prütting/Wegen/Weinreich, (Hrsg.), BGB Kommentar, 8. Auflage, 2013, §412, Rn. 1.

<sup>504</sup> ის. Кораев К.Б., Понятие цессии, суброгации и репресса в гражданском праве россии, "Нотариус", Науч.-практ. и информ. федеральное изд. М. Юрист, №3, 2008, 21-25.

სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა.<sup>505</sup> მეცნიერთა ნაწილი მოთხოვნის უფლების გადასვლას და მის საფუძვლად არსებულ მირითად გარიგებას ერთ მთლიანობად მიიჩნევდა. ამასთან, ისინი უარყოფდნენ მოსაზრებას ცესის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნების თაობაზე და მიუთითებდნენ, რომ მოთხოვნის უფლების ერთი პირიდან მეორეზე გადასვლა არა დამოუკიდებელი (აბსტრაქტული) ხელშეკრულების, არამედ სრულიად განსაზღვრული, კაუზალური ხელშეკრულების საფუძველზე ხდებოდა. იმის მიხედვით, თუ რა უდევს მოთხოვნის უფლების გადაცემას საფუძვლად, აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება იყოს ერთ-ერთი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებათაგანი: ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება და სხვ.<sup>506</sup> მეცნიერთა ნაწილი საერთოდ არ განიხილავს ცესის დამოუკიდებელ ხელშეკრულებად კვალიფიკაციის შესაძლებლობას.<sup>507</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ჰყავს მოწინააღმდეგები, რომლებიც ცესიას განმარტავენ იმ სახით, როგორც ეს ჯერ კიდევ რომის სამართლში იყო მიღებული. კერძოდ, ისინი ცესიად მიიჩნევენ მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელ გადასვლას ერთი პირიდან მეორეზე.<sup>508</sup> ამასთან, ცესიას უწოდებენ „განსაკუთრებულ გარიგებას“ და მიუთითებენ, რომ „ცედენტსა და ცესიონერს შორის სამართლებრივი ურთიერთობა უშუალოდ მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე განისაზღვრება და იგი არ არის დამოუკიდებული იმ ხელშეკრულებაზე, რომლის საფუძველზეც მოთხოვნის უფლების დათმობა ხორციელდება“.<sup>509</sup>

აღნიშნული მოსაზრება სრულად შეესაბამება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დღეისათვის გაბატონებულ და გერმანელი კანონმდებლის და სამართლებრივის მიერ გაზიარებულ შეხედულებას მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნების თაობაზე. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, გერმანელი მეცნიერი, დერნბურგი აღნიშნავდა, რომ ცესია არის დამოუკიდებელი (აბსტრაქტული) გარიგება, რომელიც

<sup>505</sup> Победоносцев К., Курс гражданского права. Ч. 2 Договоры и обязательства. - СПб: Синодальная типография, 1896, 230; Трепицын И.Н., Гражданское право губерний царства Польского и русского в связи с проектом Гражданского уложения. Общая часть обязательственного права. Варшава, 1914, 25. Анненков К., Система русского гражданского права. том. III. Права обязательственные. - СПб: Типография Стасюлевича М. М., 1898, 193.

<sup>506</sup> Победоносцев К., Курс гражданского права. Ч. 2 Договоры и обязательства. - СПб: Синодальная типография, 1896, 230; Трепицын И.Н. Гражданское право губерний царства Польского и русского в связи с проектом Гражданского уложения. Общая часть обязательственного права. Варшава, 1914, 227.

<sup>507</sup> Победоносцев К., Курс гражданского права. Ч. 2 Договоры и обязательства. - СПб: Синодальная типография, 1896, 231; Трепицын И.Н. Гражданское право губерний царства Польского и русского в связи с проектом Гражданского уложения. Общая часть обязательственного права. Варшава, 1914, 230.

<sup>508</sup> Анненков К., Система русского гражданского права. том. III. Права обязательственные. - СПб: Типография М. М. Стасюлевича, 1898, 193.

<sup>509</sup> Мейер Д.И., Русское гражданское право в 2-х частях. Ч.1. - М., 1997, 167.

უნდა გაიმიჯვოს იმ ხელშეკრულებისგან, რომელიც მას უდევს  
საფუძვლად”.<sup>510</sup>

თანამედროვე გერმანული იურიდიულ დოქტრინაში  
ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისა და მოთხოვნის დათმობის  
(ცესიის) დამოუკიდებელი ბუნება ერთხმად არის აღიარებული.<sup>511</sup>  
აბსტრაქციის პრინციპიდან გამომდინარე, ამ ორი ხელშეკრულების  
ნამდვილობა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.<sup>512</sup> შესაბამისად, თუ  
მოთხოვნის დათმობის საფუძვლად არსებული კაუზა, რაიმე საფუძვლით,  
ბათილი იქნება, ეს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე  
ასახვას არ ჰპოვებს.<sup>513</sup> კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დათმობა  
სამართლებრივი ძალის არქონების გარიგების საფუძველზე განხორციელდება,  
ცედენტს ცესიონერის მიმართ მოთხოვნის უფლება უსაფუძვლო  
გამდიდრების ნორმების საფუძველზე წარმოეშობა.<sup>514</sup> გერმანულ  
სამართალში დამკვიდრებული შეხედულება ცესის დამოუკიდებელი  
ბუნების თაობაზე, რაც აბსტრაქციის პრინციპიდან გამომდინარეობს,  
აღიარებულია ქართულ სამართალშიც. აქაც ცესია, განსხვავებით ნივთზე  
საკუთრების უფლების გადაცემისაგან, აბსტრაქტული ხელშეკრულებაა და  
მისი ნამდვილობა მის საფუძვლად არსებული მთავარი ხელშეკრულების  
ნამდვილობაზე დამოკიდებული არ არის.<sup>515</sup>

### **3.3.12. კაუზას მნიშვნელობა სუბროგაციის ნამდვილობისთვის**

მეცნიერთა ნაწილი სუბროგაციასა და ცესიას შორის ერთ-ერთ განსხვავებას სწორედ მათ მიმართ აბსტრაქციის პრინციპის მოქმედების განსხვავებულობაში ხდავს. კერძოდ, თუ ცესიის შემთხვევაში, განსხვავებით ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისაგან, მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის კაუზას მნიშვნელობა არ ენიჭება, სუბროგაციის დროს უფლების გადაცემისთვის არსებოთი მნიშვნელობის სწორედ თავდაპირველი ხელშეკრულების ნამდვილობაა. მეცნიერთა მოსახრებით, სუბროგაციის დროს, განსხვავებით ცესიისაგან, ყურადღება უშუალოდ დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობას უნდა მიექცეს. კერძოდ, უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა მზღვეველის მიერ

<sup>510</sup> Дернбург Г. Пандекты. Обязательственное право. Том 2, русское издание, москва, 2011, 132.

<sup>511</sup> Hawellek J., Die persönliche Surrogation, Eine vergleichende Untersuchung von Rechtsübergänge zu Regresszwecken in Deutschland Spanien und England, Hamburg, 2010, 47.

<sup>512</sup> განსხვავებულად წყდება საკითხი, როდესაც უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სურვილით მოთხოვნის დათმობის ნამდვილობა დამოკიდებულია მის საფუძვლად არსებულ ძირითად ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში, გამოიყენება გსკ-ის 139-ე პარაგრაფი, რომელიც გარიგების ნაწილის ბათილობას ეხება. იხ. Müller, in: Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 8. Auflage, 2013, §398, Rn. 5. იხ. იქვე. Ahrens, §139, Rn. 1-24.

<sup>513</sup> ცვაიგერტი პ., კოტცი პ., შედარებითი სამართლამდცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თარგმანი, რედ. ნინიძე თ., 2001, 133.

<sup>514</sup> ob. Müller, in: Prütting/Wegen/Weinreich, (Hrsg.), BGB Kommentar, 8. Auflage, 2013, §398, Rn. 5.

<sup>515</sup> ქართულად შეიძლო ზ., მოთხოვნის დათმობა და გალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, 40.

ვალდებულების შესრულების სამართლებრივი საფუძველი. ერთ-ერთი გერმანელი მეცნიერის მოსაზრებით, „თუ მზღვეველი აანაზღაურებს სადაზღვევო ზიანს იმ დროს, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულება არ იყო ნამდვილი, ან გასაჩივრების საფუძველზე, ხელშეკრულება დადების მომენტიდან ბათილად იქნა მიჩნეული, დაზღვევის შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების გადასვლა ვერ განხორციელდება”.<sup>516</sup> მეცნიერი აღნიშნავს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების არარსებობის გამო, სახეზე არ იქნება არც მზღვეველი და არც დამზღვევი,<sup>517</sup> რაც სუბროგაციის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ არ მოხდეს ურთიერთობის რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება, დაზღვეულმა მიღებული ანაზღაურება უკან უნდა დააბრუნოს,<sup>518</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველს სუბროგაციული მოთხოვნა უკვე განხორციელებული აქვს, მან უკან უნდა დააბრუნოს მიღებული შესრულება და სადაზღვევო პრემია.<sup>519</sup>

### 3.3.2. ვალდებულებაში პირთა უფლებამონაცვლეობა

სუბროგაციისა და ცესიის ზემოთ დასახელებული განმასხვავებელი ნიშანი არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი. მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისაგან ვალდებულებით ურთიერთობაში პირთა უფლებამონაცვლეობის საკითხშიც განსხვავდება. კერძოდ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თუ ცესიის დროს ყოველთვის იგულისხმება პირთა სრული უფლებამონაცვლეობა ვალდებულებაში, სუბროგაციის მიმართ ამის ცალსახად თქმა როგორია.<sup>520</sup> აღნიშნულ საკითხზე სამართლებრივად დასაბუთებული პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, თავად ცესიის ინსტიტუტი უნდა იქნეს შესწავლილი.

<sup>516</sup> ob. Sieg in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlerrechts, 8. Aufl. 1961, § 67 Anm. 57; Baumann, in: Honsell, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999, §67, Rn. 82; აღნიშნული საკითხი დიად დატოვა გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ, BGH VersR 1963, 1192, 1193 შეად. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 43.

<sup>517</sup> ob. Sieg in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlerrechts, 8. Aufl. 1961, § 67 Anm. 57.

<sup>518</sup> სსკ-ის 976-ე მუხლი. ანალოგიურად, გსკ-ის 812-ე პარაგრაფი. ob. Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 43.

<sup>519</sup> ob. Sieg in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlerrechts, 8. Aufl. 1961, § 67 Anm. 57.

<sup>520</sup> ob. Ломидзе О., Переход обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция, № 9, 2000, 16-18; Ломидзе О., Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, Рос. юстиция, №12, 1998, 13.

### **3.3.2.1. პირთა უფლებამონაცვლეობა ცესიის დროს (ანალოგიის გამოყენების დაუშვებლობა)**

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცესიის შემადგენლობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. პირველი მოსაზრების თანახმად, ცესია არის შეთანხმება კრედიტორსა (ცედენტს) და სხვა პირს (ცესიონერს) შორის, რის შედეგადაც კრედიტორის მოთხოვნის უფლება სხვა პირზე გადადის.<sup>521</sup>

აღნიშნული შეხედულება მეცნიერთა შორის დისკუსიის საგანია. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მსგავსი მიდგომა, ანუ შეთანხმების (ხელშეკრულების) მიხნევა ცესიად, ამ ინსტიტუტის განვითარების პირველ ეტაპზე, რომის სამართლისთვის იყო დამახასიათებელი. მსგავსი ხელშეკრულების დადება არ იწვევდა პირთა შეცვლას ვალდებულებაში. ცესიის მიმართ რომის სამართლის ეს მიდგომა იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ რომაელი იურისტები ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას წმინდა პირადი ხასიათის ურთიერთობას მიაკუთვნებდნენ და შესაბამისად, ვალდებულებაში პირთა შეცვლა მათ დაუშვებლად მიაჩნდათ. ასეთი შეცვლა მთელი ვალდებულების შეცვლას იწვევდა.<sup>522</sup> თუმცა, მოგვიანებით, სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეს მიდგომა გადაისინჯა და ცესიაში კრედიტორიდან სხვა პირზე მოთხოვნათა დამოუკიდებელი გადასვლა მოიაზრებოდა.<sup>523</sup>

მეორე მოსაზრების თანახმად, ცესია არის კრედიტორის მოთხოვნის უფლების გადასვლა სხვა პირზე, რის შედეგადაც ვალდებულებაში პირთა შეცვლა ხორციელდება.<sup>524</sup> მეცნიერები ამ მოსაზრებას საფუძვლად უდებენ იმ გარემოებას, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არა პირად, არამედ ქონებრივ ხასიათს ატარებს.<sup>525</sup>

სწორედ მსგავსი შინაარსით ითვალისწინებს მოთხოვნის დათმობას სსკ-ის 199-ე მუხლი. კანონმდებელი აღნიშნავს, რომ მოთხოვნის მფლობელს შეუძლია მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად კი, მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, მოთხოვნის

<sup>521</sup> იხ. *Сергеева А.П., ТолстогоЮ.К.*, Гражданское право. Т. 1, М., 2006, 629; *Вошатко А.В.* О сущности уступки требования, Очерки по торговому праву, Под ред. Е.А. Крашенникова. Вып. 7. Ярославль, 2000, 16; *Почуйкин В.В.* Основные проблемы уступки права требования в современном гражданском праве России, 2003, 23-24; *Терехов А.В.*, Соотношение суброгации и цессии в гражданском праве России, Вестник Московского университета МВД России. № 3, 2007, 116.

<sup>522</sup> იხ. *Барон Ю.*, Система римского гражданского права. Кн. IV. Обязательственное право. 2005, 640-641.

<sup>523</sup> იხ. *Шершеневич Г.Ф.* Учебник русского гражданского права, 1995, 287-288; *Победоносцев К.П.*, Курс гражданского права, 2003, 215-216.

<sup>524</sup> ანალოგიურად წყდება ზემოაღნიშნული საკითხი რესეფის სასამართლო პრაქტიკაშიც. ვრცლად იხ. Постановление президиума ВАСРФ №5464/96 от 25.03.97, Вестник ВАС, 1997, № 6. შეად. *Ломидзе О.*, Переход обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция. 2000, № 9, 16-18.

<sup>525</sup> იხ. *Синайский В.И.*, Русское гражданское право, 2002, 345-346; *Брагинский М.И., Витрянский В.В.*, Договорное право. Книга первая. Общие положения, 2002, 465; *Суханова Е.А.*, Под ред. Гражданское право. Т. III, 2006, 43.

მფლობელის ადგილს მესამე პირი იკავებს. მსგავს მიღებაში ირჩევს გერმანელი კანონმდებელიც. კერძოდ, გსკის 398-ე პარაგრაფის თანახმად, „მოთხოვნა შეიძლება გადაცემულ იქნეს კრედიტორის მიერ სხვა პირისათვის ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ახალი კრედიტორი იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს”. მოცემული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოთხოვნის უფლების დათმობა (ცესია) ვალდებულებაში პირთა უპირობო შეცვლას გულისხმობს.

განსხვავებით საქართველოსა და გერმანისგან, ზოგიერთ ქვეყანაში, მოთხოვნის დათმობის დროს პირთა უფლებამონაცვლეობა არცერთი საკანონმდებლო აქტით არ არის გათვალისწინებული. თუმცა, პირთა უპირობო შეცვლის თაობაზე არსებულმა წესმა საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაში მაინც ფართო გავრცელება პპოვა.<sup>526</sup> ცესიის დროს პირთა უპირობო შეცვლის თაობაზე მოსაზრება გაზიარებულია იურიდიულ დოქტრინაშიც.

მაშინ, როდესაც ცესიის დროს პირთა უპირობო უფლებამონაცვლეობის თაობაზე შეხედულება, ერთი შეხედვით, აღიარებულია მეცნიერთა მიერ, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა სუბროგაციის ძალით მოთხოვნის გადაცემის შემთხვევაში. კერძოდ, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ცესიის ანალოგის გამოყენება სუბროგაციის მიმართ დაუშვებელია, რადგან ამან ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების უგულვებელყოფა შეიძლება გამოიწვიოს.

### **3.3.2.2. მოთხოვნის დათმობის დროს უფლებამონაცვლეობის – ცესიის სამართლებრივი შედეგები**

მოთხოვნის დათმობის – ცესიის დროს უფლებამონაცვლეობა გულისხმობს კრედიტორის გასვლას ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან ყოველგვარი უფლებამოსილების გარეშე. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, უფლებამონაცვლეობის დროს თავდაპირველი კრედიტორი ახალ კრედიტორს გადასცემს თავის მოთხოვნებს და უფლებებს სრული მოცვლიბით. თუმცა, თუ ამ წესს ანალოგით სუბროგაციაზე გავავრცელებთ, მაშინ თავდაპირველი კრედიტორი ყოველგვარი (მოთხოვნის) უფლების გარეშე დარჩება.<sup>527</sup> ეს კი, შესაძლოა უარყოფითად აისახოს იმ კრედიტორზე (დამზღვევზე), რომლის მოთხოვნაც ბოლომდე არ არის დაკმაყოფილებული. სუბროგაციის დროს, ვალდებულებითი ურთიერთობიდან პირველადი კრედიტორის უპირობო გასვლამ შესაძლოა გამოიწვიოს ორი პრობლემა – პირველი, დამზღვევი შეიძლება დარჩეს

<sup>526</sup> იხ. ლომიძე Օ., Переход обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция. № 9, 2000, 16-18.

<sup>527</sup> იხ. ლომიძე Օ., Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, Рос. юстиция. №12, 1998., 13; ლომიძე Օ., Переход обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция. № 9, 2000, 16-18.

შესაბამისი კომპენსაციის გარეშე და მეორე, შეიძლება ხელი შეეწყოს ზიანის მიმყენებელი მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრებას.

ეს საფრთხე განსაკუთრებით შეიძლება შეეხოთ იმ დამზღვევებს, რომელსაც მზღვეველთან შემცირებული ან არასრული დაზღვევის ხელშეკრულება აქვთ დადებული. აღნიშნული სამართლებრივი პროცესის ილუსტრირება შესაძლებელია სსკ-ის 827-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზის საფუძველზე, რომელიც დამზღვევსა და მზღვეველს შორის შემცირებული ან არასრული დაზღვევის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ითვალისწინებს. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, სადაზღვეო ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, დადონ დაზღვევის ხელშეკრულება არასრული დაზღვევის პირობით, ანუ მზღვეველის მიერ ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების ვალდებულებით.<sup>528</sup> ასეთი სადაზღვეო ხელშეკრულების დროს, ანაზღაურების ოდენობა სადაზღვეო თანხისა და სადაზღვეო ლირებულების შეფარდების პროპორციულად გამოითვლება. არასრული დაზღვევის ხელშეკრულებისას, როგორც წესი, სადაზღვეო ანაზღაურება სრულად არ ფარავს დამდგარ ზიანს. მაგალითად, თუ სადაზღვეო შემთხვევის შედეგად დამდგარმა ზიანმა შეადგინა 10000 ლარი და მზღვეველს 827-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ევალება მხოლოდ ზიანის 30%-ის ანაზღაურება, მაშინ დამზღვევი მიიღებს მხოლოდ 3000 ლარის კომპენსაციას, ხოლო 7000 ლარი აუნაზღაურებელი დარჩება. ასეთ დროს, ბუნებრივია, დაზარალებულს აქვს სრულიად ლეგიტიმური უფლება, დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე, ზიანის მიმყენებელი პირისაგან დარჩენილი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. სწორედ აქ იჩენს თავს ზემოადნიშნული პროცესი, რომელიც მოთხოვნის გადაცემის დროს პირთა უპირობო უფლებამონაცელებას უკავშირდება.

თუ დავუშვებთ, რომ სუბროგაციის შემთხვევაშიც, ცესიის მსგავსად, ვალდებულებაში პირთა შეცვლა უპირობოდ ხდება, მაშინ დამზღვევი, იმის გამო, რომ იგი გავიდა ვალდებულებითი ურთიერთობიდან, დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე ყოველგვარი მოთხოვნის უფლებას დაკარგავს. შესაბამისად, სუბიექტი აღარ იქნება უფლებამოსილი, მოითხოვოს ზიანის მიმყენებელი მესამე პირისაგან დარჩენილი ზიანის, მოყვანილ მაგალითში - 7000 ლარის ანაზღაურება. მის ადგილს, სუბროგაციის ძალით, დაიკავებს მზღვეველი, რომელიც ვალდებულებაში დამზღვევს ჩაანაცვლებს. თუმცა, როგორც წესი, მზღვეველის მიერ

<sup>528</sup> არასრული დაზღვევა გათვალისწინებულია, როგორც გერმანიის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 75-ე პარაგრაფით, ისე სსკ-ის 827-ე მუხლის პირველი ნაწილით. არასრული დაზღვევის დროს, სადაზღვეო ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან არასრულ დაზღვევაზე. არასრული დაზღვევის დრო, სადაზღვეო თანხა ნაკლებია სადაზღვეო ლირებულებაზე. სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველს ეკისრება ზიანის ანაზღაურება სადაზღვეო თანხისა და სადაზღვეო დირებულების შეფარდების პროპორციულად. მაგალითად, თუ ნივთის სადაზღვეო დირებულებაა 5000 ლარი, ხოლო მხარეთა შეთანხმებით სადაზღვეო თანხად განსაზღვრულია 2500 ლარი, 1000 ლარის ზიანის დადგომის შემთხვევაში, მზღვეველს, არასრული დაზღვევის წესით გამომდინარე, დაეკისრება სადაზღვეო დირებულებასთან სადაზღვეო თანხის პროპორციული თანხის - 500 ლარის ანაზღაურება. ვრცლად იხ. von Koppenfels-Spiels, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, §75, Rn. 1-15.

დამზღვევის ჩანაცვლება არ გულისხმობს მასზე ყველა იმ მოთხოვნის ავტომატურ გადასვლას, რომელიც დამზღვევს ზიანის მიმყენებელი მესამე პირის მიმართ ჰქონდა. კანონმდებელი ცალსახად აღნიშნავს, რომ მზღვეველზე სუბროგაციული მოთხოვნის უფლება გადადის მხოლოდ კომპანიის მიერ დამზღვევისათვის ანაზღაურებელი ზიანის,<sup>529</sup> მოევანილ მაგალითში – 3000 ლარის ფარგლებში. სუბროგაციისას ვალდებულებით ურთიერთობაში პირთა უპირობო უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, აუნაზღაურებელ ზიანზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი აღარ რჩება არც დაზარალებულ-დამზღვევს და არც მზღვეველს. შესაბამისად, მოვალისადმი მოთხოვნის უფლება შემოიფარგლება 3000 ლარით, ხოლო დანარჩენი 7000 ლარი აუნაზღაურებელი რჩება. ეს კი ბუნებრივია, მოვალის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხეს წარმოშობს. დასახელებული სამართლებრივი პრობლემის პრევენცია კი, სუბროგაციის ინსტიტუტის უმთავრესი ამოცანაა.<sup>530</sup>

სწორედ აქედან გამომდინარე, არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი უფლებამონაცვლეობა არ გულისხმობს პირთა უპირობო შეცვლას ვალდებულებაში. ნორმები, რომლებიც მოთხოვნის დათმობას არეგულირებს, დისპოზიციური ხასიათის ნორმებად მიიჩნევა. შესაბამისად, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კანონმდებლის მიერ სუბიექტთა სავალდებულო შეცვლის წესიდან გამონაკლისის დაშვებისას, მას სამართალურთიერთობის გამარტივების კონკრეტული მიზანი ამოძრავებს.<sup>531</sup> ამის ნათლად ადქმა შესაძლებელია ნაშრომის მომდევნო ქვეთავში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე.

### 3.3.2.3. ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში პირთა ჩანაცვლების არსი

როდესაც ვსაუბრობთ ვალდებულებაში პირთა შეცვლაზე, იგულისხმება პირის ჩანაცვლება ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში. ამ უკანასკნელს აქვს თავისი შემადგენლობა - სუბიექტური უფლებები და მსარეთა ვალდებულებები, რომელიც ადგენს კონკრეტული სუბიექტის ქმედების ლეგიტიმურ (დაშვებულ და სავალდებულო) ფარგლებს კონკრეტულ სიტუაციაში. რეგულირებად საზოგადოებრივ ურთიერთობას აქვს, ასევე, თავისი შინაარსი - მონაწილეთა რეალური ქცევა, მათი ურთიერთქმედება. ამიტომ, პირთა შეცვლა ვალდებულებაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც სუბიექტთა ურთიერთქმედების ჩანაცვლება,

<sup>529</sup> ი. სსკ-ის 832-ე მუხლი.

<sup>530</sup> ი. Hawellek J., Die persönliche Surrogation, Eine vergleichende Untersuchung von Rechtsübergänge zu Regresszwecken in Deutschland Spanien und England, Hamburg, 2010, 152; ასევე, Frick I., Regress und Anrechnungsprobleme in der Summenversicherung, Peter Lang Frankfurt am Main. BeRn. Newyork, 1985, 1.

<sup>531</sup> ი. ლომიძე Օ., Переход обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция, № 9, 2000, 16-18.

აგრეთვე ლეგიტიმური ქცევის საზღვრების გადასვლა ძველი უფლებამოსილი პირიდან ახალ უფლებამონაცვლებე. <sup>532</sup>

ადსანიშნავია, რომ ხშირად, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა როცელი ბუნებისაა, რამდენადაც მის მონაწილე თითოეულ მხარეს აქვს უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელი ვალდებულია გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა, <sup>533</sup> აგრეთვე ჩაატაროს მიმდინარე რემონტი <sup>534</sup> და ა.შ. ამაგდროულად, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს გადასცეს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს იგი. <sup>535</sup> მხარეთა (გამქირავებელი-დამქირავებელი, გამჟიდვებლი-მჟიდვებლი და ა.შ.) ამ უფლება-მოვალეობათა აღქმა უნდა მოხდეს, როგორც ერთიანი სამართლებრივი ურთიერთობისა. ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე მხარეების ცალკეული უფლება იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება ტერმინით – “უფლებამოსილება”. ამასთან, კეთდება მითითება, რომ იგი სუბიექტური უფლების შემადგენებლი ნაწილია. ვალდებულებაში პირთა ცვლილების შემთხვევაში, იცვლება მისი სუბიექტური შემადგენლობა, ხოლო უფლებამოსილებას და ვალდებულებას შორის სისტემური კაშირი ნარჩუნდება. ახალ პირზე (ახალ კრედიტორზე, ჩამნაცვლებელზე) გადადის არა ჩანაცვლებული პირის ცალკეული უფლებამოსილება, არამედ მისი იმ უფლებების ერთიანობა, რომელსაც იგი ჩანაცვლების დროს ფლობდა. მაგალითად, თუ უფლებამონაცვლების დროს პირს ჰქონდა არა მხოლოდ უფლებები, არამედ ვალდებულებებიც, უფლებამონაცვლებე. ეს მოვალეობებიც გადადის. <sup>536</sup>

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევაში, უფლებათა გადაცემა ვალდებულებაში პირთა შეცვლის გარეშეც შეიძლება განხორციელდეს. აღნიშნულის ერთ-ერთი მაგალითია იპოთეკის მოწმობაზე უფლების გადაცემა. <sup>537</sup> ამ უფლების გადაცემას სსკ-ის 289<sup>4</sup> მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს. მოწმობაში მოცემული მოთხოვნის დათმობა იპოთეკის მოწმობაზე უფლების გადაცემის სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერით ხორციელდება. წარწერა ფასიან ქაღალდზე არის ცალმხრივი გარიგება, ხოლო მოწმობაზე უფლების გადაცემა – მოთხოვნის დათმობა (ცესია). იპოთეკის მოწმობა ადასტურებს არა მხოლოდ მოწმობის მფლობელის უფლებას იპოთეკაზე, არამედ აგრეთვე იპოთეკის მოწმობის მფლობელის უფლებას, იპოთეკით უზრუნველყოფილი ფულადი ვალდებულების შესრულებაც მიიღოს. <sup>538</sup> მაგალითად, იპოთეკაზე, რომელიც უზრუნველყოფს მყიდვების

<sup>532</sup> იხ. იქვე.

<sup>533</sup> შეად. სსკ-ის 531-ე მუხლი.

<sup>534</sup> შეად. სსკ-ის 548-ე მუხლი.

<sup>535</sup> შეად. სსკ-ის 532-ე მუხლი.

<sup>536</sup> იხ. *Ломидзе О.*, Переход обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция, № 9, 2000, 16-18.

<sup>537</sup> შეად. სსკ-ის 289<sup>4</sup> მუხლი.

<sup>538</sup> შეად. სსკ-ის 289<sup>1</sup> მუხლის “ა” ქვეპუნქტი.

ვალდებულების შესრულებას, პერიოდულად გადაიხადოს მისთვის მიწოდებული საქონლის საფასური, იპოთეკის მოწმობა ადგენს, როგორც პირის უფლებას იპოთეკაზე, ისე უფლებას ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების მიღებაზე. ამასთან, უფლების მფლობელს აღარ მოეთხოვება აღნიშნული უფლების დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულების წარდგენა. ასევე, მაგალითად, იპოთეკის შემთხვევაში, რომლითაც დამქირავებლის მიერ ქირის გადახდის ვალდებულებაა განსაზღვრული (მაგალითად, ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე), იპოთეკის მოწმობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს იპოთეკის არსებობის დადასტურებას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს გამქირავებლის უფლებას მიიღოს ქირა დამქირავებლისაგან. ეს უკანასკნელი კი, შეიძლება იპოთეკის კანონიერი მფლობელის მიერ, სსკ-ის 198-ე მუხლიდან გამომდინარე, ცესის გზით, მესამე პირს გადაეცეს. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემული ვალდებულება როგორი ვალდებულებითსამართლებრივი კონსტრუქციის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ძირითადი ვალდებულების (იპოთეკის) მონაწილე მხარეები – კრედიტორი და მოვალე უცვლელი დარჩება.

მეორე შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია მოთხოვნის დათმობა ვალდებულებაში პირთა ცვლილების გარეშე, არის უნივერსალური სამართალმემკვიდრეობა.<sup>539</sup> უნივერსალური მემკვიდრეობის მიზანია მამკვიდრებლის ქონება მემკვიდრეებზე უცვლელად გადავიდეს.<sup>540</sup> ამასთან, მემკვიდრეობაში იგულისხმება, როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი და სუბიექტური ვალდებულებები. უნივერსალური სამართალმემკვიდრეობისას პირთა უფლებამონაცვლეობა კანონის ძალით ხორციელდება.<sup>541</sup> თუმცა, უნივერსალური მემკვიდრეობის შემთხვევაშიც, ყოველთვის არ ხდება მემკვიდრის დაუკენება მამკვიდრებლის ადგილზე, ანუ მის მიერ მამკვიდრებლის ავტომატური ჩანაცვლება იმ უფლებებში, რომელიც ამ უკანასკნელს უფლებათა გადაცემის დროისთვის გააჩნდა. მაგალითად, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის მემკვიდრეობით გადაცემა საზოგადოების წესდებით შეიძლება აიკრძალოს. გარდა ამისა, ამავე კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კოოპერატივის წესდების თანახმად, მემკვიდრეობისას პირის უფლებამონაცვლეობა უფლებამონაცვლის პირვნულ ფაქტორზე შეიძლება

<sup>539</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის №ას-747-700-2010 განჩინებაში მიუთითა, რომ მატერიალური სამართალი ითვალისწინებს უნივერსალურ და სინგულარულ უფლებამონაცვლეობას. უნივერსალური უფლებამონაცვლეობა არის ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა გადადის. სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება (მოთხოვნის დათმობა). სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20113.pdf>>.

<sup>540</sup> იხ. Große-Wilde, Ouart, Burandt, Deutscher Erbrechtskommentar, 2. Auflage, (§1922-2385 BGB, Art. 25, 26, 235 EGBGB mit Formulierungshilfe und Mustern, 2010, §20, Rn. 13).

<sup>541</sup> იხ. სსკ-ის 1328-ე მუხლი.

იუს დამოკიდებული<sup>542</sup> კერძოდ, შესაძლოა პირს უარი ეთქვას პარტნიორობაზე. ამ შემთხვევაში, პარტნიორები ვალდებული იქნებიან, მისცენ მას კომპენსაცია მამკვიდრებლის მიერ საზოგადოებაში დატოვებული წილის პროპორციულად. შესაბამისად, უფლებას მემკვიდრე იღებს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მას მამკვიდრებული ფლობდა. ასეთ დროს, სახეზეა უფლების მიმღების იურიდიული დამოკიდებულება უფლების გამცემზე<sup>543</sup>

ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც იურიდიულ პირსა და მის წევრებს შორის წარმოშობა, როცელი სტრუქტურა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი პირის მემკვიდრე ვერ შეძლებს გახდეს საზოგადოების წევრი, მამკვიდრებლის უფლებები იურიდიული პირის სხვა წევრებზე ნაწილდება. ამ შემთხვევაში, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში პირთა შეცვლის “კლასიკური” შემთხვევა სახეზე არ გვაქვს. იურიდიული პირის წევრის უფლებების გადასვლის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ბალანსს მემკვიდრის ინტერესებსა და საზოგადოების წევრებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა შესაძლებლობას, თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოების კაპიტალის შემცირება საზოგადოებიდან წევრის გასვლის გამო.<sup>544</sup>

შემდეგი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია უფლებათა გადასვლა ვალდებულებაში პირთა შეცვლის გარეშე, არის მესამე პირის მიერ მოვალის ვალდებულების შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ. მას მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც მესამე პირი არ არის პირადი მოვალე, მაგრამ იგი აქმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას და შედეგად, მასზე თავდაპირველი კრედიტორის მოთხოვნის უფლება გადადის.<sup>545</sup> სწორედ ამ უკანასკნელს მიეკუთვნება კრედიტორის ჩანაცვლება სუბროგაციის გზით.<sup>546</sup> ასეთ დროსაც, ზემოაღნიშნული მაგალითების მსგავსად, თავდაპირველი კრედიტორის უფლებები ახალ კრედიტორზე ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის გარეშე შეიძლება გადავიდეს. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, საერთო წესიდან გამონაკლისის დაშვებისას, კანონმდებელს ყოველთვის ამოძრავებს კონკრეტული მიზანი. სუბროგაციის შემთხვევაში, აღნიშნული მიზანი ზიანის მიმყენებლის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდება და დამზღვევის სრული კომპენსაცია.<sup>547</sup> სწორედ კანონმდებლის ამ მიზნიდან გამომდინარე, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სუბროგაცია ყოველთვის არ გულისხმობს

<sup>542</sup> ი. 1994 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. 2014 წლის 17 აპრილის მდგრმარეობით. ხელმისაწვდომია:

<[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=28408&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=28408&lang=ge)>.

<sup>543</sup> ი. ლომიძე Օ. Перевод обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция, № 9, 2000, 16-18.

<sup>544</sup> ი. იქვე.

<sup>545</sup> შეად. სსკ-ის 292-ე მუხლი.

<sup>546</sup> ი. ლომიძე Օ., Перевод обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция, № 9, 2000, 16-18.

<sup>547</sup> ი. ლომიძე Օ., Перевод обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция, № 9, 2000, 16-18.

კრედიტორის ავტომატურ გასვლას ვალდებულებიდან. ამიტომ, სუბროგაციის დროს პირთა სრულყოფილ ჩანაცვლებაზე საუბარი დაუშვებელია. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სადაზღვევო სამართლის უმთავრესი ამოცანა დამზღვევის ინტერესების დაცვა და მისთვის ზიანის სრული კომპენსაციაა, ცალსახაა, რომ სუბროგაციის დროს მზღვეველის მიერ დამზღვევის ავტომატური ჩანაცვლება სამართლიანი არ იქნება. ინგლისური სამართლის გამოცდილების გაზიარებით, შეიძლება ითქვას, რომ მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურება ავტომატურად არ გულისხმობს მზღვეველის მიერ დამზღვევის ადგილის დაკავებას. ინგლისური სამართალი არ იცნობს კრედიტორის შეცვლასთან დაკავშირებულ კანონის ძალით უფლებამონაცვლეობას.<sup>548</sup> უფრო ზუსტად კი, ინგლისურ სამართალში მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურებისთანავე, მზღვეველი აღიჭურვება უფლებით, სუბროგაციის ძალით, ზიანის მიმკენებელი მესამე პირისაგან გადახდილის უკან დაბრუნება მოითხოვოს. ამასთან, ამ მოთხოვნის განხორციელების დროს, მზღვეველი დამზღვევის სახელით გამოდის და მისივე უფლებებს იცავს. მიზეზი კი არის ის, რომ მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის ზიანის ანაზღაურების შემდეგაც, უფლებების ლეგიტიმურ მფლობელად კვლავ დამზღვევი რჩება.<sup>549</sup>

სუბროგაციის დროს კრედიტორის ავტომატური უფლებამონაცვლეობის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებაა რუსულ იურიდიულ დოქტრინაში. დამზღვევის ინტერესების დაცვის მიზნით, გამოითქვა მოსაზრება მოთხოვნის უფლების ნაწილობრივი გადაცემის დაშვების თაობაზე.<sup>550</sup> აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საარბიტრაჟო სასამართლომაც. სასამართლო განმარტების თანახმად, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოთხოვნის უფლების ნაწილობრივი დათმობა არ ეწინააღმდეგება სამართლის პრინციპებს.<sup>551</sup> თუ გავითვალისწინებთ ქონებრივი ურთიერთობების თანამედროვე განვითარების ტემპს, ზემოაღნიშნული მიღომა ახალი კრედიტორისთვის მოთხოვნის უფლების ნაწილობრივი გადაცემის შესახებ ლოგიკურია. სხვა პირზე კრედიტორის მოთხოვნის უფლების ნაწილობრივი გადაცემის შედეგად, არ მოხდება პირთა შეცვლა ვალდებულებაში. არსებულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში შემოვა ახალი კრედიტორი მისთვის გადაცემული მოთხოვნის უფლების ფარგლებში. მაგალითად, თუ სადაზღვევო ზიანი შეადგენს 2000 ლარს და მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურდება 1000 ლარის ზიანი, მოთხოვნის უფლების ნაწილობრივი დათმობის შემთხვევაში, მზღვეველს,

<sup>548</sup> ი. ა. Wengler/Wilhelm, in: Schlegelberger F. (Hrsg.), Rechtsvergleichendes Handwörterbuch für das Zivil- und Handelsrecht des In- und Auslandes, Frankfurt a.M., Band VI, 1938, 489f. მთითებულია: Liebelt K.G., Aspekte der „Subrogation“ im englischen Recht der Schadensversicherung, NZV 1993, 298.

<sup>549</sup> ი. ა. Schirrmeyer, Prochownick, Das Bürgerliche Recht Englands, Bd. II, 1929, §692, 783-784.

<sup>550</sup> ი. ა. Кораев К.Б., Понятие цессии, суброгации и регресса в гражданском праве россии, "Нотариус", Науч.-практ. и информ., федеральное изд. М. Юрист, №3, 2008, 21-25.

<sup>551</sup> Президиум Высшего Арбитражного Суда Российской Федерации, Информационное письмо № 120, 30.10.2007, П. 5. ხელმისაწვდომია: <[http://arbitr.ru/as/pract/vas\\_info\\_letter/18448.html](http://arbitr.ru/as/pract/vas_info_letter/18448.html)>, [13.05.2014].

სუბროგაციის ძალით, უფლება ექნება ზიანის მიმყენებლისგან 1000 ლარის უპეტადახდა მოითხოვოს. დარჩენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების კრედიტორად კვლავ დამზღვევი დარჩება. შედეგად, თავდაპირველი ვალდებულება ტრანსფორმირდება ინდივიდუალური ვალდებულებიდან იმგვარ ვალდებულებად, რომელშიც ერთდროულად რამდენიმე აქტიური სუბიექტი იქნება ჩართული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კანონმდებლობაში მიეთითოს სუბროგაციის დროს მოთხოვნის უფლების ნაწილობრივი გადაცემის შესაძლებლობისა და შესაბამისად, დამზღვევის ავტომატური ჩანაცვლების დაუშვებლობის შესახებ. აღნიშნული წესი იქნება უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების და ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის გარეშე დატოვების პრევენციის ერთ-ერთი საშუალება.

### 3.3.3. ცესისა და სუბროგაციის წარმოშობის საფუძველი

#### 3.3.3.1. ცესისა და სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი

სუბროგაციისა და ცესის ზემოთ დასახელებული ნიშნისაგან განსხვავებით, მეცნიერთა შორის დავას არ იწვევს შემდეგი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ამ ინტიტუტების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს უკავშირდება.

სსქ-ის 198-ე და 832-ე მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის წინა თავში დასახელებულ ნიშნებთან ერთად, სუბროგაცია და ცესია ერთმანეთისაგან იურიდიული შემაღვევლობით, უფრო ზუსტად კი, იმ იურიდიული ფაქტით განსხვავდება, რომელიც მათ წარმოშობას უდევს საფუძვლად. კერძოდ, როდესაც საუბარია მოთხოვნის უფლების დათმობაზე (ცესიაზე), მასში იგულისხმება მოთხოვნის უფლების გადასვლა თავდაპირველი კრედიტორისა და ახალი კრედიტორის აქტიური ქმედების საფუძველზე. სწორედ ასეთ ქმედებას მიეკუთვნება სელშეკრულება, რომელიც თავდაპირველი კრედიტორის მიერ ახალი კრედიტორისათვის კონკრეტული ვალდებულებით უფლების გადაცემას ითვალისწინებს. კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადასვლა კი, ანუ სუბროგაცია, გულისხმობს კრედიტორზე მოთხოვნის უფლების გადასვლას ყველა იმ სხვა დანარჩენი იურიდიული ფაქტის საფუძველზე, რომელიც ზემოთ დასახელებული სელშეკრულებით მოთხოვნის უფლების გადაცემის წინაპირობად არ განისაზღვრება. ამასთან, აღნიშნული ფაქტების დადგომას კანონი პირდაპირ უკავშირებს მოთხოვნის უფლების გადაცემას.<sup>552</sup> ასეთია, მაგალითად, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ზიანის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ცესისა და სუბროგაციის შორის ერთ-ერთი განსხვავება მათი წარმოშობის საფუძველშია. მოთხოვნის დათმობას (ცესიას) საფუძვლად უდევს სელშეკრულება, ხოლო სუბროგაცია მეტილად კანონის, ხოლო შედარებით

<sup>552</sup> იხ. ლомидзе О., Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, Российская юстиция, № 12, 1998, 13-14.

იშვიათად – ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა. შესაბამისად, ცესიას ყოველთვის კრედიტორის თანხმობა უდევს საფუძვლად,<sup>553</sup> ხოლო სუბროგაცია კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდაც კი შეიძლება განხორციელდეს.<sup>554</sup> აღნიშნულზე ნათლად მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. კერძოდ, სსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოთხოვნა ან უფლება მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. ამასთან, სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორი მოთხოვნის დათმობის დროს თავისუფალია და ეს თავისუფლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიზღუდოს, თუ მოთხოვნის დათმობა ეწინააღმდეგება კანონს, ვალდებულების არსეს ან მოვალესთან მის შეთანხმებას, რომელიც პატივსადები უნდა იყოს. სუბროგაციის შემთხვევაში კი, კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს ზიანის ანაზღაურების შემდეგ მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების გადასვლას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამზღვევის (კრედიტორის) მხრიდან უარის შემთხვევაში, მზღვეველი შესაბამისი ოდენობით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან თავისუფლდება, ცხადი ხდება, რომ კრედიტორი, ზოგიერთ შემთხვევაში, იძულებულია მოთხოვნის გადაცემა თავისი ნების საწინააღმდეგოდაც კი განახორციელოს.

ცესიისა და სუბროგაციის წარმოშობის განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველზე მიუთითებს კოდექსის სხვა ნორმებიც. კერძოდ, სსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის დათმობა (ცესია) მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით ხორციელდება, ხოლო სსკ-ის 832-ე მუხლის მიხედვით, სუბროგაცია მზღვეველზე მესამე პირის მიმართ დამზღვევის მოთხოვნის უფლების კანონის ძალით გადასვლას გულისხმობს. ანალოგიური მიღომაა გერმანულ კანონმდებლობაშიც. გსკ-ის 398-ე პარაგრაფი მოთხოვნის გადაცემისთვის ხელშეკრულების დადებას იმპერატიულად მოითხოვს, ხოლო გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფი სუბროგაციას კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემას უწოდებს, რითაც ამ ინსტიტუტის წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. ადსანიშნავია, აგრეთვე, რუსეთის სამოქალაქო კოდექსი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ცესია და სუბროგაცია ერთი და იგივე ნორმით რეგულირდება, კანონმდებელი ცდილობს ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ამ ინსტიტუტების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი, რაზეც იგი კანონის ტექსტში პირდაპირ მიუთითებს.<sup>555</sup>

<sup>553</sup> შეად. სსკ-ის 198-199-ე მუხლები.

<sup>554</sup> სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად, უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყნებასთან დაკავშირებით“.

<sup>555</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 965-ე მუხლი.

### 3.3.3.2. ცესიისა და სუბროგაციის წარმოშობის მატერიალური საფუძველი

გარიგება და კანონი, როგორც ცესიისა და სუბროგაციის წარმოშობის საფუძველი, არის ფორმალური მხარე, რითაც ეს ინსტიტუტები ერთმანეთისაგან განსხვავდება. თუმცა, გარდა ფორმალური მხარისა, მათ ერთმანეთისაგან მატერიალური შემადგენლობაც განასხვავებს.

კერძოდ, როდესაც ხდება მითითება გარიგებაზე, როგორც ცესის წარმოშობის საფუძველზე, მასში, როგორც წესი, იგულისხმება ხელშეკრულება, რომელიც კრედიტორს (ცედენტს) და მესამე პირს (ცესიონერს) შორის იდება. თუმცა, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ იწვევს პირთა ავტომატურ შეცვლას ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში.<sup>556</sup> აღნიშნული ხელშეკრულება უზრუნველყოფს კრედიტორსა და მესამე პირს შორის მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას მოთხოვნის უფლების გადასცლის თაობაზე. ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში, არის ამ ურთიერთობის იურიდიული დადასტურება.<sup>557</sup>

აღსანიშნავია, რომ ცესის წარმოშობის მატერიალური საფუძველი არის ის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ცედენტსა და ცესიონერს შორის არსებობს. აღნიშნულის საიდუსტრაციოდ, ყველაზე ნათელი მაგალითია ისეთი ცესია, რომლის ფორმალური საფუძველი არის ცალმხრივი გარიგება, მაგალითად – ანდერძი. ანდერძის შედგენა თავისთავად არ იწვევს ცესიას. მოანდერძის გარდაცვალება, როგორც იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტი, ასევე არ იწვევს პირთა შეცვლას ვალდებულებაში. თუმცა, ანდერძი და მოანდერძის გარდაცვალება სწორედ იმ იურიდიული შემადგენლობის ელემენტებია, რომელიც საფუძვლად უდევს მექანიზმებით სამართალურთიერთობას, რაც, საბოლოოდ, ცესის მატერიალური საფუძველია.

კანონი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სუბროგაციის ინსტიტუტის წარმოშობის ფორმალური საფუძველი. ამასთან, კანონის განხილვა სუბროგაციის მატერიალურ საფუძვლად, თეორიული თვალსაზრისით, დაუშვებელია, რამდენადაც სამართლის ნორმები და სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, სუბროგაციის წარმოშობის მატერიალური საფუძველი (causa obligations) არის არა უშუალოდ კანონი, არამედ მესამე პირის მიერ მოვალის ვალდებულების შესრულება.<sup>558</sup>

<sup>556</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცელად იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი – “ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში პირთა ჩანაცვლების არსი”.

<sup>557</sup> Кораев К.Б., Понятие цессии, суброгации и регресса в гражданском праве россии, "Нотариус", Науч.-практ. и информ., федеральное изд. М. Юрист, №3, 2008, 21-25.

<sup>558</sup> იხ. Кораев К.Б., Понятие цессии, суброгации и регресса в гражданском праве россии, "Нотариус", Науч.-практ. и информ. федеральное изд. М. Юрист, №3, 2008, 21-25.

მესამე პირის მიერ მოვალის ვალდებულების შესრულება შეიძლება განხორციელდეს მოვალის ვალდებულების ან მისი უფლების საფუძველზე. ამასთან, მესამე პირის ვალდებულება მხოლოდ ხელშეკრულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. მაგალითად, სსკის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულოს იმ პირის ვალდებულება, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზეა პასუხისმგებელი. აღნიშნული ხელშეკრულები ურთიერთობის წარმოშობის ფორმალური საფუძველია.

ცესიისა და სუბროგაციის ინსტიტუტების ფორმალური და მატერიალური საფუძვლების ურთიერთგამიჯვნა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. აღნიშნული ინსტიტუტების სამართლებრივი რეგლამენტაციის დროს, მიზანშეწონილია კანონმდებლობაში თრივე ინსტიტუტის ფორმალური საფუძვლები მკაფიოდ მიეთითოს და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს.

#### 4. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ რეგრესის მსგავსად, ცესია და სუბროგაცია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტებია. ნაშრომში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, ნათლად გამოიკვეთა ნიშნები, რომლებიც ამ ინსტიტუტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. პირველ რიგში, ცესია და სუბროგაცია ერთმანეთისაგან წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლით განსხვავდება. ცესია ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა, განსხვავებით სუბროგაციისაგან, რომლის დადგომაც, მეტწილად, კანონით პირდაპირ განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, ცესიას საფუძვლად კრედიტორის ნება უდევს, ხოლო სუბროგაციისთვის კრედიტორის ნების არსებობა გადამწყვეტი არ არის. გარდა ამისა, ერთმანეთისაგან განსხვავდება ცესიისა და სუბროგაციის ფორმალური მხარე. კერძოდ, სუბროგაციის დროს, მხარეებს არ წარმოეშობათ ურთიერთობაში ახალი კრედიტორის შემოსვლის თაობაზე მოვალის შეტყობინების ვალდებულება, ცესიას კი, ასეთი შეტყობინების გარეშე, მესამე პირის მიმართ არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს. შესაბამისად, ვიდრე მოვალეს ეცნობება მოთხოვნის დაომობის შესახებ, მას უფლება აქვს შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის უფლების თავდაპირველი მფლობელის წინაშე.<sup>559</sup> სუბროგაციასა და ცესიას შორის შემდეგი განსხვავება ახალი კრედიტორის მოთხოვნის უფლების ფარგლებში ვლინდება. ცესიის დროს, ახალ კრედიტორს შეუძლია მოვალისგან თავის სასარგებლოდ მთელი ვალდებულების შესრულება მოითხოვოს. მას ამის უფლება აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოთხოვნის უფლების გადაცემის სანაცვლოდ, გაცილებით ნაკლები დირექტულების ვალდებულება აქვს შესრულებული<sup>560</sup> ან მოთხოვნის უფლება

<sup>559</sup> შეად. სსკის მე-200 მუხლი.

<sup>560</sup> Трепицын И.Н. Гражданское право губерний царства Польского и русского в связи с проектом Гражданского уложения. Общая часть обязательственного права, Варшава, 1914, 227.

ცედენტისგან გაცილებით ნაკლებ ფასად აქვს შეძენილი. მაგალითად, როდესაც 10000 ლარის მოთხოვნის უფლების დათმობა ხდება 5000 ლარის ნაცვლად, ცესიონერს მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ მაინც 10000 ლარის ოდენობით წარმოეშობა.<sup>561</sup> აღნიშნული განსხვავდება სუბროგაციისაგან. კერძოდ, სუბროგაციის დროს, ახალ კრედიტორს მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ მის მიერ დამზღვევისთვის ანაზღაურებული ზიანის ფარგლებში. შესაბამისად, მესამე პირის პასუხისმგებლობის მოცულობა მზღვეველის წინაშე არა მასსა და დაზარალებულს შორის არსებული დელიქტური ურთიერთობიდან, არამედ მზღვეველსა და დაზღვეულს შორის არსებული სადაზღვევო ხელშეკრულებიდან განისაზღვრება.<sup>562</sup> დაზარალებული (დამზღვევი) მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე ინარჩუნებს.<sup>563</sup>

იმ ფაქტებს, რომ ცესია და სუბროგაცია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია და ისინი ერთმანეთის იდენტური არ არის, კიდევ ერთხელ მიუთითებს მეცნიერებასა<sup>564</sup> და სასამართლო პრაქტიკაში<sup>565</sup> არსებული მოსაზრება, რომელიც სუბროგაციული მოთხოვნის უფლების ცესიის გზით დათმობის შესაძლებლობის საკითხს ეხება. ის გარემოება, რომ, თუნდაც, თეორიულ დონეზე, სუბროგაციული მოთხოვნა ცესიის გზით მოთხოვნის უფლების გადაცემის საგანი შეიძლება გახდეს, ცალსახად მიუთითებს ამ ინსტიტუტების განსხვავებულ სამართლებრივ დანიშნულებასა და ბუნებაზე.

ზემოაღნიშნულ ინსტიტუტთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. განხორციელებული კვლევა ცხადყოფს, რომ თითოეულ ინსტიტუტს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ბუნება და იურიდიული კონსტრუქცია აქვს. ეს კი, ბუნებრივია, სუბროგაციის, რეგრესისა და ცესის ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების განსხვავებულ უფლება-მოვალეობებს განაპირობებს. საკანონმდებლო დონეზე მათი მკაფიო ურთიერთგამიჯვნის არარსებობის გამო, ხშირად, ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს არა აქვს ზუსტი წარმოდგენა იმ უფლებების შესახებ, რომელიც მათ კონკრეტული ურთიერთობის ფარგლებში კანონმდებლის მიერ აქვთ მინიჭებული. აღნიშნული ბუნდოვანება, ზოგიერთ შემთხვევაში,

<sup>561</sup> მაგალითად, როდესაც 10000 ლარის მოთხოვნის უფლების დათმობა ხდება 5000 ლარის ნაცვლად, ცესიონერს მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ მაინც 10000 ლარის ოდენობით წარმოეშობა. გოდმ. Е. Общая теория обязательств, Юридическое изд-во М-ва юстиции СССР, Москва, 1948, 471.

<sup>562</sup> Данилочкина М.А., Савинский Р.К. Цессия прав требования страховщика, перешедших к нему в порядке суброгации, "Юридическая и правовая работа в страховании", 2007, №2. (გვ. 47 არ არის მოთითებული)

<sup>563</sup> Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechtshandbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 48.

<sup>564</sup> Данилочкина М.А., Савинский Р.К. Цессия прав требования страховщика, перешедших к нему в порядке суброгации, "Юридическая и правовая работа в страховании", 2007, №2.

<sup>565</sup> Решение арбитражного суда г. Москвы от 26 июня 2006 г. по делу Н А40-6918/06-24-46, Решение Арбитражного суда Московской области от 23 августа 2006 г. по делу Н А41-К1-8730/06.

ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს კანონით მინიჭებული უფლების სათანადოდ განხორციელებაში უშლით ხელს.<sup>566</sup> აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე ამ ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამოჯვნა. ამისათვის, მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლობაში დაზუსტდეს თითოეული ინსტიტუტის შინაარსი და მათ განსასაზღვრად გამოყენებული იქნეს ტერმინები: სუბროგაცია, რეგრესი და ცესია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სსკ-ის 207-ე მუხლში, რომელიც კანონის ძალით მოთხოვნის დათმობის (სუბროგაციის) მიმართ ცესის, ანუ უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შემენის შესახებ ნორმების ავტომატურ გამოყენებას ეხება, დაზუსტდეს, რომ აღნიშნული ნორმები სუბროგაციის ინსტიტუტის თავისებურებების გათვალისწინებით გამოიყენება. ეს იქნება კანონმდებლის მხრიდან კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ სუბროგაცია არა ცესის ანალოგი, არამედ მისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც განსხვავებულ რეგულირებას საჭიროებს.

---

<sup>566</sup> ამის მაგალითია ნაშრომის დასაწყისში მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილება ხანდაზმულების ვადის გასვლის გამო მოსარჩელისათვის სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის ოქმის თაობაზე. ვრცლად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა კრებული 12, გვ. 61. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201212.pdf>>.

## IX. დასკვნა

სუბროგაციის ინსტიტუტის სამეციერო დამუშავებისა და ანალიზის შედეგები შეიძლება შეჯამდეს შემდეგი სახით:

- სუბროგაციის არის პრინციპი, რომელიც სამართლიანობისა და ობიექტურობის რეალიზებას ემსახურება;
- სუბროგაციის დოქტრინის განხორციელებას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი მიზანი: ა) სადაზღვევო საქმიანობისათვის სტაბილური პირობების შექმნა და მზღვეველის საქმიანობის შეწყვეტის რისკის შემცირება, ბ) ზიანის მიმუენებელზე გარკვეული დისციპლინური და აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა, გ) დამზღვევი - სარგებლის მიმღები პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილება;
- სუბროგაციია, პირველ რიგში, დამზღვევის ინტერესებს ემსახურება. კერძოდ, მზღვეველისათვის უკუმოთხოვნის უფლების მინიჭება, ზოგიერთ სფეროში, საგრძნობლად ამცირებს სადაზღვევო პროდუქტის ფასს, რაც სწორედ დამზღვევის სასარგებლოდ აისახება;
- სუბროგაციის უფლების გამოყენება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს და იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული ზიანის ანაზღაურების ზოგად (საერთო) საშუალებად, რომელიც ყველა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება იქნეს გამოყენებული. სწორედ ამიტომ, სუბროგაციის დოქტრინის გამოყენებას პირდაპირ უკავშირებენ ისეთ შემთხვევებს, სადაც უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე შეიძლება არსებობდეს;
- მზღვეველზე სუბროგაციული მოთხოვნის უფლების გადასასვლელად სამი წინაპირობის არსებობაა საჭირო: ა) დამზღვევის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ბ) დამზღვევის მოთხოვნის უფლება, რომელიც მესამე პირისკენ არის მიმართული, გ) მზღვეველის მიერ დამზღვევის წინაშე სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
- სუბროგაციის უფლების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა მზღვევლის მიერ დამზღვევის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
- მესამე პირი, სუბროგაციის მიზნებისათვის, შეიძლება იყოს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ მდგომი ნებისმიერი სუბიექტი. მათ შორის შეიძლება იყოს დამზღვევი, რომლის ინტერესიც სადაზღვევო ხელშეკრულებით არ არის დაზღვეული და თანადაზღვეული;

- კანონით განსაზღვრული სუბიექტების მიერ “საოჯახო პრივილეგიით” სარგებლობა არის რეალური მექანიზმი ორი მიზნის – დამზღვევის ეკონომიკური ინტერესის დაცვისა და საოჯახო მშვიდობის შენარჩუნების მისაღწევად. საოჯახო მშვიდობა მშვიდ სოციალურ თანაცხოვრებას განაპირობებს, რისი მიღწევაც კანონმდებლის უმთავრესი მიზანია;
- მზღვეველის სუბროგაციის უფლება ზიანის მიმყენებლის მიმართ შეზღუდულია იმ წილის პროპორციულად, რაც დამზღვევის ზიანის სრული კომპენსაციისათვის არის საჭირო;
- მზღვეველს სუბროგაციის უფლება მხოლოდ მის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ წარმოქმნა;
- სუბროგაციის დროს მზღვეველზე გადადის არა ყველა მოთხოვნა, რომელიც დამზღვევს მესამე პირის მიმართ აქვს, არამედ მხოლოდ ის მოთხოვნები, რომელიც მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ანაზღაურებულ ზიანთან თანმხვედრია;
- სუბროგაცია, რეგრესი და ცესია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსტრუქციის მქონე ინსტიტუტებია;
- სუბროგაცია არ არის მოთხოვნის დათმობის სახესხვაობა, რამდენადაც იგი მხოლოდ ახალი კრედიტორის – მზღვეველის ინტერესებისთვის ხორციელდება. ამას გარდა, სუბროგაციისთვის არ არის საჭირო თავდაპირველი კრედიტორის ნების გამოხატვა. სუბროგაციის უფლება ახალი კრედიტორის მიერ ძველი კრედიტორისთვის ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ წარმოიშობა;
- სუბროგაცია ნიშნავს უკვე არსებულ ვალდებულებაში კრედიტორის უფლების გადასვლას სხვა პირზე. სუბროგაცია განსხვავდება რეგრესისგან როგორც არსით, ისე რეალიზაციის პროცედურით. რეგრესის დროს, თავდაპირველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველზე, წარმოიშობა ახალი ვალდებულება. სუბროგაციის დროს კი, არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობას განაგრძობს და მასში მხოლოდ კრედიტორი იცვლება. სწორედ აქედან გამომდინარე, მოთხოვნის უფლება, რომლის გადასვლა მზღვეველზე სუბროგაციის ძალით ხდება, ხორციელდება იმ წესების დაცვით, რომელიც დამზღვევსა და ზიანის მიმყენებლს შორის ურთიერთობას არეგულირებს. მოთხოვნის უფლება განუყოფელია ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ სარჩევის წარდგენის უფლებისაგან. ამიტომ, დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს ყველა საბუთი, რომელიც სუბროგაციის უფლების რეალიზაციისათვის არის საჭირო;

- რეგრესისგან განსხვავებით, სუბროგაცია არის იმ პირის ქონებრივი ინტერესების დაცვის ოპტიმალური საშუალება, რომელმაც კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილა. მხარეებს შორის ურთიერთობის დარღვულირების თვალსაზრისით, სუბროგაციის დოქტრინის უპირატესობა იმაშია, რომ ახალ კრედიტორზე მოთხოვნის უფლების გადასვლისას ნარჩუნდება მოვალის ვალდებულებები, რაც ახალ კრედიტორს – მზღვეველს არა მხოლოდ კომპენსაციის უფლებას ანიჭებს, არამედ უქმნის ამ უფლების განხორციელების გარანტიასაც, ანუ გარანტიას უკან დაიბრუნოს განხორციელებული შესრულება;
- რეგრესული ვალდებულებების შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ძირითადი, მთავარი ვალდებულების შესრულების მომენტიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც, უშუალოდ, რეგრესული ვალდებულება წარმოიშვა. რაც შეეხება სუბროგაციას, აქ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის შეცვლა არ ხდება. სუბროგაციისას გრძელდება ხანდაზმულობის ის ვადები, რომელიც თავდაპირველ კრედიტორსა და მოვალეს შორის მოქმედებდა;
- მოთხოვნის დათმობა – ცესია კონკრეტულ ვალდებულებით უფლებაში სინგულარულ მექანიდრეობას გულისხმობს. აღნიშნულ სამართალმემკვიდრეობას მოთხოვნის დათმობის მიზნით შედგენილი ხელშეკრულება უდევს საფუძვლად. ასეთი ტიპის ურთიერთობისას, მოთხოვნის დათმობის კონკრეტული დრო შეიძლება მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებით განისაზღვროს და კონკრეტულ მოვლენას დაუკავშირდეს. აღნიშნული წესი სრულიად განსხვავდება სუბროგაციისაგან. სუბროგაციის დროს ახალი კრედიტორის – მზღვეველის მიერ უფლების მიღება მზღვეველის მიერ დამზღვევის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უკავშირდება. შეთანხმება თავდაპირველ და ახალ კრედიტორს შორის მოთხოვნის გადაცემის თაობაზე საჭირო არ არის;
- სუბროგაცია არის მოთხოვნის უფლების ისეთი გადასვლა, რომელიც მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის თანხის გადახდით არის განპირობებული. ამასთან, მზღვეველზე გადასული მოთხოვნა ყოველთვის მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის გადახდილი თანხის მკვივალენტურია. ცესიისას კი, მოთხოვნის უფლების დათმობა ცესიონერისა და ცედენტის შეთანხმებით განსაზღვრული ნებისმიერი თანხის, მათ შორის სხვა საპირისპირო მოქმედების შესრულების სანაცვლოდაც შეიძლება განხორციელდეს;
- ცესიის დროს მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისთვის კაუზას ნამდვილობას მნიშვნელობა არ ენიჭება. სუბროგაციის დროს კი, უფლების გადაცემისთვის არსებითი მნიშვნელობის სწორედ თავდაპირველი ხელშეკრულების ნამდვილობაა;

- ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოთხოვნის უფლების დათმობა – ცესია გულისხმობს პირთა უპირობო შეცვლას ვალდებულებაში. სუბროგაციის დროს კი, დაზღვევის ხელშეკრულებისა და სადაზღვევო შემთხვევის არსიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობა დამზღვევის სრული ჩანაცვლების გარეშე შეიძლება განხორციელდეს;
- ცესიას საფუძვლად უდევს კრედიტორის ნება, ხოლო სუბროგაციისას კრედიტორის ნება საჭირო არ არის და იგი ავტომატურად, კანონის ძალით ხორციელდება;
- სუბროგაციის დროს მხარეებს არ წარმოეშობათ ურთიერთობაში ახალი კრედიტორის შემოსვლის შესახებ მოვალის შეტყობინების ვალდებულება, ცესიას კი ასეთი შეტყობინების გარეშე მესამე პირის მიმართ არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს;
- ბოლოს, ის ფატი, რომ სუბროგაცია ცესიის გზით შეიძლება იქნეს დათმობილი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ინსტიტუტთა დამოუკიდებელ იურიდიულ ბუნებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის ერთიანი და მყარი სისტემა ჩამოყალიბებული არ არის, სადაზღვევო პრაქტიკაში არსებული პროცედურების გადაჭრისა და მოსალოდნელი პროცედურების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია სუბროგაციის მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები კანონმდებლობით სრულყოფილად დარეგულირდეს. სუბროგაციის ინსტიტუტის სამეციერო დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის სრულყოფისათვის:

- სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვევს ზიანს”. აღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი დამზღვევს მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტად მოიხსენიებს, რითაც მის (დამზღვევის) მიმართ სუბროგაციის განხორციელებას ცალსახად გამორიცხავს. თუმცა, სადაზღვევო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, მესამე პირი სუბროგაციის მიზნებისათვის ზოგჯერ შეიძლება დამზღვევი ან თანადაზღვეული იყოს. კერძოდ, ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დამზღვევის ან თანადაზღვეულის კონკრეტული ინტერესი სადაზღვევო ხელშეკრულებით დაზღვეული არ

არის და ისინი სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე არიან პასუხისმგებელნი. იმისათვის, რომ მოქმედმა საკანონმდებლო ჩანაწერმა მზღვეველის კანონიერი უფლება არ შეზღუდოს, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს სსკ-ის 832-ე მუხლის შინაარსი და ამავე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “თუ დამზღვეს/დაზღვეულს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუკენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვეს/დაზღვეულს ზიანს”. მსგავსი საკანონმდებლო ჩანაწერი მზღვეველს მისცემს შესაძლებლობას, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ისარგებლოს სუბროგაციის უფლებით ზიანის გამომწვევი ნებისმიერი სუბიექტის, მათ შორის დამზღვევის ან თანადაზღვეულის მიმართ;

- მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობაში მიეთითოს სუბროგაციის დოქტრინის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი. მართალია, ქართულ სამართლში სუბროგაციას კანონის ძალით წარმოშობილ მოთხოვნას მიაკუთვნებენ, მაგრამ საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც დამზღვეს, თავისი ობიექტური ინტერესიდან გამომდინარე, კონკრეტული სუბიექტის მიმართ მზღვეველის სუბროგაციის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას ანიჭებს, სრულიად საპირისპირ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ამ დასკვნის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა მზღვეველის სუბროგაციის უფლებას ცალსახად მხოლოდ კანონს არ უკავშირებს და კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, იგი შეიძლება დამზღვევის ნებაზე, მის თანხმობაზე იყოს დამოკიდებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა დამზღვევის ობიექტურ ინტერესს ისედაც ითვალისწინებს და სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილით კონკრეტული წრის მიმართ სუბროგაციის უფლებას თავადვე გამორიცხავს, გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურება სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომლითაც დამზღვეს კონკრეტული სუბიექტისადმი მზღვეველის სუბროგაციის უფლების დამატებით შეზღუდვის შესაძლებლობა ენიჭება. ამდენად, მიზანშეწონლია, მსგავსად გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფისა, სსკ-ის 832-ე მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ მიეთითოს სუბროგაციის უფლების კანონის ძალით წარმოშობის თაობაზე და დამზღვევს შეეზღუდოს მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე უარის თქმის უფლება, რაც სუბროგაციის უფლების დამზღვევის ნებაზე დამოკიდებულებას იმთავითვე გამორიცხავს;
- სსკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, სუბროგაციის დოქტრინის მიმართ გამოიყენება სსკ-ის მუხლები, რომელიც უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენას არეგულირებს. ამასთან, სსკ-ის თავი, რომელიც უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენას ეხება, უფლებამონაცემელობის თაობაზე მოვალისთვის ოფიცილური

შეტყობინების გალდებულებას არ აღმართს. შესაბამისად, მზღვეველი თავდაპირველი კრედიტორის ადგილს ავტომატურად იკავებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მზღვეველის სუბროგაციის უფლება პირდაპირ კაგშირშია მზღვეველსა და დამზღვევს შორის არსებულ ურთიერთობასთან, ლოგიკურია, რომ მოვალეს აქვს უფლება ოფიციალურად ეცნობოს, როგორც უფლებამონაცვლეობის ფაქტის, ისე ახალი კრედიტორის მოთხოვნის უფლების მოცულობის შესახებ. ამასთან, მოვალეს უნდა მიეცეს სადაზღვევო ხელშეკრულების გაცნობის შესაძლებლობაც. ამ მიზნით, მიზანშეწონილია სუბროგაციის სამართლებრივი რეგულირება განხორციელდეს არა მხოლოდ უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენის შესახებ ზოგადი ნორმებით, არამედ შემოღებულ იქნეს სპეციალური ნორმა, რომელიც სუბროგაციის დროს წარმოშობილ ფორმალურ საკითხებს, ამ დოქტრინის სპეციფიკის გათვალისწინებით, დეტალურად დაარეგულირებს. კერძოდ, სუბროგაციის უფლების განხორციელებისთვის იმპერატიულად უნდა განისაზღვროს უფლებამონაცვლეობის თაობაზე მოვალის ოფიციალური შეტყობინების ვალდებულება. ამასთან, ოფიციალურ შეტყობინებად უნდა ჩაითვალოს თავდაპირველი კრედიტორის მიერ ახალი კრედიტორისათვის მოთხოვნის დათმობის თაობაზე გაცემული დოკუმენტის მოვალისთვის გადაცემა. შესაბამისად, თავდაპირველი კრედიტორის მიერ ახალი კრედიტორისათვის მოთხოვნის გადაცემის თაობაზე სათანადოდ დამოწმებული საბუთის გაცემის ვალდებულება უნდა წარმოიშვას არა მხოლოდ ახალი კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც ეს სსკის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებით არის გათვალისწინებული, არამედ სუბროგაციის უფლების წარმოშობა უშუალოდ ასეთი დოკუმენტის შედეგენას და საბოლოოდ, მოვალისთვის მის გადაცემას უნდა დაუკავშირდეს. ეს იქნება მოვალის კანონიერი ინტერესის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი;

- იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დამდგარ ზიანს სრულად არ ფარავს (ე.ი. არ არის დამდგარი ზიანის პროპორციული), მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ მზღვეველის ვალდებულების პროპორციულად იზღუდება. იმისათვის, რომ მზღვეველსა და დამზღვევს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ მოვალის სრულყოფილი ინფორმირება იქნეს უზრუნველყოფილი, მიზანშეწონილია, მოვალეს მიეცეს იმ დოკუმენტის გაცნობის უფლება, რომელიც მის მიმართ მზღვეველის სუბროგაციულ მოთხოვნას და ამ მოთხოვნის მოცულობას უდევს საფუძვლად;
- აღნიშნულის გარდა, მოვალის ინტერესების დასაცავად, მიზანშეწონილია მას მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის გადამოწმებისა და რეალურ საბაზრო ღირებულებასთან მისი შედარების უფლება მიენიჭოს. ამასთან,

მზღვეველს უნდა დაეკალოს ზიანის მიმუენებლის დასწრების უზრუნველყოფა მიუენებული ზიანის ხარჯთაღრიცხვის შედგენის პროცედურაზე. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი უნდა გაფორმდეს მოვალესთან შეთანხმებით, რაც დადასტურდება მოვალის ხელმოწერით. გარდა ამისა, მოვალეს უნდა მიეცეს უფლება, საჭირობისას, არ დაეთანხმოს მზღვეველის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას და დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ზიანის განმეორებითი შეფასება უზრუნველყოს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სუბროგაცია არსებული დელიქტური უფლება-მოვალეობის ახალ მხარეებზე უცვლელად გადასვლას გულისხმობს, მოვალის ამ უფლების სამართლიანობა სრულიად უდავოა. კერძოდ, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, მოვალეს ექნებოდა სრულიად კანონიერი უფლება გაეკონტროლებინა დაზარალებულის – კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა. ამასთან, უსაფუძვლოდ გაწეული დანახარჯის შემთხვევაში, მას ექნებოდა შესაძლებლობა, უარი ეთქვა მის ანაზღაურებაზე;

- პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ბრალის საკითხი აქტუალობას არც სადაზღვევო სამართალში კარგავს. სადაზღვევო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლებზე არსებით გავლენას ახდენს. კერძოდ, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის განზრახ გამოწვევა მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველია. ანალოგიური წესი უნდა გავრცელდეს “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით მოსარგებლე სუბიექტებზეც. “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით მოსარგებლე სუბიექტების მიერ სადაზღვევო შემთხვევის განზრახ გამოწვევა უნდა გამორიცხავდეს მათ მიერ კანონმდებლობით მინიჭებული პრივილეგიით სარგებლობის უფლებას. შესაბამისად, მზღვეველს ასეთ სუბიექტთა მიმართ სუბროგაციის უფლება უნდა მიენიჭოს. აღნიშნულის საპირისპირო რეგულაციად დადგენილი სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილით. კერძოდ, მოცემული ნორმით კანონმდებელი “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით სარგებლობას სწორედ დამზღვევთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა მიერ ზიანის განზრახ გამოწვევას უკავშირებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კანონმდებლის მიზანი, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პირის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა და ამის ხარჯზე, სამართლიანობის აღდგენაა, ნათელია, რომ მოცემული დებულება სრულიად საპირისპირო მიზანს ემსახურება. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი საკანონმდებლო ხარვეზს შეიცავს. აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, მიზანშეწონილია, ცვლილება შევიდეს სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “თუ მზღვეველის მოთხოვნა ზიანის

ანაზდაურების თაობაზე მიმართულია იმ პირის მიმართ, რომელთანაც დამზღვევი აწარმოებს საერთო საოჯახო მეურნეობას, დაუშვებელია მასზე გადავიდეს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი დამზღვევთან ერთად საერთო საოჯახო მეურნეობაში მცხოვრებმა პირმა განზრახ გამოიწვია”.

- სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით მოსარგებლე სუბიექტთა წრის განსასაზღვრად, მიზანშეწონილია დადგინდეს, თუ რა მიზანს ემსახურება თავად ამ პრივილეგიის არსებობა. გამომდინარე იქიდან, რომ სადაზღვევო ურთიერთობის უმთავრესი მიზანი დამზღვევის ინტერესის დაცვაა, ლოგიკურია, რომ კანონმდებელი კონკრეტულ პირთა მიმართ სუბროგაციის დოქტრინის შეზღუდვას ისევ და ისევ დამზღვევის ინტერესით ასაბუთებს. კერძოდ, საოჯახო პრივილეგიის უზრუნველყოფით, კანონმდებელი ფინანსური ტვირთისგან დამზღვევის გათავისუფლებას და ამ გზით, ოჯახის წევრებს შორის სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. იმ შემთხვევაში კი, თუ კანონმდებელი დამზღვევის ოჯახის წევრთა მიმართ სუბროგაციის უფლებას დაუშვებს, ორივე ეს მიზანი უგულვებელყოფილი და არარეალიზებული იქნება. დასახული საკანონმდებლო მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია დადგინდეს კრიტერიუმები, რომელიც პრივილეგიორებული წრისადმი პირის პუთვინილებას განსაზღვრავს. სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი ასეთ კრიტერიუმად “ოჯახის წევრის დამზღვევთან ცხოვრებას” ადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ ოჯახის წევრები ერთად ცხოვრობენ, მაგრამ არა აქვთ საერთო ბიუჯეტი ან პირიქით, ოჯახის წევრები სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ, მაგრამ აქვთ საერთო საოჯახო ბიუჯეტი და შესაბამისად, ერთიანი ეკონომიკური ინტერესი, საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობა სრულიად ნათელია. კერძოდ, მიზანშეწონილია, გაფართოვდეს საოჯახო პრივილეგიის უფლებით მოსარგებლე სუბიექტთა წრე და მიზნიდან გამომდინარე, მას მიეკუთვნონ დამზღვევთან საერთო საოჯახო მეურნეობის მქონე პირები, რომლებიც მასთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ “საოჯახო პრივილეგიის” უფლებით სარგებლობისათვის პირთა ეკონომიკური ერთიანობაა აუცილებელი, მიზანშეწონილია, დამზღვევთან ნათესაურ კავშირში მყოფ პირად მიჩნეულ იქნეს არა მხოლოდ რეგისტრირებულ, არამედ აგრეთვე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და ასეთ ოჯახში მცხოვრები ბავშვი. “საოჯახო პრივილეგიის” უფლების განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად პირთა მიერ საერთო საოჯახო მეურნეობის არსებობა უნდა დადგინდეს. მსგავსი საკანონმდებლო ცელილება საქართველოს კანონმდებლობას დაახლოებს “სადაზღვევო სამართლის ეკროპულ პრინციპებთან”, რომლის 10:10(3) მუხლი

“საოჯახო პრივილეგიას” სწორედ დამზღვევთან საერთო საოჯახო მეურნეობის არსებობას უკავშირებს;

- სსკ-ში სუბროგაციის დოქტრინის მარეგულირებელი ნორმის სისტემური მდებარეობა ნორმის მხოლოდ ზიანის დაზღვევის ხელშეკრულებებზე მოქმედებას და პირადი დაზღვევის მიმართ მისი მოქმედების შეზღუდვას განაპირობებს. ეს კი, თავის მხრივ, პირადი დაზღვევის სპეციფიურ ბუნებას უკავშირდება. კერძოდ, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეუფასებელია, რის გამოც პირადი დაზღვევის დროს ზიანის ანაზღაურებისას, უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის დადგენა შეუძლებელია. სუბროგაციის ერთ-ერთი მიზანი კი, სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებაა. ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ პირადი დაზღვევის დროს სუბროგაციის დოქტრინა არ გამოიყენება. შესაბამისად, დამზღვევს შეუძლია მიიღოს ზიანის ორმაგი კომპენსაცია, როგორც მზღვეველისგან, ისე ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან, რაც მოთხოვნათა კუმულაციად იწოდება. ეს საკანონმდებლო მიღვომა მართებული იქნებოდა, რომ არა სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადაღება, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების დადებისას მხარეები მყარი თანხით ზიანის ანაზღაურებაზე, ანუ წინასწარ განსაზღვრულ კონკრეტულ თანხაზე შეიძლება შეთანხმდნენ. ასეთი შეთანხმება პირადი დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროსაც არის დასაშვები. ეს კი, იმაზე მიუთითებს, რომ მყარი თანხით პირადი დაზღვევის ხელშეკრულების პირობებში, ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა ყოველთვის განსაზღვრადია, რაც უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის დადგენას შესაძლებელს ხდის. უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილება კი, სუბროგაციის დოქტრინის ერთ-ერთი მიზანია. შესაბამისად, შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ მყარი თანხით პირადი დაზღვევის ხელშეკრულების პირობებში სუბროგაცია დასაშვებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სუბროგაციის დოქტრინის მოქმედების სფეროების განსაზღვრისას, ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია არა დაზღვეული ობიექტისა და დაზღვევის სახეების, არამედ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ფორმის მიხედვით განხორციელდეს. შესაბამისად, სუბროგაციის დოქტრინის მოქმედების ფარგლების შეფასებისას, მხარეებმა არა სსკ-ში ნორმის სისტემური მდებარეობით, არამედ სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსით უნდა იხელმძღვანელონ;
- ანალოგიური მიდგომით უნდა გადაწყდეს სუბროგაციის დოქტრინის გამოყენების დასაშვებობის საკითხი პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების პირობებშიც. კერძოდ, მართალია, პასუხისმგებლობის დაზღვევა ზიანის დაზღვევის თავშია მოცემული და მასზე ზიანის დაზღვევის ზოგადი დებულებები (მათ შორის სსკ-ის 832-ე მუხლი) ვრცელდება, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს მზღვეველისთვის სუბროგაციის უფლების მინიჭების საფუძველი. სუბროგაცია დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაზღვევის

ხელშეკრულების პირობებში, რადგან ამ შემთხვევაში ზიანის გამოწვევაზე პასუხისმგებელი პირი თავად სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი – დამზღვევია. შესაბამისად, მზღვეველს არ უნდა მიეცეს სუბროგაციის გზით ზიანის ანაზღაურების იმ პირისგან მოთხოვნის უფლება, რომლის ინტერესიც არის სადაზღვევო ხელშეკრულებით დაზღვეული. აღნიშნულ დასკვნას განამტკიცებს ის გარემოება, რომ სუბროგაციის უფლება მოქმედებს მხოლოდ ზიანის გამომწვევი მესამე პირის მიმართ. დამზღვევი კი ვერ იქნება მესამე პირად განხილული და შესაბამისად, მის მიმართ ვერ გავრცელდება მზღვეველის სუბროგაციის უფლება. პრაქტიკულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეიძლება ასევე აღინიშნოს, რომ სუბროგაციის უფლება არ სარგებლობს აქტუალობით არც სოლიდარული პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში;

- დაზღვევის ხელშეკრულებით მხარეები არასრულ დაზღვევაზე შეიძლება შეთანხმდნენ. ასეთ დროს, დაზღვევის ხელშეკრულება დამდგარი ზიანის სრულ კომპენსაციას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, დამზღვევს შეუძლია აუნაზღაურებელი ზიანის კომპენსაცია, დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე, მესამე პირისგან მოითხოვოს. დამზღვევის ამ უფლების პარალელურად, წარმოშობა მზღვეველის სუბროგაციის უფლებაც. ეს კი, წარმოშობს კონკურენციას მზღვეველსა და დამზღვევს შორის მესამე პირისგან ზიანის ანაზღაურების მიღების უპირატესი უფლების თაობაზე (კერძოდ, საკითხზე, თუ ვის ენიჭება ანაზღაურების მიღების უპირატესი უფლება ზიანის მიმყენებელი მესამე პირისგან). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სადაზღვევო სამართლის უმთავრესი მიზანი დამზღვევის ქონებრივი ინტერესის დაცვა, ცალსახაა, რომ დავა დამზღვევსა და მზღვეველს შორის მოვალისაგან ანაზღაურების მიღების უპირატესი უფლების შესახებ დამზღვევის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. დამზღვევის ინტერესების დაცვის მიზნით, მიზანშეწონლია, სსკ-ის 832-ე მუხლში გაკეთდეს დათქმა მზღვეველის მიერ დამზღვევის საზიანოდ სუბროგაციის განხორციელების დაუშვებელობის შესახებ;
- დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების უფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უსაფუძვლო გამდიდრების ამკრძალავ ნორმებს. ამიტომ, დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების უფლების ფარგლები ყოველთვის ინდივიდუალური სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დადგინდეს. შესაბამისად, დავის არსებობის შემთხვევაში, მიზანშეწონლია, სასამართლოებმა იხელმძღვანელონ სადაზღვევო ხელშეკრულების შინაარსით, რომელიც შეიძლება ზიანის ანაზღაურებაში დამზღვევის თანამონაწილეობას ან არასრულ დაზღვევას ითვალისწინებდეს. სწორედ ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების უფლების მოცულობა.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულ ენაზე:

ამირანა შვილი, გიორგი, სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 19-26.

ამირანა შვილი გიორგი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2014, გვ. 91-97.

გარიშვილი, მარინა/ხოვერია, მარიამი, რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2013.

გვარამია, ლევან, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, თბილისი, 2002.

ზოიძე, ბესარიონ, ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხები. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1985, 23-30.

თოთლაძე, ლევან/გაბრიელიძე, გაგა/თუმანიშვილი, გიორგი/ტურავა, პაატა/ჩაჩანიძე ეთერ, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012.

კორეკტია, კონსტანტინე/მჭედლიძე, ნანა/ნალბანდოვი, ალექსანდრე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2004.

როგაგა, რუსუდან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადასვლის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2013, გვ. 15-22.

რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, სამიებლები და ლექსიკონი დაურთო სურგულაძე ნ., თბილისი, 2011.

ურიდია, სამსონ და სხვ. გურგენიძე გაუა, (რედ.), მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004.

ჩიკვა შვილი, შალვა, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, “მერიდიანი”, თბილისი, 1999.

ცისკაძე, მარიამ, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა “მერიდიანი”, 2011.

ცვაიგერტი, კონრად/კოტცი, პაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, რედ. ნინიძე, თევდორე, თბილისი, 2001.

ძლიერი შვილი, ზურაბ/ცერცვაძე, გიორგი/რობაქიძე, ირაკლი/სვანაძე გიორგი, სახელ შეკრულებო სამართალი, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2014.

ჭანტურია, ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თავი პირველი, თბილისი, 1997.

ჭანტურია, ლადო/ზოიძე, ბერიძე/ნინიძე, თევდორე/შენგელია, რომან/ ხეცურიანი, ჯონი, (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001.

ჭანტურია, ლადო/ზოიძე, ბერიძე/ნინიძე, თევდორე/შენგელია, რომან/ ხეცურიანი, ჯონი, (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001.

ჭანტურია შვილი, ზურაბ, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, 2008. <[http://tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/zviad%20chechelashvili.pdf](http://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/zviad%20chechelashvili.pdf)>.

ხუბუა, გიორგი, სამართლის თეორია, გამომცემლობა “მერიდიანი,” თბილისი, 2004.

## უცხოურ ენებზე:

*Beckmann, Roland Michael/Matusche-Beckmann, Annemarie, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009.*

Begründung zu den Entwürfen eines Gesetzes über den Versicherungsvertrag, Berlin, 1906.

*Bost, Jan-Patrick, Das Quotenvorrecht des VN, VersR 2007, S. 1199-1205*

*Boudon, Beate, Handbuch Versicherungsrecht, 2. Auflage, 2003.*

*Brockmann, Herbert, Regreß des Versicherers gegen den Versicherungsnehmer bei der Versicherung für fremde Rechnung in der Transportversicherung? VersR 1960, S. 1-7.*

*Brück, Ernst/Möller, Hans, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Auflage 1961.*

*Bruck, Ernst/Möller, Hans, Versicherungsvertragsgesetz, Grosskommentar, 9., völlig neu bearbeitete Auflage, herausgegeben von Baumann, Horst/ Beckmann, Roland Michael/Johannsen, Kathrina/Jphannsen, Ralf, Dritter Band, §74-99, 2010.*

*Honsell, Heinrich, Berliner Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zum deutschen und österreichischen VVG, Berlin und Heidelberg, 1999.*

Bundesgerichtshof vom 14. November 1974 in Sachen Fux gegen Altstadt.

*Dahm, Dirk, Häusliche Gemeinschaft und nichteheliche Lebensgemeinschaft - neue Rechtsprechung zur Anwendung des Familienprivilegs auf die nichteheliche Lebensgemeinschaft und Reform des Versicherungsvertragsrechts, Bochum, NZV 2008, S. 280-281.*

*Delank, Martin*, Sind nichteheliche Partner im Verkehrs- und Versicherungsrecht den ehelichen Partnern gleich zu stellen? ZfS 2007, S. 183-188.

*Deutsch, Erwin*, Versicherungsvertragsrecht, 5. Auflage, karlsruhe, Verlag Versicherungswirtschaft, 2005.

*Dieckmann, Johann Andreas*, Der Derivativregress des Bürgen gegen den Hauptschuldner im englischen und deutschen Recht: eine rechtsvergleichend-historische Untersuchung, Berlin : Duncker & Humblot, 2003.

*Ebert, Christoph/Segger Stefan*, Abschied vom Quotenvorrecht, VersR 2001, S. 143-148.

*Esser, Josef/Schmidt Eike*, Schuldrecht, Band I, Allgemeiner Teil, 8. Auflage Teilband 2, Heidelberg, 2000.

*Frick, Iiselore*, Regress und Anrechnungsprobleme in der Summenversicherung, Peter Lang Frankfurt a. Main, Bern, New York, 1985.

*Gärtner, Rudolf*, Das Bereicherungsverbot, eine Grundfrage des Versicherungsrechts, Berliner Juristische Abhandlungen, Band 22, Berlin: Duncker & Humblot, 1970. Kartoniert, DM 34, 60.

*Groß, Werner*, Forderungsübergang im Schadensfall, DAR 1999, S. 337-340.

*Franz M. Große-Wilde/ Peter E. Ouart/ Wolfgang Burandt*, Deutscher Erbrechtskommentar, 2. Auflage, §1922-2385 BGB, Art. 25, 26, 235 EGBGB mit Formulierungshilfe und Mustern, Carl Heymanns Verlag, 2010.

*Grziwotz, Herbert*, Rechtsprechung zur nichtehelichen Lebensgemeinschaft, FamRZ 2009, S. 750-754.

*Grob, Kurt*, die Selbsbeteiligung des Versicherten im Schadenfall, Wesen und Bedeutung im Rahmen der Privatversicherung, Polygraphischer Verlag, Zürich, 1967.

*Günther, Dirk-Carsten*, Der Regress des Sachversicherers, 4. Auflage, Band 30, Hrsg: Peter Bach, Karlsruhe, 2012.

*Häberle, Peter*, Grundrechtsgeltung und Grundrechtsinterpretation im Verfassungsstaat - Zugleich zur Rechtsvergleichung als fünfter Auslegungsmethode, JZ 1989, S. 913-964.

*Habersack, Mathias/Schwab, Martin*, Münchener Kommentar zum BGB, Band 5, Schuldrecht Besonderer Teil III, 6. Auflage  
Verlag C.H. Beck München, 2013.

*Hasse, Andreas*, Der Regress im Sozial - und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand der Gesamtschuld, Eine rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen und französischen Recht, Duncker und Humblot, Berlin, 1992.

*Hawellek, Jeronimo*, Die persönliche Surrogation, Eine vergleichende Untersuchung von Rechtsübergänge zu Regresszwecken in Deutschland Spanien und England, Hamburg, 2010.

*Huber, Christian*, Nichtheliche Lebensgemeinschaft – Ersatz nur bei Erfüllung einer gesetzlichen Unterhaltspflicht, NZV, 2007, S.1-7.

*Jahnke, Jürgen*, Unfalltod und Schadenersatz: Unterhaltsschaden und andere Ansprüche, Dt. Anwalt-Verlag, 1. Auflage, 2007.

*Jahnke, Jürgen*, Versorgungsschaden in der nicht-ehelichen Lebensgemeinschaft nach einem Unfall, NZV, 2007, S. 329-337.

*Jauernig, Othmar*, Bürgerliches Gesetzbuch, mit Allgemeinem Gleichbehandlungsgesetz, C.H. Beck München, 15. Auflage, 2014.

*Kohte, Wolfhard*, Familienschutz für Lebensgemeinschaften beim Forderungsübergang nach §67 II VVG, §116 VI SGB X, NZV 1991, S. 89-96.

*Lang, Herbert*, Festschrift für Georg Greißinger zum 75. Geburtstag, Deutscher Anwalt Verlag, 2009.

*Lang, Herbert*, Das Angehörigenprivileg bei nichtehelicher Lebensgemeinschaft das Ende aller Diskussionen, NZV 2009, S. 425-430.

*Langheid, Theo/Wandt, Manferd*, Münchener Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz, Kommentierung der § 1-99 VVG Teil 1. Allgemeiner Teil mit einer systematischen Darstellung der Elementar und der Technischen Versicherung, Band I, Verlag Beck München, 2010.

*Langheid, Theo/Römer, Wolfgang*, Versicherungvertragsgesetz, 3. Auflage 2012.

*Liebelt, Klaus-Günter*, Aspekte der “Subrogation” im englischen Recht der Schadensversicherung, NZV 1993, S. 298-300.

*Looschelders, Dirk*, Bewältigung des Zufalls durch Versicherung, VersR, 1996.

*Looschelders Dirk/Pohlmann Petra*, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, Carl Heymanns Verlag, 2011.

*Maurer, Alfred*, Kumulation und Subrogation in der Privat- und Sozialversicherung, Ein Beitrag zur Harmonisierung der Gesetzgebung, Bern, 1975.

*Meixner, Oliver/Steinbeck Rene*, Allgemeines Versicherungsvertragsrecht, C.H. Beck München, 2011.

*Oster, Günter*, Entwicklung und Trends in der privaten Berufsunfähigkeits Zusatzversicherung in Deutschland, Österreich und der Schweiz, Verl. Versicherungswirtschaft, 1999.

*Prölss, Erich/Martin, Anton*, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar zu VVG und EGVVG sowie Kommentierung wichtiger Versicherungsbedingungen unter Berücksichtigung des ÖVVG und österreichischer Rechtsprechung, 27. Auflage, 2004.

*Prölss, Erich/Martin, Anton*, Versicherungsvertragsgesetz, VVG, 27. Auflage, 2004.

*Prütting, Hanns/Wegen, Gerhard/Weinreich, Gerd*, (Hrsg.), BGB Kommentar, 8. Auflage, Köln, 2013.

*Quast, Karl-Heinz*, der Ausschluss der Regressnahme von Privatversicherern und Sozialversicherungsträgern bei Schadenszufügungen unter Familienangehörigen (§67 VVG, 640 und 1542 RVO), Bonn, 1975.

*Römer, Wolfgang/Langheid, Theo/Rixecker, Roland*, Versicherungsvertragsgesetz, 2.Auflage, C.H. Beck München, 2003.

Müller, Alexander, Regress im Sachadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers, 2006.

*Römer, Wolfgang/Langheid, Theo/Rixecker, Roland*, Versicherungsvertragsgesetz, 3. Auflage, C.H. Beck München, 2012.

*Römer, Wolfgang/Langheid, Theo/Rixecker, Roland* Versicherungsvertragsgesetz, 4. Auflage, C.H. Beck München, 2013.

*Rosch, Cordula*, Der gesetzliche Forderungsübergang nach der Reform des Versicherungsvertragsrechts, Verlag: peter Lang GmbH, Frankfurt a. Main, 2009.

*Röthel, Anne*, Ehe und Lebensgemeinschaft im Personenschadensrecht, NZV 2001, S. 329-335.

*Rüffer, Wilfried/Halbach, Dirk/Schimikowski, Peter*, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 1. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2009.

*Rüffer, Wilfried/Halbach, Dirk/Schimikowski, Peter*, Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 2. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2011.

*Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland/Oetker Hartmut*, Münchener Kommentar zum Bürgelichen Gesetzbuch: BGB Band 2: Schuldrecht Allgemeiner Teil §241-432, 6. Auflage, Verlag C.H. Beck München, 2012.

*Sarholz, Olivia*, Das Quotenvorrecht, Eine Untersuchung zu §86 Abs.1 VVG und §116 Abs. 1-5 SGB X, Frankfurt a. Main, 2011.

*Sblowski, Wolfgang*, Zur Anwendung der Differenztheorie in der Sachversicherung - § 67 Abs 1 VVG, r+s 1985, S. 313-319.

*Schimikowski, Peter*, *Grundrisse des Rechts*, Versicherungsvertragsrecht, 4., neu bearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck München, 2009.

*Schirmer, Helmut*, Zur Versicherbarkeit des Sachersatzinteresses in der Sachversicherung, ZversWiss, 1981, S. 637-743.

*Schirmer, Helmut*, Die nichteheliche Lebensgemeinschaft im Versicherungs- und Verkehrsrecht, DAR, 2007, Heft 1, 2 ff.

*Schirrmeister, Gustav/Prochownick, Wilhelm*, Das Bürgerliche Recht Englands, Bd. II, Carl Heymanns Verlag, 1929.

*Schlegelberger, Franz*, (Hrsg.), Rechtsvergleichendes Handwörterbuch für das Zivil- und Handelsrecht des In- und Auslandes, Frankfurt a. Main, Band VI, 1938.

*Schulze, Reiner*, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden 8. Auflage, 2014.

*Schwintowski, Hans-Peter/Brömmelmeyer, Christoph*, Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, LexisNexis Deutschland GmbH -ZAP Verlag, Münster, 1. Auflage, 2008.

*Sieg, Karl*, Der gesetzliche Forderungsübergang auf den Binnenversicherer, Verlag: de Gruyter, Berlin, 1970.

*Sieg, Karl*, Der Regress des Versicherers in neuerer Sicht, VersRdsch 1968, S. 181-187.

*Sieg, Karl*, Kumulation der Leistung, Regress und Subrogation in der privaten und in der staatlichen Versicherung, ZversWiss, 1973, S. 319-342.

*Terbille, Michael/Höra, Knut*, Münchener Anwaltshandbuch Versicherungsrecht, C.H. Beck München, 3. Auflage, 2013.

*Weyers, Hans Leo/Wand, Manfred*, Versicherungsvertragsrecht, Carl Heymanns Verlag, 5. Auflage, 2010.

*Buckland W.W.*, Equity in Roman Law, Published by University of London Press, Pub. for the University of London Press, Ltd., by Hodder& Stoughton, London, 1911.

*Derham R.S.*, Subrogation in Insurance Law, Sydney, 1985.

*Drew D., Lucurell*, Subrogation, Adjusting Today, is published as a public service by Adjusters International, 2001.

<[http://www.adjustersinternational.com/ATpdf/3007\\_Subrogation.pdf](http://www.adjustersinternational.com/ATpdf/3007_Subrogation.pdf)>.

*Goff R., Jones G.*, The Law of Restitution, 6<sup>th</sup> ed., 2002.

*Handy P., Mccartny B.*, Subrogation - Principles and Practice, The Chartered Institute of loss adjusters, Beachcroft LLP 2010.

<<http://www.cila.co.uk/files/Property/Principles%20and%20Practice.pdf>>.

*Holdsworth W.S.*, A History of English Law, Methuen & Company Limited, 1938.

*Holdsworth W. S.*, Historical Introduction to the Land Law, Oxford Univ. Press, 1927.

*Howard O.L.*, Historical Nature of Equity Jurisprudence, Fordham Law Rev. 23, 1951.  
<<http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol20/iss1/2>>.

*Ivamy E.*, General Principles on Insurance Law, 199 Lewis W.D., The Winston Dictionary Encyclopedic Edition College ed. 1943.

*Jackson M.I.*, Subrogation, Suretyship, an the law of restitution, The University of British Columbia, 1988.

*John M. Moshonas., John A. Vamplew., Sean R. Lerner.*, Subrogation: Basic Principles, Emerging Trends and Practical Considerations, Vancouver, British Columbia, 2006.

*Marasinghe M.L.*, An Historical Instroduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of the Doctrine I, 10 Val. U.L. Rev. 45 1975.

<<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss1/3>>.

*Marasinghe M.L.*, An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation: The Early History of Doctrine II, 10 Val. U.I. Rev. 1976.

<<http://scholar.valpo.edu/vulr/vol10/iss2/4>>.

*Mitchell Ch.*, The Law of Subrogation, Clarendon Press Oxford, United States, 2004.

*O'Brien J.*, The origins of Subrogation, O'Brien&Hennessy education series topic, 2003.

*Pickar E.J.*, Westfield insurance company, inc. vs. Rowe. South Dakota Law Review, Vol. 47, Issue 2, 2002,  
<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sdlr47&div=20&collection=journal\\_s&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=Pickar,%20Eric%20J.&type=matchall](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sdlr47&div=20&collection=journal_s&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=Pickar,%20Eric%20J.&type=matchall)>.

*Reichert-Facilides F., Helmut H.*, Principles of European Insurance Contract Law, (PEICL), Edited by the Drafting Committee:*Basedow J., Birds J., Clarke M., Cousy H., Heiss H.*, in co-operation with Leander Loacker D., 2009.

*Salmond J.*, Jurisprudence, 7<sup>th</sup> edition, Sweet & Maxwell, London, 1924.

*Skinner M., Coss J.*, Subrogation, Allens Arthur Robinson, 2006.

*Schreiber A.C.*, Lord Mansfield - The Father of Insurance Law [article]  
Insurance Law Journal, Vol. 1960, Issue 12 December 1960.  
<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/inslj22&div=174&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/inslj22&div=174&g_sent=1&collection=journals)>.

The compact Edition of the Oxford English Dictionary, Oxford, 1987.

*Veal G.R.*, Subrogation: The Duties and Obligations of the Insured and Rights of the Insurer Revisited, HeinOnline, Tort & Insurance Law Journal, Volume XXVIII, Number 1, 1992.

*Zimmermann R.*, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Kapstadt, Wetton, Johannesburg, 1990.

*Агарков М.М.*, Обязательство по советскому гражданскому праву. М., 1940.

*Юдельсон К.С.* Основные проблемы права регресса в советском гражданском праве, Ученые труды ВИОН. Вып. 9, 1947.

*Анненков К.*, Система русского гражданского права. том. III. Права обязательственные. - СПб: Типография Стасюлевича М., Москва, 1898.

*Барон Ю.*, Система римского гражданского права. В 6 книгах, Юридический центр Прессы, Книга 4. 2005.

*Белов В.А.*, Сингулярное правопреемство в обязательстве. 2-е изд., стер. М.: Центр ЮрИнфоП, 2001.

Большой словарь иностранных слов. Москва, 2004.

*Брагинский М.И.*, Договор страхования. Москва, Статут, 2000. *Вошатко А.В.* О сущности уступки требования, Очерки по торговому праву / Под ред. Е.А. Крашенинникова. Вып. 7. Ярославль, 2000.

*Брагинский М.И., Витрянский В.В.*, Договорное право. Книга первая. Общие положения, 2002.

*Гендзехадзе Е., Мартынова Т.*, Страхование ответственности риска непогашения кредита, Закон. № 4, 1994.

*Годэмэ Е.*, Общая теория обязательств: Юридическое изд-во М-ва юстиции СССР, Москва, 1948.

*Гольмстен А.Х.*, Опыт построения общего учения о праве регресса, Юридические исследования и статьи. Том второй. Санкт-Петербург, 1913.

*Гришина Т.*, На службе регресса, Деньги. 2001. № 42.  
<<http://www.kommersant.ru/doc/288703>>.

*Данилочкина М.А., Савинский Р.К.*, Цессия прав требования страховщика, перешедших к нему в порядке суброгации, "Юридическая и правовая работа в страховании", №2, 2007.

Digesta Iustiniani, Книги XLV-XVII, Том 7, Полутом 1. отв. ред. Кофанов Л.Л., Москва, Статут, 2005.

*Дедиков С.В.*, Регресс и суброгация по договорам ОСАГО, Хозяйство и право, Москва, № 9, 2004.

*Дедикова С.В.*, Сфера применения суброгации в страховании, научный семинар по вопросу о сфере применения суброгации, 2009. <<http://bookinsurant.ru/stati-o-strakhovanii/258-sfera-primeneniya-subrogatsii-v-strakhovanii>>.

*Дернбург Г.*, Пандекты. Обязательственное право, Том 2, русское издание, Москва, 2011.

*Ефимова Л.*, Страхование как способ обеспечения обязательств по кредитному договору// Хоз. и право, №7, 1994.

*Кораев К.Б.*, Понятие цессии, суброгации и регресса в гражданском праве россии, "Нотариус", Науч.-практ. и информ., федеральное изд. Москва, Юрист, №3, 2008.

*Кисель И.В.*, Обязательства с участием третьих лиц: Дисс, Москва, 2002.

*Кулагин М.И.*, Предпринимательство и право: опыт Запада. Москва, 1992.

*Ломидзе О.*, Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, Рос. юстиция. №12, 1998.

*Ломидзе О.*, Переход обязательственных прав: общее правило и исключения, Российская юстиция, № 9, 2000.

*Мейер Д.И.*, Русское гражданское право в 2-х частях. Ч.1. Москва, 1997.

*Мусин В.А.*, Суброгация в советском гражданском праве, Советское государство и право. №7, 1976.

*Новицкий И.Б.*, Регрессные обязательства между социалистическими хозяйственными организациями, Москва, Госюриздан, 1952.

*Победоносцев К.П.*, Курс гражданского права. Ч. 2 Договоры и обязательства. - СПб: Синодальная типография, Москва, 1896.

*Победоносцев К.П.*, Курс гражданского права, 2003.

*Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права. Москва, Статут, в серии "Классика российской цивилистики", 1998.

*Почуйкин В.В.* Основные проблемы уступки права требования в современном гражданском праве России, 2003.

*Ровный В.В.*, Проблемы единства российского частного права, Иркутск, 1999.

*Сарбаш С.В.*, Общее учение об исполнении договорных обязательств: Дисс. д.ю.н. Москва, 2005.

*Серебровский В.И.*, Избранные труды по наследственному и страховому праву. Москва, Статут (в серии "Классика российской цивилистики"), 1997.

*Сергеева А.П., Толстого Ю.К.*, Гражданское право. Т. 1, М., 2006.

*Синайский В.И.*, Русское гражданское право, 2002.

*Смирнов В.Т.*, Регрессные иски в обязательствах из причинения вреда. Москва, Государственное издательство юридической литературы, 1960.

*Суханова Е.А.*, Под ред. Гражданское право. Т. III, 2006.

*Трепицын И.Н.*, Гражданское право губерний царства Польского и русского в связи с проектом Гражданского уложения. Общая часть обязательственного права, Варшава, 1914.

*Терехов А.В.*, Соотношение суброгации и цессии в гражданском праве России, Вестник Московского университета МВД России, № 3, 2007.

*Федорова Т.А.*, Отв. ред. Основы страховой деятельности, Учебник, 1999.

*Фогельсон Ю.Б.*, Комментарий к страховому законодательству, Москва, Юрист, 2000.

*Чебунин А.В.*, Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношениях, СибЮрВестник № 4 – 2001.

<<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=184613>>.

*Шершеневич Г.Ф.* Учебник русского гражданского права, 1995.

*Щербакова А.Ю.*, Понятие и природа суброгации, Юрист, Москва, № 9, 2008.

*Шац Б.С.*, Суброгация при страховании ответственности, "Юридическая и правовая работа в страховании", № 1, I квартал, 2007.

*Renusson P.*, Traite De La Subrogation, Paris, 1760.

**საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება.

<<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201212.pdf>>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ოქტომბრის № ას-663-624-2011 განჩინება. 2012 წლის

გადაწყვეტილებათა კრებული 11. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf>>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის №ას-747-700-2010 განჩინება.

<<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20113.pdf>>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-663-624-2011 განმარტება. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba42.pdf>>.

### **სხვა ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებები**

BGB Urteil vom 30.4.1959 - II ZR 126/57 NJW 1959, 1221, BGHZ 30, 40, 43.

BGH Urteil vom 04.04.1967 - VI ZR 179/65, NJW 1967, 1419, BGHZ 47, 308, 310.

BGH Urteil vom 04.04.1967 - VI ZR 179/65, NJW 1967, 1419, BGHZ 47, 308, 311, VersR 1967, 674, 675.

BGH Urteil vom 04.07.2011 - IV ZR 307/00, NversZ 2001, 457, 458.

BGH Urteil vom 08.12.1981 - VI ZR 153/80, VersR 1982, 283.

BGH Urteil vom 08.12.1981 - VI ZR 153/80, NJW 1982, 827, VersR 1982, 283.

BGH Urteil vom 11.02.1964 - VI ZR 271/62, BGHZ 41, 79, 83, NJW 1964, 860, VersR 1971, 901, 902.

BGH Urteil vom 11.7.1960 - II ZR 254/58, NJW 1960, 1903, BGHZ 33 97, 100.

BGH Urteil vom 12. 1. 1982 - VI ZR 265/80, VersR 1982, 383.

BGH Urteil vom 12.11.1985 - VI ZR 223/84(München), VersR 1986, 333-334.

BGH Urteil vom 13.01.1993 - VIII ARZ 6/92, NJW 1993, 999, 1001.

BGH Urteil vom 13.6.1957 - II ZR 35/57, BGHZ 24, 378, 385.

BGH Urteil vom 14.07.1970 - VI ZR 179/68, NJW 1970, 1844, BGHZ 54, 256.

BGH Urteil vom 15.01.1980 - VI ZR 181/78, NJW 1980, 1468, VersR 1980, 526, 527.

BGH Urteil vom 15.01.1980 - VI ZR 270/78, VersR 1980, 644, 645.

BGH Urteil vom 15.10.1963 - VI ZR 97/62, NJW 1964, 101, VersR 1963, 1192, 1193.

BGH Urteil vom 16.09.1975 - VI ZR 156/74, VersR 1976, 149, 150.

BGH Urteil vom 17.03.1954 - VI ZR 162/52, NJW 1954, 1113, BGHZ 13, 28.

BGH Urteil vom 17.03.1954 - VI ZR 162/52, NJW 1954, 1113.

BGH Urteil vom 17.03.1954 - VI ZR 162/52, NJW 1954, 113.

BGH Urteil vom 18.1.1966 - ZR 147/64, NJW 1966, 654, BGHZ 44,382 , VersR 1966, 256.

BGH Urteil vom 18. 12. 1979- VI ZR 27/78, NJW 1980, 1623, BGHZ 76, 279, VersR 1980, 625.

BGH Urteil vom 19.12.1973 - IV ZR 130/72, VersR 1974, 184.

BGH Urteil vom 2.11.1961- II ZR 237/59 (München), NJW 1962, 41, VersR 1961, 1077-1078.

BGH Urteil vom 20.03.1967 - III ZR 100/66, NJW 1967, 1273, BGHZ 47, 196, VersR 1967, 505.

BGH Urteil vom 20.11.1980 – III ZR 31/78, NJW 1981, 295, BGHZ 79, 35.

BGH Urteil vom 22.1.1984 - VI VA 145/82, NJW 1984, 2165.

BGH Urteil vom 28.01.1958 - VI ZR 308/56, VersR 1958, 161.

BGH Urteil vom 11.07.1960 – II 254/58, NJW 1960, 1903, BGHZ 33, 97.

BGH Urteil vom 30.06.1971 - IV ZR 189/69, NJW 1971, 1938 ,VersR 1971, 901

BGH Urteil vom 30.09.1957, III ZR 76/56, NJW 1958, 180, BGHZ 25, 340.

BGH Urteil vom 4. 4. 1967- VI ZR 179/65, BGHZ 47, 308, VersR 1967, 674, NJW 1967, 1419.

BGH Urteil vom 4.7.2001 - IV ZR 307/00, VersR 2001, 1100, 1101.

BGH Urteil vom 8. 11. 2000 - IV ZR 298/99, NJW 2001, 1353.

BGH Urteil vom 8. 12. 1981, - VI ZR 153/80, BGHZ 82, 338, VersR 1982, 283, NJW 1982, 827.

BGH Urteil vom 8.12.1981 - VZ ZR 153/80, VersR 1982, 283.

BGH Urteil vom 1.12.1987- VI ZR 50/87,VersR 1988, 253.

BGH Urteil vom 22.4.2009- IV ZR 160/07, VersR 2009, 813.

BGH; BGH Urteil Vom 10.04.1979 - VI ZR 268/76, NJW 1979, 1213, VersR 1979, 640, 641.

BGHUrteil vom 12.01.1982 - VI ZR 265/80, NJW 1982, 829, VersR 1982, 383, 384, BGHZ 79, 35.

BverfG Urteil vom 03.04.1990 -1 BvR 1186/89, NJW 1990, 1593, 1594.

BVerfG Urteil vom 09.11.2004, - 1 BvR 684/98, NJW 2005, 590.

BVerfG Urteil vom 17. 11. 1992 - BvL 8/87, NJW 1993, 643.

BVerfG Urteil vom 9. 11. 2004 - 1 BvR 684/98, NJW 2005, 1413.

LG Hamburg Urteil vom 20.03.1984 – 4 O 566/83, VersR 1985,631.

LG Saarbrücken Urteil vom 19.09.1994- 6 O 60/94, VersR 1995, 158, 159.

OGH Urteil vom 23.11.1988 - 7 Ob 44/88, VersR 1989, 830.

OLG Düsseldorf Urteil vom 29.02.2000 – 4 U 44/99, VersR 2000, 1355, 1356.

OLG Düsseldorf VersR 1956, 325.

OLG Hamburg Urteil vom 28.04.1992 -7 U 59/91, VersR 1992, 685, 686.

OLG Hamm Urteil vom 15.3.1993 – 6 U 251/92, NZV 193, 477.

OLG Hamm Urteil vom 17.01.1986 – 20 U 183/85, r+s 1986, 317.

OLG Hamm Urteil vom 20.05.2988 -20 U 315/87, VersR 1989, 36.

OLG Hamm Urteil vom 21. 9. 1989, NJW-RR, 1990, 39.

OLG Hamm, Urteil vom 29.4.1993- 27 U 242/92, NJW-RR 1993, 1443, VersR 1993, 1478.

OLG Karlsruhe Urteil vom 18. 10. 1990 – 12 U 83/90, VersR 1991, 1127.

OLG Köln Urteil vom 09.04.1959 - VersR 1960, 894, 895.

OLG Köln Urteil vom 17.10.1990 – 14 U 43/90, NJW-RR 1991, 670, VersR 1991, 1237.

OLG Köln Urteil vom 21.7.1992 – 3 U 33/92, r+s 1992, 326.

OLG Köln Urteil vom 8. 3. 1988, r+s 1989, 1.

OLG München Urteil vom 15. 06.1959 VersR 1959, 944.

OLG Stuttgart Urteil vom 13. 8. 1992 - 11 U 36/92, VersR 1993, 724.

*Aetna Life Ins. Co. v. Middleport*, U.S. Supreme Court, 1888

<<http://supreme.justia.com/cases/federal/us/124/534/case.html>>.

*Banque Financier de la Cite v.Parc (Battersea) Ltd*, AC 221, 1999.

*Cagle Inc v. Sammons*, Nebraska Supreme Court, 1977.

<<https://www.courtlistener.com/neb/b5ZE/cagle-inc-v-sammons/>>.

*Castellain v. Preston*, Court of Appeal, 1883,

<<http://www.lexisnexis.com/hottopics/lncademic/>>.

*Curtis Lee Franklin Jr. v. Healthsource of Arkansas* (96-116, S.W.2d). Supreme Court of Arkansas 1997. <<http://opinions.aoc.arkansas.gov/weblink8/0/doc/178708/Electronic.aspx>>.

*Development Pty Ltd v. H&R – E&W pty Ltd*, 20 WAR 380, 1999.

*Insurance Commission of Western Australia v. Kightly*, 30 WAR 380, 2005.

*Johnson and others v. Ireland*, 18 December 1986, Series A no. 112.

*K v. The United Kingdom*, No. 11468/85, 15 October 1986, 50 DR 199.

*McCardie, J., John Edwards&Co. v. Motor Insurance Union*, 2 K.B. 249, 252, 1922,

*Mason v. Sainsbury*, 3 Dougl KB 61 Eng. Rep. 538, 540. 1782.

<<http://www.commonlii.org/int/cases/EngR/1782/37.pdf>>.

*Marckx v. Belgium*, 13 June Series A no. 31.1979.

*Orakpo (Respondent) v. Manson Investments Ltd*, A.C. 95, 1978.

*Petroleum Development Pty Ltd v. H&R – E&W pty Ltd*, 20 WAR 380, 1999.

*Page v. Scottish Insurance Co Ltd*, 98 LJKB 308, 1929.

*Randal v. Cockran*, 1 Ves.sen. 98, 27 Eng. Rep. 916, 1748.

*Scottish Union & National Insurance Co v. Davis*, 1 Lloyd's Rep. 1190, 1970.

<<http://www.law.cornell.edu/supremecourt/text/196/611#writing-type-1-Day>>.

*X, Y and Z v. United Kingdom*, 22 April 1997, EHRR, 1997.

*Yates v. Whyte*, 4 Bing. N.C. 272, 132 Eng. Rep. 793, 1838.

*Yorkshire Insurance Co. Ltd. v. Nisbet Shipping Co. Ltd*, 2 Q.B. 330, 1962.

Вестник Высшего Арбитражного Суда РФ. №3, 1998.

Информационное письмо Президиума Высшего Арбитражного Суда Российской Федерации, № 120, 30 октября 2007 г. Пункт 5.

<[http://arbitr.ru/as/pract/vas\\_info\\_letter/18448.html](http://arbitr.ru/as/pract/vas_info_letter/18448.html)>.

Постановление президиума ВАСРФ № 5464/96 от 25.03.97, Вестник ВАС, № 6, 1997.

Решение арбитражного суда г. Москвы от 26 июня 2006 г. по делу Н А40-6918/06-24-46.

Решение Арбитражного суда Московской области от 23 августа 2006 г. по делу Н А41-К1-8730/06.

### სხვადასხვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის კვლევა, სადაზღვევო ბაზის  
სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ. <<http://www.nbg.ge/index.php?m=489>>

Abschlussbericht der Kommission zur Reform des Versicherungsvertragsrechts vom 19. April 2004. <<http://www.rpmed.de/php/aktuelles/Abschlussbericht-Reformkommission-VVG-19.04.2004.pdf>>

Allgemeine Versicherungs- Bedingungen für die Haftpflicht-Versicherung (AHB) § 4 II 2.<[http://www.beck.de/rsw/upload/SKA/AHB\\_2008\\_1.pdf](http://www.beck.de/rsw/upload/SKA/AHB_2008_1.pdf)>.

Begründung Regierungsentwurf BT-Drucks. 16/3945.  
<<http://dip21.bundestag.de/dip21/btd/16/039/1603945.pdf>>.

Gesamtverband der deutschen Versicherungswirtschaft e. V., Jahrbuch 2007.  
<[http://www.gdv.de/2007/11/jahrbuch-der-deutschen-versicherungswirtschaft-2007/gdv\\_jahrbuch\\_2007/?back=%2F2007%2F11%2Fjahrbuch-der-deutschen-versicherungswirtschaft-2007%2F](http://www.gdv.de/2007/11/jahrbuch-der-deutschen-versicherungswirtschaft-2007/gdv_jahrbuch_2007/?back=%2F2007%2F11%2Fjahrbuch-der-deutschen-versicherungswirtschaft-2007%2F)>.

Statistisches Bundesamt, Pressemitteilung Nr. 307 v. 25. 8. 2008.  
<[www.destatis.de/allg/d/veroe/prose4fmikro\\_d.htm](http://www.destatis.de/allg/d/veroe/prose4fmikro_d.htm)>.

Corpus iuris civilis <<http://digestaiust.narod.ru/46.html>>.

Insurance Industry: Market Research Reports, Statistics and Analysis:  
<<http://www.reportlinker.com/mknbhr.com/ci02425/Insurance.html>>.

Insurance Contracts, Law Reform Commission, December 2011, 213.  
<[http://www.lawreform.ie/\\_fileupload/consultation%20papers/cp65insurancecontracts.pdf](http://www.lawreform.ie/_fileupload/consultation%20papers/cp65insurancecontracts.pdf)>